

თავი პირველი

- ტომ!

პასუხი არ არის.

- ტომ!

პასუხი არ არის.

- რა დაემართა ამ ბიჭს? ტომ!

მოხუცმა ცხვირზე ჩამონია სათვალე და სათვალის ზემოდან მოათვალიერა მთელი ოთახი, მერე შუბლზე აინია და ახლა სათვალის ქვემოდან მიიხედ-მოიხედა. სათვალეში თითქმის არასოდეს იყურებოდა, როცა ეძებდა ისეთ პანანკინტელა ნივთს, როგორც, მაგალითად, ერთი ციცქნა ბიჭია. ეს სათვალე მისი სიამაყე იყო და უფრო სილამაზისათვის იკეთებდა; იქიდან დანახვა ისევე შეიძლებოდა, როგორც ქოთნის სარქველიდან. ერთ წამს მოხუცი დაიბნა, შემდეგ კი არც თუ გაჭავრებით, მაგრამ იმდენად ხმამაღლა, რომ ოთახის ავეჯს გაეგონა, თქვა:

- ჩამივარდები ერთი ხელში და...

სიტყვა ვერ დაასრულა, დაიხარა და სანოლქვეშ გულმოდგინედ დაინყო ძებნა ცოცხლით რაღაცას, თანაც ცოცხლის ყოველ მოსმაზე ჩერდებოდა სულის მოსათქმელად, მაგრამ იქიდან კატის მეტი ვერაფერი გამოათრია.

- საძაგელი ბიჭი! ჩემს დღეში მისი მსგავსი არა მინახავს რა!

მივიდა გაღებულ კართან, შეჩერდა და ბაღში დაუნყო თვალიერება პამიდვრის კვლებსა და ბალახებში. ტომი არსად ჩანდა. მაშინ კი ხმა აიმაღლა და შესძახა:

- ტომ!

ზურგს უკან რაღაცამ გაიფაჩუნა. მიიხედა და პატარა ბიჭს მკლავში სწვდა, როცა ის გაპარვას აპირებდა.

- ერთი ამას დამიხედეთ, სულ დამავინყდა, საკუჭნაოში შემეხედა! რას აკეთებდი იქ?

- არაფერს.

- არაფერს? დაიხედე ხელებზე, შეხედე შენს ტუჩებს! ასე რით მოითხუპნე?

- არ ვიცი, დეიდა!

- მაშ, მე ვიცი! მურაბით! აი, რით! ათასჯერ მითქვამს, თუ ხელი გიხლია, გაგნკეპლავ-მეთქი. მომანოდე ნკეპლა.

ნკეპლამ ჰაერში გაიშხულია. განსაცდელი გარდაუვალი იყო.

- ოჰ, დეიდა, მიიხედეთ, თქვენს უკან რა არის!

მოხუცი მიტრიალდა, თან შიშით კაბის კალთა აინია, ბიჭმა კი მოკურცხლა, თვალის

დახამხამბაში ხის მაღალ მესერს გადაეწვო და თავს უშველა. დეიდა პოლი ჯერ გონს ვერ მოვიდა გაკვირვებისაგან, მერე კი ჩუმად ჩაეცინა:

- აი, შე საძაგელო! ნუთუ აქამდე ვეღარ შევეჩვიე? განა ცოტა ოთონი უქნია! ტყუილად კი არ არის ნათქვამი: “ბებერი სულელი ყველა სულელზე ტუტუცია” და “ბებერ ძაღლს ახალს ვეღარაფერს შეასწავლიო”. მაგრამ, ჩემო, მაგას ოინებს რა გამოუღევს; ორჯერ ერთსა და იმავეს არასოდეს გაიმეორებს, - განა მიუხვდები, რას აპირებს?! გეგონებათ იცის, რამდენ ხანს უნდა მანვალოს, რომ მოთმინებიდან არ გამოვიდე. საკმარისია, ერთი წამით სხვა რამეზე გადაიტანოს ჩემი ყურადღება, ან გამაცინოს, რომ მთელმა რისხვამ გამიაროს და თითიც ვეღარ დავაკარო.

...ღმერთმანი, პირნათლად ვერ ვიხდი ჩემს მოვალეობას. საღვთო სჯულში ხომ წერია: ვინც წკეპლას არ ხმარობს, ყმანვილს რყვინსო. მე კი, ცოდვილი, როგორ ვანებივრებ. ამისათვის ორვეს პასუხი მოგვეთხოვება. ვიცი, ვიცი, რომ თავი სისულელითა აქვს გამოტენილი, მაგრამ რა ვქნა? ის ხომ ჩემი ცხონებული დის შვილია, საცოდავის. და მეც ძალა არა მყოფნის ერთი კარგად გავშოლტო. ყოველთვის, როგორც კი სასჯელისაგან გასხლტომის საშუალებას მივცემ, სინდისი მქენჯნის, დავსჯი და მოხუცებული გული მიკვდება იმისი ცოდვით. მართალი უთქვამს, ღმერთს ადამიანისათვის ერთი სიცოცხლე მიუცია და სადარდებელი კი ათასიო! ნამდვილად ასეა! დღეს სკოლაში არ წასულა; საღამოზე ყალთაბანდობას მოუნდება, მე კი მოვალე ვარ, დავსაჯო. შევასრულებ კიდევ ჩემს მოვალეობას, ხვალ მთელი დღე ვამუშავებ. სისასტიკეა შაბათ დღეს მუშაობა, როცა ყველა ბიჭისათვის უქმეა, მაგრამ რას ვიზამ... მუშაობა ჭირივით ეჯავრება. ამჯერად მაინც ვერ ვაპატიებ, თორემ მთლიანად დავლუპავ ბიჭს.

ტომს იმ დღეს სკოლაში არც კი შეუხედია და დრო ჩინებულად გაატარა. ძლივს მოასწრო შინ დაბრუნება ვახშობამდე, რათა მიხმარებოდა ჯიმს, ზანგ ბიჭუნას, ხვალისთვის შეშის დახერხვასა და დაპობაში. ყოველ შემთხვევაში, მოასწრო, ეამბნა თავისი თავკადასავალი, სანამდის ჯიმი სამუშაოს სამ მეოთხედს შეასრულებდა. ტომის უმცროს ძმას, სიდს (დედით ძმები იყვნენ), უკვე გაეთავებინა თავისი საქმე. მის მოვალეობას შეადგენდა ნაფოტების შეგროვება. სიდი წყნარი და მორჩილი იყო, არასოდეს ცელქობდა. ვიდრე ტომი ვახშამს შეექცეოდა და ყველა შემთხვევას იყენებდა საქრის ნატეხების მოსაპარავად, დეიდა პოლი მას მეტად ცბიერ კითხვებს აძლევდა, - იქნება რამე წამოსცდესო. როგორც გულწრფელ ადამიანებს სჩვევიათ, დეიდასაც სწამდა, რომ დაჭილდობული იყო უნარით, ჩასწვდომოდა ყოველგვარ საიდუმლოს და თავისი ყველაზე გულუბრყვილო ფანდები სასწაულებრივ ემშაკობად მიაჩნდა. მან იკითხა:

- დღეს სკოლაში ძალიან ცხელოდა, ტომ?

- არა, დეიდა.

- იქნებ ძალიან ცხელოდა?

- დიახ, დეიდა.

- ბანაობა არ მოგინდა, ტომ?

ტომი შეიშმუშნა; გულში არასასიამოვნო ეჭვმა გაურბინა. გამომცდელი თვალით შეხედა დეიდა პოლის, მაგრამ მისმა სახემ არაფერი უთხრა, და უპასუხა:

- არა, დეიდა, არც იმდენად.

მოხუცმა ხელი შეახო ტომის პერანგს და თქვა:

- ყოველ შემთხვევაში, სრულიად არ გაოფლიანებულხარ.

მოხუცს თავი მოსწონდა, რომ ასე მოხერხებულად გამოიკითხა პერანგის ამბავი და რომ ნამდვილ აზრს ვერავინ მიუხვდებოდა; მაგრამ ტომმა კარგად იცოდა, ქარი საითაც

უბერავდა, ამიტომ თავიდან აიცილა მომდევნო კითხვა.

- ჩვენი ბიჭები ონკანს უშვერდნენ თავს გასაგრილებლად. ნახეთ, თმა ახლაც კი სველი მაქვს.

დეიდა პოლი გულნატკენი დარჩა, მხედველობიდან როგორ გამორჩა ასეთი მნიშვნელოვანი საბუთი. მაგრამ უცებ ბრწყინვალე აზრმა გაურბინა.

- ტომ, მერე, ჩემი მიკერებული საყელო ხომ არ მოარღვიე პერანგს, როცა თავი წყალს შეუშვირე? აბა, გაიხსენი ქურთუკი!

ტომს დარდი გადაეყარა, ღილები გაიხსნა. პერანგის საყელო მაგრად იყო მიკერებული.

- აბა, ახლა კი დამეკარგე! მე მეგონა, სკლიდან საბანაოდ გაიპარე. ამჯერად გაპატიებ, მგონი, უკეთესი უნდა იყო, ვიდრე ჩანხარ.

დეიდა პოლი ნაწყენიც დარჩა, რომ გამჭრიახობამ უმტყუნა, თანაც უხაროდა, ტომმა ერთხელ მაინც გამოიჩინა მორჩილებაო.

მაგრამ სიდმა თქვა:

- მე ასე მახსოვს, თითქოს თქვენ საყელო თეთრი ძაფით მიაკერეთ, აქ კი შავია...

- დიახაც, თეთრი ძაფით მივაკერე!.. ტომ!..

მაგრამ რომმა აღარ დაუცადა გაგრძელებას, ეცა კარს და თან დაიძახა:

- სიდ, მე შენ გიჩვენებ სეირს!

საიმედო ადგილას რომ მიიძალა, ტომმა გასინჯა ორი დიდი ძაფგადახვეული ნემსი, რომლებიც ქურთუკის საყელოში შიგნითა მხარეს ჰქონდა დაბნეული. ერთზე თეთრი ძაფი იყო აკებული, მეორეზე - შავი.

- ის ხომ ვერც შეამჩნევდა, სიდი რომ არ ყოფილიყო. ხათაბალაა, დეიდა ხან შავ ძაფს ხმარობს, ხან თეთრს. სად დავიხსომო! ერთით მაინც კეროს! სიდს კი ამის გულისათვის მაგრა მივბეგვავ! სინდისსა ვფიცავ, ჭკუას ვასწავლი!

ორ წუთსაც არ გაეგლო, რომ ტომმა გულიდან გადაიყარა დარდი. იმიტომ კი არა, რომ იგი ნაკლებად მძიმე და მტკივნეული იყო, ვიდრე მოზრდილი ადამიანების დარდი. არა, მთელ მის არსებას დაეუფლა რაღაც ახალი მისწრაფება, რამაც დაიმორჩილა ყველა დანარჩენი. სწორედ ასე ავინყდებათ მოზრდილებსაც თავიანთი ჭირ-ვარამი, როცა რაიმე ახალი წამოსწყების ხალისი შეიპყრობთ. საქმე ის იყო, რომ ტომმა ერთი ზანგისაგან რაღაც უცნაური სტევნა ისწავლა და დიდი ხანია ოცნებობდა თავისუფლად ევარჯიშა. ზანგი ჩიტების ჭიკჭიკს ბაძავდა, რისთვისაც დროგამოშვებით ენას სასას აბჯენდა. თუ მკითხველს ბავშვობაში გამოუცდია, ალბათ, გაახსენდება, როგორ ახერხებენ ასე სტვენას. გულისყურისა და მუყაითობის შემწეობით ტომი მალე მიხვდა ამ საიდუმლოებას და ახლა მხიარულად მიაბიჯებდა ქუჩაში. მისი ბაგენი მუსიკას აფრქვევდნენ, სული კი მადლიერების გრძობით აღვსოდა. ის ვარსკვლავთმრიცხველს მოგაგონებდათ, რომელმაც ახალი მნათობი აღმოაჩინა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მისი სიხარული უფრო გულწრფელი და ძლიერი იყო.

ზაფხულის საღამოები გრძელია; ჯერ არ დაბნელებულიყო. უცებ ტომმა სტვენა შეწყვიტა. მის წინ ვიღაც უცხო ბიჭი იდგა. ცოტა მასზე მაღალი. უცხო პირის გამოჩენა პატარა ქალაქ სანკტ-პეტერბურგში, ბუნებრივია, გაკვირვებას გამოიწვევდა. მით უმეტეს, რომ ბიჭი კარგად იყო ჩაცმული, ისიც სამუშაო დღეს! თავზე კოხტა ქუდი ეხურა; ყველა ღილზე შეკრული ლურჯი მაუდის სუფთა და ახალთახალი ქურთუკი და შარვალი კარგად ადგა ტანზე; ყველა ღილზე შეკრული ლურჯი მაუდის სუფთა და ახალთახალი ქურთუკი

და შარვალი კარგად ადგა ტანზე; ფეხსაცმელებიც ეცვა, თუმცა უქმე დღე არ იყო; ღია ფერის ყელსახვევიც შეება. საერთოდ, უცხო ყმანვილს, მით უფრო ცხვრის უბზეკდა და ამით აგრძობინებდა, ძალზე მეზიზღება გამონკეპილი ბიჭებიო. ერთმანეთისათვის ხმა არ გაუციათ, მაგრამ როგორც კი ერთი გადაადგამდა ნაბიჯს, მეორეც მიჰყვებოდა. ერთმანეთს პირისპირ უდგნენ და თვალი თვალში გაეყარათ; ბოლოს, ტომმა დაილაპარაკა:

- მე შემიძლია, კარგად მიგბეგვო.

- აბა, ერთი სცადე.

- მიგბეგვავ კიდევ.

- ვერ შეძლებ!

- არა, შევძლებ.

- არა, ვერ შეძლებ!

- შევძლებ!

- ვერ შეძლებ!

უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ისევ ტომმა დაიწყო:

- რა გქვია?

- შენი საქმე არ არის!

- აბა, ხმა, თორემ, გიჩვენებ სეირს!

- მერედა, რა გიშლის ხელს?

- აბა, გაბედე კიდევ რამის თქმა...

- გავბედავ, გავბედავ! აჰა!

- დიდი ვინმე გგონია შენი თავი, აი! თუ მოვინდომებ, ერთი ხელით შემიძლია მიგბეგვო.

- მერე რაღა გიშლის ხელს? ხომ ამბობ, შემიძლიაო!

- შემიძლია! თუ სისულელეს თავს არ დაანებებ, მართლა გცემ.

- მინახავს შენისთანებიც!

- პრანჭიავ! გგონია, დიდი ვინმე ბრძანდები! ერთი ამის ქუდს დამიხედე!

- აბა, იქნებ კიდევაც სცადო და მომხადო, მაშინ ნახავ სეირს!

- ცრუპენტელა!

- შენ თვითონა ხარ!

- ცრუ და მშიშარა!

- კარგი, გაიარე, გაიარე!

- ეი, შენ თუ ბევრს ილაპარაკებ, ავიღებ ქვას და თავს გაგიხეთქავ!

- ტყუილია!

- არა, გაგიხეთქავ!

- რაღას ელი? შენ მართო იმუქრები, რატომ ხელს არ ანძრევ? იქნებ გეშინია?

- არც მიფიქრია!

- არა, გეშინია!

- არა, არ მეშინია!

- გეშინია!

ისევ დუმილი. მოპირდაპირენი ერთმანეთს ისევ გარს უვლიან, ისევ თვალს თვალში უყრიან. ბოლოს, ერთმანეთს მიუახლოვდნენ, მხარი მხარს მიადეს.

- დაიკარგე აქედან! - შესძახა ტომმა.

- შენ თვითონ დაიკარგე!

- არა მსურს!

- არც მე მსურს!

ცალ ფეხზე დაბჯენილნი ეკვეთნენ ერთმანეთს, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ერთმანეთისადმი სიძულვილით ანთებულნი, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოაცვლევინა ფეხი მოპირდაპირეს. როდესაც ორივე მოიქანცა და განითლდა, ნელ-ნელა უკან დაიხიეს. ტომმა განაცხადა:

- შენ მხდალი და ფინია ხარ! მოიცადე, ჩემს უფროს ძმას ვეტყვი. ერთი თითით დაგანარცხებს მიწაზე. აი, ნახე, თუ ამას არ ვიზამ!

- ძალიან კი შემაშინე შენი დიდი ძმით! მე თვითონ მყავს შენზე დიდი ძმა. მას შეუძლია შენი ძმა ბურთივით გადააგდოს აი, იმ მესერზე (ეს ძმები მათი ფანტაზიის ნაყოფი იყო).

- რაკი შენ იტყვი, არა?!

ტომმა ფეხის ცერით მიწაზე ხაზი გაავლო და უთხრა:

- გიკრძალავ ამ ხაზზე გადმობიჭვას! თუ არ დაიშლი, ისე გაგხდი, რომ ფეხზე ვეღარ დადგე. აბა, ერთი გაბედე!

უცნობი ბიჭი საჩქაროდ დადგა გავლებულ ხაზზე:

- აბა, ვნახოთ, როგორ მცემ.

- თავი დამანებე, გირჩევ!

- ხომ დაიტრაბახე, გცემო, რატომ არ ასრულებ?

- გცემ, გგონია არ გცემ?! ორ ცენტად გცემ!

უცნობმა ჯიბიდან ამოიღო შავი ფული და დაცინვით გაუნოდა ტომს.

ტომმა ხელი აჰკრა და მინაზე გააგდებინა.

იმავე წუთს ორივენი ტალახში გორაობდნენ. თოკივით გადაგრეილნი. ერთმანეთს თმით ათრევდნენ, ტანისამოსს აგლეჯდნენ, სახეს ჰკანრავენ, მუშტს ურტყამდნენ, მტვერში აგორავებდნენ. ბრძოლის კორიანტელი გაიფანტა და ტომი გამოჩნდა. მხედარივით შეჯდომოდა თავის მოპირდაპირეს, მუშტებით ზელავდა და თან ეუბნებოდა:

- ითხოვე პატიება!

ბავშვი განთავისუფლებას ცდილობდა, სიბრაზის ცრემლები ახრჩობდა.

- ითხოვე პატიება! - და ტომმა მუშტები აამუშავა.

ბოლოს უცხო ბიჭმა ძლივს წამოიღულულა: “მაპატიე”. ტომმა თავი დაანება და თან უთხრა:

- ჭკუას ისწავლი, სხვა დროს გეცოდინება, ვისთან დაიჭირო საქმე.

უცნობმა ბიჭმა თავისი გზით გასწია, თან მტვერს იბერტყავდა ტანისამოსიდან, თანაც სულ სლუკუნებდა და ხვნეშოდა. ხანდახან მოიხედავდა უკან, თავს დაუქნევდა და დაემუქრებოდა: - გადაგიხდი თუ ხელში ჩამივარდიო. ტომს ეცინებოდა და შინისკენ გახარებული მიდოდა, მაგრამ როგორც კი ბურგი შეაქცია, უცხო ბიჭმა ქვა სთხლიშა ბეჭებში და ისე მოჰკურცხლა, როგორც ანტილოპამ. ტომი გამოეკიდა ვერაგ მოპირდაპირეს, სახლამდის სდია და ამგვარად, გაიგო, სადაც ცხოვრობდა. პატარა ხანს ჭიშკართან მოუცადა და მტერს კარში ინვევდა საბრძოლველად; მაგრამ იგი ფანჯრიდან ეღიჯებოდა, გარეთ გამოსვლა კი არ მოისურვა. ბოლოს, მტრის დედა გამოვიდა, ტომს ქუჩის ბიჭი, საძაგელი და უზრდელი უწოდა და გააგდო. ტომი გატრიალდა, მაგრამ დაემუქრა, ბრალი მაგისი, თუ ხელში ჩამივარდაო.

ტომი გვიან დაბრუნდა. ფრთხილად გადაძვრა ფანჯარაში, ცდილობდა, არ ეხმაურა; მაგრამ ფანჯარასთან დეიდა ჩასაფრებოდა. როცა დეიდამ დაინახა რა მდგომარეობაში იყო იმისი ტანისამოსი, გულში უფრო მტკიცედ გადანყვიტა, მძიმე სამუშაო მიეცა მისთვის უქმე დღეს.

თავი მეორე

გათენდა შააბათი დილა. სიცოცხლით მჩქეფარე ზაფხლის ბუნებას მხიარული ელფერი დასდებოდა. ყველას გული უმღეროდა. ახალგაზრდების გულში კი ეს სიმღერა ვეღარ ეტეოდა და მათ ბაგეთაგან საამო ჰანგებად იფრქვეოდა. სახე ყველას სიხარულით გაცისკროვნებოდა, გაზაფხული იგრძნობოდა თვით ადამიანის ყოველ ნაბიჯში. ჰაერი აყვავებული აკაციის სურნელით იყო გაჟღენთილი.

მწვავედ აბიბინებული კარდიფის გორაკი ქალაქს ზემოდან გადმოჰყურებდა. შორიდან აღთქმულ ქვეყანას მოგაგონებდათ, იმდენად მომხიბლავი, მყუდრო და მიმზიდველი იყო იგი.

ტომი გამოვიდა სახლიდან. ხელში ეჭირა წყალში გახსნილი კირით სავსე ვედრო და გრძელტარიანი ჯაგრისი. როცა თვალი შეავლო მაღალ მესერს, იმწამსვე გაქრა სიხარული და მის გულს ღრმა მწუხარება დაეუფლა; ხუმრობა საქმე ხომ არ იყო ოცდაათი იარდის სიგრძისა და ცხრა ფუტის სიმაღლის მესერის გათეთრება?! სიცოცხლე

უაზრობად და არსებობა მძიმე ტვირთად მოეჩვენა. ოხვრით დაასველა ჯაგრისი კირში და ზედა ფიცარს დაუნყო წასმა; რამდენჯერმე გაიმეორა და შეჩერდა. რა იყო ეს შეთეთრებული წვრილი ზოლი მესერის უსასრულო სივრცესთან შედარებით! დაღონებული იქვე ღობესთან ხის ძირას ჩამოჯდა. ამ დროს ეზოდან ხტუნვა-ხტუნვით და ღიღინით გამოვიდა ბანგი ჯიმი თუნუქის ვედროთი ხელში. წყლის მოტანა ქალაქის საერთო ჭიდან ტომს უმძიმეს საქმედ მიაჩნდა, მაგრამ ახლა სიამოვნებით შეასრულებდა ამ სამუშაოს. მას გაახსენდა, რომ ჭასთან მუდამ ბევრი ხალხი იყრიდა თავს: ბანგი, მულატი, თეთრკანიანი ბიჭები და გოგონები. უცდიდნენ თავიანთ რიგს, ჩხუბობდნენ, ერთმანეთს სათამაშოებს უცვლიდნენ, ჭიდაობდნენ, ერთობოდნენ. ისიც გაახსენდა, რომ თუმცა ჭა შორს არ იყო, სულ ასორმოდანატი ნაბიჯი თუ იქნებოდა, მაგრამ ჯიმი თითქმის ყოველთვის იგვიანებდა მთელს საათს; უთუოდ ვინმე უნდა გაეგზავნათ მის დასაძახებლად. ტომმა უთხრა:

- გამიგონე, ჯიმ, გინდა, მე ნავალ წყალზე შენს მაგიერ და შენ კი მანამდე ეს მესერი ცოტათი გაათეთრე.

ჯიმმა თავი გააქნია.

- არ შემიძლია, ტომ! ქალბატონმა მიბრძანა, ჩქარა მოიტანე წყალი, გზაზე, გზაზე არ შეჩერდეთ, არავის დაეღაპარაკო, ვიცი, ტომი გთხოვს მესერის გათეთრებას, მაგრამ არ გავედო, არ გაუგონო, შენ შენი გზით წადიო; ისიც თქვა: მე თვითონ ნავალ და ვნახავ, როგორ ათეთრებსო.

- რა ვუყოთ, რომ ასე თქვა, ჯიმ? იმან ყოველთვის ეგრე იცის, რას უგედ ყურს. მომეცი ეგ ვედრო, ერთი წუთით ჩავირბენ, ის ვერც კი გაიგებს.

- ვაი, მეშინია, ტომ, მოხუცი ქალბატონისა მეშინია. ტყავს გამაძრობს, შავ დღეს დამაყრის.

- ისა? ის თითსაც არავის ახლებს. დიდი საქმეა, თუ სათითოე ჩაგკრა რამდენჯერმე! მერე ეგ რა არის! მართალია, ძალიან ილანძღება, მაგრამ ლანძღვა რას დააკლებს, ისევ თვითონ ატირდება. გამოგონე, ჯიმ, ჩემს მარმარილოს ბურთულას მოგცე. თეთრ ბურთულას.

ჯიმი შეყოყმანდა.

- თეთრ მარმარილოს ბურთულას, ჯიმ, შესანიშნავ ბურთულას!

- მართლაც რომ მშვენიერია, ტომ, მაგრამ მოხუცი ქალბატონისა ძალიან მეშინია.

- თანაც თუ გინდა, ნატკენ ცერს გიჩვენებ ფეხზე.

ჯიმიც ხომ ადამიანი იყო და ცთუნებას ვეღარ გაუძლო. ვედრო დადგა მინაზე, გამოართვა თეთრი მარმარილოს ბურთი, თანაც ცნობისმოყვარეობით დაჰყურებდა, როგორ იხსნიდა ტომი სახვევს ცერიდან, მაგრამ წუთსაც არ გაევიწყო, რომ ისევ დააცხრა ვედროს და კისრის ქეჭვით მოუსვა: ტომმა მუყაითად განაგრძო მესერის გათეთრება. დეიდა პოლი კი ძღვევამოსილი დაბრუნდა შინ ბრძოლის ველიდან.

მაგრამ ტომს მუყაითობა დიდხანს არ შერჩენია. მისი გონება გაიტაცა იმაზე ფიქრმა, თუ რა მხიარულად აპირებდა დღევანდელი დღის გატარებას და დარდი უფრო შემოაწვავდა გულზე. მალე თავისუფალი ბიჭები ჩამოვივლიან. ცხადია, ათასნაირი თამაშობა ექნებათ მოფიქრებული და როგორ დასცინებენ, როცა დაინახავენ, რა მძიმე სამუშაოს ასრულებს. ეს ფიქრი აძღვევდა მოსვენებას, ჩაიყო ჯიბეში ხელი და ამოყარა რაც ენყო: სათამაშოების ნატეხები, ნაირ-ნაირი კენჭები და ბევრი სხვა რამ. მაგრამ ამით ვერ იყიდდა სრულ თავისუფლებას ნახევარი საათითაც კი. ტომმა ისევ ჯიბეში ჩაიყარა მთელი თავისი სიმდიდრე და თავი დაანება ამხანაგების მოსყიდვაზე ფიქრს. ამ წუხილისა და უიმედობის დროს უცებ გაუელვა აზრმა, სწორედ გენიალურმა აზრმა. ტომმა დამშვიდებით განაგრძო მუშაობა. შორიდან გამოჩნდა ბენ როჯერსი, რომლის დაცინვისაც ყველაზე მეტად ეშინოდა ტომს. ბენი კი არ მოდიოდა, მოხტოდა; ეტყობოდა, გული არხეინად ჰქონდა და დღევანდელი დღისაგან ბევრს სასიამოვნოს მოელოდა.

ბენი ვაშლსა კბეჩდა, დროდადრო მელოდიურად უსტვენდა და თან დაბალ ხმაზე აყოლებდა: “დინ-დონ-დონ, დინ-დონ-დონ”, რადგან თავისი თავი დიდ ხომალდად წარმოედგინა. ტომს რომ მიუახლოვდა, სვლას უკლო, გადავიდა ქუჩის შუაგულზე, მარჯვნივ გადაიხარა, ნელ-ნელა დაიწყო მობრუნება დიდი გულმოდგინებითა და მედიდურობით: ხუმრობა ხომ არ იყო, ის იმ დროს განასახიერებდა ხომალდს - “დიდი მისური”, რომელიც წყალში ცხრა ფუტის სიღრმეზე ჩამჯდარიყო. ერთსა და იმავე დროს ის ხომალდიც იყო, კაპიტანიც, გემის საყვირიც, ასე რომ, მას თავი წარმოედგინა საკუთარ გემზე, ბრძანებასაც თვითონ იძლეოდა და თვითონვე ასრულებდა.

- შეჩერდი! ტინ-ლინ-ლინ, ტინ-ლინ-ლინ!

გემი თანდათანობით მოშორდა ზღის შუაგულს და ნაპირისკენ გაემართა.

- უკანა სვლით! ტინ-ლინ-ლინ! - ორივე ხელი ჩაუშვა და გაიჭრა.

- უკანა სვლით! საჭე მარჯვნივ! ტინ-ლინ-ლინ! ჩუმ-ჩუმ-ჩუმ!
მარჯვენა ხელით ჰაერში დიდი წრე შემოხაზა, რადგან ახლა ორმოცფუტიან ბორბალს განასახიერებდა.

- საჭე მარცხნივ! ტინ-ლინ-ლინ!.. ჩუმ-ჩუმ-ჩუმ!

ახლა მარცხენა ხელით შემოავლო ისეთივე წრეები.

- შეჩერდი! ტინ-ლინ-ლინ! ნუ ჩქარობ! შეჩერდი! ნელი სვლა, ტინ-ლინ-ლინ! გადააგდეთ ბაგირი! ცოცხლად! ჰეი, შენ, ნაპირზე! რასა დგეხარ? დაიჭი ბაგირი! ყულფი გამოაბი მარგილს! გაჭიმე! მოუშვი! მანქანა გაჩერდა, ბატონო! ტინ-ლინ! შ...შ...შ...შ... -

მანქანამ ორთქლი გამოუშვა.

ტომი ღებავდა ღობეს და ყურადღებას არ აქცევდა გემს. ბენი გაკვირვებული მიაჩერდა ტომს, ბოლოს უთხრა:

- ჰეი, ხომ შეუბამთ თოკი მოზვერით!

პასუხი არ მიუღია, ტომი მხატვარივით შეჰყურებდა თავის ნამუშევარს, ერთი კიდევ მოუსვა. ჯაგრისი - მსუბუქად და უკან დაინია შესამონმებლად, ბენი ახლა პირისპირ დაუდგა. ტომს ნერწყვი მოუვიდა ვაშლის დანახვაზე, მაგრამ ვითომ ვერ დაინახა, ისე გულმოდგინედ განაგრძო მუშაობა.

ბოლოს, ბენმა უთხრა:

- გამუშავებენ, ძამია?

ტომი ერთბაშად შემოტრიალდა მისკენ.

- ა, ეს შენა ხარ, ბენ? ვერც კი დაგინახე.

- გამოგონე. საბანაოდ მივიდვარ, შენ არ გინდა? თუმცა რანაირად, შენ ხომ უნდა იმუშაო? რასაკვირველია, უნდა იმუშაო.

ტომმა შეხედა და ჰკითხა:

- რას ეძახი მუშაობას?

- განა ეგ მუშაობა არ არის?

ტომმა განაგრძო თავისი საქმე და თან დაუდევრად უთხრა:

- იქნებ მუშაობა იყოს და იქნებ არც იყოს. ყოველ შემთხვევაში, ტომ სოიერს ეს ამბავი სიამოვნებს!

- კარგი ერთი და! ახლა შენ გინდა დამაჯერო, რომ მოგნონს კიდევაც?

ტომი განაგრძობდა მუშაობას.

- მომწონს? რატომ არ უნდა მომწონდეს? მე შენ გეტყვი და, ყოველდღე გვიხდება მესერის გათეთრება.

საქმე სულ სხვანაირად შეტრიალდა. ბენმა ვაშლის ჭამა შეწყვიტა. ტომი მსუბუქად მოუსვამდა ჯაგრისს, უკან დაინევდა, რომ თავისი მხატვრობით დამტკბარიყო, მერე კიდევ აქა-იქ ნათხუბნიდა და ცქერით ვერ ძღებოდა. ბენი მის მოძრაობას თვალს ადევნებდა და თანდათან ინტერესდებოდა. უცებ უთხრა:

- გამიგონე, ტომ, მომეცი, მეც ნავუსვამ ცოტას.

ტომი დაფიქრდა, ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ჯერ თანხმდებოდა, მაგრამ მერე კი გადაიფიქრა:

- არა, ბენ, სულ ერთია, არაფერი არ გამოვა. საქმე ისაა, რომ დეიდა პოლი ლამის გადაჰყვას ამ მესერს, მესერი ქუჩის მხარეს უნდა გათეთრდეს; ეზოს მხარეს რომ იყოს გასათეთრებელი, სხვა საქმეა! მაგრამ ამ შემთხვევაში ძალზე მომთხოვნია და ღობეს სიფრთხილით უნდა გათეთრება. ვფიქრობ, ათასში, ან იქნებ ორი ათას ბიჭში ერთიც კი არ აღმოჩნდეს ისეთი, რომელსაც ისე შეეძლოს გათეთრება, როგორც საჭიროა!..

- ნუთუ მართალია? მომეცი, სულ ცოტას ცვდი. მე რომ შენს ადგილზე ვიყო, ნაგასმევინებდი. რას იტყვი, ტომ?

- ბენ, სიამოვნებით, მაგრამ დეიდა პოლი... აი, ჯიმსაც უნდოდა და მან ნება არ დართო, სიღმა მთხოვა - არც იმას მისცა ნება. ახლა რომ გესმის, როგორ მიძნელებდა ამ საქმის მონობა? რომ დაინყო გათეთრება და ისე არ გამოვიდეს...

- არა, გაფრთხილდები; გამომცადე, სამაგიეროდ, ვაშლის ნაჭერს მოგცემ.

- კარგი, მომეცი! მაგრამ არა, ბენ, მეშინია!

- ვაშლს მთლიანად მოგცემ, რაც დამრჩა.

ტომმა ჯაგრისი ვითომ უხალისოდ გადასცა, გულში კი ცას ენია სიხარულისგან.

და, აი, ვიდრე ყოფილა გემი - "დიდი მისური" შრომობდა და ცხარე მზებზე ოფლში იწურებოდა, ჩვენი მხატვარი დასასვენებლად კასრზე ჩამომჯდარიყო, ფეხებს აქნევდა, ვაშლს ილუკმებოდა და მახეს აგებდა ახალ უცოდველ მსხვერპლთათვის. ასეთები კი ცოტანი როდი იყვნენ: გაგიხარიათ, ბიჭები ბლომად მოდიოდნენ იმ განზრახვით, რომ ტომი მასხრად აეგდოთ, მაგრამ გასათეთრებლად კი რჩებოდნენ.

ვიდრე ბენი მოიქანცებოდა, ტომმა უკვე მეორე ჯერი მიჰყიდა ბილი ფიშერს სრულიად

ახალ ქალაქის ფრანში, ხოლო როცა ფიშერი მოიქანცა, ის შეცვალა ჯონი მილერმა, რომელმაც ტომს მისცა მკვდარი თაგვი დაბანარი - კუდზე მისაბმელად და საქანავებლად; ასე მთელი საათებით გაგრძელდა. ტომი თუ დილით ღარიბი და ღატაკი იყო, ახლა, ნაშუადღევს, გამდიდრდა; ზემოთ ჩამოთვლილ საუნჯეთა გარდა, მას აღმოაჩნდა: თორმეტი მარმარილოს კენჭი, გატეხილი სასტვენის, ლურჯი ბოთლის ნამტვრევი - გასაჭრელად, ცარიელი კოჭი, გამოუსადეგარი გასაღები, ცარცის ნაჭერი, შუშის საცობი, კალის ჯარისკაცი, წყვილი თავკომბალა, ექვსი სატკაცუნებელი, კარის სპილენძის სახელური, ძაღლის ყელსაბამი, - თუმცა ძაღლი არსად ჩანდა. დანის ტარი, ოთხი ფორთოხლის ქერქი და სარკმლის ძველი ჩარჩო. ტომს არაფერი გაუკეთებია, მშვენივრად გაატარა დრო დიდ საზოგადოებაში, მესერსაც სამი ფენა კირი წაესვა. კირი რომ ჰყოფნოდა, ალბათ, იმ ქალაქის ბიჭებს სათამაშობს აღარ შეარჩენდა.

ტომმა გულში გაიფიქრა, ცხოვრება არცთუ ისე უაზრო ყოფილაო. თავისდა უნებურად აღმოაჩინა ცხოვრების დიდი კანონი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა მოქმედებას: როცა მოზრდილს ან ბავშვს რაიმე ნივთის შეძენის დიდი სურვილი გაუჩნდება, საჭიროა ეს უკანასკნელი ძნელი საშოვნელი გახდეს. ტომი ისეთივე დიდი და ბრძენი მოაზროვნე რომ ყოფილიყო, როგორც ამ წიგნის ავტორია, იგი ასეთ დასვნას გააკეთებდა: მუშაობა არის ის, რაც ადამიანს ევალება, გართობა კი ის არის, რის გაკეთებაც ადამიანს არ ევალება. გაერკვეოდა იმაშიც, რომ ქალაქის ყვავილების გაკეთება, ან წინსქვილის ქვის დატრიალება მუშაობაა, ხოლო კეგლის ნაქცევა და მონბლანდზე ასვლა - გართობა. ინგლისში მოიძებნებიან მდიდარი ჯენტლმენები, რომლებიც ზაფხულში ოთხცხენიანი ეტლებით მიემგზავრებიან ოცი-ოცდაათი მილის მანძილზე მხოლოდ იმიტომ, რომ ეს კეთილშობილი გართობა დიდი ფული უღირთ; მაგრამ ამ საქმეში ხელფასს რომ აძლევდნენ, გართობა მუშაობად იქცეოდა და მას უმალ თავს დაანებებდნენ. ტომი კიდევ რამდენიმე ხანს ფიქრობდა იმ მნიშვნელოვან ცვლილებაზე, რომელიც მის ცხოვრებაში მოხდა. შემდეგ კი გაემართა მთავარ შტაბში, რათა სამუშაოს დამთავრება ეუნყებინა.

თავი მესამე

ტომი უკანა ოთახის ღია ფანჯარასთან მჯდარ დეიდა პოლის წარუდგა. ეს მყუდრო ოთახი ერთდროულად საძილეც იყო, სასტუმროც, სასადილოცა და კაბინეტიც. ზაფხულის საამო პაერსა და მყუდროებას, ყვავილთა ზურნელსა და ფუტკრების ძილისმომგვრელ ზუზუნს თავისი ზეგავლენა მოეხდინა. დეიდა პოლი თვლემდა საქსოვით ხელში. მისი ერთდართი თანამოსაუბრე კატაც ყვინთავდა მის კალთაში. დეიდას სათვალე შუბლს ზევით ჭაღარა თმაზე აეტანა. იფიქრა: ტომმა, ალბათ, უკვე დიდი ხანია სამუშაო მიატოვა და, საკვირველია, ასე უშიშრად როგორ მიდის სასჯელის მისაღებადო. ტომმა ჰკითხა:

- დეიდა, ახლა შეიძლება სათამაშოდ წავიდე?
- როგორ? საქმე? რამდენი გააკეთე?
- სულ მზად არის.
- ტომ, ნუ ცრუობ, ხომ იცი, ამას ვერ ვიტან.
- არა ვცრუობ, სულ მზად არის.

დეიდა პოლის ეჭვებოდა. წამოდგა და წავიდა შესამოწმებლად. ტომის სიტყვები ოცი პროცენტითაც რომ გამართლებულიყო, მოხარული იქნებოდა. როდესაც დარწმუნდა, მესერი, მართლაც, თავიდან ბოლომდე გათეთრებული იყო, კირი რამდენჯერმე ჰქონდა წასმული, თანაც სქლად და, ასე გასინჯეთ, მიწაზეც კი ეტყობოდა თეთრად გაკვლებული კირის ბოლი, მის გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა.

- არ მეგონა... სიმართლე უნდა ითქვას, ტომ, მუშაობა შეგიძლია, თუკი მოინდომებ. - აქ მოხუცმა ქება შეარბილა, რომ გადაჭარბებული არ მოსვლოდა, - მაგრამ ვაი, რომ მუშაობის სურვილი იშვიათად გაქვს. ახლა კი წადი, ითამაშე, მხოლოდ შინ დროზე დაბრუნდი, თორემ ხომ იცი...

მოხუცი ისე აღტაცებული იყო ტომის საქმიანობით, რომ წაიყვანა საკუჭნაოში, ამოურჩია საუკეთესო ვაშლი და თან ჭკუის დარიგებას მოჰყვა, რაოდენ ძვირფასია ჯილდო, როცა პატიოსანი და კეთილსინდისიერი შრომით არისო დამსახურებული. და სანამ იგი თავის მჭერეცყველობას საღვთო სჯულიდან ამოკითხული სიტყვებით აგვირგვინებდა, ტომმა მოასწრო ერთი ტკბილი წვენი ანაპვნა.

ტომი ხტუნვა-ხტუნვით გავარდა ეზოში. თვალი მოჰკრა სიდას, რომელიც გარეთა კიბით ადიოდა ზედა სართულზე. მიწის გორბები ირგვლივ ბლომად იყო და უცებ ისე სეტყვასავით დაუშინა სიდას, რომ ირგვლივ მტვრის კორიანტელი დააყენა. ვიდრე დეიდა პოლი მოსაშველებლად მოვიდოდა, ხუთი-ექვსი ყუმბარა მისწვდა მიზანში ამოღებულს, ხოლო ტომი კატასავით გადაცოცდა მესერზე და მიიძალა; ეზოს ჭიშკარიც ჰქონდა, მაგრამ, საზოგადოდ, ჩვენს გმირს არ უყვარდა დროის დაკარგვა: იქიდან არასოდეს არ გადიოდა. ახლა გულს მოეფონა, რადგანაც სიდას ანგარიში გაუსწორა გამცემლობისათვის: დეიდა პოლის შავი ძაფის ამბავი რომ გააგებინა და განსაცდელში ჩაგდო.

ტომი გავიდა გარეთ, შემოუარა სახლს, გაუხვია ტალახიან შესახვევში და დეიდა პოლის ბოსელს გაუსწორდა. აქ მას დაჭერისა და დასჯის შიში აღარ ჰქონდა. გაემართა სოფლის მოედნისაკენ, სადაც წინასწარი შეთანხმებით თავი უნდა მოეყარა საბრძოლველად ბიჭების ორ “სამხედრო” გუნდს. ერთ არმიას ტომი მეთაურობდა, მეორეს - მისი ერთგული მეგობარი, ჯო ჰარპერი. ეს ორი დიდი მხედართმთავარი თვითონ როდი კადრულობდა ხელჩართულ ბრძოლას - ეს უფრო წვრილფეხობას შეეფერებოდა; მაგრამ ბრძოლას კი ხელმძღვანელობდნენ, იდგნენ პატარა სერზე და თავიანთი ადიუტანტების საშუალებით ბრძანებებს იძლეოდნენ. ხანგრძლივი და სასტიკი ბრძოლის შემდეგ ტომის არმიამ გაიმარჯვა. დათვალეს ბრძოლის მიზანი, მეორე გადამწყვეტი შებრძოლების დრო; შემდეგ ორივე არმია დაეწყო და დატოვა ბრძოლის ველი. ტომი შინ მარტო დაბრუნდა.

იმ სახლს რომ ჩაუარა, სადაც მისი მეგობარი ჯეფ თეტჩერი ცხოვრობდა, ბაღში თვალი მოჰკრა ვიღაც უცნობ პატარა გოგონას, - მშვენიერ ცისფერთვალება არსებას. ოქროსფერი თმა ბეჭებზე ორ ნაწნავად ეყარა, ეცვა ზაფხულის თეთრი კაბა და არშიაშემოვლებული ქვედა საცვალი უჩანდა. დიდების შარავნდევით მოსილმა გმირმა მარცხი განიცადა ტყვიის უსროლველად. ვინმე ემი ლორენსი უმაღლესედა ისე წაიშალა მისი მესხიერებიდან, რომ კვალიც არ დაუტოვებია. ადრე თუ ეგონა, თავდავიწყებით უყვარდა, ახლა დარწმუნდა, რომ ეს მხოლოდ დროებითი გატაცება იყო. რამდენიმე თვის განმავლობაში ცდილობდა მისი გულის მონადირებას, მხოლოდ ერთი კვირა თუ იქნებოდა, რაც ემი სიყვარულში გამოუტყდა, მხოლოდ შვიდი ხანმოკლე დღე იყო იგი ყველა ადამიანზე უფრო ამაყი და ბედნიერი. ახლა ერთი წუთი და, ისე ამოიღო გულიდან, გეგონებათ, ვიღაცა უცხო სტუმარი სწვენვია ცოტა ხნით და ისევ წასულაო. ტომი ჩუმად ტკბებოდა ამ ახალი “ანგელოზის” ცქერით, სანამ არ დაინახა, რომ “ანგელოზმაც” შეამჩნია. ახლა კი თავი მოიკატუნა, ვითომ არც კი ხედავდა იმ გოგონას, და დაიწყო სულელური ჯამბაზობა, როგორც სწვენვიათ ბიჭებს, როცა უნდათ თავი მოაწონონ. ასე გავიდა ცოტაოდენი დრო. უცებ რაღაც თავბრუდამხვევი ვარჯიშით გართულს მოეჩვენა რომ გოგონამ ზურგი შეაქცია, სახლისკენ გაემართა. ტომი მონყენილი მოუახლოვდა მესერს, იმედი ჰქონდა, გოგონა ბაღში ცოტა ხანს შეიყვინდა. ის, მართლაც, შეჩერდა კიბის საფეხურზე, შემდეგ კი კარისსაკენ წავიდა. ტომმა ღრმად ამოიოხრა, როცა გოგონამ ზღურბლზე შედგა ფეხი, მაგრამ უცებ სახე გაუბრწყინდა. ვიდრე კარს მიეფარებოდა, გოგონამ უკან მოიხედა და იასამანი გადმოუგდო. პატარა ბიჭი გაექანა, გაჩერდა ორიოდ ნაბიჯის დაშორებთ, თვალები მოიჩრდილა და ქუჩას მიაჩერდა, თითქოს შორს რაღაც საინტერესო სანახავი გამოჩნდაო. შემდეგ დასწევდა ჩალას, თავი უკან გადაწია და ცდილობდა, ცხვირზე დაემაგრებინა; ამისთანა ოინებით თანდათან მოუახლოვდა სასურველ ყვავილს, დაადო შიშველი ფეხი, დიდი მოხერხებით ამოიღო თითებშუა, და ცალ ფეხზე ხტუნვით გაუხვია კუთხეში თავისი საუნჯით. მხოლოდ ერთი წუთით მიიძალა, ვიდრე ყვავილს უბეში ჩაიგდებდა, გულთან ახლოს, ან უკეთ, კუჭთან, რადგან ტომი ანატომიის ცოდნაზე უკაცრავად ბრძანდებოდა.

მერე ისევ უკან დაბრუნდა და საღამომდის მესერს არ მოშორებია, ხან რას აკეთებდა, ხან რას, მაგრამ გოგონა აღარ გამოჩენილა; ტომი თავს ინუგეშებდა, გოგონა, ალბათ, საიდანაც უთვალთვალეს ჩემს გულმოდგინებასო. ბოლოს, ტომი უხალისოდ გაემურა შინისაკენ, თავში ათასგვარი საოცნებო ფიქრი უტრიალებდა.

ტომი ვახშობისას ისე იყო აღგზნებული, რომ დეიდას უკვირდა, რა დაემართა ამ ბავშვსაო? დეიდამ სასტიკად დატუქსა სიდას ცემისათვის, მაგრამ მას აინუნშიაც არ ჩაუგდია, ტომი ეცადა, დეიდასათვის ცხვირწინ აეცოცებინა შაქარი, რაზედაც ხელები

აუნვეს, მაგრამ მაინც არ სწყენია, მხოლოდ თქვა:

- დეიდა, სიღს რატომ არ სცემთ შაქრის ქურდობისათვის?

- სიღი არასოდეს თავს არ მახებრებს; შენ კი, რომ არ გიშლიდე, შაქარს მთლად გააჩანაგებდი.

დეიდა სამზარეულოში გავიდა; სიღი გახარებული იყო, რომ დაუსჯელი დარჩა და იმნამსვე შაშაქრეს წაატანა ხელი, თითქოს ტომის გაღიზიანება უნდაო; ეს კი მეტისმეტი იყო! მარამ, საშაქარე ხელიდან გაუცურდა, დაეცა ძირს და დაიმსხვრა. ტომის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. გადანყვიტა, გაჩუმებულიყო, ვიდრე დეიდა არ იკითხავდა, ვინ გატეხაო; აი, მაშინ კი იტყოდა სიმართლეს. “ნებიერს” მოხვდებოდა და ამას რა სჯობდა! ისე უსაზღვროდ იყო გახარებული, რომ თავს ძლივს იკავებდა. როცა დეიდა შემოვიდა, შეჩერდა ნამსხვრევებთან და სათვალის ზემოდან მრისხანედ გადმოიხედა, “ახლა იქნება სერი!” - გაიფიქრა ტომმა, მაგრამ ერთი წამი, და თვითონ კი გაიშლართა იატაკზე: გაფთრებულმა მოხუცმა კვლავ მოუღერა ღონიერი ხელი დასარტყმელად, როცა ტომმა ტირილით წაილაპარაკა:

- მოიცადეთ, მე რაზე მცემთ? სიღმა გატეხა საშაქრე, მე ხომ არა?

დეიდას პირკატა ეცა, მკლავი ჰაერში გაუშემდა. ტომი მონანიებას ელოდა; მაგრამ, როცა მეტყველების უნარი დაუბრუნდა, მოხუცმა თქვა:

- სულ ერთია! ვფიქრობ, არც შენ მოგხვდა უდანაშაულოდ, ალბათ, ჩემი აქ არყოფნის დროს შენც დააშავებდი რასმე.

მოხუცს მაინც ქენჯნა დაუნყო სინდისმა; უნდოდა რამე ტკბილი და საალერსო ეთქვა, მაგრამ იფიქრა, ამას ისე გაიგებენ, თითქოსა ჩემი დანაშაული ვაღიარე, ეს კი დისციპლინას არ შეჰფერისო. ასე რომ, ხმა აღარ ამოუღია და გულდამძიმებულმა განაგრძო თავისი საქმე. ტომმა იცოდა, დეიდა გულში ნანობდა და მზად იყო, ფეხებიც კი დაეკოცნა მისთვის; ამით იგი პირქუშად ტკებოდა. ამას არაფრად ჩააგდებს, არც კი შეიმჩნევს. ზოგჯერ გრძნობდა, თვალცრემლიანი დეიდა ალერსიანდ გადმოხედავდა, მაგრამ არც ეს უნდოდა შეემჩნია. წარმოიდგინა, ვითომ სიკვდილის პირზეა, დეიდას თავი დაუხრია და ტომს სთხოვს პატიებას; ტომი გადაბრუნდება კედლისაკენ და უხმოდ კვდება; ნეტავ, რა მოუვა მაშინ დეიდას? ახლა წარმოიდგინა: ვითომ მდინარიდან ამოათრიეს მკვდარი და მოასვენეს; ხუჭუჭა თმები სველი აქვს, ხელები მოსდუნებია, გული აღარ უცემს. როგორ დაეკონება დეიდა მის ცხედარს, ცრემლები დაჰაღუპით წამოუვა, ხოლო ბაგენი ღმერთს შეევედრებიან, დაუბრუნოს მას თავისი ბიჭუნა და არასოდეს, არასოდეს აღარ აწყენინებს უმიზეზოდ. ტომი კი გაყვითლებული და გაყინული იდება, ვეღარაფერს იგრძნობს. სანყალი პატარა ტანჯული ბიჭის წვალეა დასრულდება... ტომს გული ისე აუჩუყდა ამ გულსაკლავი სურათების წარმოდგენით, რომ ბოლმამ კინაღამ დაახრჩო, თვალეებში სულ ცრემლები უციმციმებდა და დახამხამების დროს წვეთ-წვეთად ჩამოუგორდა. თავისი უბედურებით ისე ტკებოდა, რომ რაიმე მიწიერ სიხარულსა და მხიარულებაზე ფიქრიც კი არ უნდოდა. ამიტომ, როდესაც მისი ბიძაშვილი, მერი, სიხარულით გაცისკროვნებული, ოთახში ხტუნვა-ხტუნვით და სიმღერით შევიდა, აქაოდა სოფელში გატარებული გრძელი კვირის შემდეგ შინ დავბრუნდიო, ტომი ადგა და მოწყენილი გავიდა მეორე კარიდან. ის ამხანაგებს გაურბოდა და ეძებდა ისეთ მიყრუებულ და მოწყენილ ადგილს, როგორც მისი გული იყო. მალე ფიქრმა მიიზიდა, ჩამოჯდა მის კიდეზე და გაჰხედა მდინარის პირქუშ სივრცეს. ერთი ფიქრიღა დაუფლებოდა: დამხრჩვალყო უმალ, უწვალეებლად, ისე, რომ არ დამორჩილებოდა ბუნების მძიმე კანონს. მერე ყვავილი მოაგონდა; ამოიღო ჰიბიდან, უკვე დამტკნარი, გაქელილი. ამან უფრო გააძლიერა მისი ნალველი. იგი ფიქრობდა, რომ იცოდეს, როგორ ვიტანჯები, ნეტავ შემობრალეება? იქნებ კიდევ გადამხვეოდა დასამშვიდებლად? ან იქნებ, ზურგი შეექცია გულგრილად, როგორც ამ უბადრუკ ქვეყანას? ამ ფიქრმა იგი გაანამა, საამოდ მოადუნა; იმდენჯერ ასწონ-დასწონა, იმდენწაირად ატრიალა, სანამ ქანცი არ გაუნყდა. ბოლოს, ამოიოხრა, წამოდგა და სიბნელეში გაეშურა.

დაახლოებით ათის ნახევარსა თუ ათ საათზე უკაცრიელი ქუჩით იმ სახლისაკენ გაემართა, სადაც მისი სათაყვანებელი უცნობი არსება ცხოვრობდა, ერთ წუთს შეჩერდა და ყური მიუგდო. ირგვლივ მყუდროება იყო. მეორე სართულზე ფანჯრის ფარდას სანთლის ბუნდოვანი სინათლე ეცემოდა. იქნებ, სწორედ იქ არის უცნობი? იგი ღობეზე გადაცოცდა, ბუჩქებში ფრთხილად გაიკვლია გზა და გაჩერდა ფანჯრის ძირში. დიდხანს იცქირებოდა ზევით აღელვებული. შემდეგ კი ზურგზე დანვა ფანჯრის ქვეშ, გულზე ხელები დაიკრიფა და თავისი გასაცოდავებული, დამტკნარი ყვავილი მაგრად ჩაიხუტა. აი, ასე მოკვდება. იგი ღია ცის ქვეშ ცივ, მიუსაფარ წუთისოფელში. არავინ გაუნჯდის მეგობრულ ხელს, რათა მომაკვდავს ჭირის ოფლის წვეთები შეაშროს შუბლზე. არავისი

ალერსიანი სახე არ დაიხრება მისკენ სიბრალოდით, როცა სიკვდილის წუთი დაუდგება. აი, ასეთს დაინახავს იგი, როცა გათენდება მხიარული დილა და ფანჯრიდან გადმოიხედავს. მაგრამ ნუთუ ერთ ცრემლს მაინც არ დააფრქვევს მის საბრალო, უსულს გვამს? ნუთუ მის გულს სუსტი ოხვრა მაინც არ აღმოხდება იმის გამო, რომ ასე უდროოდ დაიღუპა ახალგაზრდა სიცოცხლე, ასე უხეშად გაქელილი, ასე ნაადრევად მოცვლილი სიკვდილის მიერ?

ფანჯარა გაიღო, მსახური ქალის მკვიანა ხმამ შებღალა ღამის წმინდა მყუდროება და წყალი ნიაღვარივით გადმოეშვა მინაზე გართხმულ წამებულ ნემსს.

ჩვენი გმირი კინაღამ გაიგუდა და ფრუტუნ-ფრუტუნით ფეხზე წამოიჭრა. ჰაერში ტყვიასავით რაღაცამ გაიზუზნა, ზედაც ხმადაბლა გინება მოჰყვა და ფანჯარა წამხსვრევებად იქცა. პატარა ტანის ძლივს შესამჩნევი არსება ღობეზე გადაძვრა და სიბნელეში მიიმალა. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ტანზე გახდილი ტომი ქონის სანთლის შუქზე ათვალეირებდა თავის განუწულ ტანისამოსს, სიღს გაეღვიძა. მაგრამ თუ აქამდე რაიმე განზრახვა ჰქონდა, ტომისათვის საყვედური ეთქვა ძველი ამბების გამო, ახლა გადაიფიქრა, ისეთი მრისხანება შენიშნა თვალებში. ტომი დანვა, ლოცვით თავი არ შეუწუხებია; სიღმა დაიმახსოვრა ეს დაუდევრობა.

თავი მეოთხე

კვირა დილა მოწყენილი და წყნარი იყო. ცხრათვალა მზე სხივებს უხვად აფრქვევდა მშვიდობიან სოფელს. საუბრის შემდეგ დეიდა პოლი ჩვეულებრივად ოჯახურ ღვთისმსახურებას შეუდგა. იგი იწყებოდა ლოცვით, რომელიც საღვთო სჯულის ციტატების მტკიცე დულაბით შეკონინებულიყო. სწორედ ამ მწვერვალიდან, ვითარცა სინას მთიდან, აუწყა მან მსმენელთ მოსეს კანონის მკაცრი მცნებანი.

ამის შემდეგ ტომმა, როგორც იტყვიან, თოფიარალი აისხა და საღვთო სჯულიდან ლექსების გაზეპირებას შეუდგა. სიღს უკვე რამდენიმე დღის წინ ესწავლა თავისი გაკვეთილი. ტომი ღონეს არ იშურებდა, რომ ხუთი ნაწყვეტი მაინც დახსომებოდა. მან ყველაზე იოლი ლექსები ამოირჩია, მაგრამ ამაოდ. ნახევარი საათი გავიდა, ტომს კი ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა თავის გაკვეთილზე. მისი გონება ათასი ფიქრით იყო გატაცებული, ხელები კი განუწყვეტლივ მოძრაობდნენ. მერიმ გამოართვა წიგნი და გაკვეთილის გამოკითხვას შეუდგა. ტომმა ბორძიკით დაიწყო:

- ნეტარ არიან... ისა-ა...

- ღატაკნი...

- ჰო, ღატაკნი; ნეტარ არიან ღატაკნი სულით, რამეთუ ისინი, ისინი...

- რამეთუ მათი...

- რამეთუ მათია... ნეტარ არიან ღატაკნი სულით, რამეთუ მათია... სასუფეველი ცისა.

ნეტარ არიან მოტირალნი, რამეთუ მათ... მათ...

- უნა...

- რამეთუ მათ, ისა-ა.

- უნ...

- რადგანაც მათ უნ... ო, არ ვიცი, რა არის შემდეგ!

- უნ...

- ჰო, უნდა! რამეთუ მათ უნდა... რამეთუ მათ უნდა... ისა-ა, უნდა იგლოვონ... ისა-ა

ნეტარ არიან ისინი, ვინც უნდა... ისინი, ვინც ისა-ა... ისინი, ვინც უნდა იგლოვონ, რამეთუ მან უნდა... ისა-ა უნდა რა? რატომ არ მიკარახებ, მერი? რატომ მანვალე ასე?

- ოჰ, შე საბრალო, უტვინო ბიჭო, როდის განვალე? სულაც არ მიფიქრია. შენ ხელახლა უნდა ისწავლო. გულს ნუ გაიტეხ, მოახერხებ. თუ ისწავლი, ერთ ძალიან კარგ რამეს გაჩუქებ! აბა, შენ იცი!

- კარგი, რას მაჩუქებ, მერი? მითხარი, რას მაჩუქებ?

- მაგას მნიშვნელობა არა აქვს, ტომ. რაკი გითხარი, კარგია-მეთქი, მაშასადამე, კარგი იქნება.

- ვიცი, მერი, ვიცი. მაშინ კარგი, კიდევ შევეცდები.

და მართლაც კიდევ შეეცადა. მიზეზი ორი იყო: ცნობისმოყვარეობა და საჩუქრის მოლოდინი. ისეთი გულმოდგინება გამოიჩინა, რომ ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია.

ამისათვის მერიმ სრულიად ახალი, ბარლოუს ფირმის დანა აჩუქა, თორმეტნახევარ

ცენტად ღირებული. სიხარულმა, რომელიც ამის გამო განიცადა, მთელი მისი არსება შეარყია. თუმცა ბლაგვი, მაგრამ ნამდვილი ბარლოუს ფირმის დანა იყო და სწორედ ეს იყო მისი ალფრთოვანების მიზეზი. ვერაფრით ვერ გაერკვა, საიდან დაასკვნეს დასავლეთის შტატის ბიჭებმა, რომ ბარლოუს ფირმის მიბაძვით შეიძლება ყალბი დანების გაკეთება და რომ ისინი გაცილებით უარესნი არიან ნამდვილზე; ეს საიდუმლო მისთვის გაუგებარი დარჩა სამარადისოდ; ტომმა მაინც მოახერხა თავისი დანით ჭურჭლის კარადის კორტნა... და კომოდსაც მიადგა, მაგრამ ამ დროს ჩასაცემლად და საკვირაო სკოლაში წასასვლელად დაუბახეს.

მერიმ ტაშტი წყლით გაუვსო და საპონი მიაწოდა. ტომი მიეფარა კარს, ტაშტი პატარა სკამზე დადგა, მერე ოდნავ შეასველა საპონი წყლით, დადო ადგილზე, დაიმკლავა ხელები, სიფრთხილით გადააქცია წყალი, შევიდა სამზარეულოში და გულმოდგინედ დაიწყო პირისახის წმენდა პირსახოცით, რომელიც კარს უკან ეკიდა, მაგრამ მერიმ ხელიდან გამოგლიჯა პირსახოცი:

- როგორ არა გრცხვენია, ტომ! - შეჰყვირა მან, - ასეთი საძაგელი როდემდის უნდა იყო. აბა, რა დაგიშავდება, პირი რომ დაიბანო.

ტომს, ცოტა არ იყოს, შერცხვა. ტაშტი ხელმეორედ აავსო წყლით; ცოტა ხანს შეჩერდა, თითქოს ძალის მოკრება უნდაო, მერე ღრმად ამოიოხრა და დაიწყო პირის ბანა. როცა ხელმეორედ შევიდა სამზარეულოში და თვალდახუჭული ხელების ფათურით ეძებდა პირსახოცს, საპნიანი წყალი ნურნურით ჩამოსდიოდა სახეზე, რაც ეჭვს აღარ ბადებდა მის კეთილსინდისიერებაზე. მაგრამ, როცა პირსახოციდან თავი გამოყო, მაინცდამაინც სახარბიელოდ ვერ გამოიყურებოდა. მოებანა მხოლოდ ლოყები, ნიკაპი, ხოლო ყელ-ყური და კისერი ჭუჭყით ჰქონდა გაშავებული. მერი გაბრაზდა და თვითონ შეუდგა მის გასუფთავებას. ახლა კი გალამაზდა. სველი თმები გადავარცხნილი ჰქონდა და ხუჭუჭი დალალეები ლამაზად ელაგა. ტომი მალულად სულ იმის ცდაში იყო, თმები ისე დაეტკეპნა, რომ სწორად გაეყენებინა. ხუჭუჭი თმა, მისი აზრით, გოგონას ამსგავსებდა და ეს იყო მთელი მისი ცხოვრების უბედურება. მერიმ ახალი კოსტიუმი გადმოუღო, რომელსაც აგერ ორი წელიწადია მხოლოდ კვირაობით იცვამდა. მას “სხვა კოსტიუმი” ერქვა, რის მიხედვითაც ადვილი მისახვედრია, რაოდენ მრავალფეროვანი იყო მისი გარდერობი. როცა ტომი გამოეწყო, მერიმ გააკოხტავა - ქურთუკის ღილები ბოლომდე შეუკრა, მხრებზე გადმოუკვცა პერანგის საყელო, ჯაგრისით განმინდა და თავზე დანიწკლული ჩაღის ქუდი დაახურა.

ასეთმა მორთულობამ ტომი დაამშვენა, მაგრამ ვერც ახალ ტანსაცმელს ეგუებოდა, ვერც სისუფთავს და განამებული სახე ჰქონდა. ის თავს მართლაც უხერხულად გრძნობდა, კოსტიუმის სიფაქიზე და სიკოხტავე აღიზიანებდა. ტომს იმედი ჰქონდა, მერის ფეხსაცმელები მაინც დაავინყდებოდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. მერიმ წესისამებრ გაუნმინდა და ისე მოუტანა ჩასაცემლად. ახლა კი ვეღარ მოითმინა ტომმა და დაიწყო ჩივილი: სულ იმას მაკეთებინებენ, რაც არ მესიამოვნებაო. მაგრამ მერიმ ალერსით მიმართა:

- აბა, ტომ, შენ ხომ ჭკვიანი ბიჭი ხარ!

რალა ჩარა იყო, ტომმა ბუზღუნით ჩაიცვა ფეხსაცმელები, მერიც საჩქაროდ გამოეწყო და სამივენი გაემართნენ საკვირაო სკოლისაკენ, რომელიც ტომს საშინლად სძულდა, სიდასა და მერის კი უყვარდათ.

სკოლაში მეცადინეობა გრძელდებოდა ცხრიდან თერთმეტის ნახევრამდე; მერე იწყებოდა წირვა. მერი და სიდი ყოველთვის თავიანთი სურვილით რჩებოდნენ მოძღვრის ქადაგების მოსასმენად; ტომიც რჩებოდა, მაგრამ სულ სხვა, უფრო მიშვნელოვანი მიზნით.

ეკლესიის მაღალბურგიან მერხზე შეიძლებოდა სამასამდე ადამიანი მოთავსებულიყო. ეკლესიის პატარა, უბრალო შენობის სახურავზე იყო სამრეკლო, რომელიც ფიჭვის ფიცრებისაგან შეკრულ ვიწრო ყუთს მოგაგონებდათ. კარებთან ტომმა ფეხი შეანელა, უნდოდა, დალაპარაკებოდა საკვირაოდ გამოწყობილ მეგობარს:

- მოიცადე, ბილ, ყვითელი ბილეთი გაქვს?

- კი.

- რა მოგცე მაგამი?

- რას მომცემ.

- ცოტა ძირტკბილას და ნემსკავს.

- აბა, მაჩვენე.

ტომმა უჩვენა, ბილი კმაყოფილი დარჩა და მათ გაცვალეს თვითნაირი ავლადიდება. ამის შემდეგ ტომმა ორი თეთრი ბურთულა გადაცვალა სამ ნითელ ბილეთზე და კიდევ სხვა წვრილმანი - ორ ლურჯ ბილეთზე. იგი ჩაუსაფრდებოდა ბიჭებს და ათი თუ თხუთმეტი

ნუთის განმავლობაში იძენდა მათგან ნაირფერ ბილეთებს. შემდეგ ეკლესიაში შევიდა ლამაზად გამოწყობილი და მეტად ხმაურიანი ბავშვების ჯგუფთან ერთად, გაემართა თავისი ადგილისაკენ და ჩხუბი დაუნყოფ ყველაზე ახლოს მყოფ ბიჭს. ჩხუბში ჩაერია პირქუში, ხანში შესული მასწავლებელი. როგორც კი მან ზურგი შეაქცია, ტომმა თმები მოქაჩა წინა მერხზე მჭდომ ბიჭს და, სანამ ის მოიხედავდა, თავი წიგნში ჩარგო; შემდეგ ქინძისთავი უჩხვლიტა სხვა ბიჭს, აბა, როგორ წამიყვირებს “ვაისო”, და მასწავლებლისაგან კვლავ შენიშვნა დაიმსახურა. ტომის კლასელები ყველა ერთნაირი იყო: მუსვენარი, ხმაურიანი და გაუგონარი. როცა გაკვეთილს პასუხობდნენ, აღმოჩნდა, რომ ლექსები არც ერთმა მათგანმა არ იცოდა კარგად; მასწავლებელს ერთთავად უნდა ეკარნახა, მაგრამ როგორც იყო გაჭირვებით მიატანეს გაკვეთილის ბოლომდე და თითოეულმა ჯილდოდ მიიღო პატარა ლურჯი ბილეთი, რომელზედაც ბიბლიის ნაწყვეტი ეწერა. ლურჯ ბილეთს ბიბლიის ორი ლექსის ზეპირად დასწავლის ფასად აძლევდნენ. ათი ლურჯი ბილეთი ეფარდებოდა ერთ წითელს და შეიძლებოდა გადაცვლილიყო მასზე. ათი წითელი ბილეთი ეფარდებოდა ერთ ყვითელს: ათი ყვითელი ბილეთისათვის სკოლის დირექტორი მონაფეს აჯილდოებდა ძალიან უბრალო გარეკანში ჩასმული ბიბლიით (ეს ბიბლია იმდროინდელი სიიაფის კვალობაზე მხოლოდ ორმოცი ცენტი ღირდა). რამდენ ჩემს მკითხველს ეყოფოდა გულმოდგინება და უნარი, დაეხსომებინა ორი ათასი ლექსი, თუნდაც დორეს მიერ დასურათებულ ბიბლიას შეჰპირებოდნენ, მაგრამ მერიმ მაინც მოახერხა ამ გზით ორი ბიბლიის მიღება, თუმცა ეს ორი წლის ჯაფად უღირდა. ერთმა გენერალმა ბიჭმა კი ოთხი თუ ხუთი ბიბლია მიიღო. მან ერთხელ სამი ათასი ლექსი წარმოთქვა შეუსვენებლად. ამან გონების ზედმეტი დაძაბულობა გამოიწვია და იმ დღიდან იგი მთლად გამოტვინდა. ტომის აზრით, ეს სკოლისათვის დიდ უბედურებად იქცა, რადგანაც საზეიმო ვითარებებში ყოველთვის ის გამოჰყავდა დირექტორს ხალხის წინაშე “სალაქლაქოდ”. მხოლოდ უფროსი ასაკის მოსწავლეები უფროსილდებოდნენ თავიანთ ბილეთებს და დიდხანს იზეპირებდნენ ლექსებს ბიბლიის მისაღებად. ისე რომ, ამ ჯილდოს დამსახურება საკმაოდ იშვიათ და მნიშვნელოვან მოვლენად ითვლებოდა. მონაფე, რომელიც ასეთ წარმატებას მიაღწევდა, იმ დღეს ისე სახელმწიფოხვეჭილი ხდებოდა, რომ დანარჩენებსაც უეფლებოდათ სურვილი გაჰყოლოდნენ მის კვალს. ეს სურვილი მათ ორი კვირის განმავლობაში აღარ აძლევდა მოსვენებას. შესაძლოა, ტომს არასოდეს არ განუცდია დიდი სულიერი წყურვილი ამ ჯილდოს მისაღებად, მაგრამ ეჭვი არ არს, დიდი ხანია მიისწრაფოდა იმ დიდებისა და შარავანდედისაკენ, რომელიც ბიბლიის მიღებას ახლდა.

შესაფერისი დრო რომ დადგა, დირექტორი კათედრასთან მივიდა, ხელში დაკეცილი ლოცვანი დაიჭირა, საჩვენებელი თითი ფურცლებს შუა მოაქცია და ყურადღება ითხოვა. როდესაც საკვირაო სკოლის დირექტორი ჩვეულ მოკლე სიტყვას ამბობს, მას ლოცვანი ისევე ესაჭიროება, როგორც მომღერალს ნოტები, როცა იგი სოლოს შესასრულებლად ესტრადაზე გადის, მაგრამ რისთვის, გაუგებარი რჩება. ეს წამებულნი არასოდეს იხედებიან არც წიგნში და არც ნოტებში. დირექტორი უთვალტანო, ოცდათხუთმეტიოდე წლის კაცი იყო; მოკლედ შეჭრილი წითური თმა და ასეთივე ფერის თხასავით წვერი ჰქონდა. მისი გახამებული საყელოს ზევითა კიდე თითქმის ყურებზე ებჯინებოდა, ხოლო მახვილი ბოლოები წინ გადმოხრილიყო, ტუჩის კუთხეების გასწვრივ. ეს საყელო ღობესავით აზიდულიყო და მის პატრონს მხოლოდ პირდაპირ შეეძლო ცქერა, თუ გვერდზე გახედვა დასჭირდებოდა, მთელი ტანით უნდა მობრუნებულიყო. მისი ნიკაპი განისვენებდა უშველებელ ყელსახვევზე რომელსაც ნაპირებზე ფოჩი ჰქონდა შემოვლებული და სიგრძე-სიგანით ბანკის ბილეთს ჰგავდა. იმდროინდელი მოდის კვალობაზე ფეხსაცმლის ცხვირები ძალიან მაღლა აბზეკოდა, იფიქრებდით, მარხილის კავებიანო. ასეთი შედეგის მიღწევა ახალგაზრდობას მხოლოდ დიდი ჯაფითა და მოთმინებით შეეძლო. საათების განმავლობაში კედელზე ფეხსაცმელმიბჯენილი უნდა მსხდარიყვნენ. მისტერ უოლტერსი სახით ძალიან სერიოზული იყო, გულით - სუფთა და წრფელი. იგი ისეთი სასოებით ეპყრობოდა ყოველივე წინდა ნივთსა და ადგილს, ისე გამოჰყოფდა მას ყველა დანარჩენებისაგან, რომ თვით მაშინაც კი, როცა საკვირაო სკოლაში სიტყვით გამოდიოდა, მისი ხმა სრულიად უჩვეულოდ ჟღერდა.

თავისი სიტყვა მან ასე დაიწყო:

- ახლა, ბავშვებო, გთხოვთ, გასწორდეთ, ორიოდ ნუთი წყნარად ისხდეთ და, რაც შეიძლება, ყურადღებით მომისმინოთ. აი, ეგრე. აი, სწორედ ეგრე იქცევითან კარგი ბიჭუნები და გოგონები. თუმცა ვამჩნევ, ერთი პატარა გოგონა ფანჯარაში იხედება; ვშიშობ, მას ჰგონია, რომ მე გარეთ ვარ, შესაძლოა - ერთ-ერთ ხეზე და ვესაუბრები პატარა ჩიტუნებს (მონონების, კმაყოფილების სიცილი). მე მსურს გაუნყოფო, რაოდენ სიამოვნებას მკვრის ამ წმინდა ადგილას შეგროვილი ამდენი სუფთა და მხიარული

ბავშვის სახის ხილვა; იმ ბავშვებისა, რომელთაც სურვილი აქვთ, დაეუფლონ კეთილ საქმით.

ასე შემდეგ და ასე შემდეგ. საჭიროება არ მოითხოვს, გავიმოეროთ დანარჩენი, რადგანაც მისი სიტყვა შედგენილი იყო იმ უცვლელი ნიმუშის მიხედვით რომელიც ყოველი ჩვენთაგანისთვისაა ცნობილი. მისი მჭერმეტყველების უკანასკნელი მესამედი ერთთავად შებღალა ანცი ბიჭების გაახლებულმა აურზაურმა. ბავშვები ერთ ადგილას ვერ ისვენებდნენ, ჩურჩულებდნენ. ეს უნესობის ტალღა თანდათან გაიზარდა, გავრცელდა, შორს გადაინაცვლა და მისწვდა თვით ისეთ გარიყულ და შეუდრეკელ კლდეებს, როგორც მერი და სიდი იყვნენ. მაგრამ, როგორც კი მისტერ უოლტერსმა ხმას დაუდაბლა, ყოველგვარი ხმაური უმაღვე შეწყდა და მისი სიტყვის დასასრულს ბავშვები მადლიერების ღრმა მდუმარებით შეხვდნენ.

ჩურჩულის მიზეზი ერთი მეტ-ნაკლებად უჩვეულო გარემოება იყო: დარბაზში სტუმრები შემოვიდნენ - მოსამართლე თეტჩერი, რომელსაც ერთი დაჩაჩაჩაკებული კაცი ახლდა, შუახნის წარმოსადეგი ჯენტლმენი შევერცხლილი თმითა და ერთი მედიდური ქალი, ალბათ, მისი მეუღლე, რმელსაც პატარა გოგონა მოჰყავდა.

ტომი მოუსვენრად იყო, აღელვება და უგუნებობა ემჩნეოდა. სინდისიც ქენჭნიდა. თვალს არიდებდა ემი ლორენსს, ვერ უძლებდა მის სიყვარულით აღსავსე მზერას. როცა პატარა უცნობი დაინახა, გული ნეტარებით აღევსო... იგი მაშინვე მოჰყვა აბეზრობას, რათა გოგონას ყურადღება მიეპყრო. ურტყამდა ბიჭებს, თმებს ქაჩავდა, ეღრიჯებოდა, ერთი სიტყვით, არაფერს არ იშურებდა, ოღონდ კი გოგონა მოეხიბლა. მის აღფრთოვანებას მხოლოდ ერთი რამ უშლიდა: აგონდებოდა, როგორი შეურაცხყოფა მიაყენეს ბაღში იმ ანგელოზის ფანჯრის ქვეშ, მაგრამ ქვიშაზე დაწერილ ამ მოგონებას ახლა მოზღვავებული ბედნიერების ტალღები შლიდა. სტუმრები მოათავსეს ყველაზე საპატიო ადგილას და როგორც კი მისტერ უოლტერსმა დაასრულა თავისი სიტყვა, წარუდგინა ისინი მოსწავლეებს. ხანში შესული კაცი მეტად ღირსეული პიროვნება აღმოჩნდა: ოლქის მოსამართლე, არც მეტი არც ნაკლები; ყოველ შემთხვევაში, ამაზე დიდი თანამდებობის პირი ბავშვებს წინათ არ ენახათ. მათ კონსტატინოპოლიდან, აქედან თორმეტი მილით დაშორებული ქალაქიდან, ამდენად, ბევრი ემოგზაურა და ქვეყნიერება დაეთვალიერებინა. საკუთარი თვალთ ენახა საოლქო სასამართლოს შენობა, რომელსაც, თურმე ნუ იტყვი, თუნუქის სახურავი ჰქონია. მონიწება, რომელიც ამ ფიქრებმა გამოიწვიეს, იგრძნობოდა შთამაგონებელი დუმილით და ფართოდ გახელილი თვალებით. ის იყო მოსამართლე თეტჩერი, ქალაქის ვეჭილის ღვიძლი ძმა. ჯეფ თეტჩერი დაუყოვნებლივ წინ გამოვიდა; ხომ უნდა დაენახვებინა მათთვის, რომ ასეთ დიდებულ პიროვნებას იცნობდა. ისინი ხომ შურით უნდა აღვსილიყვნენ. რომ შეძლებოდა, ყური მოეკრა, რასაც ბავშვები მის შესახებ ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, ყველაფერი ეს საამო მუსიკად მოეჩვენებოდა:

- ერთი შეხედე, ჯიმ! იქითკენ მიდის. შეხედე, ხელის ჩამორთმევასაც რომ აპირებს! ართმევს კიდევ. ჰაი, ჰაი, რომ გენდომებოდა მის ადგილას ყოფნა.

მისტერ უოლტერსიც თავის მხრივ არაფერს არ იშურებდა: დიდი გულმოდგინებით ფუსფუსებდა, აძლევდა განკარგულებებს, მითითებებს, შენიშვნებს ყველას, ვისაც რაიმე მიზეზს მოუძებნიდა. ბიბლიოთეკარი თავისას ფაციფუცობდა და ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა, როგორც ეს დაბალ მოხელეებს სჩვევიათ. ახალგაზრდა მასწავლებელი ქალებიც თავისებურად ცდილობდნენ ყურადღების დამსახურებას: ნაზად დახრილიყვნენ მოწაფეებისაკენ, რომელთაც ამ ცოტაოდენი ხნის წინ ყურებს აგლეჯდნენ, გაუგონრებს ლამაზი თითებით ემუქრებოდნენ, გამგონეებს კი ალერსით უსვამდნენ თავზე ხელს.

ახალგაზრდა კაცი მასწავლებლები თავის უფლებებს ავლენდნენ შენიშვნებით, საყვედურებით და სანაქებო დისციპლინისაკენ მოწოდებით. თითქმის ყველა მასწავლებელმა, ქალი იქნებოდა თუ კაცი, რაღაცა საქმე გაიჩინა კარადაში, რომელიც კათედრის გვერდით იდგა. თანაც ორჯერ ან სამჯერ მივიდოდნენ იქ, ძალზე შეწუხებული სახით. პატარა გოგონები ყურადღების მიპყრობას სრულიად სხვა ხერხით ცდილობდნენ. პატარა ბიჭები კი ისეთ გულმოდგინებას იჩენდნენ, რომ აუტანელი ღრინანცელი იდგა და იქაურობა ნაღვეტი ქალაღდებით გაივსო. ყოველივე ამის ზევით აღმართულიყო დიდი ადამიანი და ამაყი მოსამართლის ღიმილს აფრქვევდა მთელ სკოლას. იგი თავისივე დიდების მზის სხივებზე თებოდა, ისეც ხომ ყურადღების მზიდვას ცდილობდა.

მხოლოდ ერთი რამ აკლდა მისტერ უოლტერსის სრულ მეტარებას: დიდი სურვილი ჰქონდა, ვინმესთვის ჯილდოდ მიეძღვნა ბიბლია, რათა სტუმრებისთვის ეჩვენებინა სიბეჯითის შეუდარებელი ნიმუში. რამდენიმე მოწაფეს აღმოაჩინდა ორიოდვე ყვითელი ბილეთი, რომელიც საკმარისი არ იყო. მისტერ უოლტერსმა ძლიერ მოწაფეებს ჩამოუარა, მაგრამ ამაოდ. რას არ მისცემდა, ოღონდ იმ გერმანელ ბიჭუნას გონება

დაპბრუნებოდა!

ის იყო სრულიად დაკარგა იმედი, როცა ტომ სოიერი ნინ გამოვიდა და წარუდგინა: ცხრა ყვითელი, ცხრა წითელი, ათი ლურჯი ბილეთი და ბიბლია ითხოვა. მისტერ უოლტერსი არაფერს ამის მსგავსს არ მოელოდა ტომისაგან, ყოველ შემთხვევაში, უახლოესი ათი წლის განმავლობაში, მაგრამ სხვა რა გზა იყო. ნინ ელაგა ხელმოწერილი ანგარიშები, როემელთა მიხედვითაც ბიჭს უნდა გასწორებოდა. ტომი მიიწვიეს ამაღლებულ ადგილას, სადაც მოსამართლე და სხვა რჩეულნი ისხდნენ. და ეს ახალი ამბავი კათედრიდან გამოცხადდა. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ასეთი სასწაული არავის ახსოვდა და ამიტომაც ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ახალი გმირი მოსამართლის დონეზე ავიდა. ახლა სკოლას ერთის ნაცვლად ორი სათაყვანებელი არსება გაუჩნდა. ბიჭები შურით იხოცებოდნენ, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც გვიან მიხვდნენ, რომ თვითონ შეუწყვეს ხელი ტომს ასეთი წარმატების მიღწევაში. მათ ხომ თვითონვე გაუცვალეს ბილეთები იმ უსარგებლო ნივთებში, რომელიც მან ღობის გათეთრების უფლების გაყიდვისას შეიძინა. ბიჭებს გული წყდებოდათ, რომ თავი მოატყუებინეს ამ ცბიერ არამზადას, მაცდურს.

დირექტორმა გადასცა ჯილდო ტომს და ისეთი ელფერი მისცა ამ ზეიმს, როგორიც კი შესაძლო იყო შექმნილ ვითარებაში. მის სიტყვას აკლდა ცეცხლი. საბრალოს იდუმალი გრძნობა უკარნახებდა, რომ აქ იფარებოდა რაღაც საიდუმლო, რომლის სინათლეზე გამოტანა შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ უგუნური თუ დაიჭერებდა, რომ ამ ბიჭის თავს შეეძლო დაეთია ბიბლიის სიბრძნის ორი ათასი კონა, თორმეტს თუ დაიტევდა, ისიც შექების ღირსი იქნებოდა. გახარებული ემი ლორენსი ამაყად გამოიყურებოდა. ცდილობდა ეს სიხარული ტომისთვისაც ეგრძნობინებინა, მაგრამ ტომი ამას არ აქცევდა ყურადღებას. ემის გაუკვირდა, მერე შეშფოთდა; ეჭვი შეეპარა, მერე ისევ გაეფანტა, მერე დაუბრუნდა. შემდეგ დააკვრდა ტომს. ერთი თვალის შევლებამაც კი ბევრი რამ აგრძნობინა და გული გაუბზარა. იგი ეჭვიანობდა, ბრაზობდა, ტიროდა, მთელი ქვეყანა შეიძულა, ყველაზე მეტად კი ტომი. ყოველ შემთხვევაში, ასე ეგონა. ტომი მოსამართლეს წაუდგინეს, მაგრამ ენა დაბმოდა, სულს ძლივს ითქვამდა, გული უფართხალებდა. ასეთი დაბნეულობის მიზეზი ნაწილობრივ ის იყო, რომ აღელვებდა იმ კაცის სიდიადე, ნაწილობრივ კი ის იყო, რომ იგი იმ გოგონას მამა იყო. სიბნელე რომ ყოფილიყო, ტომი მუხლებზე დაეცემოდა და ემთხვეოდა მას. მოსამართლემ ტომს თავზე ხელი გადაუსვა, კარგი ბიჭუნა უნოდა და ჰკითხა, რა გქვიაო. ტომს ენა დაება, პირი დაალო და ძლივს წარმოთქვა:

- ტომი.

- არა, არა, ტომი არა, არამედ...

- ტომას.

- აი, ეგ სწორია, მეც ეგრე მგონია, რომ უფრო გრძელი სახელი გექნებოდა. კეთილი.

შენი გვარი, არ მეტყვი განა?

- მოახსენე ჯენტლმენს შენი გვარი, ტომას, - უთხრა უოლტერსმა, - თანაც ნუ დაივიწყებ იხმარო "სერ", ხომ უნდა იცოდე, როგორ მოიქცე საზოგადოებაში.

- ტომას სოიერ, სერ!

- ჰოდა, ასე! აი, ყოჩაღ, ჭკვიანი ბიჭი ჩანხარ. ნამდვილი პატარა ვაჟკაცი. ორი ათასი ლექსი ძალიან ბევრა, მეტისმეტად ბევრი. არასოდეს არ ინანებ, რომ თავი შეინუხე მათი შესწავლით. ცოდნა ყველაფერზე უფრო ძვირფასია. იგი განადიდებს და კეთილშობილებას სძენს ადამიანს. ოდესმე შენ თვითონ გახდები დიდი ადამიანი, ტომას, გახედავ შენ მიერ განვლილ გზას და იტყვი: "ყოველივე ამას უნდა ვუმადლოდე საკვირაო სკოლაში გატარებულ წლებს; უნდა ვუმადლოდე ჩემს ძვირფას მასწავლებლებს, რომელთაც გამიღეს ცოდნის კარი; კეთილ დირექტორს, რომელიც მამხნევებდა, ზრუნვას არ მაკლებდა და მომიძღვნა ლამაზი, მომხიბვლელი ბიბლია, რათა ყოველთვის ჩემთან ყოფილიყო განუშორებლად. ყველაფერს უნდა ვუმადლოდე სწორად აღზრდას!" აი, ამას იტყვი შენ, ტომას, ეს ორი ათასი ლექსი შენთვის ყოველგვარ ფულზე ძვირფასი იქნება, დიახ, უფრო ძვირფასი! ახლა კი შენ, ალბათ, გვეტყვი მე და ამ მანდილოსანს ერთ რომელიმე ლექსს, ვიცი, უარს არ იკადრებ, რადგანაც ჩვენ ვამაყობთ ცოდნას მონყურებული ბავშვებით. შენ, რა თქმა უნდა, იცი თორმეტივე მოციქულის სახელი, ხომ არ გვეტყვი, რა ერქვა პირველ ორს?

ტომი ღილს აწვალებდა და მოსამართლეს გამოშტერებული შეჰყურებდა. განითლდა და თვალები დახარა. მისტერ უოლტერსსაც გული გადაუქანდა. ის ხომ სრულიად უბრალო კითხვაზეც ვერ უპასუხებო, გაიფიქრა, ნეტავ, რას ჩასცივბია ეს მოსამართლე? ბოლოს, საჭიროდ ჩათვალა, ჩარეულიყო საუბარში:

- უპასუხე ჯენტლმენს, ტომას, ნუ გემინია.

ტომი აყოვნებდა.

- ვიცი, მე ნამდვილად მეტყვი, - ჩაერია მანდილოსანი.

- პირველ ორ მოციქულს ექქვა დავითი და გოლიათი.

უმჯობესია ამ სცენის დასასრულს შეწყალების ფარდა ჩამოვაფაროთ.

თავი მეხუთე

დაახლოებით თერთმეტის ნახევარზე პატარა ეკლესიის გაბზარულმა ბარმა დარეკა. ხალხი შეგროვდა დილის ქადაგების მოსასმენად. საკვირაო სკოლის მოწაფეები ეკლესიის სხვადასხვა კუთხეში მოთავსდნენ იმ სკამებზე, სადაც მათი მშობლები ისხდნენ, რომ მეთვალყურეობის ქვეშ ყოფილიყვნენ. დეიდა პოლიც მოვიდა და მას გვერდით მოუსხდნენ ტომი, სიდი და მერი. ტომი გასასვლელის ახლოს დასვეს, ღია ფანჯრიდან მოშორებით, რათა არ მოეხიბლა ბაფხულის მშვენიერ სურათებს.

ეკლესია თანდათან გაივსო ხალხით. მათ შორის იყო: ღარიბი მოხუცი ფოსტის უფროსი, რომელიც ოდესღაც კარგად ცხოვრობდა; ქალაქის თავი მეუღლითურთ - სხვა გამოუსადეგარ რამერუმებთან ერთად ამ ქალაქში მოიძებნებოდა ქალაქის თავიც; მოსამართლე; ქვრივი დუგლასი - ლამაზი, მორთული მანდილოსანი, ორმოც წელს მიახლოებული, გულკეთილი, გულუხვი, შეძლებული. მისი გორაკზე ნამომდგარი სახლი სასახლეს მოგაგონებდათ, ერთადერთ სასახლეს პატარა ქალაქ სანკტ-პეტერბურგში. ამასთანავე ეს იყო სტუმართმოყვარე სასახლე, სადაც იმართებოდა საუკეთესო ნვეულებანი; დარბაისელი, წელში მოხრილი მაიორი უორდი თავისი მეუღლითურთ; ვეჭილი რივერსონი, ამ ადგილებში სულ ახლახან შორიდან ჩამოსული ლამაზმანი, მას უკან მოჰყვა მორთულ-მოკაზმული ქალების მთელი გუნდი, შემდეგ გამოჩნდნენ ქალაქის ახალგაზრდა მოხელეებიც. მშვენიერი სქესის ეს თავყვანისმცემლები ნახევარწრედ იდგნენ კარიბჭეში და სულელური ღიმილით აცილებდნენ ეკლესიაში შემოსულ ყველა ქალიშვილს. სულ ბოლოს მოვიდა ყველასათვის თითოთ საჩვენებელი ყმანვილი მაკფერსონი, რომელიც ისეთი მზრუნველობით მფარველობდა დედას, თითქოს ეს უკანასკნელი ბროლისა ყოფილიყოს. ის ყოველთვის თან ახლდა დედას ეკლესიაში და მანდილოსნები სულ ერთთავად მის ქებაში იყვნენ; მაგრამ თითქმის ყველა ბიჭს სძულდა სწორედ იმიტომ, რომ ვილი კარგად გაზრდილი იყო; განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ დედებისაგან იმაზე ლაპარაკით ყურები ჰქონდათ გამოჭედილი. შარვლის უკანა ჯიბიდან, კვირაობით, ვითომ შემთხვევით, თეთრი ცხვირსახოცის წვერი უჩანდა. ტომს ცხვირსახოცი სულ არ ჰქონდა და ვისაც კი ცხვირსახოცი ექნებოდა, მის თვალში ყველა მეტიჩარა და მანჭია ბიჭი იყო.

როცა დარბაზი მრევლით გაივსო, ბარმა ერთხელ კიდევ დაინკრიალა დაგვიანებულთა გასაფრთხილებლად და შემდეგ მთელს ეკლესიას რაღაც საზეიმო სიჩუმე დაეუფლა, რომელიც ხანდახან თუ დარღვეოდა ქანდარაზე მყოფ მგალობელთა ჩურჩულ-ხითხითით. მგალობლები ყოველთვის ჩურჩულებენ და ხითხითებენ წირვის დროს. მხოლოდ ერთ ეკლესიაში შევხვდი მგალობელს, რომლებსაც თავი უფრო წესიერად ეჭირათ, მაგრამ სად იყო, არ მახსოვს. მას აქეთ უკვე დიდმა დრომ განვლო და ზოგი რამ გადამაჰინყდა. ვკონებ, ეს სადღაც უცხო მხარეში მოხდა.

ხუცესმა გამოაცხადა საგალობელი და ისეთი აღმაფრენით ნაიკითხა, როგორიც იქაურებს ესოდენ მოსწონდათ! ის იწყებდა საშუალო ტონით, თანდათან უმაღლებდა ხმას და ადიოდა სულ ზევით, გააკეთებდა ძლიერ მახვილს უკანასკნელი სიტყვის წინ და უცებ, თითქოს ჩაიყურყუმელავაო, დაადაბლებდა ტონს.

მღვდელი საუკეთესო მკითხველად ითვლებოდა. საეკლესიო შეკრებებზე ყოველთვის მას სთხოვდნენ ლექსების წაკითხვას და, როცა იგი კითხვას მორჩებოდა, ქალები მაღლა აღაპყრობდნენ ხოლმე ხელებს, შემდეგ უმწეოდ დაუშვებდნენ მუხლებზე, თვალებს მინაბავდნენ და თავის ქნევით თითქოს ამბობდნენ: “სიტყვა უძლურია, გადმოსცეს ჩვენი აღტაცება, იგი მეტისმეტად მშვენიერია, მეტისმეტად დიდებული ჩვენი ცოდვილი ქვეყნიერებისათვის”.

გალობას რომ მორჩნენ, ღირსპატივსაცემი მისტერ სპრევი პირდაპირ განცხადებების დაფად იქცა და ისე დანვრილებით მოჰყვა მომავალი რელიგიური საურების, შეკრებებისა და სხვა რამეების ჩამოთვლას, რომ ხალხს ეგონა, ეს გრძელი სია უთუოდ

საშინელ სამსჯავრომდე ჩავაო. ეს უცნაური ჩვეულება დღესაც შემორჩა ამერიკაში, თვით დიდ ქალაქებშიაც კი, მიუხედავად იმისა, რომ იქ უამრავი გაბეთი გამოდის. ასე ხომ ხშირად ხდება; რაც უფრო გაუმართლებელი და სულელურია რომელიმე შემორჩენილი ადათი, მით უფრო ძნელია მისი აღმოფხვრა.

ამის შემდეგ მღვდელი ლოცვას შეუდგა მეტად კარგი ლოცვა იყო, დიდსულოვანი, გულუხვი, არც ერთი ნვრილმანი არ გამოჩენია, რაღა არ მოიხსენია: თვითონ ეს ეკლესიაც, ამ სამრევლოს პატარა ბავშვებიც, ქალაქში არსებული სხვა ეკლესიებიც, კონგრესიც, პრეზიდენტიც, მტარობის ნევრებიც, საბრალო მეზღვაურებიც, რომლებსაც მრისხანე ქარიშხალთან ბრძოლა უხდებოდათ, ჩაგრული ადამიანებიც, რომლებიც ევროპელი მონარქებისა და აღმოსავლელი ტირანების უღელქვეშ გმინავენ; სახარების ჭეშმარიტებით სხივმოსილი ადამიანებიც, რომელთაც თვალნი არა აქვთ, რამეთი იხილონ და ყურნი აქვთ წართმეული, რამეთუ ისმინონ; შორეულ ზღვათა კუნძულების წარმართებიც, და ყოველივე ეს მთავრდებოდა გულსაკლავი ვედრებით, რომ მღვდლის მიერ ნათქვამი ყოველი სიტყვა მისწვდომოდა უზენაესს და ყოფილიყო მსგავსი იმა თესლისა, რომელიც დაეცემა ნოყიერ ნიადაგს და მოიღებს სიკეთის უხვ მოსავალს. ამინ!

გაისმა კაბების შრიალი; ლოცვის დროს ფეხზე მდგარი მრევლი ისევ მერხებზე ჩამოჯდა. ბიჭი, რომლის ამბავიც ამ წიგნშია მოთხრობილი, მაინცდამაინც დიდ ნეტარებას არ განიცდიდა ლოცვის მოსმენით, მხოლოდ და მხოლოდ უძლებდა მას. სულ მოუსვენრად იყო. არ უფიქრდებოდა ლოცვის შინაარსს, მხოლოდ ითვლიდა ლოცვაში მოხსენებულ ამბებს. ამისათვის კი ყურის გდება არ იყო საჭირო. ის დიდი ხანია მიჩვეული იყო იმ გზას, რომელსაც მღვდელი უცვლელად რჩევდა და საკმარისი იყო მისი ჩვეულებრივი ლოცვისათვის თუნდაც ერთი სიტყვა ჩაემატებინა, რომ ტომის ყურს ეს უმაღ შეეგრძნო. მაშინ კი ტომის აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა; ეს უსინდისობად, არამზადობად მიაჩნდა.

შუაგულ ლოცვაში რომ იყვნენ, ტომის ყურადღება მიიპყრო ბუზმა, რომელიც მის წინ სკამის ზურგზე დასკუპდა. ამ ბუზმა, რომელიც მის წინ სკამის ზურგზე დასკუპდა. ამ ბუზმა სწორედ გააწამა ტომი; ის ჯერ დინჯად ისუფთავებდა პანია ფეხებს, შემდეგ ისეთი გამშავებით შეუდგა თავის ქექვას, რომ ძაფივით წმინდა კისერი გამოუჩნდა, იფიქრებდით, თავი ახლა მოსწყდება ტანსაო. მერე უკანა ფეხებით ისე ისწორებდა ფრთებს, გეგონებოდათ, ფრაკის კალთებიო; თავს ილამაზებდა აუჩქარებლად, დინჯად, დაბეჭითებით, თითქოს იცოდა, არავითარი საფრთხე არ მოელოდა; მართალია, ტომს ხელები ექავებოდა ბუზის დასაჭერად, მაგრამ ლოცვის დროს ვერ გაბედა: ეშინოდა, სულს წავიწყებოდა. როგორც კი ლოცვა დასასრულს მიუახლოვდა, ტომმა უნებურად გააპარა ხელი და, მოზღვარმა წარმოთქვა თუ არა “ამინ”, ბუზი უკვე დაჭერილი იყო. მაგრამ დეიდა პოლიმ შეამჩნია და ტომი აიძულეს ბუზი გაეშვა. მოძღვარი ახლა სახარების კითხვას შეუდგა ისეთი ერთფეროვანი ხმით და ისე მოსაწყენად, რომ მალე ყველამ ჩათვლიდა და თავის კანტური დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ მოქადაგე ცოდვილებს ემუქრებოდა გოგირდითა და კუპრით; ხოლო რჩეულთა რიცხვი, რომელთაც მუდმივი სინათლე მოელოდათ, ისეთი მცირე იყო, რომ არა ღირდა მათი დახსნა. ტომი ითვლიდა ქადაგების გვერდებს. როცა ეკლესიიდან გადიოდა, ყოველთვის იცოდა, რამდენი გვერდი წაიკითხეს იმ დღეს, შინაარსის შესახებ კი ვერასოდეს ვერაფერს გეტყვოდათ, თუმცა კი ამჯერად იგი ნამდვილად დააინტერესა ქადაგებამ მცირე ხანს. მღვდელმა დახატა დიდებული და ამაღელვებელი სურათი იმისა, თუ როგორ დანვება ლომი კრავის გვერდით და როგორ გაუძღვება მათ წინ პატარა ბიჭუნა. მაგრამ ამ აღფრთოვანებამ და მორალმა ტომისათვის სულ ამაოდ ჩაიარა. მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რა სახარბიელო ხვედრი ერგება მთავარ მოქმედ პირს ყველა ადამიანის თვალშიო. ამ აზრმა სახე გაუბრწყინა, გულში იფიქრა, ნეტავ იმ ბიჭად მე მაქცია, ოღონდ იმ პირობით, თუ ლომი მოშინაურებული იქნებაო.

განახლდა ტომის ტანჯვა, რადგანაც მოძღვარი ახლა უფერულ მსჯელობას შეუდგა. უცებ მას მოაკონდა, როგორი საუნჯე ედო ჯიბეში და საჩქაროდ ამოიღო. ეს იყო დიდი შავი ხოჭო ღონიერი ყბებით, ხოჭო “მკბენარა”, როგორც მას უწოდებდა ტომი. ტომმა ფისტონის კოლოფს თავი ახადა, ხოჭომ იმწამსვე უკბინა. ცხადია, ტომმა მაშინვე მოისროლა ხოჭო და გასასვლელში ტკაცანი მიაღებინა, ხოლო ნაკბენი თითი პირში ჩაიდო. ხოჭო პირაღმა დაეცა და უმწეოდ აფართხალდა, რადგან გადმობრუნება არ შეეძლო. ტომი უყურებდა და ისევ მის ხელში ჩაგდებას ნატრობდა, მაგრამ კარგა მოშორებით ეგდო და ვერ მისწვდებოდა. სამაგიეროდ, ხოჭომ ბევრი სხვა გაართო, ვისაც ქადაგება არ აინტერესებდა.

ამ დროს ეკლესიაში შემთხვევით შემოვიდა სიცხისა და სიჩუმისაგან მოთენთილი გომია.

მას მოსწყინდა დაკეტილში ყოფნა და ეძებდა გასართობს. როდესაც ხოჭო დაინახა, კუდი ააქიციდა და დიდხანს ათვალიარებდა თავის მონაპოვარს. გარს უვლიდა, შორიდან სუნავდა; შემდეგ გათამამდა, ახლოს მივიდა, დაალო პირი, უნდოდა, ხოჭოს მივარდნოდა, მაგრამ ვერ მოახერხა. ახლა დანვა ისე, რომ ხოჭო მის წინ თითებს შუა მოექცია და განაგრძო თავისი ცდები; ბოლოს, მობებრდა და გაშტერდა, ჩათვლიდა, თავი დაბლა დაღუნა და უცებ ნიკაპით შეეხო ხოჭოს, რომელმაც ჩაბლაუჭება მოასწრო. გოშიამ შეპყვია, თავი გააქნია, ხოჭო ორ ნაბიჯზე გადავარდა და ისევ გულაღმა დაეცა. ახლო მსხდომნი ხედავდნენ ყველა ამას და უხმოდ იცინოდნენ; ბევრმა მარაო მიიფარა სახეზე, ზოგმა ცხვირსახოცი, ტომი ხომ უზომოდ ბედნიერი იყო.

გოშიას მეტად სულელური შესახედაობა ჰქონდა და, ალბათ, გასულელეებულადაც თვლიდა თავს; თან კი ძაღლური გული ეღრინებოდა და სამაგიეროს გადახდა სწყუროდა. ამიტომ ხოჭოს მიუახლოვდა და სიფრთხილით მიიტანა იერიში: ხოჭოს ყოველი მხრიდან უვლიდა, ახლოს მივიდოდა, წინა ფეხებით მინას ფხოტნიდა, კბილებს უკრაჭუნებდა, თავს აქნევდა ყურებთან ერთად, ბოლოს ესეც მობებრდა; ახლა უნდოდა თავი გაერთო ბუბით, მაგრამ უხალისოდ მოეჩვენა ეს გართობა; გამოეკიდა ჭიანჭველას, ცხვირი თითქმის იატაკს დაადო, მაგრამ ესეც მოსწყინდა. დაამთქნარა, ამოიოხრა, ხოჭო მთლად გადაავინწყდა და ზედ დააჯდა. აქ მოხდა, რაც მოხდა! ლეკვმა საშინლად შეპყვია და საკურთხევლის წინ გაირბინა, ყეფითა და წკმუტუნით შურდულივით გაექანა კარისაკენ, მერე უკან დაბრუნდა. ტკივილი თანდათან ემატებოდა. ბოლოს სიმწრისაგან რაღაც თეთრი მატყლის გორგალს დაემსგავსა, რომელიც ჯარასავით ტრიალებდა. ეს ამბავი იმით დამთავრდა, რომ გაოგნებული ლეკვი ზედ შეახტა კალთაზე თავის პატრონს, იმან კი გადაისროლა ფანჯრიდან და მისი საცოდავი წკმუტუნი თანდათანობით სივრცეში გადაიკარგა.

ყველა განითლებული იჯდა, თავშეკავებული სიცილისაგან სულს ძლივს ითქვამდნენ. მოქადაგეც კი გაჩუმდა. მართალია, მას სასწრაფოდ განაახლა თავისი სიტყვა, მაგრამ ისე ველარ ლაპარაკობდა, ენა ებმეოდა, გრძნობდა, რომ არავითარ შთაბეჭდილებას აღარ ახდენდა; თვით ყველაზე ამაღლებულ მსჯელობას მსმენელები ყრუ და ბინიერი სიცილით ხვდებოდნენ, თითქოს პასტორი გასართობს რასმე უამბობდა მათ.

როცა წამება გათავდა და პასტორმა თქვა: “ამინ”, ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა. ტომ სოიერი ძალიან მხიარული დაბრუნდა შინ. გულში ფიქრობდა: ზოგჯერ ეკლესიაშიც არ მოიწყენს ადამიანი, თუ რასმე გასართობს მოიგონებსო. ერთი რამ სწყინდა მხოლოდ, თამაშით გოშიას ეთამაშა მის ხოჭოსთან, მაგრამ თან რაღად გაიყოლაო? ეს უსინდისობა იყო.

თავი მეექვსე

ცუდ გუნებაზე გაიღვიძა ორშაბათ დილით ტომ სოიერმა. ორშაბათობით ყოველთვის ასე ემართებოდა, რადგანაც ამ დღეს იწყებოდა სკოლაში ახალი წამება. ის ფიქრობდა, ნეტავ კვირა სულ არ არსებობდეს ქვეყანაზე, ხანმოკლე თავისუფლების შემდეგ ისევ ტყვეობაში დაბრუნება მეტად სამძიმო ხდებოდა.

ტომი იწვა და ფიქრობდა, ნეტავ ავად გავხდე, შინ დავრჩებოდი, სკოლაში არ წავიდოდი. ნუთუ არ შეიძლება ავადმყოფობის მოგონება? ბეჯითად გაისინჯა თავი, მაგრამ არაფერი სტკიოდა, ხელმეორედ გაისინჯა და ახლა მოეჩვენა, მუცელს სჭრიდა. გაუხარდა, იქნება უფრო ამტკივდესო, მაგრამ ტკივილმა თანდათან გაუარა და ბოლოს სრულიად გაუქრა. ტომი ხელმეორედ დაფიქრდა და უცებ მოაგონდა, რომ წინა კბილი ენძრეოდა. სწორედ ბედზე მოაგონდა; ის იყო კვნესა უნდა დაეწყოს, მაგრამ უცებ გადაიფიქრა, კბილის ტკივილზე რომ კრინტი დავძრა, დეიდა ბევრს აღარ დააყოვნებს, ამომადრობს და მეტკინებაო. ამიტომ კბილის ტკივილი გადადო, იქნებ შემდეგ გამომადგესო, და დაიწყო სხვა რამის ძებნა. კარგა ხნის შემდეგ მოაგონდა ექიმის ნაამბობი ერთ დავალებზე, რომელმაც ავადმყოფი ორი თუ სამი კვირა ჩააწვინა და კინაღამ თითიც დააკარგვინა. ბიჭმა არ იცოდა ამ ავადმყოფობის ნიშნები. მაგრამ მაინც მოჰყვა კვნესას.

სიდმა არ გამოიღვიძა. ტომმა ახლა ხმამაღლა დაიწყო კვნესა და მოეჩვენა, რომ თითი მართლაც სტკიოდა.

სიდი კვლავ არ გამოეხმაურა.

ტომს მეტისმეტი ძალდატანებისაგან სუნთქვა ეკვროდა. ცოტა ხანს სული მოითქვა, ძალღონე მოიკრიბა და გმინვას მოჰყვა.

სიდი კვლავ ხვრინავდა.

ტომს მოთმინება დაეკარგა, დაიყვირა: “სიდ! სიდ!” და თან ძმას მუჭლუგუნი ნაჰკრა.

ამან გაჭრა, და ტომი კვლავ კვნესას მოჰყვა. სიდმა დაამთქნარა, გაიზმორა, ნამოინია, დაეყრდნო იდაყვა, ამოიფშვინა და მიაშტერდა ტომს. ტომი კვნესოდა, სიდმა უთხრა:

- ტომ, გამიგონე, ტომ!

პასუხი არ მიიღო.

- რა მოგივიდა, ტომ? დეიდას დავუძახებ. სიდმა შეანჭღრია ძმა და შემფოთებით ჩახედა სახეში. ტომმა საცოდავად ამოიკვნესა.

- თავი დამანებე, სიდ, ნუ მანჭღრევ!

- რა მოგივიდა, ტომ? დეიდას დავუძახებ.

- არა, არ მინდა, იქნებ გამიაროს, არავის დაუძახო. იქნება გაიაროს.

- უთუოდ უნდა შევატყობინო. ნუ კვნესი აგრე, ტომ, საშინელებაა! დიდი ხანია აგრე მოგივიდა?

- რამდენიმე საათია. ვია, ვია! ნუ ხმაურობ. სიდ, თუ ღმერთი გნამს, თორემ ნამდვილად ბოლოს მომიღებ.

- რატომ მაშინვე არ გამაღვიძე, ტომ, გენაცვალე, აგრე ნუ კვნესი, ჟრუანტელი მივლის. რა გტკივა?

- სიდ, ყველაფერი მიპატიებია (კვნესა)... ყველაფერი, რაც კი ჩემთვის დაგიშავებია. როცა მე აღარ ვიქნები...

- ტომ, ნუთუ კვდები? ტომ, გეთაყვა, გაჩერდი, მაგას ნუ ამბობ! იქნება...

- ყველასათვის მიპატიებია, სიდ (კვნესა), ასე უთხრა მათ. სარმის ჩარჩო და ცალთვალა კნუტი იმ გოგონას გადაეცი, ამას წინათ რომ ჩამოვიდა და უთახრი...

მაგრამ სიდმა ტანისამოსს დაავლო ხელი და მოუსვა. ტომმა ისე ცხადად წარმოიდგინა ავადმყოფობა, რომ ახლა მართლა იტანჯებოდა, მისი კვნესაც სრულიად ბუნებრივად გაისმოდა.

სიდმა ჩაიარა კიბეზე და დაიძახა:

- დეიდა პოლი, ჩქარა წამოდით, ტომი კვდება!

- კვდება?

- ჰო, რაღას უყურებთ? წამოდით ჩქარა!

- სისულელეა, არა მჯერა!

თანაც უკვე ფაცხაფიცხით არბოდა კიბეზე, უკან მისდევდნენ სიდი და მერი, მოხუცს ფერმა გადაჰკრა, ტუჩები აუკანკალდა. სანოლთან რომ მიირბინა, ძლივს წაილულულა:

- ტომ, გეთაყვა, რა მოგივიდა?

- ოჰ, დეიდა, ცერზე განგრენა მაქვს.

მოხუცი სიცილით ჩამოჭდა სკამზე, მერე ატირდა, შემდეგ გაიციინა და ისევ ატირდა. ამით გულს ეფონა და თქვა:

- საძაგელო, როგორ შემაშინე! ახლა გეყო, სისულელეს თავი დაანებე და ადგომა იკადრე.

კვნესა და გმინვა შეწყდა, თითის ტკივილიც გაქრა. ბიჭმა ცოტა დარცხვენით განმარტა:

- დეიდა პოლი, მომეჩვენა, რომ თითი მთლად გამიშეშდა და ისე მტკიოდა, რომ კბილის ტკივილიც კი გადამავიწყდა.

- ახლა კბილი! რა დაემართა შენს კბილს?

- ერთი კბილი მენძრევა და საშინლად მტკივა.

- არა უშავს რა. ნუ მოჰყვები კვნესას. აბა, დააღე პირი! მართალია, კბილი ინძრევა, მაგრამ მაგისაგან არავინ მომკვდარა. მერი, მომიტანე აბრეშუმის ძაფი და მუგუზალიც სამზარეულოდან.

- დეიდა, არ მინდა, უკვე აღარა მტკივა. აღარ ვიკვნესებ, რაც უნდა ამტკივდეს, არც შვიმჩნევ. გეხვენებით, არ მინდა. შინ ყოფნაც არ მინდა, სკოლაში წავალ.

- ა, მაშ აგრეა საქმე? ყველაფერი ეს იმიტომ მოიგონე, რომ სკოლაში არ წასულიყავი?

სათევზაოდ ხომ წაბრძანდებოდი! ო, ტომ, ტომ, როგორ გულით მიყვარხარ და შენ კი სულ იმის ცდაში ხარ, რამე მოიგონო ისეთი, რომ გამამწარო!

ამასობაში კბილის ამოსაგლეჯი იარაღიც მოიტანეს. მოხუცმა აბრეშუმის ძაფის ერთი წვერი გამოწასკვა და კბილს ჩააბა, მერე წვერი კი სანოლის ფეხს მიაბა. მერე აიღო ანთებული მუგუზალი და კინაღამ სახეზე მიადო. წამსაც არ გაუვლია, რომ კბილი ამოვარდა და ძაფზე ჩამოეკიდა.

მაგრამ ყოველ განსაცდელს ჯილდოც მოსდევს. როცა ტომი საუბრის შემდეგ სკოლაში

გამოცხადდა, მის ამხანაგებს შეშურდათ ზედა ყბის ცარიელი ადგილი, რადგან ახლა მას შეეძლო სრულიად ახლებურად, უჩვეულოდ ეფურთხებინა. ტომს ბიჭების მთელი ამაღლა დასდევდა, აინტერესებდათ ახალი სანახაობა; ახლა სრულიად მიივინყეს მეორე ბიჭი, რომელსაც თითი გაეჭრა და აქამდის ყველას ყურადღებას და თაყვანისცემას იმსახურებდა. ბიჭი ნანყენი იყო თანამგრძობელთა შემოფანტვით და ზიზღით განაცხადა, ძალიან დიდ საქმეს არ წარმოადგენს ტომ სოიერისათვის ფურთხებაო. მაგრამ ბიჭმა ამაზე უპასუხა: “კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო”, და განბილებული გმირი იძულებული გახდა, იქაურობას გამოეშორებოდა.

ამის შემდეგ ტომს შეხვდა ყველასაგან ათვალწუნებული ბიჭი ჰეკლბერი ფინი, საშინელი ლოთის შვილი. დედებს ჭირივით ეჯავრებოდათ ჰეკლბერი; თან ეშინოდათ მისი, რადგანაც მეტისმეტად ზარმაცი იყო, უზრდელი, საძაგელი, ეჯავრებოდათ იმიტომ, რომ ყველა ბიჭი აღფრთოვანებული იყო ჰეკით, ცდილობდა მასთან ახლოს ყოფნას (თუმცა სასტიკად უშლიდნენ), და ოცნებობდა მისნაირი გამხდარიყო. ტომს, სხვა წესიერი ოჯახის შვილებივით, შურდა მოძულეებული ჰეკლბერის მდგომარეობა; ტომსაც აკრძალული ჰქონდა მასთან თამაში. სწორედ ამიტომაც იყო, როცა კი დროს იხელთებდა, მასთან თამაშობდა. ჰეკლბერის მუდამ ძველი, დაგლეჯილი, დიდების გამონაცვალი ტანისამოსი ეცვა, მისი ქუდი ნამდვილი ყვავის ბუდე იყო, მიგლეჯილ-მოგლეჯილი; ქურთუკის კალთები კოჭებამდე ჩამოსთრევედა, ხოლო უკანა ღილები წელზე ბევრად ქვევით იყო; შარვალს უჭერდა მხოლოდ ერთი აჭიმი და ამიტომ უკან უბე ტომარასავით გამოებრვოდა, შარვლის ტოტები ტალახში დასთრევედა, თუ არ აიკეცავდა. ჰეკლბერი ისე იქცეოდა, როგორც მოეპრიანებოდა; როგორც თავისუფალ ჩიტს, კარგ დარში სხვისი სახლის დირეზე ეძინა, ავდარსა და სიცივეში კი - ცარიელ კასრებში; მას არ აიძულებდნენ ევლო სკოლაში ან ეკლესიაში; არა ჰყავდა დამრიგებელი, ვისაც უნდა დამორჩილებოდა. შეეძლო თევზის ჭერა, ბანაობა, როცა და სადაც მოესურვებოდა, წყალში ჯდომაც, რამდენ ხანსაც სურდა; არავინ უშლიდა ჩხუბს; იძინებდა, როდესაც უნდოდა, თუნდაც შუალამისას. გაზაფხულზე ყველა ბიჭზე ადრე ის დარბოდა ფეხშიშველი, შემოდგომაზე კი ყველაზე გვიან იცვამდა ტყავის ფეხსაცმელს. მისთვის საჭირო არ იყო არც დაბანვა, არც საცვლების გამოცვლა. ახლა რა ლაბათიანად იგინებოდა! ერთი სიტყვით, ამ ბიჭს ხელთ ჰქონდა ყველაფერი ის, რაც ცხოვრებას ფასს აძლევდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდნენ ათასგვარად შევიწროვებული ბიჭები “კარგი ოჯახებიდან” სანკტ-პეტერბურგში. ტომი გამოეხმაურა ამ მანანნალას.

- გამარჯობა, ჰეკლბერი!

- გაგიმარჯოს!

- რა გიჭირავს?

- მკვდარი კატა.

- აბა, მაჩვენე! ჰი, სულ არ გაშეშებულა! სად იშოვე?

- ერთი ბიჭისგან ვიყიდე.

- რა მიეცი?

- ლურჯი ბილეთი ვიღამ მოგცა?

- ბენ როჯერსისაგან ვიყიდე ორი კვირის წინ, შოლტი მივეცი.

- გამიგონე, ჰეკ, რაშია გამოსადეგი მკვდარი კატა?

- როგორ თუ რაში? მეჭეჭების მოსარჩენად.

- მართლა? მე უკეთესი საშუალება ვიცი!

- სანადლეო დავდოთ, არ იცი! აბა, რა საშუალება?

- რა და - დამპალი წყალი.

- დამპალი წყალიო! დიდი რამეა ეგ შენი დამპალი წყალი!

- არა? მერე, როდისმე გიცდია მეჭეჭების მოშორება?

- არა, არ მიცდია, ბობ ტანერმა კი სცადა.

- საიდან იცი?

- საიდან და იმან უთხრა ჯეფ თეტჩერს, ჯეფმა - ჯონი ბეკერს, ჯონიმ - ჯიმ ჰილსს, ჯიმმა - ბენ როჯერსს, ბენმა - ერთ მანგს, მანგმა კი - მე. აი, საიდან ვიცი.

- მერე რა? ყველა ისინი ტყუილს ამბობენ. ყოველ შემთხვევაში, ყველა, გარდა მანგისა. იმას მე არ ვიცნობ, მაგრამ ჯერ არ შემხვედრია ისეთი მანგი, რომ არა ცრუობდეს.

სისულელეა! ახლა მითხარი, ჰეკ, როგორ მოიშორა მეჭეჭები ბობ ტანერმა?

- სულ უბრალოდ, ხელი ჩაყო წვიმის წყალში, რომელიც დამპალი ჯირკის ფულუროში დაგუბებულიყო.

- დღისით?

- რასაკვირველია.

- მერედა, ჯირკისკენ ჰქონდა პირი?

- ჰო, ყოველ შემთხვევაში, ასე მახსოვს.
- თან ამბობდა რასმე?
- ეგ უკვე აღარ ვიცი.
- ჰო, მეჭეჭების მოშორება გინდა დამპალი წყლით და არც კი იცი, როგორ მოიქცე! ასეთი სისულელისაგან, რასაკვირველია, არაფერი არ გამოვა. უნდა მარტო შეხვიდე შუაგულ ტყეში, შეათვალიერო დამპალი ჯირკი, შუალამისას მისკენ ზურგით დადგე, ჩაყო ხელი წყალში და თან ჩაილაპარაკო:

ქერო, ქერო, მდორე წყალო,
მეჭეჭებმა გამამწარეს,
გამიქრეთ და გამაცალეთ!

- შემდეგ თვალდახუჭული, სასწრაფოდ უნდა გაშორდე თერთმეტ ნაბიჯზე, სამჯერ უნდა შემოტრიალდე ერთ ადგილზე და დაადგე სახლის გზას ისე, რომ არავის დაელაპარაკო, თუ ხმას ამოიღებ, შელოცვას ძალა დაეკარგა.
- ეგ, ეტყობა, უფრო შეეფერება სიმართლეს, მაგრამ ბობ ტანერი ეგრე არ მოქცეულა.
 - ოღონდაც, რომ ასე არ მოქცეულა! ჩვენ ბიჭებში ყველაზე მეჭეჭიანი ის არის; რომ სცოდნოდა, როგორ მოეშორებინა დამპალი წყლით, აქამდის აღარც ერთი აღარ ექნებოდა. მე თვითონ ათასობით მოვიშორე ასეთი ხერხით. ჰეკ, მე ძალიან ბევრი მეჭეჭი მქონდა, რადგან ერთთავად ვაწვალებდი. ზოგჯერ ცერცვივითაც მომირჩენია.
 - ჰო, ცერცვი ძალიან კარგია. მე თვითონაც გამომიცდია.
 - მართლა? როგორ ირჩენ?
 - აიღებ ცერცვს და ორად გააპობ. შემდეგ მეჭეჭს დანას დაუსვამ და როცა იქიდან სისხლი გამოვა, ცერცვის ერთ ნაჭერს წაუსვამ; შემდეგ ამოთხრი ორმოს და ამ ნახევარს მინაში ჩაფლავ... დაახლოებით შუალამისას, გზაჯვარედინზე, ახალ მთვარეზე. მეორე ნახევარს კი დასწავ. საქმე იმაშია, რომ ის ნახევარი, რომელსაც სისხლი აცხია, თანდათან მიიზიდავს მეორე ნახევარს, სისხლი კი ამასობაში მეჭეჭს მიიზიდავს და მეჭეჭიც მალე გაქრება.
 - სწორია, ჰეკ, სწორი; თუმცა, უმჯობესია, ცერცვის ნახევრის მინაში ჩაფლვის დროს ზედ დააყოლო: “მორს, მეჭეჭო, ცერცვო, ძირს! ჩემკენ ნულარ იზამთ პირს”, ასე უკეთესია, ასე ირჩენს მეჭეჭებს ჯო ჰარპერი, ის კი სადღა არ ყოფილა, თითქმის კუნვილსაც მიაღწია... აბა, ახლა შენ თქვი, როგორ უნდა მოვიშოროთ მკვდარი კატი?
 - აი, როგორ, კატა უნდა წაიღო სასაფლაოზე შუალამისას, ისეთ ადგილას, სადაც ბორბოტი ადამიანი ასაფლავია. და, აი, შუალამისას მოვა ეშმაკი, შეიძლება, ორი ან სამი; მაგრამ მათ ვერ დაინახავ, მხოლოდ გაიგონებ, თითქოს ქარი ზუზუნებსო. შეიძლება ისიც გაიგო, ერთმანეთს როგორ ელაპარაკებიან. როცა ისინი მკვდარს წაათრევენ, უნდა ესროლო მკვდარი კატა და თან თქვა: “ჯოჯო მისდევს მკვდარს, კატა მისდევს ჯოჯოს, მეჭეჭი კი კატას, - დიდ სიამით ვატანთ, აგისრულდეთ ნატვრა”. მორჩა და გათავდა, მთელი მეჭეჭები გაქრება.
 - რაღაც სიმართლესა ჰგავს. როდისმე გიცდია, ჰეკ?
 - არა, მე ბებია ჰოპკინსმა მოამბო.
 - მაშ ეგ კი მართალი იქნება. იმაზე ამბობენ - კუდიანიაო.
 - ამბობენ რას მიქვია! მე ნამდვილად ვიცი, რომ ის კუდიანია. მამაჩემი იმან მოაჯადოვა, მამამ თვითონ მიაბო; ერთხელ თურმე გზაზე მოდიოდა და დაინახა, რომ ის ჯადოს უკეთებდა. მამამ ქვა აიღო და ესროლა, სულზე გაუსწრია. რა გგონია: მამაჩემი იმ ღამესვე ჩამოვარდა მთვრალი, ფიცრის სახურავიდან და ხელი მოიტეხა.
 - რა საშინელებაა! მამაშენმა როგორ გაიგო, რომ კუდიანი ჯადოს უკეთებდა?
 - ამას უყურე! მამა ამბობს, ამის გამოცნობას დიდი ამბავი არ უნდაო: თუ ვინმე დაჟინებით გიცქერის და თან რაღაცას ბუტბუტებს თავისთვის - იცოდე, რაღაც საფრთხეს გიმზადებსო. თუ კუდიანი თავისთვის ბუტბუტებს, იცოდე “მამაო ჩვენოს” უკუღმა კითხულობსო.
 - გამიგონე, ჰეკ, კატას როდის გამოცდი?
 - ამაღამ. ასე გგონია, ეშმაკები აუცილებლად მოვლენ ბებერი ცოდვილი უილიამის ნასაყვანად.
 - ის ხომ შაბათს დაასაფლავეს, ჰეკ, ის ალბათ შაბათ ღამესვე მოიპარეს.
 - აბა, რას ამბობ! შუალამედის ვერ მოიპარავდნენ; შუალამისას ხომ კვირა დღე დადგა. მე რაღაც არ გამიგია, რომ ეშმაკებს ნება ჰქონდეთ, კვირა დღით დედამინაზე მოსვლისა!
 - ეგ მართალია, ეგ სულ არ მომგონებია. ხომ წამიყვან?

- რასაკვირველია, თუ არ გეშინია.

- მეშინია? რა სათქმელია! ფანჯარასთან დაიკნავლებ?

- ჰო, და თუ შეგეძლება გამოსვლა, შენც დაიკნავლე საპასუხოდ. თორემ, გახსოვს, ამას წინათ რამდენი მალოდინე ტყუილებრალოდ. იქამდის ვიკნავლე, სანამ ბებერმა ჰეისმა ქვეები არ დამიშინა, თან ბუტბუტებდა: ეშმაკმა წაიღოს ეს კატაო. ამისთვის მე მას ფანჯარა ჩავუმსხვრიე კრამიტით, - მხოლოდ არავის უთხრა, იცოდე.

- კარგი. იმ დამეს არ შემეძლო დაკნავლება: დეიდა ერთთავად მითვალთვალეებდა; ამაღამ კი აუცილებლად დავიკნავლებ. გამიგონე, ჰეკ, ეგ რა გაქვს?

- საიმისო არაფერი, ტკიპაა.

- სად იპოვე?

- ტყეში.

- რა მოგცე მაგამი?

- არ ვიცი. არ ვფიქრობ გაყიდვას.

- როგორც გინდა, თუმცა მეტად პატარა კია.

- ეგრე იყოს! სხვისი საქონლის დაწუნება ადვილია. მე კმაყოფილი ვარ, ჩემთვის ესეც კარგია.

- ტკიპა ყველგან უამრავია, რომ მინდოდეს, ათასობით მოვაგროვებ.

- მაშ რა გაბრკოლებს? მაგრამ ძალიან კარგად იცი, ვერ იშოვნი. ეს ტკიპა სულ პირველია, რომელიც კი ამ წელს მოიძებნებოდა.

- გამიგონე, ჰკ, ჩემს კბილს მოგცემ მაგამი.

- აბა, მაჩვენე.

ტომმა ამოიღო ჯიბიდან ქალაღდი და დიდი სიფრთხილით გახსნა. ჰეკლებერიმ ყურადღებით გასინჯა კბილი. ცთუნება ძლიერი იყო. ბოლოს შეეკითხა:

- ნამდვილია?

ტომმ აწია ტუჩი და აჩვენა ცარიელი ადგილი.

- კარგი, გენდობი!

ტომმა ტკიპა ჩასვა პატარა ყუთში, სადაც წინათ ხოჭო ჰყავდა დამწყვდეული, და ბიჭები გაშორდნენ ერთმანეთს. თითოეული კმაყოფილი იყო თავისი შენაძენით.

ტომი მიუახლოვდა განმარტოებით მდგარ პატარა ხის სახლს, სადაც მოთავსებული იყო სკოლა. ფეხაჩქარებით შევიდა, ჩამოკიდა ქუდი ლურსმანზე და საქმიანი კაცივით გაეშურა თავისი სკამისაკენ. მასწავლებელი აფოფხილიყო კათედრაზე და მშვიდად თვლემდა, შეგირდების გუგუნი ნანასავით ჩაესმოდა. ტომის შემოსვლამ გამოაფხიზლა.

- ტომას სოიერ!

ტომმა კარგად იცოდა, როცა მას სრული სახელით მიმართავდა, კარგი ნიშანი არ იყო.

- რა გნებავთ, სერ?

- აბა, აქ მობრძანდით! დღესაც დააგვიანეთ, ხომ? საინტერესოა, რატომ?

ტომს ადვილად შეეძლო თავის დაძვრენა, რამე რომ ეცრუა, მაგრამ იმ წუთას თვალი მოჰკრა გრძელ ოქროსფერ ნაწნავებს, რომლებიც მაშინვე იცნო სიყვარულის ელექტრული დენის წყალობით. მან დაინახა, რომ ერთადერთი ცარიელი ადგილი

კლასის გოგონების ნახევარში მხოლოდ მის გვერდით იყო და დაუფიქრებლად უპასუხა:

- ცოტა ხანს შევჩერდი ჰეკლებერი ფინთან სალაპარაკოდ.

მასწავლებელს სუნთქვა შეეკრა და დაბნეული შეჰყურებდა ტომს. შეგირდების ზუზუნი შეწყდა, გაკვირვებულები იყვნენ, ხომ არ გაგიჟდა ეს უშიშარი ბიჭიო. მასწავლებელმა ხელმეორედ იკითხა:

- რაო, ვის ელაპარაკებოდ?

- ცოტა ხანს შევჩერდი ჰეკლებერი ფინთან სალაპარაკოდ.

- ტომას სოიერ, ესოდენი კადნიერება არასოდეს მსმენია ჩემს სიცოცხლეში. ამისთანა თავხედობისათვის სახაზავიც არა კმარა. გაიხადე ხალათი!

მასწავლებლის ხელი მანამდის მუშაობდა, სანამ არ დაეღალა. წკეპლების კონაც შემცირდა. შემდეგ, გასცა ბრძანება:

- ახლა წადი და დაჯექი გოგონებთან! დაე, გაკვეთილად გამოგადგეს.

ბავშვების ხითხითმა ტალღასავით გადაურა კლასს და თითქოს ცოტა დაარცხვინა ბიჭი, მაგრამ სინამდვილეში ამის მიზეზი სულ სხვა რამ იყო: მონინება ჯერ კიდევ უცნობი ღვთაების წინაშე, შიში და სიხარული თავისი დიდი გამარჯვების გამო. ის ჩამოჯდა სკამის კიდზე. გოგონამ ცხვირი აიბზიკა და შორს გაიწია მისგან. ირგვლივ ყველა რაღაცას ჩურჩულებდა, ერთმანეთს რაღაცას ანიშნებდნენ და ხელს ჰკრავდნენ, მაგრამ ტომი იჯდა წყნარად, დაყრდნობოდა დაბალ, გრძელ მერხს და, ეტყობოდა, წიგნს გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა. თანდათან ის ყველას მიავიწყდა, კლასში გაისმა ჩვეულებრივი ძილისმომგვრელი ზუზუნი. მაშინ ტომმა ჩუმჩუმად დაუნყო ცქერა მეზობელ

გოგონას. გოგონამ შეამჩნია, გაიბუსხა და ერთი ნუთით ბურგი შეაქცია. როდესაც ისევ ტომისკენ გააპარა თვალი, მის წინ ატამი იდო. გოგონამ იქით გადადო. ტომმა ფრთხილად ისევ იქ დადო; გოგონამ ატამი ისევ გადადო, მაგრამ ამჯერად უკმეხობა აღარ ეტყობოდა. ტომმა მოთმინებით დადო ატამი ისევ წინანდელ ადგილას და გოგონას უკან აღარ გაუნწვია. ტომმა გრიფელის დაფაზე დაუნერა: “ძალიან გთხოვთ მიირთვათ, მე კიდევ მაქვს”. გოგონამ დახედა ნანერს, მაგრამ არაფერი არ უპასუხა. ბიჭმა ახლა რაღაცის ჭლაბნა დაიწყო ფიცარზე, თანაც მარცხენა ხელს აფარებდა. გოგონა ჯერ ვითომ ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ, ბოლოს, ეტყობოდა, ადამიანურმა ცნობისმოყვარეობამ დასძლია. ბიჭი ისევ ჭლაბნიდა, ვითომ ვერც კი ამჩნევდა გოგონას. გოგონა შეცადა დაენახა, რას ხატავდა ტომი, მაგრამ ისე კი, რომ თავისი თავი არ გაეცა. ტომი კი თითქოს ვერც ამჩნევდა მის ცნობისმოყვარეობას, ბოლოს გოგონამ ვეღარ მოითმინა და მოკრძალებით წასჩურჩულა:

- მაჩვენეთ.

ტომმა ოდნავ მოაშორა ხელი სურათს... სურათი კი არა, რაღაც სასაცილო მიმსგავსება იყო სახლის. ბუხარდან დაკლაკნილი ბოლი ამოდიოდა. პატარა გოგონა ტომის მუშაობამ თანდათან ისე გაიტაცა, რომ ყველაფერი დაავიწყდა. როცა ტომმა გაათავა გოგონამ ცოტა ხანს უცქირა, შემდეგ წასჩურჩულა:

- მშვენიერია! ახლა კი კაცი დახატეთ.

მხატვარმა დახატა სახლის წინ კაცი, რომელიც ბოსტნის ბებერას ჰგავდა და ისეთი მაღალი იყო, სახლს გადააღაჭებდა; მაგრამ პატარა გოგონა არ იყო სასტიკი მსაჯული, ძალიან მოუწონა ეს საფრთხობელა და სთხოვა:

- რა ლამაზია! ახლა მე დამხატეთ მის გვერდით.

ტომმა დახატა სილის საათი, მთვარესავით მიაბა რაღაცა ზემოდან, ბალახის ღერისავით წვრილი ფეხები და ხელები გაუკეთა და გაპარტყულ თითებში უშველებელი მარაო დააჭერინა. გოგონამ უთხრა:

- ესეც კარგია! მე ძალიან მინდა ხატვა ვიცოდე.

- ეს ძნელი არ არის, - უჩურჩულა ტომმა, - მე გასწავლით.

- მართლა? როდის?

- დიდ დასვენებაზე. შინ წახვალთ სასადილოდ?

- თუ თქვენ დარჩებით, შეიძლება მეც დავრჩე!

- კეთილი. ძალიან კარგი იქნება! რა გქვიათ?

- ბეკი თეტჩერი. თქვენ? თუმცა ვიცი - ტომას სოიერი.

- ასე შეძახიან დასჯის წინ. როცა კარგად ვიქცევი, მართო ტომს შეძახიან. თქვენ ტომს დამიძახებთ, არა?

- კეთილი.

ტომმა ისევ დაიწყო ფიცარზე რაღაცის ჭლაბნა, თან ხელს აფარებდა, რომ გოგონას არ წაეკითხა, მაგრამ ახლა ბეკი გათამამდა და სთხოვა, ეჩვენებინა. ტომმა იუარა:

- ოჰ! არაფერია.

- არა, არის.

- არ არის! თქვენ ხომ ნახვა არ გინდათ.

- არა, მინდა, მართალს ვამბობ, მინდა. გთხოვთ, მაჩვენოთ!

- ვინმეს რომ უთხრათ?

- არ ვეტყვი, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, არ ვეტყვი!

- არავის, არც ერთ სულიერს? ვიდრე ცოცხალი იქნებით?

- არავის არ ვეტყვი, ოღონდ მაჩვენებთ!

- და თქვენ ხომ არც კი გინდათ...

- თუ ასე გაჭიუტდებით, ტომ, სულ ერთია, ვნახავ.

გოგონამ თავისი პატარა ხელი დასტაცა ტომის ხელს. ტომი ვითომ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ თანდათანობით კი ხელს ამორებდა ნანერს, და ბოლოს გამოჩნდა სიტყვები: “მე თქვენ მიყვარხართ!”

- უჰ, რა საძაგელი ხართ! - და გოგონამ მაგრად დაარტყა ხელი, თან განითლდა, მაგრამ ეტყობოდა, გულში ეამა.

ამ დროს ტომმა იგრძნო, ვიღაცამ წაავლო ხელი ყურში და სკამიდანაც ასწია. ასე ყურანეული წაანონიალა მთელ კლასში, გადაიყვანა მეორე მხარეზე და თავის ადგილზე დასვა. მთელი კლასი ხითხთებდა. მასწავლებელი პატარა ხანს თავს ადგა ხმაამოუღებელივ და მერე თავისი კათედრისაკენ გაემართა. თუმცა ტომს ყური ძალზე ეწვოდა, მაგრამ გული სიხარულით ჰქონდა აღსავსე.

როცა კლასი დაწყნარდა, ტომმა კეთილსინდისიერად დააპირა გაკვეთილების დასწავლა, მაგრამ მეტად აღელვებული იყო. მისი ჯერი რომ დადგა, კითხვისას

სიტყვებს ურევდა; გეოგრაფიის გაკვეთილზე ტბა მთად გადააქცია, მთა - მდინარედ, მდინარე - მატერიკად, ასე რომ პირველყოფილი ქაოსი გამოუვიდა, რომელიც ქვეყნიერების შექმნას უსწრებდა. მართლწერის კარნახის დროს უამრავი მეცდომა დაუშვა, სულ უბრალო სიტყვებშიც კი; ერთი სიტყვით, მართლწერაში უკანასკნელ მონათფედ ჩაითვალა და იძულებული გახდა, სხვისთვის დაეთმო თუნუქის მედალი, რომელსაც ამაყად ატარებდა რამდენიმე თვე.

თავი მეშვიდე

რამდენადაც მეტს ცდილობდა ტომი ყურადღებით ყოფილიყო, მით უფრო გაურბოდა აქეთ-იქით გონება. ამიტომ ბოლოს ამიოხრა, დაამთქნარა და ცდასაც თავი მიანება. მას მოეჩვენა, რომ დიდი დასვენება არ ეღირსებოდა. ჰაერი შეხუთული იყო, ნიავიც კი არ იძვროდა. მოსაწყენ დღეთაგან ეს ყველაზე უარესი იყო. ოცდახუთი შეგირდის მომაბეზრებელი ბუტბუტი გაკვეთილების დაბეჭირების დროს ძილს ჰგვრიდა ადამიანს, როგორც ფუტკრების ზუზუნი. იქ, გარეთ, მზის კაშკაშა სინათლეზე მოჩანდა სიცხის ბურუსში გახვეული არდიფის გორაკის მწავედ აბიბინებული ფერდობები, რომელთაც შორიდან მენამული ფერი დასდებოდა. აქა-იქ ფრინველები ზანტად დაფრინავდნენ მაღლა ჰაერში. არსად სულიერი არ ჭაჭანებდა, გარდა რამდენიმე ძროხისა, და იმათაც ჩასძინებოდათ.

ტომს სული ელეოდა, ლამობდა თავისუფლად განავარდნაბას ან ისეთ რაიმეს, რომ დრო მოეკლა! უნებურად ჩაიყო ჯიბეში ხელი და სახე კმაყოფილებით გაუბრწყინდა.

ფრთხილად ამოაცოცა პატარა ყუთი, ამოიღო ტკიპა და დასვა გრძელ და ბრტყელ მერხზე. ტკიპაც, ალბათ, ამნუთს მადლობით განიმსჭვალა, მაგრამ, მისდა სავალალოდ, ეს ნაადრევი იყო; როცა მადლიერებით აღსავსემ წასვლა დააპირა, ტომმა ქინძისთავით დააბრუნა უკან და აიძულა, სხვა მიმართულებით წასულიყო.

ტომს გვერდით გულთბილი მეგობარი უჭდა. ტომზე ნაკლებ არც ის იყო მოწყენილი; ამიტომაც ახალმა გასართობმა ძალიან გაახარა და დააინტერესა კიდევაც. გულითად მეგობარს ჯო ჰარპერი ერქვა. ბიჭები მთელი კვირის განმავლობაში განუწყრელნი იყვნენ, ხოლო უქმე დღეებში ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ, მეთაურობდნენ ორ მტრულად განწყობილ არმიას. ჯომაც ამიაძრო ქინძისთანვი ქურთუკის საყელოდან და მიეშველა ამხანაგს ტკიპას წვრთნაში. რამდენიც დრო გადიოდა, იმდენად უფრო იტაცებდა გართობა ორივეს. ბოლოს, ტომმა განაცხადა, ერთმანეთს ვუშლით და ვერც ერთი ვერ ვსიამოვნებთო. აიღო გრიფელის დაფა, დადო მერხზე და ზევიდან ქვევით გაავლო ხაზი:

- ასე სჯობს, ვიდრე ტკიპა შენს მხარეზე იქნება, როგორც გინდა, ისე ავარჯიშე, მე ხელს არ ვახლებ; მაგრამ როცა შენ გაუშვებ და ჩემ მხარეზე გადმოვა, ხელი აღარ ახლო, იქამდის, სანამ ისევ შენს მხარეზე არ გადმოვა. კარგი?

- კარგი. აბა დაიწყე.

ტკიპა ძალიან მალე გაშორდა ტომს და გადაირბინა ეკვატორი. ჯო დიდხანს აწვალვებდა; ბოლოს ტკიპა იმასაც გაშორდა და უკან ტომთან დაბრუნდა. ეს გადასვლა-გადმოსვლა რამდენჯერმე განმეორდა. როცა ერთი აწვალვებდა ტკიპას და მთლად ჩანთქმული იყო ამ გასართობში, მეორე გაფაცოცებით ადევნებდა თვალყურს, ორივეს თავი დაელუნა მერხზე და მათთვის აღარაფერი არსებობდა გარშემო. ბოლოს, როგორც ეტყობოდა, გამარჯვება წილად უნდა ხვდომოდა ჯოს. ტკიპა, ბიჭებზე არანაკლებ აღგზნებული და აღელვებული აქეთ-იქით აწყდებოდა, მაგრამ ყოველთვის, როგორც კი გამარჯვება ტომისაკენ გადაიხრებოდა, ჯო ქინძისთავის დახმარებით მიატრიალებდა ტკიპას თავისკენ. ტომმა ვეღარ მოითმინა, მან გაიწვდინა ხელი და ქინძისთავით უბიძგა ტკიპას. ჯო აღშფოთდა:

- ტომ, არ გაბედო ხელის ხლება.

- ცოტას ვუბიძგებ, ჯო!

- ეგ უსინდისობაა, სერ, თავი დაანებეთ!

- ერთი შენც, სულ ცოტას...

- თავი დაანებეთ ტკიპას, თქვენ გეუბნებიან!

- არა მსურს.

- უფლება არა გაქვს, ის ჩემს მხარეზეა.
 - კარგი და, ტკიპა ვისია?
 - ჩემთვის სულ ერთია, ვისიც გინდა იყოს, - ის ჩემს მხარეზეა და ვერ გაბედავ ხელის ხლებას!
 - როგორ თუ ვერ გაბედავ? ტკიპა ჩემი და ისე მოვექცევი, როგორც მომესურვება. სწორედ ამ წუთში ტომმა ბეჭებზე საშინელი დარტყმა იგრძნო, ასევე დაემართა ჯოსაც, და ორიოდ წუთის განმავლობაში მასწავლებელმა მათი ქურთუკების ბერტყვით მტვრის კორიანტელი დააყენა; კლასი კი ხითხითებდა. საქმე ის იყო, რომ ბიჭები ისე გაერთნენ თამაშში, ვერც კი შეამჩნიეს, როგორ ჩამოვარდა უცებ სიჩუმე, როგორ მიეპარა მასწავლებელი მათ, კაკა ხანს იდგა მათ უკან და თვალს ადევნებდა თამაშს, სანამ გადაწყვეტდა რამდენადმე ცვლილება შეეტანა მათ გარობაში. როგორც იყო დარეკა თორმეტი და დადგა დიდი დასვენება. ტომმა ბეკი თეტიერთან მიიღობინა და ყურში ჩასჩურჩულა:
 - დაიხურე ქუდი, ვითომ შინ მიდიხარ. კუთხეში სხვებს შეუმჩნევლად ჩამორჩი, შეუხვიე და აქ დაბრუნდი. მე სხვა გზით წავალ, ბიჭებს გამოვექცევი და სულ მალე მეც აქ ვიქნები. - ტომი გამოვიდა სკოლიდან თავისი ჯგუფით, ბეკი - თავისით, და გაემართნენ სახლებისაკენ. ცოტა ხნის შემდეგ ტომი და ბეკი ერთმანეთს შეხვდნენ ქუჩის კუთხეში და სკოლაში დაბრუნდნენ, იქ აღარავინ დახვდათ. ერთად დასხდნენ და წინ გრიფელის დაფა დაიდეს; ტომმა ბეკის მისცა გრიფელი, ხელი დაუჭირა და ისე ახატვინა. დახატეს მეორე სახლი, წინანდელზე საკვირველი მოყვანილობის. როცა ხატვა მოსწყინდათ, დაიწყეს ტიკტიკი. ტომი ნეტარებას განიცდიდა. მან ჰკითხა:
 - გიყვარს ვირთაგვები?
 - არა, მძულს.
 - მეც შეგავრება ცოცხლები, მაგრამ მკვდრებზე გეუბნები, - შეიძლება თოკი გამოაბა და ატრიალო, რამდენიც გსურს!
 - არა, საერთოდ ვირთაგვები არ მიყვარს. მე მიყვარს რეზინის ლეჭვა.
 - ოღონდაც! ვწუხვარ, რომ არა მაქვს.
 - გინდა? მე მაქვს პატარა ნაჭერი. მოგცემ დასალეჭად, მხოლოდ უკანვე დამიბრუნე. ტომი დათანხმდა. დაიწყეს რიგრიგობით ლეჭვა, თან მეტის სიამოვნებისაგან ფეხებს იქნევდნენ.
 - ცირკში ყოფილხარ როდისმე?
 - ჰო, მამა კიდევ დამპირდა წაყვანას, თუ ჯკვიანი გოგონა ვიქნები.
 - მე კი ბევრჯერ ვყოფილვარ ცირკში, სამჯერ თუ ოთხჯერ! იქ უფრო მეტი მხიარულებაა, ვიდრე ეკლესიაში: ყოველთვის ახალ სანახაობებს უჩვენებენ. როცა გავიბრდები, ცირკის ჯამბაზი გავხდები.
 - მართლა? კარგი იქნება! ისინი ისეთი ლამაზები არიან, ნაირფერად აჭრელებულნი.
 - მართალია, ამავე დროს ფულებსაც ბლომად ხვეტენ... ბენ როჯერსმა თქვა, დღეში ერთ დოლარს იღებენო. გამიგონე, ბეკი, არასოდეს არ ყოფილხარ დანიშნული?
 - რას ნიშნავს ეგ?
 - აი, დანიშნული, გასათხოვრად.
 - არა.
 - გინდა კი?
 - მგონია მინდა, მაგრამ არ ვიცი, როგორ ხდება?
 - როგორ? დიდი არაფერია! შენ ეუბნები ბიჭს, რომ იმის მეტს არავის გაპყვები ცოლად, გესმის, არასოდეს! მერე აკოცებ და მორჩა, სხვა არაფერი. ეს ყველას შეუძლია გააკეთოს.
 - კოცნა? კოცნა რაღა საჭიროა?
 - იმიტომ, ტომ... იმიტომ... ეგრეა წესი; ყველა ასე აკეთებს.
 - ყველა?
 - ჰო, ყველა შეყვარებული. გახსოვს, გრიფელის დაფაზე რომ დაგინერე?
 - მახსოვს.
 - აბა, რა?
 - არ გეტყვი.
 - იქნებ მე ვთქვა?
 - ჰო... მხოლოდ სხვა დროს...
 - არა, ახლა.
 - არა, ახლა არა, ხვალ სჯობია.
 - არა, არა, ახლა, ბეკი მე ჩუმად, ყურში ჩაგჩურჩულე.
- რადგანაც ბეკი ყოყმანობდა, ტომმა ეს თანხმობის ნიშნად მიიღო, წელზე ხელი

შემოქხვია, ტუჩები ყურთან მიადო და გაუმეორა ის სიტყვები. მერე უთხრა:

- ახლა შენც ჩამჩურჩულე იგივე სიტყვები.

ბეკი დიდხანს უარობდა, ბოლოს უთხრა:

- იქით მიიხედე, რომ არ დაგინახო, მაშინ გეტყვი. მხოლოდ არავის არ უთხრა, გესმის, ტომ? არავის, არავის! კარგი?

- არა, არა, არავის ვეტყვი, დამშვიდებული იყავი. აბა, პა, ბეკი!

ტომმა სახე მიიბრუნა, გოგონა კი სულ ახლოს დაიხარა. ისე ახლოს, რომ მისი სუნთქვა ტომის კულულებს არხევდა და მორცხვად ნასჩურჩულა:

- მე... თქვენ... მიყვარხართ!

მერე მაგრად წამოხტა და სირბილი დაიწყო სკამებსა და მერხებს შორის, თავს იცავდა ლომისაგან, რომელიც უკან მისდევდა; შემდეგ კუთხეში მიიკუნტა და თეთრი წინსაფარი სახეზე მიიფარა. ტომმა მოქხვია ხელი კისერზე და დაუნყო თხოვნა:

- აბა, ბეკი, ახლა საქმე უკვე გათავებულა, კოცნა დაგვრჩა. საშინი სრულიად აღაფერია, სულ უბრალო ამბავია. აბა, ბეკი, გეთაყვა!

ტომი ეწეოდა წინსაფარს და უნდოდა გოგონას ხელებიც მოეშორებინა.

გოგონა თანდათან დაემორჩილა, ჩამოუშვა ხელები და წამოწილული სახე

ტომისაკენ შეაბრუნა. ტომმა აკოცა ტუჩებში და უთხრა:

- მორჩა და გათავდა, ბეკი, ამას იქით აღარავინ არ უნდა გიყვარდეს ჩემს გარდა, და არასოდეს არავის არ უნდა გაჰყვე ცოლად ჩემს გარდა, უკუნითი უკუნისამდე! პირობას მაძლევ?

- ჰო. მე არავინ არ მეყვარება შენს გარდა, ტომ, და არც არავის გაყვები ცოლად. შენც არავინ შეირთო ჩემს გარდა!

- თავისთავად ცხადია, პირობა ასეთია! გარდა ამისა, როცა სკოლაში მოვალთ, ან შინ წავალთ, სულ ჩემთან უნდა იარო, თუ ვინიცობაა არავინ გვიყურებს; თამაშობაშიც მე უნდა ამომირჩიო, მე კიდევ შენ, ყოველთვის ასე იქცევიან დანიშნულები!

- არასოდეს არ გამიგია ამის შესახებ. რა კარგია!

- ჰო, ძალიან კარგია! აი, როცა მე და ემა ლორენსი...

ბეკიმ თვალები დაჭყიტა, ტომმა ენაზე იკბინა და შეჩერდა დარცხვენით.

- ტომ, მაშ მე არა ვარ შენი პირველი დანიშნული?

გოგონა ატირდა.

- ნუ ტირი, ბეკი, მე ის აღარ მიყვარს.

- არა, გიყვარს. კარგად ვიცი, რომ გიყვარს.

ტომს უნდოდა მოხვეოდა, მაგრამ გოგონამ მოიშორა, სახე კედლისაკენ მიატრიალა და ტირილი განაგრძო. ტომი მის დამშვიდებას ცდილობდა, მაგრამ გოგონა ყურს არ უგდებდა. მაშინ ტომში გაიღვიძა სიამაყემ, გაშორდა და გარეთ გავიდა.

ერთხანს შეჩერდა და შეწუხებული იყურებოდა კარისკენ, იმ იმედით, ბეკი დამშვიდდება და გარეთ გამოვაო, მაგრამ გოგონა არ გამოდიოდა. ტომმა უხერხულობა იგრძნო, თანაც შეეშინდა, ვაითუ არ მაპატიოსო. მართლაც, ძალიან უმძიმდა პირველი მისუღიყო შესარიგებლად, მაგრამ თავის სიამაყეს სძლია და შევიდა კლასში. ბეკი ისევ კუთხეში იდგა და ტიროდა, სახე ისევ კედლისკენ ჰქონდა მიბრუნებული. ტომს გული ეტკინა. მიუახლოვდა და გაჩერდა ცოტა ხანს, არ იცოდა როგორ დაეწყო... მერე გაუბედავად უთხრა:

- ბეკი, მე... არავინ მიყვარს შენს გარდა.

პასუხი არ იყო... მხოლოდ გულსაკლავი ქვითინი ისმოდა.

- ბეკი, - ეხვეწებოდა ტომი, - ბეკი, მითხარი რამე.

კვლავ ქვითინი.

ბოლოს ტომმა ამოიღო თავისი საუნჯე - სპილენძის ბურთი, თვალწინ აუთამაშა და უთხრა: - ბეკი გინდა გაჩუქო ეს?

გოგონამ ხელი დაჰკრა და ბურთი იატაკზე გაგორდა.

მაშინ კი ქუჩაში გავიდა ტომი და გადაწყვიტა ისე შორს წასვლა, რომ ამ დღეს აღარ დაბრუნებულიყო სკოლაში. ბეკის გულმა ცუდი იგრძნო, გაექანა კარებისაკენ - ტომი აღარ ჩანდა. შემოურბინა სკოლის შენობას, იმედი ჰქონდა, ეზოში იპოვნიდა, მაგრამ იქაც არ დახვდა. მაშინ კი დაუნყო ხმამაღლა ძახილი:

- ტომ! ტომ, დაბრუნდი!

პატარა გოგონა გაფაციცებით ყურს უგდებდა, მაგრამ პასუხი არ ისმოდა. ირგვლივ სიჩუმე იყო. ჩამოჯდა და კვლავ დაიწყო ტირილი, სინდისი ქენჯნიდა. ამასობაში მოგროვდნენ შეგირდებიც და მეტი ღონე არ იყო, გულში უნდა ჩაეკლა თავისი სევდა, წყნარად მჭდარიყო გაჭიანურებულ, მოსაწყენ და მომქანცველ გაკვეთილზე. ამ უცხო ბავშვთა შორის არავინ ეგულებოდა ისეთი, ვისთვისაც შეეძლო გაეზიარებინა თავისი

დარდი.

თავი მერვე

ტომი ფეხაჩქარებით მიდიოდა მიხვეულ-მოხვეულ გზებით, სანამ კარგა არ გამოჩნდა იმ გზას, რომლითაც საზოგადოდ, სკოლის შეგირდები ბრუნდებოდნენ, მერე კი ნელ-ნელა წალასლასდა. მან პატარა მდინარე რამდენჯერმე გადალახა და უკან გამობრუნდა; ბიჭებში გავრცელებული იყო შეხედულება, რომ ამ გზით შეიძლება კვალის არევაო. ნახევარი საათის შემდეგ კარდიფის გორაკზე აღმართულ ქვრივი დუგლასის სახლს მოეფარა - იქიდან სკოლის შენობა ძივსლა მოჩანდა შორს, დაბლობში. დაბურულ ტყეში შევიდა და პირდაპირ სიღრმისაკენ აიღო გზი. ხავსზე დაჯდა ტოტებგაშლილი მუხის ქვეშ. ნიავიც კი არ იძვროდა. შუადღის გამაბრუებელმა სიცხემ ფრინველთა გალობაც კი მიაყუჩა. ბუნება გარინდებულიყო, არაფერი არ არღვევდა მის მდუმარებას, ხანდახან კოდალას ხმაური თუ ისმოდა შორიდან, მაგრამ ეს ხმა უფრო ამძაფრებდა ყოვლისმომცველი იდუმალებისა და სიმარტოვის გრძნობას. ტომი სევდამ შეიპყრო. მისი განწყობილება საუკეთესოდ ეფარებოდა გარემოს. დიდხანს იჯდა მუხლებზე იდაყვდაყრდნობილი და ფიქრობდა. მას ეჩვენებოდა, რომ ცხოვრება სხვა არა იყო რა, თუ არა ტანჯვა. თითქმის შემურდა კიდევ ჰიმი ჰოჯესის, რომელიც ცოტა ხნის წინათ გარდაიცვალა. რა კარგია საფლავში წოლა და სამუდამო ძილი ცივ მიწაში, ნიავი არხევს ხის ფოთლებს, ელამუნება და ეალერსება საფლავზე ამოსულ ბალახსა და ყვავილებს, შენ კი აღარაფერი განუხებს, აღარაფერი გაშფოთებს.

...ნეტავ საკვირაო სკოლაში მაინც ჰქონდეს კარგი ნიშნები. მაშინ სიამოვნებით მოკვდებოდა და ყველაფერს ბოლო მოეღებოდა. აი, თუნდაც ეს გოგონა... რა დაუშავა? არაფერი. მან კი გააგდო, როგორც ძაღლი, სწორედ, როგორც ძაღლი. როდისმე ინანებს, მაგრამ უკვე გვიან იქნება. ოჰ, რა კარგი იქნება, რომ შეიძლებოდეს სიკვდილი, მაგრამ სამუდამოდ კი არა, დროებით!

მაგრამ ახალგაზრდული გული ძალზე ელასტიურია და დიდხანს არ რჩება შეკუმშული. ტომი თადათან დაუბრუნდა ამქვეყნიურ ცხოვრებაზე ფიქრს.

რა იქნება, ახლა რომ სადმე გადაიკარგოს? რა იქნება, ნავიდეს ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით და აღარასოდეს აღარ დაბრუნდეს? რა ყოფაში ჩავარდება ის პატარა ქალბატონი?.. მას მოაგონდა, როგორ აპირებდა ცირკის ჯამბაზობას, მაგრამ ამან ახლა მიზლით ალავსო. ქარაფშუტობა, ოხუნჯობა, ტანზე შემოჭერული ჭრელი შარვალი - ეს ყველაფერი დამამცირებლად მიიჩნია ახლა, როცა მისი სული რომანტიკის ბუნდოვან და დიდებულ მწვერვალებს დასტრიალებდა. არა, უკეთესია, მეომარი გამოვიდეს და ძალიან დიდი ხნის შემდეგ დაბრუნდეს დიდებამოსილი. კიდევ უფრო უკეთესია, ნავიდეს ინდიელებთან, ინადიროს მათთან ერთად კამეჩებზე, ბრძოლებში გაილალოს მაღალ მთებში, შორეული დასავლეთის გაუვალ ველებში და ოდესმე დაბრუნდეს, როგორც დიდი ინდიელი წინამძღოლი, ქუდში ფრთებგარჭობილი, ჭრელად მოხატული ტანით და პირდაპირ საკვირაო სკოლაში მივიდეს ზაფხულის ერთ მშვენიერ დილას; დასცეს ისეთი ყიჟინა, რომ შიშისაგან ძარღვებში სისხლი გაეყინოთ; აბა, მაშინ ნახეთ, შურით როგორ დაუბრძავდებათ თვალები მის ამხანაგებს! მაგრამ არა, სხვაც იცის, ამაზე უკეთესი. სჯობია, გახდეს მეკობრე. აი, კაცობაც ეს იქნება! ახლა ნათლად დაეხატა თვალწინ თავისი მომავალი, აუნერავი დიდების შარავანდდით მოსილი. მისი სახელი კიდით კიდემდე გავარდა და შეაძრწუნებს მთელ ქვეყნიერებას. რა სიამაყით და სისწრაფით ისრიალებს აქაფებულ ზღვებში მისი შავი და გრძელი ხომალდი - "გრიგალის სული"; რა თავზარდამცემად იფრიალებს შავი დროშა მისი ხომალდის ანძაზე! როცა დიდების მწვერვალს მიაღწევს, მოულოდნელად გაჩნდება თავის მშობლიურ ქალაქში, ეკლესიაში. მზისაგან დამწვარს ეცმევა შავი ხავერდის ტანისამოსი მხარზე გადაგდებული წითელი შარფით; მაღალი ჩექმები, ქამარში გარჭობილი დამბაჩა, გვერდზე სისხლისაგან ჩაქანებული ხმალი, თავზე ფრიალა ფრთებით შემკობილი ქუდი, ხელში შავი დროშა, როემღებდაც გამოსახული იქნება თავის ქალა და ადამიანის ძვლები! როგორი აღფრთოვანებით მოისმენს ჩურჩულს: "ეს ტომ სოიერია, მეკობრე, ესპანეთის ზღვების შავი შურისმგებელი".

გადანყვეტილია. მან საბოლოოდ აირჩია თავისი გზა! ხვალვე გაიქცევა სახლიდან.

დილისათვის რომ მზად იყოს, ახლავე უნდა შეუდგეს სამზადისს, უნდა შეაგროვოს მთელი თავისი ავლადიდება. იქვე დამპალი კუნძი იყო. ტომი მიუახლოვდა მას და დაუნყო ძირის თხრა თავისი ჯიბის დანით. დანა რაღაც ხის საგანს მოხვდა. ხმაზე შეატყო, რომ ქვეშ სიცარიელე იყო. ჩაყო ხელი ორმოში და დაინყო შელოცვა:

- რაც აქ არა ხარ, გაჩნდი, რაც ხარ, დარჩი!

ტომმა გაქეჭა მინა და წაანყდა ფიცარს, მის ქვეშ ასეთივე ფიცრის ყუთი იყო. ყუთში იდო მხოლოდ ერთი მარმარილოს ბურთულა. მის გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, საგონებელში ჩავარდა. კისერი მოიქეჭა და თქვა:

- არა, ეს პირდაპირ გაუგებრობაა!

გულმოსულმა გადაისროლა ბურთი და დაფიქრდა. საქმე ის არის, რომ ის შეცდომაში შეიყვანა ცრურწმენამ, რაც მას და მის ამხანაგებს ესოდენ საიმედოდ მიაჩნდათ: თუ ბურთს ჩაფლავთ და წარმოთქვამთ სათანადო შელოცვას, ორი კვირის განმავლობაში ხელს არ ახლებთ და შემდეგ იმავე შელოცვის თქმით გახსნით სამალავს, მაშინ ერთი ბურთის მაგიერ გადხვდებათ ყველა ბურთი, რომელიც ოდესმე დაგიკარგავთ, როგორც არ უნდა იყოს დაფანტულიო. ტომის ცდამ ამაოდ ჩაიარა და მისი რწმენაც დიდად შეირყა. მას გაგონილი ჰქონდა, რომ ამისთანა ცდა ბევრჯერ გამართლებულა, მაგრამ მარცხის შესახებ არა სმენოდა. მას ისიც გადაავიწყდა, რომ თვითონაც არაერთხელ უცდია, და მერე ვერასოდეს ვეღარ უპოვნია ის ადგილი, სადაც ბურთი დამალა. დიდხანს ფიქრობდა და ბოლოს დაასკვნა, აქ კუდიანის ხელი ურევია, რომელმაც ჩემს ჯიბრზე შელოცვას ძალა დაუკარგაო. მაგრამ მას უნდოდა საბოლოოდ დარწმუნებულიყო ამაში, ამიტომ მოძებნა ქვიშიანი ადგილი, რომელსაც შუაგული ჩაღრმავებული ჰქონდა ძაბრივით, პირი დაადო მას და თქვა:

ჭია, ჭია, მაპოვნინე,

ჭია, ჭია მაპოვნინე.

ქვიშა შეინძრა. ორმოდან ამოძვრა შავი ჭია და მაშინვე დაიძალა შიშისაგან.

- ერთი უყურე, არაფერს არ ამომბს! ჩენს, კუდიანის საქმიანობაა ყველაფერი, ხომ ვთქვი...

ტომმა კარგად იცოდა, რომ კუდიანთან ვერას გახდებოდა და ამიტომ მიყუჩდა. შემდეგ გაიფიქრა, ურიგო არ იქნება, წელან რომ გადავაგდე, ის ბურთულა მაინც მოვძებნოო. ბევრი ეძება ბალახებში, მაგრამ ვერ იპოვა. დაუბრუნდა ისევ თავის სამალავს, ისევ იქ დადგა, სადაც ბურთულის გადაგდებისას იდგა, ამოიღო ჯიბიდან მეორე, ისეთივე პატარა ბურთულა, გადაისროლა იმავე მიმართულებით და თან მიაძახა:

- წადი, იპოვნე შენი ძმა!

თვალი გააყოლა ბურთულას და სადაც დაეცა, იქ დაუნყო ძაბნა, მაგრამ, ეტყობოდა, მეორე ბურთულა ან უფრო შორს გადაისროლა, ან უფრო ახლოს. ვერაფერი იპოვნა. სცადა მეორედ, მესამედ და ბოლოს, მიაღწია თავისას: ბურთები ორიოდ ნაბიჯით იყო ერთმანეთისაგან დაცილებული.

სწორედ ამ დროს ტყის მწვანე თაღებს ქვეშ თუნუქის სათამაშო საყვირის სუსტი ხმა გაისმა. ტომმა საჩქაროდ გაიძრო ქურთუკი, გაიხადა შარვალი, ქამრის მაგიერ აჭიმი შემოირტყა წელზე, დამპალ კუნძს უკან გაქეჭა ჩინჩვახი და ამოათრია იქიდან უბრალო მშვილდ-ისარი, ხის ხმალი, თუნუქის საყვირი; ერთ ნუთში შეიარაღდა და ფეხშიშველა, გაფრიალებული პერანგისამარა გაეჭანა მტერთან შესახვედრად. ტომი შეცერდა დიდი თელის ქვეშ, დააყვირა საპასუხოდ თავისი საყვირი, შედგა ფეხის წვერებზე და ფრთხილად დაინყო აქეთ-იქით ცქერა. მერე ვითომ გააფრთხილა თავისი მხედრობა:

- შეჩერდით, ყმანვილებო! დაიძალეთ, სანამ ნიშანს არ მოგცემთ.

გამოჩნდა ჯო პარპერი, ისევე შიშველი და ისევე შეიარაღებული, როგორ ტომი. ტომმა შესძახა:

- შესდექ! ვინ გაბედა შერვუდის ტყეში სიარული ჩემი ნებართვის გარეშე?

- გაი გიბსონს არავისი ნებართვა არ ესაჭიროება! - მიეშველა ტომი, რადგან ისინი ორივენი “ნიგნის სიტყვებს” იხსომებდნენ და ასეთ დროს იყენებდნენ.

- ვინა ხარ, რომ ასე კადნიერად მელაპარაკები?

- ვინ ვარ? რობინ ჰუდი ვარ, რაშიც მალე დარწმუნდება შენი საძულველი სხეული.

- მაშ, ეს შენა ბრძანდები სახელგანთქმული ყაჩაღი? მოხარული ვარ, რომ შეგხვდი. მე შენ გინჯვენებ, ვინც არის ამ დიდებული ტყის პატრონი! აბა, გამოდი!

გმირებმა იძრეს ხის ხმლები, დანარჩენი იარაღი დაყარეს მიწაზე, გაჩერდნენ ერთმანეთის პირდაპირ და დაინყო სერიოზული და მოსაზრებული ორთაბრძოლა: ორი დარტყმა ბევრით, ორი ქვევით. ბოლოს ტომმა თქვა:

- თუ ბრძოლაა, ბრძოლა იყოს! შემიკეთე ცეცხლი!

და მათ ისე თავგამოდებით “შეუკეტეს ცეცხლი” ერთმანეთს, რომ ორივეს ქანცი

გამოელთა და გაოფლიანდნენ.

- დაეცი! - დაიყვირა ტომმა. - რატომ არ ეცემი?

- არ დავეცემი. შენ თვითონ დაეცი - შენ ხომ უფრო ცუდ მდგომარეობაში ხარ!

- მერე რა? ეს არაფერს არ ნიშნავს. მე დაცემა არ შემიძლია. ნიგნში ხომ ასე არ არს, იქ წერია: “ერთი მოხერხებული დარტყმით ზურგში ძირს დააწვინა საცოდავი გაი გიბსონი”. შენ საშუალება უნდა მომცე, ზურგში დაგარტყა.

სხვა რა გზა ჰქონდა ჯოს, ასეთი ავტორიტეტის წინააღმდეგ ხომ ვერ წავიდოდა, ამიტომ მიტრიალდა, მიიღო დარტყმა და წაიქცა.

- აბა, ახლა მე მომეცი ნება მოგკლა, თორემ უსამართლობა იქნება, - თქვა ჯომ, როცა ფეხზე წამოდგა.

- ეგ შეუძებელია. ეგ ხომ ნიგნში არ წერია!

- უსინდისო ხარ, მეტი არაფერი!

- კარგი, ჯო, გეყოფა, - შენ შეგიძლია ბერი ტაკი იყო ან მენისქვილის ვაჟი და კეტი დამარტყა თავში. ან კიდევ, გინდა, მე ვიყო ნოტინფემის შერიფი, შენ კი ცოტა ხნით - რობინ ჰუდი და მაშინ მე მომკლავ.

ეს მოენონა ჰარპერს და ყველაფერი ასე გააკეთეს. მერე ტომი ისევ რობინ ჰუდად გადაიქცა და სისხლისაგან დაიცალა, ვინაიდან მოღალატე მონაზონმა ცუდად მოუარა მის ჭრილობას. ჯომ, რომელიც მოტირალ ყაჩაღებს განასახიარებდა, შეწუხებულმა გადაათრია რობინ ჰუდი, ხელში მისცა მშვილდი, რის შემდეგაც ტომმა წარმოთქვა: “სადაც ეს ისარი დაეცემა, იქ დამარხეთ საწყალი რობინ ჰუდი, მწვანედ შეფოთლილ ხეებქვეშ”. შემდეგ გასტყორცნა ისარი, გადაინია უკან, მკვდარივით რომ დაცემულიყო, მაგრამ ჭინჭარში ჩავარდა და ისე სწრაფად წამოხტა, რომ სულ არ შეეფერებოდა მკვდარს.

ბიჭებმა ტანთ ჩაიცვეს, დამალეს თავიანთი საჭურველი და წავიდნენ, თან სულ იმას წუხდნენ, ახლა რატომ აღარ არის ყაჩაღობა და რით შეუძლია თანამედროვე ცივილიზაციას შეავსოს ეს დანაკლისიო. მათი აზრით, ერთი წლით შერკუდის ტყეში ყაჩაღობა სჯობდა პრემიდენტობას შეერთებულ შტატებში მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

თავი მეცხრე

იმ საღამოს ტომი და სიდი, როგორც ყოველთვის, ათის ნახევარზე გაგზავნეს დასაძინებლად. მათ ძილისპირის ლოცვა წაიკითხეს და სიდს მალე ჩაეძინა; ტომს არ ეძინა და მოუთმენლად ელოდა ნიშანს. მოუსვენრად იყო და როცა ეგონა, უკვე გათენებამ მოაწიაო, საათმა ათი დარეკა, აი, საშინელება! მას ლოგინში ტრიალიც კი არ შეეძლო, თუმცა მისი აღგზნებული ნერვები ამას მოითხოვდა, ეშინოდა, სიდიმა არ გაიღვიძოსო. გაუნძრევლად იწვა, თვალდაჭყეტილი. ირგვლივ შემადრწუნებელი სიჩუმე იდგა; მაგრამ ამ მდუმარებაში თანდათან გამოირჩა რაღაც ხმები. პირველ ყოვლისა, საათის ნიკნიკი, შემდეგ - ძველი კოჭაკების ჭრიალი, ახალი - კიბის საფეხურების ოდნავი ჭრაჭაჭრუჭი. ეტყობოდა, სახლში სულელები დაფუსფუსებდნენ. დეიდა პოლის ოთახიდან მოისმოდა თანაბარი ხვრინვა. ახლა გაისმა ჭრიჭინას აუტანელი ჭრიჭინი. მისი პოვნა ხომ ადამიანს არავითარი ხერხით ძალუძს; მერე ტომის თავთან, კედელში, გაისმა “ხოჭო-მესაფლაავის” ავის მომასწავებელი წრიალი, უთუოდ ვინმე მოკვდებოდა. ტომს შეაჭრჟოლა. ბოლოს, შორს გაისმა ძაღლის ყმუილი, მას გამოეხმაურა მეორე უფრო შორიდან. ტანჯვის წუთებს განიცდიდა ტომი. ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა, რომ ჟამთა სრბოლა შეჩერდა და დამყარდა მარადიულობა. ძალაუნებურად თვლემდა დაიწყო. საათმა თერთმეტ დარეკა, მაგრამ მას არ გაუგონია. უცებ, როცა რაღაც არეულ სიზმარს ხედავდა, კატის შემანუხებელი კნავილი მოესმა. სადღაც მახლობლად გაიღო ფანჯარა და ისმა: “აცხა, შე წყეულო!” და თან კედელს ხმაურით მიენარცხა ცარიელი ბოთლი. ამან ტომი სულ გამოაფხიზლა, წამსვე ჩაიკცა, გადაძვრა ფანჯრიდან და დაოთხილი გაფოფხდა მინაშენი სახლის სახურავზე. მან საპასუხოდ ორიოდეჯერ ჩუმად დაიკნავლა, შემდეგ გადახტა ფიცრულის სახურავზე და იქიდან ჩახტა მიწაზე. ჰეკლბერი ფინი ქვევით ელოდა თავისი მკვდარი კატი. ორი ბიჭი უცებ გაქრა სიბნელებში. ნახევარი საათის შემდეგ ისინი მიარღვევდნენ სასაფლაოს ხშირ ბალახებს.

სასაფლაო ძველისძველი იყო და, როგორც ჩვეულებად აქვთ დასავლეთში, გადაჭიმული გორაკის ფერდობზე, სოფლიდან მილნახევრის დაშორებით. სასაფლაოს შემოვლებული ჰქონდა შეზნექილ-შემოქნექილი, დაძველებული ფიცრის მესერი. მთელი სასაფლაო ბალახითა და შამბნარით იყო დაფარული, საფლავეები კი - ჩანოლილი. არც ერთი საფლავის ქვა თავის ადგილზე არ იდო; მატლებისაგან დაღრღნილი, დაფუტუროებული საფლავის ფიცრები გადაზნექილიყვნენ, თითქოს საყრდენს ეძებენ და ვერ უპოვნიათ. ყველა ფიცარზე ოდესღაც მიცვალებულის ვინაობა იყო წარწერილი: "ამის და ამის დაუვინყარ ხსოვნასო", მაგრამ ახლა ასოები ისე წაშლილიყო, რომ მათი გარჩევა დღის სინათლეზე არ შეიძლებოდა.

ქარი სევდიანად ბუზუნებდა ხის ტოტებში. ტომი შიშმა აიტანა, ალბათ, მიცვალებულთ სულები მოთქვამენ, სიმშვიდე რატომ გადაკვირდვიესო. ბიჭები ცოტას ლაპარაკობდნენ, ისიც ჩურჩულით. დრო, ადგილი და ირგვლივ გამეფებული მდუმარება თითქოს ძალღონეს აცლიდა მათ. იპოვნეს ახლად მიწანაყრილი საფლავი, რომელსაც ეძებდნენ, და ამოეფარნენ სამ დიდ თელას, საფლავიდან ორიოდ ნაბიჯის დაშორებით. ასე იდგნენ და ელოდნენ ძალიან დიდხანს, როგორც მათ ეჩვენათ. შორს კიოდა ბუ და ეს ხმა იყო ერთადერთი, რომელიც არღვევდა მდუმარებას. ტომი ისე შეაწუხა ფიქრებმა, რომ საუბრის საჭიროება იგრძნო.

- ჰეკ, - დაიწყო ჩურჩულით. - მაშ, შენ გგონია, მიცვალებულები არ გაჯავრდებიან, აქ რომ მოვედით?

ჰეკლბერიმ ჩურჩულით უპასუხა:

- ვინ იცის! იქნებ ეგრეც იყოს! აქ ყოფნა საშიშია, არა?

- ოღონდაც!

კარგა ხნით ჩამოვარდა სიჩუმე: ორივე ამხანაგი ერთსა და იმავეზე ფიქრობდა: როგორ უყურებენ მიცვალებულები ჩვენს აქ მოსვლასო. ბოლოს, ტომმა წასჩურჩულა:

- გამიგონე, ჰეკ, როგორ ფიქრობ, ბებერ ცხენს, უილიამსს, ესმის ჩვენი ლაპარაკი?

- რასაკვირველია, ესმის. ყოველ შემთხვევაში, მისი სული მაინც გაიგებს.

ისევ დუმილი. მერე ტომმა თქვა:

- ვწუხვარ, რომ მას ბატონი უილიამსი არ ვუნოდე, მაგრამ მისი წყენა ხომ არ მინდოდა.

მას სულ ბებერ ცხენს ეზახდნენ.

- ფრთხილად უნდა იყო, ტომ, როცა მიცვალებულებზე ლაპარაკობ.

ამ შენიშვნამ ტომს საუბრის გაგრძელების ხალისი წაართვა. მაგრამ უცებ წაავლო ხელი თავის ამხანაგს.

- ჩუ!

- რა არის?

ორივეს გული აუკანკალდა და ერთმანეთს მიეკრნენ.

- ჩუ! კიდევ! ნუთუ არ გესმის?

- მე...

- აი, ახლა შენც გაიგონე.

- ტომ, მოდიან! ისინი არიან! რა ვქნათ ახლა?

- არ ვიცი. შენ გგონია დაგვინახავენ?

- ეჰ, ტომ, ისინი ხომ სიბნელეში კატასავით ხედავენ. ნეტავ, რად წამოვედი!

- ნუ გეშინია... მე გგონია, ისინი ხელს არ გვახლებენ. ჩვენ ხომ ცუდს არაფერს

ვაკეთებთ, თუ გავიტრუნებით, იქნებ სრულიადაც არ შეგვამჩნიონ.

- ვცადოთ... მაგრამ, ოჰ, როგორ მეშინია, მთლად ვკანკალე.

- ჩუ... ყური უგდე!

ბიჭებმა ხმა გაკმინდეს და უფრო მიეკრნენ ერთმანეთს, სასაფლაოს მეორე მხრიდან რაღაც ყრუ ხმები მოესმათ.

- შეხედე! - ჩასჩურჩულა ტომმა, - რა არის ეს?

- რაა? ეგ ჯოჯოხეთის ცეცხლია! ოჰ, ტომ, რა საშინელებაა!

სიბნელეში რაღაც გაურკვეველი აჩრდილები გამჩნდნენ; მათ წინ ძველებური თუნუქის ფარანი უთვალავ ნაპერწკალს აბნევდა მიწაზე.

- ეს აუცილებლად ეშმაკებია! - კანკალით წაჩურჩულა ჰეკლბერიმ. - სამია! დავიღუპეთ! შეგიძლია ილოცო?

- შემიძლია, მაგრამ ნუ გეშინია, ხელს არ გვახლებენ.

- ჩუ!

- რა არის, ჰეკ?

- ეს ადამიანებია! ყოველ შემთხვევაში, ერთი მათგანი მაინც. ის მოხუცი მეფ პოტერია.

მე ვიცანი მისი სახე.

- რას ამბობ. ეგ შეუძლებელია!

- ღმერთმანი, ვიცანი, შენ სული განაბე, ვერ დაგვინახავს, სად შეუძლია. მთვრალია, როგორც ყოველთვის, ეგ ბებერი ლოთი.

- კარგი, გავინაბები... აი, შეჩერდნენ. ეტყობა რაღაცას ეძებენ. ისევ აქეთ მოდიან. გამოგონე, ჰეკ, მეორე ხმაც ვიცანი, ეს ინდიელი ჯოა!

- რასაკვირველია, ეს წყეული მეტისია! უკეთესი კი იქნებოდა, ეშმაკები ყოფილიყვნენ. ნეტავი, რა უნდათ აქ?

მაგრამ უცებ ბიჭებმა ჩურჩულიც კი შეწყვიტეს, რადგან სამივე კაცი მოვიდა საფლავთან და ორიოდ ნაბიჯის მოშორებით შეჩერდნენ იმ ადგილიდან, სადაც დაიძალნენ ჩვენი გმირები.

- აქაა, - თქვა მესამემ და ასწია ფარანი ისე, რომ სინათლე მის სახეს მიადგა. ბიჭებმა იცნეს ახალგაზრდა ექიმი რობინსონი.

პოტერი და ინდიელი ჯო მოაგორებდნენ ურიკას, ზედ თოკები და ორი ბარი ენყო. მათ თავიანთი ტვირთი გადმოყარეს მიწაზე და მიეყრდნო ზუგით ერთ-ერთ თელას.

ის ისე ახლოს იყო, რომ ბიჭებს ხელის შეხებაც კი შეეძლოთ.

- აბა უჩქარეთ, ამბობდა ის ხმადაბლა. - თორემ სადაც არის, მთვარეც ამოვა.

მათ რაღაც ნაიბუბუტეს პასუხად და განაგრძეს თხრა. რამდენიმე ხანს არაფერი

ისმოდა, გარდა ნიჩბების ჭრიალისა, როცა მიწასა და ხრემს ყრიდნენ. ეს ხმა

შემანუხებელი იყო თავისი ერთფეროვნებით. ბოლოს, გაისმა ყრუ ხმა: ნიჩაბი კუბოს

მოხვდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მიწის მთხრელებმა ზევით ამოაგდეს კუბო. იმავე

ნიჩბებით ახადეს კუბოს თავი, ამოიღეს მიცვალებული და უხეშად დააგდეს მიწაზე, ამ

დროს მთვარეც ამოვიდა ღრუბლებიდან და გაანათა მიცვალებულის გაფითრებული

სახე.

მიცვალებული დადეს წინასწარ მომზადებულ ურიკაზე, გადააფარეს საბანი და მიაბეს თოკით. პოტერმა ამოიღო დიდი ჯიბის დანა და გადაჭრა თოკის ბოლო, რომელიც ძირს

დასთრევდა, და თან დააყოლა:

- აბა, შესრულებულია თქვენი დანყველილი სამუშაო, ახლა მოგვეცით კიდევ ხუთი

ოქრო, თორემ აქვე დავაგდებთ.

- ჭკვიანური ნათქვამია, - კვერი დაუკრა ინდიელმა ჯომაც.

- უკაცრავად! რას ნიშნავს ეს? - თქვა ექიმმა, - თქვენ ხომ ფული წინასწარ მოითხოვეთ

და მეც მოგვეცით.

- მართალია, მაგრამ თქვენთან სხვა ანგარიშებიც გვაქვს, - უპასუხა ჯომ და თან

მიუახლოვდა ექიმს, რომელიც ფეხზე წამოდგა. - ხუთი წლის წინათ თქვენ მე

გამომავდეთ მამათქვენის სამზარეულოდან, სადაც შემოვედი ლუკმაპურის

სათხოვნელად; თქვენ მომახსენეთ, რომ კარგი საქმისათვის არ ვიყავი მოსული; და

როცა მე დაგემუქრეთ, სამაგიეროს გადახდით. თუნდაც ასი წელიწადი გავიდეს-მეთქი,

მამათქვენმა ციხეში მიკრა თავი, როგორც მანანნალას. თქვენ გეგონათ, დამავინწყდა?

ტყუილად კი არა მაქვს ინდიელის სისხლი! ახლა თქვენ ჩემს ხელში ხართ და შემიძლია

ანგარიში გაგისწოროთ, ეს კარგად იცოდეთ!

ის ემუქრებოდა ექიმს და თან მუშტს უღერებდა. ექიმმა მოულოდნელად, ხელის ერთი

დარტყმით ძირს დასცა ინდიელი. პოტერს დანა გაუვარდა ხელიდან და შეჰყვირა:

- ეი, თქვენ, ჩემს ამხანაგს ხელს ნუ ახლებთ.

ის მივარდა ექიმს. ერთი წუთიც და მთელი ძალ-ღონით ეძგერნენ ერთმანეთს,

თელავდნენ ბალახს და ქუსლებით თხრიდნენ მიწას. ინდიელი ჯო წამოვარდა ფეხზე;

თვალები სიძულვილით უელავდა; დასწვდა პოტერის დანას, წელში მოიხარა, კატასავით

მიეპარა შებრძოლებულებს, გარშემო უტრიალებდა და უცდიდა მარჯვე დროს. უცებ,

ექიმი ხელიდან გაუსხლტა მონინაალმდეგეს, დასწვდა უილიამსის საფლავის ფიცარს და

ძირს დასცა პოტერი; იმავე წამს მეტისმა ისარგებლა შემთხვევით და ტარამდე ჩასცა

დანა გულში ახალგაზრდა კაცს. ექიმი დატოტრტმანდა, დაეცა პოტერს და ზედ თავისი

სისხლი დაანთხია. ამ წუთს ღრუბელი გადაეფარა მთვარეს და თვალს შეფარა ეს

საშინელი სურათი. შეშინებულმა ბიჭებმა თავქუდმოგლეჯილებმა მოკურცხლეს

სიბნელეში.

როცა მთვარემ კვლავ გამოანათა, ინდიელი ჯო თავს ადგა მიწაზე გართხმულ ორ

სხეულს. ექიმმა რაღაც გაუგებრად წაილაპარაკა, ორიოდეჯერ ამოიოხრა და მიყუჩდა.

- ჯანდაბას შენი თავი! - წაილაპარაკა მეტისმა, - ახლა ჩვენ ანგარიშგასწორებულნი

ვართ.

დაუნყო ჩხრეკა მკვდარს, დაუცარიელა ჯიბეები, საბედისწერო დანა ჩაუდო პოტერს

გაშლილ მარჯვენა ხელში და ჩამოჭდა კუბოზე. გავიდა ოთხი-ხუთი წუთი... პოტერი

გაინძრა და კვნესა აღმოხდა, ხელი მოუჭირა დანას, მიიტანა სახესთან, შეკრთა და

გააგდო ხელიდან. შემდეგ წამოჭდა, მოიშორა ექიმის გვამი, ამღვრეული თვალებით

მიმოიხედა გარშემო და მიაშტერდა მეტისს.

- ეს როგორ მოხდა, ჯო?

- საქმე ცუდადაა, - უთხრა მან ადგილიდან დაუძვრელად. - რად ჩაიღინე ეს?

- მე? მე რა შუაში ვარ.

- კარგი ერთი, ნუ მოყვები! ამით საქმეს მაინც აღარაფერი ეშველება.

პოტერი გაფითრდა და აკანკალდა.

- მე მეგონა, გამოვფხიზლდი. ნეტავ, რად დავლიე ამ საღამოს. ჯერაც თავი მიბრუნის, უარესად, ვიდრე მაშინ, როცა აქ მოვდიოდი. ყველაფერი ამერია. არაფრის გახსენება არ შემიძლია. მითხარი, ჯო, სინდისს გაფიცებ, მითხარი, მეგობარო, ნუთუ მე მოვკალი? მისი მოკვლა ხომ არ მსურვებია, არც კი მიფიქრია, გეფიცები პატიოსნებას. ჯო!

მითხარი, როგორ მოხდა? ოჰ, რა უბედურებაა! როგორი ახალგაზრდა და ნიჭიერი იყო...

- როგორ მოხდა? თქვენ ხომ ჩხუბი მოგივიდათ; მან ხელი წამოავლო ფიცარს და თავში დაგცხო; შენ დავარდი; შემდეგ წამოდექი ბარბაცითა და ტორტმანით, ამოიღე დანა და სწორედ მაშინ ჩაეცი გულში, როცა მეორედ დაგარტყა ფიცარი. ორივენი ძირს დაცვივდით და მას შემდეგ მკვდრებივით ეყარეთ.

- სულ არ მახსოვს, რა მოვიმოქმდე. მიწამ ჩამიტანოს აქვე, თუ ვტყუიდე! ეს ყველაფერი არაყმა მიყო, თანაც გავცეცხლდი შენს გამო... მე ხომ დანის ხმარება არც კი ვიცი. ჩხუბი შემხვედრია, მაგრამ ყოველთვის უდანოდ, მხოლოდ მუშტებით. ეგ ყველამ იცის. ჯო, გეთაყვა, მიმეგობრე, ნუ გამცემ! მომეცი სიტყვა, რომ არ გამცემ, ჯო! ხომ კარგი ადამიანი ხარ; მე ყოველთვის მიყვარდი, ყოველთვის მხარში გედექი. თვითონაც იცი... არავის ეტყვი, ჯო?

საცოდავი პოტერი მუხლებზე დაეცა ბილნი მკვლელის წინ და დაუნყო მუდარა. ჯო გულგრილად და უაზროდ შეჰყურებდა.

- კარგი, მეფ პოტერ, შენ ყოველთვის სინდისიერად მექცეოდი, და ამითივე გადაგიხდი. დამშვიდებული იყავი, აქ სალაპარაკო არაფერია.

- ჯო, შენ ანგელოზი ხარ! სულის ამოხდამდის შენზე ლოცვაში ვიქნები. - პოტერმა ტირილი დაიწყო.

- კარგი, გეყოფა! ახლა წუნუნის დრო აღარ არის. შენ აი, ამ გზით წადი. აბა ჩქარა, მე კი აქეთ წავალ, მხოლოდ ეცადე, კვალი არ დატოვო.

პოტერი ჩქარი ნაბიჯით გაეშურა, მერე კი გაიქცა, რაც ძალა ჰქონდა. მეტისი ერთხანს გაჰყურებდა მის კვალს, მერე ნაიბუტბუტა:

- თუ ისე გამოსულელებულია თავში დარტყმით და არყით, როგორც მომეჩვენა, მაშინ დანა სულ არ გაახსენდება. თუ მოაგონდა შორს წასულს, სასაფლაოზე ხელმეორედ მიბრუნებისა შეეშინდება, მას ხომ ქათმის გული აქვს.

რამდენიმე წუთის შემდეგ მოკლულს, საბანში შეხვეულ გვამს, თავახდილ კუბოს და გათხრილ საფლავს მხოლოდ მთვარეა დაჰყურებდა. ორგვლივ ისევ სრული სიჩუმე გამეფდა.

თავი მეათე

ბიჭები თავქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ ქალაქისაკენ. შიშით ენა ჩავარდნოდან. გაზე შეხვედრილი თითოეული ჯირკი ადამიანი ეგონათ და სული უგუბდებოდან. როდესაც განმარტოებულ ქოხებს გაუსწორდნენ და დაღვიძებული ძაღლების ყფა მოესმათ, მათ თითქოს ფრთები შეესხათ.

- ნეტავი ძველ სადაბალომდის მიგვადწევინა, ვიდრე ძალა მთლად გამოგვლევია! - ნაიჩურჩულა ტომმა და თან სულს ძლივს ითქვამდა, - მეტი აღარ შემიძლია!

ჰეკლბერი პასუხად მხოლოდ მძიმედ ქშინავდა; ბიჭები უკანასკნელ ძალას იკრებდნენ და თვალს არ აცილებდნენ ძველ ტყავის სახელოსნოს, საითაც ასე მიისწრაფოდნენ.

როგორც იქნა, მიაღწიეს მას, შედგნენ ღია კარში და მოფარებულ ადგილას ძირს დაცვივდნენ ღონემილეულნი და გახარებულები; თანდათან გონს მოვიდნენ, დამშვიდნენ

და ტომმა ჩასჩურჩულა:

- ჰეკ, როგორა გგონია, რა მოხდება?
- თუ ექიმი რობინსონი მოკვდება, მგონია, სახრჩობელა არ ასცდებათ.
- რას ამბობ?
- ნამდვილად ვიცი.

ტომი დაფიქრდა, მერე თქვა:

- მერედა, ვინ გასცემს მათ? ჩვენ?
- რას ამბობ? რამე რომ მოხდეს და ინდიელი ჯო არ ჩამოახრჩონ, მაშინ ხომ აუცილებლად დაგვხოცავს! მაშინ სიკვდილი არ აგვცდება! ეს ისევე აშკარაა, როგორც ის, რომ ახლა იატაკზე ვსხედვართ.

- მეც მაგრე ვფიქრობ, ჰეკ.

- თუ დასასმენია, დაე, ისევ მეფ პოტერმა დაასმინოს, იმისაგან ეს სისულელე მოსალოდნელია. ის ხომ ყოველთვის მთვრალია...

ტომმა არაფერი არ უპასუხა. ის ფირში წავიდა; ბოლოს წასჩურჩულა:

- ჰეკ, მეფ პოტერმა ხომ არც კი იცის, რა მოხდა, როგორ დაასმენს?
- როგორ თუ არ იცის?
- რასაკვირველია, არ იცის. ინდიელმა ჯომ დანა დაჰკრა ექიმს სწორედ იმ დროს, როცა ექიმმა თავში ჩაარტყა პოტერს. როგორ გგონია, დაინახავდა? გგონია, იმან რამე იცის?
- ღმერთმანი, ეგეც მართალია!
- გარდა ამისა, იქნება დარტყმისაგან მოხუცსაც ბოლო მოეღოს.
- არა, ტომ, ეგ შეუძებელია. ის ხომ ნასვამი იყო, მე მაშინვე შევამჩნე. ის ხომ ყოველთვის მთვრალია. როცა მამაჩემი მთვრალია, თავზე მთელი კოშკი რომ დაანგრეო, მაინც არაფერი მოუვა, თვითონვე ამბობს. რა თქმა უნდა, სწორედ ასევეა მეფ პოტერიც. ფხიზელი რომ ყოფილიყო, მაშინ კი რა მოგახსენო, ასეთი გამასპინძლებისაგან იქნება კიდევაც ფეხები გაეფშკა. თუმცა არც ეგ ვიცი.

ტომი კვლავ დაფიქრდა.

- ჰეკ, დარწმუნებული ხარ, რომ არ ნამოგვცდება?
- ძალაუნებურად პირში წყალი უნდა ჩავიგუბოთ. შენ თვითონ გესმის... ის წყეული მეტისი კატის კნუტებივით დაგვახრჩობს. თუ ეს ამბავი ნამოგვცდა და ინდიელი არ ჩამოახრჩვეს, მაშინ მშვიდობით! გამიგონე, ტომ! მოდი ერთმანეთს ფიცი მივცეთ, რომ კრინტს არ დავძრავთ.
- მე მზად ვარ, ჰეკ... ეგ ყველას სჯობია. აბა, ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელი და დავიფიცოთ, რომ...
- ოჰ! არა, ასე არ გამოდგება. ასე შეიძლება მხოლოდ უბრალო საქმეში, განსაკუთრებით, გოგონებთან, რადგანაც ისინი ბოლოს და ბოლოს, სულ ერთია, ნამოყრანტალებენ, როცა ჩავარდებიან. ასეთ საქმეში კი აუცილებელია ფიცი დაინეროს და თანაც სისხლით.

ტომმა სულითა და გულით მოუწონა ეს აზრი. ეს უფრო შიშისმომგვრელი საიდუმლოებითა და სიბნელით იყო მოცული. მთვარის სინათლეზე მოძებნა ხის ქერქი, ჯიბიდან ამოაცოცა სურინჯის ნატეხი, დაჭდა ისე, რომ სინათლე ხის ნატეხს მისდგომოდა და დიდის გაჭირვებით დაჭდაბნა შემდეგი სტრიქონები; თანაც ენის წვერს იკვნეტდა, როცა მსხვილი ხაზები გამოჰყავდა, როცა წვრლ ხაზებს წერდა, ენას გარეთ ჰყოფდა. ჩვენ, ჰეკ ფინი და ტომ სოიერი ფიცსა ვდებთ, რომ პირში წყალს ჩავიგუბებთ, კრინტსაც არ დავძრავთ ამ საქმეზე და მინამ გვიყოს პირი, თუ ერთი სიტყვაც კი ნამოგვცდეს. ჰეკლბერი აღტაცებული იყო ტომის წერით და მჭერმეტყველებით. გამოიძრო საყელოდან ქინძისთავი და, ის იყო, უნდა ეჩხვლიტა თითში, რომ ტომმა შეაჩერა:

- მოიცადე, მაგით არ შეიძლება, ქინძისთავი თითბრისაა და შეიძლება ჟანგარო პქონდეს!

- ჟანგარო? ეგ რაღა ჯანდაბაა?

- სანამლაკია. ერთი ციცქნაც რომ ჩაყლაპო, იცი, რას გიზამს?!

ტომმა თავის ერთ-ერთ ნემსს ძაფი მოაცილა, ორივემ რიგრიგობით იჩხვლიტა ნემსი თითში და გამოიძინეს თითო წვეთი სისხლი. რამდენჯერმე გაიმეორეს ასე. ტომმა ნეკის ფრჩხილი გამოიყენა კალმის წვერად, და როგორც იყო, გამოიყვანა თავისი სახელისა და გვარის დასაწყისი ასოები, შემდეგ ასწავლა ჰეკლბერისაც, როგორ უნდა დაეწერა პ. და ფ. და ამგვარად შეიკრა პირობა. სხვადასხვაგვარი ფიცითა და შელოცვებით ჩაფლეს ხის ქერქი კედლის ძირში. უკანასკნელად თქვეს: “კლიტე შენ, კლიტე შენ, გასაღები ღმერთს”, და ამგვარად დააბეს თავიანთი ენები.

დანგრეული შენობის მეორე ბოლოში ადამიანის ჩრდილმა გაიელვა, მაგრამ ბიჭებმა ვერ შეამჩნიეს.

- ტომ, - ნასიურხულა ჰეკლბერიმ, - შენ დარწმუნებული ხარ, რომ ამის შემდეგ არაფერს წამოვროშავთ?

- რასაკვირველია, დარწმუნებული ვარ. რაც არ უნდა მოხდეს, დუმილი გვმართებს, თუ არა და გათავდა ჩვენი საქმე. განა დაგავინცდა?

- ჰო, ეგ ეგრეთა.

მათ განაგრძეს ჩურჩული. უცებ, სულ ახლოს, სულ ათიოდე ნაბიჯზე გაისმა ძაღლის გულშემბარავი გაბმული ყმუილი. ბიჭები შეშინდნენ და ერთმანეთს მიეკრნენ.

- ჩვენგან ნეტავი რომელი ჰყავს მიზანში ამოღებული, - ნასიურხულა სულშეგუბებულმა ჰეკლბერიმ.

- არ ვიცი! გაიხედე ჭუჭრუტანაში! ჩქარა!

- არა. შენ გაიხედე!

- არ შემიძლია, მე არ შემიძლია, ჰეკ!

- გეთაყვა, ტომ... გესმის, კიდევ...

- ოო! როგორ მიხარია! - ნასიურხულა ტომმა, - ვიცანი ყფაზე; ეგ ძაღლი ჰარბისონისაა.

- მადლობა ღმერთს! მე შიშით გული გამისკდა, მანანნალა ძაღლი მეგონა. ად დროს ძაღლმა კვლავ დაიყმუვლა. ბიჭებს ისევ შეეშინდათ.

- არა, ეს ძაღლი ჰარბისონის არ არის, - ნასიურხურხულა ჰეკლბერიმ, - კიდევ გაიხედე, ტომ!

ტომი შიშისაგან კანკალებდა, მაგრამ, როგორც იყო, გაიხედა ჭუჭრუტანაში და ოდნავ გასაგონი ხმით წარმოთქვა:

- ოო, ჰეკ, მანანნალა ძაღლია!

- კარგად შეხედე, ტომ, ვის შეჰყმუის?

- ალბათ ორივეს. ჩვენ ხომ ერთმანეთთან ახლო ვართ.

- ვაი, ტომ, დაველებეთ. მე კი ვიცი, სადაც მოვხვდები. ცოდვილი ვარ...

- მე? ახია ჩემზე, ერთთავად სკოლიდან ვიპარები და სწორედ იმას ვაკეთებ, რასაც მიკრძალავენ... მეც შემეძლო ისეთივე გამგონი და კარგი ვყოფილიყავი, როგორიც სიდიია, რომ ვცდილიყავი; მაგრამ როდი მიცდიია... თუ ახლა როგორმე გადავრჩი, საკვირაო სკოლიდან ფეხს არასოდეს მოვიცვლი.

ტომი ჩუმად აზლუქუნდა.

- შენ ამბობ, ცოდვილი ვარო? - და ჰეკლბერიც აზლუქუნდა, - შენ და ცოდვილი? შენ ანგელოზი ხარ ჩემთან შედარებით. ღმერთო, ღმერთო, ნეტავ ცოტათი მაინც გგავდე. ტომმა ცრემლები გადაყლაპა და ნასიურხულა:

- უყურე, ჰეკ, უყურე! - ის ჩვენგან ზურგშექცევით ზის.

ჰეკი გახარებული მივარდა ჭუჭრუტანას.

- მართალია, ზურგშექცეულია... წინათ ასე იჯდა?

- ჰო, მე სულელმა კი ყურადღება არ მივაქციე. ეს ჩინებულია! ნეტავი ვის შეჰყმუის? ძაღლმა ყმუილი შეწყვიტა. ტომმა ყურები ცქვიტა.

- ჩუ! ეს რაღაა? - ნასიურხულა მან.

- თითქოს... თითქოს ღორები ღრუტუნებენ. არა, ვიღაცა ხვრინავს, ტომ!

- ხვრინავს? მერე სადა ხვრინავს, ჰეკ?

- ალბათ, იქ, შენობის ბოლოში. ყოველ შემთხვევაში, ხვრინვა თითქოს იქიდან ისმის. მამაჩემი ზოგჯერ აქ იძინებდა, ღორებთან; მაგრამ ეს მამა არაა. ღმერთმა დაგიფაროს, იმან რო ხვრინვა იცის... გარდა ამისა, მგონია, ის აღარასოდეს დაბრუნდება ამ ჩვენს პატარა ქალაქში.

ბიჭები კვლავ გახალისდნენ.

- ჰეკ, წამომყვები იქ?

- გული არ მიმინევს, ტომ, იქნებ იქ ინდიელი ჯოა?

ტომი შეშინდა. მაგრამ ცთუნება ძლიერი იყო და ბიჭებმა გადანყვიტეს ნასვლა, იმ პირობით, რომ იმწამსვე უკან გამობრუნდებოდნენ, თუკი ხვრინვა შეწყდებოდა. ფეხაკრებით მიყვნენ ერთმანეთს. მიეპარნენ მძინარეს. არ გაევილოთ რამდენიმე ნაბიჯი, რომ ტომმა ფეხი დაადგა ჯოხს. ჯოხი ხმაურით გადატყდა. მძინარემ დაიგმინა, გადაბრუნდა და მთვარის სინათლე მიასდგა სახეზე. ეს იყო მეფ პოტერი. ბიჭებს სისხლი გაეყინათ და ერთ ადგილზე გაშეშდნენ, როცა მძინარე გაინძრა; მაგრამ ახლა შიშმა გადაუარათ. ასევე ფეხაკრეფით გაძვრნენ დანგრეულ კედელში და შეჩერდნენ ერთმანეთთან გამოსამშვიდობებლად; მაგრამ ამ დროს ისევ გაისმა ბოროტის მომასწავებელი და გაჭიანურებული ყმუილი. ორივემ ერთად მიიხედა და დაინახეს ძაღლი, რომელიც პოტერისაგან ორ ნაბიჯზე იდგა, თავი მისკენ მიებრუნებინა და თავანული ყმუოდა.

- ღმერთო, აი თურმე ვის შეჰყმუის! - ერთხმად წამოიზახეს ბიჭებმა.

- იცი, ამბობენ, რომ ჯონი მილერის სახლთან მანანწალა ძაღლი ყმუოდა შუალამისას, უკვე ორი კვირაა მას შემდეგ. სწორედ იმავე ღამეს აივნის მოაჯირზე ღამის ჩიტიც შემომკვდარა და გალობა დაუნყია. ჰოდა, ჯერ აქამდის იმ სახლში არავინ არ მომკვდარა.

- ვიცი. მერე რა, რომ არ მომკვდარა! განა გრესი მილერი იმ შაბათს ღუმელში არ ჩავარდა და არ შეიტრუსა?

- კი, მაგრამ, ხომ არ მომკვდარა? პირიქით, ის უკვე კარგად ხდება.

- მოიცა, კარგი, მაგასაც დაინახავ.. სულ ერთია, ის ვეღარ გამოკეთდება, მისი საქმე წასულია, ისევე, როგორც მეფ პოტერისა. ზანგები ასე ამბობენ და იმათ კი ეს საქმე კარგად იციან, ჰეკ.

შეფიქრიანებული ბიჭები ერთმანეთს დაშორდნენ.

როცა ტომი თავის საწოლ ოთახში გადაძვრა, განთიადი თითქმის ამოტანებული იყო. ფრთხილად გაიხადა ტანისამოსი და სწრაფად ჩაიძინა. უხაროდა, რომ ვერავინ შეიტყო მისი ღამის მოგზაურობა. მას სრულიად ვერ შეამჩნია, რომ სიძს, რომელიც მშვიდად ხვრინავდა, არ ეძინა, ერთი საათის წინ გაღვიძებოდა.

როცა ტომმა თვალები გაახილა, სიდი დიდი ხნის ამდგარი და წასული იყო. ოთახში შემოსული სინათლითა და ჰაერთაც კი იგრძნობოდა, რომ უკვე გვიან იყო. ტომს უკვირდა, რატომ არ გააღვიძეს, რატომ არ ჩააფიქრებინა, ადექო, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა? ტომი შეშფოთდა; ეს კარგს არას მოასწავებდა. ხუთ წუთში ჩაიფიცა და ძირს ჩავიდა, თუმცა ისევ ეძინებოდა და დაღლილობას გრძნობდა. მთელი ოჯახი იქ დახვდა. ყველა მაგიდასთან იჯდა, თუმცა საუბრე უკვე გაეთავებინათ. არავინ არ გასწვრობია, არც არავის შეუხედავს მისთვის. ყველა სდუმდა და ყველას ისეთი დაძაბული გამომეტყველება ჰქონდა, რომ დამნაშავეს გული გაუსკდა შიშისაგან. დაჯდა და ცდილობდა მხიარული ყოფილიყო, მაგრამ ამაოდ! იმისი ხუმრობა ღიმილს არავის ჰკვირდა, ტომიც გახუმდა და გული შეეკუმშა სევდისაგან.

საუბრის შემდეგ დეიდამ გვერდზე გაიხმო; ტომი თითქმის გამხიარულდა კიდევ იმ იმედით, რომ საქმე მხოლოდ წკეპლით გათავდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. დეიდამ ტირილი დაიწყო, როგორ არ გებრალეები, მოხუცებულს გულს ასე რატომ მიკლავო; ბოლოს დაატანა, ახალ შეგიძლია ის ჩაიძინო, რაცა გსურს: დაიღუპო თავი, მოხუცებული დეიდას სიცოცხლე მოუსწრაფო, სულ ერთია, შენი გამოსწორების იმედი აღარა მაქვს და ამის იქით აღარც შევეცდებიო. ეს ათას წკეპლაზე უარესი იყო და ტომს გული უფრო სტკიოდა, ვიდრე მოქანცული სხეული: თვითონაც ატირდა, სთხოვა პატიება, მისცა გამოსწორების პირობა. ბოლოს დეიდამ გაუშვა, მაგრამ ტომი გრძნობდა, პატიება სრული არ იყო და დეიდა აღარ ენდობოდა მას. ტომი გავიდა. ისე იყო გასაცოდავებული, რომ არც კი მოჰფიქრებია მუშმუშელა სიდიისთვის სამაგიეროს გადახდა. ისე რომ, ამ უკანასკნელმა ტყუილად მოარიდა თავი და გაიპარა უკანა კარიდან. ტომი სკოლაში მივიდა დამძარებული, გულჩათხრობილი. ჰარპერთან ერთად ტომიც დასაჯეს სკოლიდან გაპარვისათვის, მაგრამ სასჯელი სრულიად გულგრილად გადაიტანა, რადგან გული დარდითა და ვარამით ჰქონდა სავსე და ამისთანა უმნიშვნელო რამე რას წარმოადგენდა მისთვის! თავისი ადგილისაკენ გაემართა. დაჯდა, იდაყვით დაეყრდნო მერხს და ისეთი დამწუხრებული სახით მიაჩერდა კედელს, გეგონებოდათ, მეტი სატანჯველის ატანა აღარ შეუძლიაო. იდაყვი რაღაც მაგარ საგანს დაადო და ეტკინა. მაგრამ მალე არ გაინძრა, ამოიოხრა და აიღო იგი. ნივთი ქალაქში იყო გახვეული. ტომმა გახსნა; ღრმა, გრძელი, შემანუხეხელი ოხვრა აღმოხდა და გული საშინლად ეტკინა. ეს იყო მისი სპილენძის ბურთულა! ამ ბუმბულივით მსუბუქმა ტვირთმა მოლუნა სპილოს ზურგი.

თავი მეთერთმეტე

შუადღემდე ქალაქში უკვე გავრცელდა საშინელი ამბავი. ტელეგრაფიც კი არ იყო საჭირო, რომელზეც იმ დროს ოცნებაც არ შეიძლებოდა, ისე სწრაფად გადადიოდა ეს ახალი ამბავი ერთი ადამიანიდან მეორეზე, ცნობისმოყვარეთა ერთი ჯგუფიდან მეორეზე, სახლიდან სახლში. ცხადია, მოსწავლეებიც დაითხოვეს. მთელი ქალაქი განცვიფრდებოდა, მასწავლებელი ასე რომ არ მოქცეულიყო. მოკლულთან იპოვეს

გასისხლიანებული დანა. ვიღაცას უცვნია, მეფ პოტერისააო. იმასაც კი ამბობდნენ, რომ იმ ღამეს, დაახლოებით ორ საათზე, ერთ დაგვიანებულ მგზავრს ენახა პოტერი, თურმე ხელ-პირს იბანდა მდინარეში. პოტერი იმ კაცის დანახვისთანავე გაპარულიყო. ეს გარემოება მეტად საეჭვოდ მოეჩვენათ, განსაკუთრებით ხელ-პირის დაბანა, რაც პოტერისათვის უჩვეულო იყო. იმასაც ამბობდნენ, რომ პოლიციამ მთელი ქალაქი გადააპრიალა “მკვლელის” ძებნაში, მაგრამ კვალს ვერ მიაგნო. გზებზე ყველა მიმართულებით დაგზავნეს მხედრები და შერიფი დარწმუნებულია, დამნაშავეს საღამომდე დაიჭერენო.

მთელი ქალაქი სასაფლაოსკენ გაემართა. ტომს გადაავიწყდა თავისი დარდი და ხალხს შეუერთდა. არა იმიტომ, რომ მას ეს უნდოდა: მას ერჩია ათასი მილით შორს ყოფილიყო აქედან, მაგრამ რაღაც გაურკვეველი ძალა იზიდავდა იქითკენ. როცა მივიდა, ხალხში გაძვრა-გამოძვრა და კვლავ დაინახა საშინელი სანახაობა. მას ეგონა, ნუხანდელს აქეთ მთელმა საუკუნემ გაიარაო. ვიღაცამ უჩქმიტა ხელზე. მიიხედა: მის გვერდით იდგა პეკლბერი. მერე სხვადასხვა მხარეს გაიხედეს, ეშინოდათ, არაფერი შეგვამჩნიონო, მაგრამ ყველა გატაცებული იყო ამ საშინელი სანახაობით და მათთვის არ ეცალათ.

“საცოდავი ახალგაზრდა!” “სანყალი!” “აი, კარგი გაკვეთილი გვამების მომტაცებლებისათვის”, “პოტერს ჩამოხრჩობა არ ასცდება, თუ დაიჭირეს”.

ასეთი იყო საერთო აზრი. მოზღვარმა თქვა:

- ეს ღვთის სამსჯავროა. ამაში უზენაესის ხელია ჩარეული.

ტომი მთლიანად კანკალმა აიტანა, როცა შორიასლო დაინახა ინდიელი ჯოს გაქვავებული სახე. სწორედ ამ დროს ხალხი ამოძრავდა, ერთმანეთს მიანვა და გაისმა ხმები:

- ის არის, ის, თვითონვე მოდის!
- ვინ, ვინ ის? - დაიძახა ოციოდე ხმამ ერთად.
- მეფ პოტერი!

- უყურეთ, შეჩერდა. აი, მიტრიალდა! დაიჭირეთ, თორემ წავა!

ხეზე მსხდარმა მოლაყებებმა, რომელნიც ტომს თავზე დასცქეროდნენ, აცნობეს ხალხს, რომ პოტერს არც უფიქრია გაქცევა, ის მხოლოდ დაბნეულია, არ იცის, რა ქნასო.

- გაუგონარი თავხედობაა!.. - დაიძახა ვიღაცამ ხალხიდან, - დამშვიდებული მოვიდა თავისი ნამოქმედარის სანახავად და არ მოელოდა, რომ აქ ვინმე დახვდებოდა.

ბრბომ გაიწია. საფლავთან ამაყად მივიდა შერიფი და ხელდაჭერილი მიიყვანა პოტერი. საცოდავი სახეზე შემლილიყო და თვალეში საშინელი შიში ჩასდგომოდა. მოკლულის დანახვაზე მთლად კანკალმა აიტანა, თვალეებზე ხელები მიიფარა და აქვითინდა:

- მე არ მომიკლავს, მეგობრებო, - ამბობდა ქვითინით, - პატიოსნებას გეფიცებით, მე არ მომიკლავს.

- და მერე შენ ვინ გაბრალებს? - დაიძახა ვიღაცამ. ტყვია მიზანში მოხვდა. პოტერმა თავი ასწია და უმწეოდ მიმოიხედა გარშემო. დაინახა ინდიელი და შესძახა:

- ოჰ, ინდიელო ჯო, შენ ხომ დამპირდი, რომ არასოდეს...

- ეს თქვენი დანაა? - შეანყვეტინა შერიფმა და თითქმის ცხვირთან მიუტანა სასიკვდილო იარაღი.

პოტერი დაეცემოდა, ხელი რომ არ მიეშველებინათ და ისე არ დაესვათ მიწაზე. შემდეგ მან განაცხადა:

- რაღაც ჩაძახოდა, იქ თუ არ მიხვალ და... - ერთი შეაკანკალა და უიმედოდ ჩაიქნია ხელი, თან დააყოლა: - უთხარი ამათ, ჯო, რაღას უცდი...

პეკლბერის და ტომს ენა დაებათ შიშისაგან, შეჰყურებდნენ მკვლელს. ეს მოურჯულებელი ცრუპენტელა კი სრულიად უსირცხვილოდ უყვებოდა ხალხს თავის მიერ მოგონილ მკვლელობას. ამ მოწმენდილ ამინდში ბიჭები ყოველ ნუთს ელოდნენ დაქუხებას, რათა მეხი დასცემოდა მკვლელს და თან უკვირდათ, ასე რატომ იგვიანებდა ღვთის რისხვა. როცა დაასრულა ლაპარაკი და ჯო კვლავ უვნებელი დარჩა, ბიჭებს სრულიად გაუქრათ სურვილი დაერღვიათ ფიცის უდანაშაულო პოტერის დასახსნელად. დაასკვნეს: ალბათ, ამ ბოროტმა კაცმა სული მიჰყიდა ეშმაკს და სადაც ეშმაკი ჩაერევა, იქ ადამიანი აღარ უნდა გაეკროს, თორემ კარგი დღე არ დაადგებაო.

ვიღაცა შეეკითხა პოტერს:

- რატომ არ გაიქეცი და არ დაიშალე? აქ რად მოხვედი?
- სხვანაირად არ შემეძლო მოვქცეულიყავი! - ამოიგმინა პოტერმა, - გაქცევა მინდოდა, მაგრამ ფეხებმა თვითონ მომიყვანეს!

და კვლავ აქვითინდა.

ინდიელმა ჯომ უშფოთველად გაიმეორა თავისი ჩვენება რამდენიმე ნუთის შემდეგ ფიცქვემ და, ბიჭებმა რომ დაინახეს, მეხი მაინც არ დაეცა, საბოლოოდ დარწმუნდნენ,

მეტისმა სული ეშმაკს მიჰყვიდაო. ახლა სწორედ ეს კაცი გახდა მათთვის ყველაზე საინტერესო, სწორედ ამიტომ იყო, თვალს აღარ ამორებდნენ. გულში გადანყვიტეს, ღამლამობით ეთვალთვალათ მისთვის, იქნებ, თვალის მოეკრათ მისი შემზარავი ბატონის - ეშმაკისათვის.

ინდიელი ჯო მიეხმარა ხალხს გვამის ანეკასა და ურიკაზე დადებამი. შიშით აცახცახებულ ხალხში გაისმა ჩურჩული: მოკლულს ჭრილობიდან სისხლი წამოუვიდაო. ბიჭებმა იფიქრეს, რომ ამ ბედნიერმა შემთხვევამ ეჭვი შეიძლება სწორი მისამართით წარმართოსო, მაგრამ ძალიან შენუხდნენ, როცა რამდენიმე მოქალაქემ აღნიშნა: - სისხლი იმითომ წამოვიდა, რომ მეფე პოტერი მოკლულისაგან სამ ნაბიჯზე იდგა. საშინელი საიდუმლო და სინდისის ქენჯნა ერთი კვირის განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდა ტომს და ღამე სულ არ ეძინა, ერთხელ კი დილით, საუზმის დროს, სიდმა უთხრა:

- ტომ, მთელ ღამეებს ტრიალებ და ძილში იმდენს ლაპარაკობ, რომ ვეღარ ვიძინებ... ტომი გაფითრდა და თვალები დახარა.

- ეგ ცუდი ნიშანია, - სერიოზულად თქვა დეიდა პოლიმ, - რა განუხებს, ტომ?

- არაფერი, სრულიად არაფერი!

თან ბიჭს ხელები აუკანკალდა, ისე, რომ ყავა დაღვარა.

- თანაც რამდენ სისულელესა ბოდავ, - განაგრძო სიდმა. - ნუხელის ამბობდი: “ეს სისხლია, სისხლი, აი, რა არის!” შემდეგ სულ ერთსა და იმავეს იმეორებდი: “ნუ მანვალეობთ, ისე ვიტყვი”. რა უნდა თქვა, ტომ?

ტომს ეჩვენებოდა, რომ მისი მეგობრები არასოდეს არასოდეს არ დაანებებდნენ თავს სასამართლო ძიებას დამხრჩვალ კატებზე და იგი ვერ დაივიწყებდა იმას, რაც ანუხებდა. სიდმა შეამჩნია, რომ ტომი არასოდეს არ ასახიერებდა გამომძიებელს, თუმცა უნინ ყოველთვის პირველობას ჩაემობდა ყველა საქმეში. ისიც შეამჩნია, რომ ტომი არც მონმედ დგებოდა, - ეს კი მეტად ეუცნაურებოდა. არც ის გამორჩენია მხედველობიდან, რომ ტომს ამკარად ეზიზღებოდა ამგვარი გამომძიებები და შეძლებისდაგვარად თავიდან იცილებდა მათ. სიდს ეს აკვირვებდა, მაგრამ ხმას არ იღებდა, ბოლოს, როგორც იქნა, ეს გამომძიებანი გამოვიდა მოდიდან და შეწყდა ტომის წამებაც.

მთელი ეს ხანი ტომი ყოველდღე, ან დღეგამოშვებით, როგორც კი შესაფერ დროს იპოვიდა, მირბოდა საპატიმროს სარკმელთან, “მკვლელს” ჩუმად უყრიდა სხვადასხვა სასუნნავს, რისი შოვნაც კი შეეძლო. ციხის შენობა არ იყო დიდი, აგურით იყო ნაშენები ჭაობთან, ქალაქკარეთ. ყარაულები არ ჰყავდა, რადგანაც იშვიათი იყო ტუსალები. სანოვაგის ბიძვა ტომს სინდისს უმშვენებდა. ამ ქალაქის მცხვრებთ გულით უნდოდათ დაესაჯათ ინდიელი ჯო მიცვალებულის მოპარვისათვის; სურდათ, ნაესვათ კუპრი, ბუმბულში ამოეგანგლათ, სარზე შეესვათ და ისე ეტარებინათ, მაგრამ იგი ყველას ისეთ შიშს ჰგვრიდა, რომ ამ საქმის წამომწყები არავინ აღმოჩნდა. ამიტომ ეს სურვილი უშედეგოდ დარჩა. ორივე ჩვენების დროს ჯო ამბავს ინყებდა პირდაპირ ჩხუბიდან და კრინტსაც არ ძრავდა იმის შესახებ, რომ ჩხუბს წინ უსწრებდა საფლავის შელახვა; ამიტომაც ამჟობინეს, ამ საქმის გარჩევა ჯერჯერობით გადაედოთ.

თავი მეთორმეტე

ტომს ახალი დარდი გაუჩნდა და ძველი დაავიწყდა; ბეკი თეტჩერი სკოლაში აღარ დადიოდა. ტომი დიდხანს ებრძოდა თავის თავს, ცდილობდა ჩაეკლა სევდა, მაგრამ არ შეეძლო. საღამომობით დაინყო მის სახლთან ხეტიალი და თავს მეტად უბედურად თვლიდა. ბეკი ავად იყო. “რომ მოკვდეს”, - ამ აზრს სიგიჟემდე მიჰყავდა. სიცოცხლის მთელი სილამაზე გაქრა. დარჩა მხოლოდ ერთფეროვნება. თავისი სერსო და ჯოხიც კი გადააგდო. აღარაფერი ახალისებდა.

დეიდა შეაფიქრიანა ტომის ჯანმრთელობამ და დაინყო ნაირნაირი წამლების გამოცდა. ის ისეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც უყვარდათ ყოველგვარი ცნობილი წამლები, ახლად აღმოჩენილი საშუალებები. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც კი ჯანმრთელობას რგებს. თავისი ცდებით უკიდურესობამდე მიდიოდა. როგორც კი ახალი რამ გამოჩნდებოდა, ეშურებოდა გასინჯვას, მაგრამ თავის დროზე არა, რადგანაც არ აკადმყოფობდა, არამედ იმაზე, ვინც კი მოხვდებოდა ხელთ. იგი ინერდა ყველა

სამედიცინო ჟურნალს, ფრენოლოგთა ყალთაბანდურ ბროშურებს და ნეტარებად ეჩვენებოდა ეს წარმოუდგენელი უმეცრება, რაც იქ ეწერა. ურღვევ ჭეშმარიტებად მიაჩნდა მათი ნაბოღვარი ოთახში ჰაერის განმენდაზე, ლოგინში ჩანოლასა, ლოგინიდან ადგომაზე, რა ჭამო, რა სვა, რამდენი ისეირნო, როგორი განწყობილება იქონიაო, როგორი ტანისამოსი ატარო. იგი ვერასდროს ვერ ამჩნევდა, რომ ამ თვეში მიღებული ჟურნალები სულ ერთიანად უარყოფდნენ იმას, რასაც წინათ თვითონვე გირჩევდნენ. მეტად პატიოსანი და გულუბრყვილო ქალი იყო და ამიტომაც, ადვილად ხდებოდა მათი სიცრუის მსხვერპლი. აგროვებდა ყველა ყალთაბანდურ ჟურნალსა და ნამალს და, ხატოვნად რომ ვთქვათ, სიკვდილით შეჭურვილი მიაგელვებდა ფერმიხდილ რაშს, უკან კი ჯოჯოხეთის ძალთა მთელი ამალა მისდევდა. ფიქრადაც კი არ მოსდიოდა, რომ თავისი წამებული მეზობლებისათვის ის არც მკურნალი ანგელოზი იყო და არც პანაანის მალამო.

იმ დროს ახლად იკიდებდა ფეხს წყლით მკურნალობა და ტომის უგუნებობა დეიდა პოლისთვის სწორედ მისწრება გამოდგა. ლოგინიდან განთიადზე აყენებდა, გაჰყავდა შემის სანყობში, ტანზე ასხამდა ცივ წყალს, შემდეგ დაუნყებდა ხეხავას ქლიბის პირივით უხეში პირსახოცით და უნითლებდა ტანს; ბოლოს, შეახვევდა სველ ბენარში და დაახურავდა თბილ საბანს, რომ ოფლი მოსვლოდა. სანყალი ტომი ისე ოფლიანდებოდა, რომ მისი თქმისა არ იყოს, “ოფლთან ერთად სულიც ძვრებოდა”.

მიუხედავად ამისა, ბიჭი თანდათან ფერს ჰკარგავდა, ხდებოდა და ისევ უგუნებოდ იყო. დეიდამ ამ მკურნალობას მიუმატა ცხელი აბაზანები: ფეხებს ცალკე უყოფდა ცხელ წყალში, თავზე ცალკე ასხამდა, ტანზე კიდევ ცალკე. ბავშვს მაინც არაფერი ეშველა. დეიდამ წყლით მკურნალობას ახლა დიეტაც დაურთო: აჭმევდა მოხარშულ შვრიას და ტანზე აკრავდა მდოგვნასმულ 76-79 ქაღალდს. გეგონებოდათ, რამე ჭურჭელიაო, ყოველდღე ასხამდა აუარება სხვადასხვა ნამალს.

ტომი თანდათან გულგრილობას იჩენდა ყველაფრისადმი და ამან უფრო შეაფიქრიანა მოხუცი. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, აუცილებელი იყო ბავშვის გამოყვანა ასეთი მდგომარეობიდან. სწორედ ამ დროს პირველად გაიგო, რომ იყიდებოდა ახალი ნამალი - “ტკივილთა გამაყუჩებელი” და იმნამსვე გამოიწერა დიდი რაოდენობით. გასინჯა თვითონ გემოთი და დიდად კმაყოფილი დარჩა! ეს იყო ნამდვილი ცეცხელი, სითხის სახით! წყლით მკურნალობა სრულიად მიატოვა და მთელი იმედი დაამყარა ახალ სამუალებებზე. მან ტომს დაალევინა სავსე ჩაის კოვზი და საშინელი გულის ფანცქალით ელოდა შედეგს. მოხუცი, როგორც იქნა, დამშვიდდა, რადგანაც ბავშვს უხალისობა მაშინვე გაუქრა. ბავშვი რომ გაღვივებულ ნაკვერცხალზე დაესვათ, ისიც კი არ იმოქმედებდა ამაზე მეტად.

ახალა კი მიხვდა ტომი, რომ დრო იყო, გამოფხიზლებულიყო. ასეთი ცხოვრება შესაძლოა შეეფერებოდა კიდევ მის გამწყობილებას, მაგრამ მეტად მცირე სულიერ საზრდოს შეიცავდა და მომაბეზრებელი მრავალფეროვნებით იყო სავსე. ის ყოველგვარ სამუალებას იგონებდა, რომ განთავისუფლებულიყო და ბოლოს გადაწყვიტა, თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს “ტკივილთა დასმაყუჩებელი” მეტად მოსწონდა. ისე ხშირად დაუნყო ამ ნამლის თხოვნა, რომ ბოლოს დეიდას მობეზრდა და დაავალა, თვითონ დაეღია იგი და მოხუცი აღარ შეეწუხებინა. ეს რომ სიდი ყოფილიყო, მთლიანად დაენდობოდა, მაგრამ რადგან ტომი იყო, ამიტომ ნამლის შუშას თვალყურის დევნება დაუნყო ჩუმ-ჩუმად. ნამალი მართლაც თანდათანობით ცოტავდებოდა და მოხუცი აბა, რას იფიქრებდა, რომ ტომი სასადილო ოთახის იატაკის ჭურჭუტანებს ჰკურნავდა ამ ნამლით.

ერთხელ, ის იყო ნამალი უნდა ჩესხა იატაკის ნახვრეტში, რომ ტომს მიუახლოვდა დეიდას ყვითელი კატა კრუტუნით და ისე თვალხარბად შესცქეროდა კოვზს, თითქოს სთხოვდა, გემო გამასინჯეო.

- ოჰ, პიტერ, ნუ მთხოვ, თუ არ გესაჭიროება.

მაგრამ პიტერმა აგრძნობინა, - მინდა განვსინჯო.

- იცოდე, არ ინანო.

პიტერს იმედი ჰქონდა, რომ არ ინანებდა.

- რადგანაც ასე მთხოვ, დაგალევინებ, მე ხარბი არა ვარ; მაგრამ იცოდე, თუ არ მოგენონება, შენს თავს დაემდურე.

პიტერი დათანხმდა; ტომმა გაულო პირი და და ჩაასხა მთელი კოვზი ნამალი. პიტერი ორ ადგილზე შეხტა, ხმამაღლა დაჩხავლა და ოთახში დაპრონიალდა. აწყდებოდა ავეჯს, ყვავილების ქოთნები გადმოაპირქვავა და მთლად აურდაურია იქაურობა. შემდეგ უკანა ფეხებზე შედვა და მოჰყვა ცეკვას თავდავინწყებით, თავი გვერდზე გადახარა და მთელ სახლს აყრუებდა მისი შმაგი მხიარულება. შემდეგ კვლავ დაპრონიალდა და ყირალამა

დააყენა ყველაფერი. დეიდა პოლი სწორედ იმ დროს შემოვიდა, როდესაც კატა რამდენჯერმე თავდაყირა გადავიდა, გაშმაგებით დაიკნავლა, გავარდა ფანჯარაში და თან გადაიყოლა გადარჩენილი ყვავილის ქოთნები. მოხუცი განცვიფრებისაგან გაშეშებული სათვალის ზემოდან იყურებოდა. ტომი კი იატაკზე ეგდო და სიცილით კვდებოდა.

- ტომ, გამაგებინე, რა მოუვიდა ჩვენს კატას?
- არ ვიცი დეიდა, - ძლივს ნაილულულა ტომმა.
- ჩემს დღეში ამისთანა არაფერი მინახავს. რა მოუვიდა?
- მართალი გითხრათ, არვიცი, დეიდა. კატები ყოველთვის ასე იქცევიან, როცა მხიარულად არიან.
- მაშ ასეა?

დეიდას ხმაში რაღაც ისეთი შეატყო, რომ გაილურსა.

- ჰო, ასეა. ასე მგონია.
- შენ ასე გგონია?
- ჰო, დეიდა.

მოხუცი დაიხარა. ტომი გაფაციცებით ადევნებდა თვალს დეიდას მოძრაობას, მაგრამ გვიან მიხვდა მის განზრახვას. სანოლის ქვეშიდან მოჩანდა მისი ოინის გამცემი ჩაის კოვზი. დეიდა პოლიმ აიღო ის და ტომს ცხვირთან მიუტანა. ტომმა თვალეები დახარა. დეიდა პოლიმ, ჩვეულებისამებრ, ყური აუნია და სათითოთ მაგრად ჩაუკაკუნა თავში.

- აბა, გეთაყვა, სერ, ამიხსენი, ასე რად აწვალე პირუტყვს?
- მე წამალი იმიტომ მივეცი, რომ შემეცოდა, მას ხომ არა ჰყავს დეიდა.
- არა ჰყავს დეიდა! რაებს ბოდავ, სულელო, ეგ რაშუაშია.
- დეიდა რომ ჰყავდეს, ის გამოუთუთქავდა მთელ შიგნეულს სრულიად შეუბრალებლად, არაფრად ჩააგდებდა, რომ ის კატაა და არა ადამიანი.

დეიდა პოლიმ უცებ სინდისის ქენჯნა იგრძნო. მას თითქოს თვალეები აეხილა: რაც სისასტიკე იყო კატის მიმართ, ის სისასტიკე იქნებოდა ბავშვის მიმართაც. მოხუცი მოლბა, ტომი შეებრალა, თვალეებზე ცრემლებიც კი მოადგა, ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა და ალერსიანად უთხრა:

- მე შენთვის ვცდილობდი, ტომ, და ხომ სარგებლობაც მოგიტანე. ტომმა სერიოზულად შეხედა დეიდას და მხოლოდ ღიმილი უკრთოდა თვალეებში.
- ვიცი, რომ ჩემთვის სიკეთე გონდოდათ, მეც მინდოდა პიტერისათვის სიკეთე. იმასაც მოუტანა სარგებლობა, არასოდეს არ მინახავს ის ასეთი მხიარული.
- მოშორდი აქედან, ტომ, თორემ ისევ გაჯავრდები. ერთხელ მაინც მოიქეცი წესიერად და აღარ დაგჭირდება არავითარი წამლის მიღება.

ტომი გაკვეთლების დაწყებამდის მივიდა სკოლაში. მასწავლებელმა შეამჩნია, რომ ეს უჩვეულო ამბავი ამ ბოლო დროს თითქმის ყოველდღე მეორდებოდა. იმ დღესაც, იმის მაგიერ, რომ ამხანაგებთან ეთამაშა, სულ ეზოს ჭიშკართან დაბორილობდა. აღარ თამაშობდა, სულ ავადმყოფებას ჩიოდა და მართლაც არ გამოიყურებდა კარგად. ის ვითომ აქეთ-იქით იყურებოდა, მაგრამ სინამდვილეში კი ერთთავად გზას გასცქეროდა. როგორც კი გამოჩნდა შორიდან ჯეფ თეტჩერი, ტომს სახე გაუბრწყინდა, მაგრამ ერთი წამის შემდეგ ისევ დამწუხრებული გაბრუნდა. როცა ჯეფი შემოვიდა სკოლაში, ტომი მივიდა მასთან და ფრთხილად ჩამოუგდო ლაპარაკი ბეკიმზე, მაგრამ სულელი ბიჭი ვერ მიუხვდა გადაკრულ სიტყვებს. ტომი იცდიდა და როგორც კი ვინმე გამოჩნდებოდა მოკლე კაბით, ბეკი ეგონა, მაგრამ რა წამს დარწმუნდებოდა, ის არ იყო, სიძულვილით განიმსჭვალებოდა მოკლეკაბიანი გოგონასადმი. ბოლოს ეს მოკლეკაბიანებიც აღარ ჩანდნენ და ტომი კვლავ დამწუხრდა, დაღონებული შევიდა ცარიელ კლასში, დაჯდა თავის ადგილზე. ამ დროს კარებთან გამოჩნდა კვლავ ვიღაც კაბიანი და ტომს გული აუძგერა. თვალის დახამხამებაზე გაჩნდა ეზოში, მძვინვარებდა, როგორც ინდიელი; ყვიროდა, ხარხარებდა, ამხანაგებს დასდევდა, მესერს ახტებოდა, თავს საფრთხეში იგდებდა, თავდაყირა დგებოდა, ერთი სიტყვით, ყოველგვარ გმირობას იჩენდა და თან ერთთავად ცალი თვალი ბეკისკენ ეჭირა - მიცქერის თუ არაო. მაგრამ გოგონა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და არც იყურებოდა მისკენ. ნუთუ მას არც კი ამჩნევს ბეკი? თავისი საგმირო მოქმედება ახლა ბეკიმ ახლოს გადაიტანა. მის გვერდით დარბოდა საომარი ყიჟინით, ერთ ბიჭს მოხადა ქუდი და სახურავზე აუგდო. გაარღვია ბიჭების გროვა, აქეთ-იქით მიფანტ-მოფანტა ამხანაგები, თვითონაც გაიშხლართა მინაზე, სწორედ, ბეკის ცხვირწინ და კინაღამ ისიც წააქცია, მაგრამ გოგონა ამაყად გასწორდა, ცხვრი აბზიკა და ტომმა კარგად გაიგონა, რაც თქვა:

- ჰმ! ზოგიერთებს დიდ რამედ მიაჩნიათ თავისი თავი... მაგრამ ისინი მართლ მკვებარანი არიან...

ტომი სახელწოდებით ნამოდგა.

საშინლად განადგურებული და სასონარკვეთილი ლასლასით გასცილდა გოგონას.

თავი მეცამეტე

ტომმა მიიღო გადაწყვეტილება. იგი უგუნებოდ იყო და არაფერი არ დააბრკოლებდა. მისი ფიქრით, ყველამ გადაივიწყა, მეგობრები არ ჰყავდა და არც არავის უყვარდა... ბოლოს, როცა გაიგებენ, სადამდის მიიყვანეს, იქნებ ინანონ კიდევ... ის ბევრს ეცადა კარგად მოქცეულიყო და კეთილი ყოფილიყო, მაგრამ არავინ დაეხმარა. თუ აუცილებლად უნდათ მისი თავიდან მოშორება, რას იზამს? ნავა და, დაე, რამდენიც უნდათ, ბრალი დასდონ, ან რატომ არ დასდებენ ბრალს? განა ყველასაგან მიტოვებულ ადამიანს უფლება აქვს დაემდუროს ვინმეს? ის ხომ ბოლოს მაინც აიძულეს გამხდარიყო ბოროტმოქმედი... მეტი რა ღონე აქვს...

ასეთ ფიქრებში გასცდა ქალაქს და, მედოუ-ლეინთან რომ მივიდა, ყრუდ შემოესმა სკოლის ზარის რეკვა. რომელიც გაკვეთილის დაწყებას იუწყებოდა. ტომი აბლუქუნდა იმის გაფიქრებაზე, რომ აღარასოდეს გაიგონებდა ამ ნაცნობ ხმას. ძნელი იყო ამის ატანა, მაგრამ რა ექნა, უნდა შერიგებოდა. თავიდან მომიშორეს, ბედის ანაბარა დამაგდეს, მაგრამ მიპატიებია მათთვისო.

ტომმა ქვითინს უმატა.

სწორედ ამ დროს შეხვდა თავისი გულითადი მეგობარი ჯო ჰარპერი. იმასაც თვალები დასწითლებოდა და ეტყობოდა, გულში რაღაცა გადაწყვეტილება ედო. ეჭვი არ იყო, ორივენი ერთი აზრით იყვნენ გამსჭვალულნი. ტომმა სახელოთი თვალები მოინმინდა და მეგობარს შეატყობინა სახლიდან ნასვლის განზრახვა. ან რა უნდა შინ: ცუდად ექცევიან, არავის არ უყვარს; უმჯობესია, წავიდეს სახეტილოდ და შინ აღარ დაბრუნდეს. ბოლოს იმით დაასრულა, იმედი მაქვს, შენ მაინც არ დამივიწყებო.

აღმოჩნდა, რომ ჯოსაც სწორედ ეს უნდა ეთქვა ტომისათვის და ამიტომაც ეძებდა მას. დედამ სილა გააჩნა - ნაღები შეგიჭამიაო, მას კი თვალითაც არ უნახავს ნაღები. ალბათ, დედას თავი მოაბეზრა და ამიტომ უნდა მისი მოშორება; თუ ასეა, ჯოს აღარაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ დათმობაზე წავიდეს; ჯო დარწმუნებულია, დედა ბედნიერი იქნება და არც ინანებს, რომ თავისი ბიჭი სახლიდან გააძევა უცხო მხარეს, სადაც მას ტანჯვითა და შიმშილით ამოხდება სული.

დაღონებულმა ბიჭებმა გზა განაგრძეს. გზაში პირობა დადეს, ერთმანეთს მხარში ამოდგომოდნენ, როგორც ძმები და არ დაშორებოდნენ, ვიდრე სიკვდილი არ შეწყვეტდა მათს ტანჯვასა და მწუხარებას. შემდეგ თქვეს, რასაც აპირებდნენ. ჯოს განდევნილობა უნდოდა - მღვიმეში ცხოვრება ცარიელ გამხმარ პურზე და სიკვდილი სიცივისაგან, გაჭირვებისა და სევდისაგან. მაგრამ, ტომს რომ მოუსმინა, დაეთანხმა, რომ ბოროტმოქმედის ცხოვრებას მეტი უპირატესობა ჰქონდა და გადაწყვიტა, მეგობრე გამხდარიყო.

სამი მილის მანძილზე სანკტ-პეტერბურგის ქვევით, სადაც მდინარე მისისიპის სიგანე ერთ მილზე ცოტა მეტია, არის გრძელი, ვიწრო, ტყით შემოსილი კუნძული ქვიშიანი თავთხელი წყლით - შესანიშნავი თავშესაფარი ადგილი. კუნძული უდაბურია, იგი ახლოსაა მდინარის მეორე ნაპირთან, რომელსაც აკრავს ხშირი, უღრანი ტყე, სადაც თითქმის არასოდეს არ დაუდგია ფეხი კაცს. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს მათ ამ კუნძულზე - ჯეკსონის კუნძულზე დასახლებულიყვნენ. იმაზე არც კი უფიქრიათ, ვისზე უნდა მოეხდინათ თავდასხმა. შემდეგ მოძებნეს ჰეკლბერი ფინი და ისიც ხალისით შეუერთდა მათ: მისთვის სულ ერთი იყო, რაც არ უნდა გაეკეთებინათ, ყველაფერს გულგრილად უყურებდა. მალე ერთმანეთს დაშორდნენ იმ პირობით, რომ მდინარის ნაპირას, უდაბურ ადგილას, ქალაქიდან ორი მილის დაშორებით, შეხვდებოდნენ მათთვის საყვარელ ჩვეულებრივ დროს, შუაღამისას. იქ პატარა ტივი იყო მიბმული და გადაწყვიტეს მისი ხელში ჩაგდება. თითოეულს უნდა ნამოელო ანკესები, ნემსკავები და ცოტა რამ საჭმელიც რისი შოვნაც კი შეეძლოთ; ისიც საიდუმლოდ, დაფარულად, როგორც შეეფერებოდა ყაჩაღებს. და სანამ დღე მიიწურებოდა, ხმა დაყარეს, რომ ქალაქში სულ მალე “გაიგებენ რაღაცას საინტერესოს”. ვისაც კი აცნობეს ეს მოსალოდნელი ამბავი, სთხოვეს, “ენა მუცელში ჩაეგდოთ და მოლოდინში

ყოფილიყვნენ”.

ნაშუადამევს ტომი დანიშნულ ადგილზე მივიდა ლორის ნაჭრითა და სხვა სანოვაგით: ჩაჯდა ხშირ შამბნარში პატარა გორაკზე, რომელიც გადაჰყურებდა მათ შესახვედრ ადგილს. წყნარი ღამე იყო, ცა ვარსკვლავებით მოჭედდილიყო. დიდი მშვიდი მდინარე ოკეანესავით გადაშლილიყო მის წინ. ტომმა ყური მიუგდო, - ჩამიჩუმი არ მოისმოდა. გაბმულად და წყნარად დაუსტვინა, მას ვიღაც გამოეპასუხა გორაკის ქვემოდან. ტომმა ორჯერ კიდევ დაუსტვინა და სტვენითვე უპასუხეს. ვიღაც ფრთხილად შეეკითხა:

- ვინ მოდის?

- ტომ სოიერი - “ესპანეთის ზღვათა შავი მოსისხლე”! თქვენ ვინა ხართ?

- ჰეკ ფინი - “სისხლიანი ხელი” და ჯო ჰარპერი - “ზღვათა რისხვა”.

ეს სახელწოდებები ტომს ამოკითხული ჰქონდა თავის საყვარელ წიგნში.

- კარგი, თქვით თქვენი ნიშანი.

ღამის სიბნელეში ერთდროულად გაისმა ორი ხრინწიანი ხმა და შემზარავი სიტყვა:

- “სისხლი”.

ტომმა გორაკიდან გადმოაგორა თავისი სანოვაგე და თვითონაც უკან მიჰყვა, ისე, რომ ტანისამოსიც დაიბიანა და კანიც. გორაკიდან ჩამოსვლა შეეძლო ბილიკითაც, რომელიც წყლის პირს მიჰყვებოდა, მაგრამ რადგან ის პირნავარდნილი მეკობრე იყო, ამიტომ არჩია საძნელო და საშიში გზა.

“ზღვათა რისხვასაც” ლორის საკმაოდ მოზრდილი ნაჭერი მოეტანა, ძლივს ერეოდა.

ფინს - “სისხლიანი ხელს” სადღაც აეცოცებინა ტაფა და მთელი შეკვრა თამბაქოს ნედლი ფოთლები, აგრეთვე რამდენიმე ლერწამი ჩიბუხის ნაცვლად, თუმცა არც ერთი მეკობრე არა სწევდა და არც ღეჭავდა თუთუნს, თვითონ ფინის გადა. “შავმა მოსისხლემ”

განაცხადა - მუუძლებელია გზას გავიდგეთ უცეცხლოდო. ეს ჭკვიანური აზრი იყო.

ასანთის ხმარება არ იცოდნენ მაშინ. ბიჭებმა ასიოდე იარდის მანძილზე დიდ ტივზე

შეამჩნიეს ცეცხლი, ფრთხილად მიიპარნენ და მოიტაცეს ერთი მუგუზალი. თავიანთი ეს

მოქმედება მეტად გააზვიადეს: ნამდაუნუმ ერთმანეთს აფრთხილებდნენ ტუჩზე თითის

მიდებით - “სსს”. თანაც ვითომდა ხელს გაივლებდნენ ხანჯლის ტარზე; თან ერთმანეთს

ბრძანებებს აძლევდნენ, ყრუ ჩურჩულით, რომ, თუ ვინიცობაა “მტერი” გამოჩნდებოდა,

“ხანჯალი ჩაესოთ შიგ გულში, ტარამდე”, რადგან მკვდარ ველარ გასცემდა მათ.

ბიჭებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ მეტივები ქალაქში იყვნენ, მაღაზიებში

დაეხეტებოდნენ ან ქეიფობდნენ, მაგრამ მაინც არ შეეძლოთ ისე არ მოქცეულიყვნენ,

როგორც მეკობრეებს შეეფერებოდათ.

მაღე ისინი გაუდგნენ გზას ტივით. ტომი განკარგულებებს იძლეოდა. ჰეკმა ორთაყვირს ჩაჰკიდა ხელი, ჯო თავში იყო. ტომი შუაში იდგა შუბლშეკრული, გულხელდაკრეფილი და პირქუშად იძლეოდა ბრძანებებს:

- პირი ქარისკენ!

- არის, სერ.

- პირდაპირ... პირდაპირ!

- არის, სერ.

- ცოტა მიუშვი!

- არის, სერ!

ტოვი თავისთვის მისრიალებდა შუა მდინარეში, ამიტომ ყველა ბრძანება

მოსაჩვენებლად იყო და არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა.

- რომელი იალქნებია აშვებული?

- ქვემო.

- ყველა ბაქანზე! ცოცხლად! ექვსნი ადით ანძასთან, სწრაფად!

- არის, სერ!

- აუშვით დიდი იალქანი! გაინძერით, ყმანვილებო!

- არის, სერ!

- პირი ქარისაკენ! საჭე მარცხნივ, მარცხნივ! აბა, ყმანვილებო, ერთგულად მიანექით!

- არის, სერ!

ტივი შუაგულ მდინარეს გასცდა, ბიჭებმა მიატრიალეს მდინარის მიმართულებით და

ორთაყვირებს ხელი უშვეს. მდინარე არ იყო ადიდებული, ასე, რომ ორი-სამი მილის

სისწრაფით მიცურავდნენ. თითქმის ერთი საათი ისე გავიდა, რომ ხმა არ გაუციათ

ერთმანეთისათვის. ტივმა გვერდით ჩაუარა სანკტ-პეტერბურგს. აქა-იქ გამოჩნდა

მოციმციმე სინათლეები ვარსკვლავებით გაკაშკაშებული მდინარის გადაღმა. ქალაქს

მწყნარად ეძინა. აბა, ვინ წარმოიდგენდა, თუ ასეთი დიდი ამბავი ხდებოდა ამ წუთს.

“შავი მოსისხლე” ისევ გულხელდაკრეფილი იდგა ტივის შუაგულში და უკანასკნელად

გაჰყურებდა იმ არემარეს, სადაც ასე ტკბილად გაატარა ცხოვრება და, სადაც ასე ენამა

და იტანჯა ამ უკანასკნელ დროს. მას უნდოდა, ბეკის დაენახა, როგორ მიცურავდა აბობქრებულ ზღვაზე, როგორ უშიშრად შეჰყურებდა სიკვდილს თვალებში და ყოველგვარ უბედურებას პირზე ღიმილით ეგებებოდა. ტომს დიდად არ დაუტანებია ძალა თავისი თავისათვის, რათა წარმოედგინა, რომ ჯეკსონის კუნძული ჩაინთქა თვამუნვდომ სივრცეში და ტომი “უკანასკნელად” შეჰყურებს თავის მშობლიურ ქალაქს გულიწკვილით, მაგრამ დიდი კმაყოფილებით. მისი ამხანაგებიც უკანასკნელად გასცქეროდნენ ქალაქს იმდენ ხანს, რომ კინაღამ კუნძულს გასცდნენ! მაგრამ დროზე შეამჩნეს საფრთხე და სასწრაფოდ ზომები მიიღეს. შუალამის ორ საათზე ტივი მიადგა თავთხელ ადგილს, კუნძულიდან ორასი იარდის დაშორებით. ბიჭები დიდხანს მიდი-მოდოდნენ, ვიდრე სულ არ გადაზიდეს თავიანთი ბარგი-ბარხანა. ტივიდან გადმოიტანეს ძველი იალქანი და გაჭიმეს ბუჩქებს შორის კარვის მსგავსად - სანოვავის შესანახად; თვითონ კი გადაწყვიტეს, კარგ ამინდში ცის ქვეშ დაეძინათ, როგორც შეჭფეროდა მეკობრეებს.

მერე გააჩაღეს ცეცხლი ტყის ნაპირიდან ოცი-ოცდაათი ნაბიჯის დაშორებით, ხშირ, ჩაბნელებულ ტევრში. შეწვეს რამდენიმე ნაჭერი ღორი ვახშისთვის და გადასანსლეს თან წამოღებული მჭადის ნახევარი. მეტად გემრიელი იყო ვახშამი ხშირ ტყეში, უკაცურსა და მიყრუებულ კუნძულზე, ადამიანებისაგან მოშორებით! ჩვენი გმირები იმაზედაც კი ლაპარაკობდნენ, რომ აღარასოდეს არ დაუბრუნდებოდნენ წესრიგ ცხოვრებას. ცეცხლის ალი ანათებდა მათ სახეებს, წითელ ფერს აძლევდა ხეებს, ტყის დიდებული ტაძრის სვეტებს, ფოთლებს, გარეულ ყურძენს. როცა სუფრა მოცარიელდა და ხორცისა და მჭადის უკანასკნელი ნაჭერი მიირთვეს, ბიჭები სიამოვნებით გაიჭიმნენ ბალახზე. მართალია, მათ შეეძლოთ ადგილი გადაენაცვლებინათ, ცეცხლის სიმხურვალეს მოშორებოდნენ, მაგრამ არ უნდოდათ დაეთმოთ რომანტიკული კოცონი.

- განა აქ შესანიშნავი არ არის? - თქვა ჯომ.

- საუცხოოა, - გამოეხმაურა ტომი.

- ნეტავ, რას იტყოდნენ სხვა ბიჭები, რომ დავენახეთ?

- რას და შურით დაიხოცებოდნენ! ხომ ასეა, ჰეკ?

- დიახაც ასეა! - თქვა ჰეკლბერიმ, - სხვისი რა მოგახსენოთ და, მე კი ფრიად კმაყოფილი ვარ. ამაზე უკეთესი არაფერი მინდა... არცთუ ისე ხშირად ვარ ხოლმე მაძღარი. თანაც აქ ხელს არავინ გახლებს, არ წამოგარტყამს კისერში და არ გამოგლანძღავს უმიზეზოდ.

- ასეთი ცხოვრება ზედგამოჭრილია ჩემთვის, - თქვა ტომმა. - საჭირო არ არის დილით ადრე ადგომა, სკოლაში წასვლა, პირის დაბანა და ათასი სისულელის გაკეთება! საქმე იმაშია, ჯო, რომ თუ მეკობრე ხარ, სანამ ნაპირს არ გასცდები, არაფერი საქმე არ გამოგიჩნდება. რაც შეხება განდევილს, მან ერთთავად უნდა ილოცოს, თანაც რა სახარბიელოა სულ მარტოდმარტო ყოფნა.

- ჰო, ეგ ეგრეა, - თქვა ჯომ. - მაგრამ, იცი, წინათ ამაზე მაინცდამაინც ბევრი არ მიფიქრია. ახლა კი, როცა გამოვცადე, უფრო მეტად მომეწონა მეკობრეობა.

- მხოლოდ განდევილობას ხალხი ახლა ისე აღარ მისდევს, როგორც ძველ დროში. რაც შეეხება მეკობრეებს, მათ ძალიან აფასებენ. ამას გარდა, განდევილმა აუცილებლად ხმელზე უნდა დაიძინოს. ტანთ ფალასი უნდა ჩაიცვას, თავზე ნაცარი დაიყაროს, დადგეს წვიმის ქვეშ, და...

- რად უნდა ფალასი, ან ნაცარი? - იკითხა ჰეკმა.

- არ ვიცი. ასეა წესი. განდევილები ყოველთვის ასე იქცევიან, შენც ასევე იზამდი, განდევილი რომ ყოფილიყო.

- არაფერიც, - თქვა ჰეკმა.

- მაშ, აბა, რას იზამდი?

- რა ვიცი. მაგრამ მაგას კი არ ვიზამდი.

- რატომ, ჰეკ. შენ ხომ განდევილი იქნებოდი და როგორ აირიდედი?

- როგორ და, ვერ გავუძლებდი და თავს ვუშველიდი.

- თავს უშველიდი? კაი განდევილი კი იქნებოდი. ეგ ხომ თავის მოჭრა ინტებოდა.

“სისხლიანმა ხელმა” არაფერი უპასუხა, რადგანაც უკეთესი საქმე ემოვნა. ის იყო დაემთავრებინა სიმინდის ტაროსაგან ჩიბუხის გამოჭრა, ზედ ლერწმის ღერო მოერგო, თამბაქოთი გაეტენა, ნაკვერჩხლით აენთო და ახლა სურნელოვან ბოლში გახვეულიყო. ეს შესანიშნავი იყო და იგი მთელი არსებით მისცემოდა ამ ნეტარებას. დანარჩენი მეკობრეები შურით შეჰყირებდნენ ამ დიდებულ მანკიერებას. და მათ საიდუმლოდ გადაწყვიტეს, დაუყოვნებლივ შეესწავლათ იგი.

- მეკობრეები რაღას აკეთებენ? - იკითხა ჰეკ ფინმა.

ტომმა უპასუხა:

- ო, ისინი ძალიან მხიარულად ცხოვრობენ: ტყვედ ჩაიგდებენ რომელიმე გმირს, დანჯავენ, ფულს ჩამარხავენ თავიანთი კუნძულის რომელიმე მოჭადრობულ ადგილას, რომელსაც ყარაულობენ მხოლოდ ქაჯები და ემშაკები. მეზღვაურებსა და ხალხს ხოცავენ და წყალში ყრიან.

- ქალები კი კუნძულზე მიჰყავთ, - ჩაურთო ჯომ, - ქალებს არ ხოცავენ.

- მართალია, - დაემონმა ტომიც, - ქალებს არა ხოცავენ. ისინი კეთილშობილებას იჩენენ ქალებისადმი. გარდა ამისა, ქალები ყოველთვის ლამაზები არიან.

- მერე როგორ არიან მორთულ-მოკაზმულები! შესანიშნავი ტანისამოსი აქვთ, თავით ფეხებამდე ოქრო-ვერცხლითა და თვალ-მარგალიტით არიან შემკულნი! - აღტაცებით წამოიძახა ჯომ.

- ვინა? - შეეკითხა ჰეკი.

- ვინ და მეკობრეები.

ჰეკ ფინმა მწუხარებით ახედ-დახედა თავის დაკონკილ ტანისმოსს.

- მე სრულიად არა ვგვანებივარ მეკობრეს, - სევდიანად წარმოთქვა, - ჩემი ტანისამოსი სრულიად არა ჰგავს იმათ ტანსაცმელს, სხვა კი არ გამაჩნია.

მეკობრემა დაამშვიდეს, ძვირფასი ტანისამოსის შოვნას დიდი ხანი აღარ დასჭირდება, მალე დავინებთ მძარცველობასო. დასაწყისისთვის დაგლეჯილი ტანისამოსიც გამოდგება, თუმცა კი მეკობრეები თავიანთი საქმიანობის დაწყებამდე იმარაგებენ შესაფერის ტანსაცმელსო.

თანდათან შეწყდა საუბარი. პატარა გმირებს თვალები ეხუჭებოდათ. “სისხლიან ხელს” გაუვარდა ჩიბუხი და დაღლილ-დაქანცულს ჩაეძინა. “ზღვათა რისხვამ” და “ესპანეთის ზღვების მოსისხლემ” კი დიდხანს ვერ დაიძინეს. წამონოლილებმა გულში წარმოთქვეს ლოცვა. იქ არავინ იყო, რომ მუხლებზე წამოეჩოქებინა და ხმამაღლა ეთქმევიინებინა.

მართალი რომ ითქვას, სულაც არ აპირებდნენ ლოცვას, მაგრამ შეეშინდათ, ვაითუ ღვთის რისხვა დაგვატყდესო. მერე ძილი მოერიათ, კიდევ დააპირეს დაძინება, მაგრამ დაუპატიჟებელი სტუმარი ეწვიათ და ველარ მოიცალეს. ეს სინდისი იყო. მათ სინდისი ქენჭნიდა და თანდათან გამოერკვნენ, რომ კარგი საქმე არ ჩაიდინეს: სახლიდან გამოიპარნენ. როცა ხორცის მოპარვაც გაიხსენეს, მთლად შეწუხდნენ... ისინი ცდილობდნენ სინდისის დამშვიდებას იმით, რომ არა ერთხელ მოუპარიათ საკუჭნაოდან ტკბილეული და ვაშლები, მაგრამ სინდისი მაინც არ ასევენებდათ, ეს საბუთი მეტად უსუსური აღმოჩნდა. ბოლოს დაასკვნეს, რომ ნამცხვრისა და ვაშლის ანაპვნა არაფერია, მაგრამ როცა იღებ ხორცს, ლორის ნაჭერს და, საერთოდ, ძვირფას რამეს - ეს უკვე ნამდვილი ქურდობაა, რომლის წინააღმდეგ ბიბლიაში განსაკუთრებული მცნება მოიძებნება.

ამიტომ გულში გადაწყვიტეს, ვიდრე მეკობრეები იქნებოდნენ, არასოდეს არ შეებღალათ თავიანთი პატიოსნება დამამცირებელი ქურდობით. ამაზე სინდისიც დაეთანხმა მათ და ჩვენმა მეკობრეებმა გულდამშვიდებით დაიძინეს.

თავი მეოთხემეტე

დილით რომ გამოიღვიძა, ტომი უცებ ვერ მიხვდა, სად იყო. წამოჭდა. მიიხედ-მოიხედა, წამძინარევი თვალები მოიფშვნიტა და მხოლოდ მაშინ გამოერკვა. გაცრეცილი და ცივი დილა იყო; ტყის მდუმარება საოცარ სიმშვიდეს და მყუდროებას ამეფებდა ირგვლივ. ფოთლებიც კი არ იძვროდა; არავითარი ხმაური არ არღვევდა ბუნების იდუმალებას. ფოთლებსა და ბალახზე მარგალიტებივით ეკიდა დილის ნამი. ცეცხლი თეთრ ნაცრად ჩაფერფლილიყო და თხელი, მოლურჯო კვამლი წვრილ ზოლად ადიოდა ჰაერში. ჯოსა და ჰეკს ჯერ კიდევ ეძინათ.

შორს, ტყის სიღრმეში, გაისმა რომელიღაც ჩიტის ჭიკჭიკი. მას გამოეხმაურა მეორეც.

სადღაც კოდალა ახმაურდა. თანდათან დილის ცივი, ნაცრისფერი სინათლე

გაუფერულდა და ხმებიც მომრავლდა - ირგვლივ იღვიძებდა სიცოცხლე. ბუნება

თანდათან გამოფხიზლდა და შეუდგა საქმიანობას ჩაფიქრებული ტომის თვალწინ.

პატარა მწვანე მატლი ნამიან ბალახზე მიცოცავდა და დროდადრო თავისი სხეულის ორი

მესამედი ჰაერში აჰქონდა, გეგონებოდათ, იქაურობას ყნოსავსო, შემდეგ კი ისევ გზას განაგრძობდა. ალბათ, მანძილს ზომავსო, ფიქრობდა ტომი. როცა მატლი მიუახლოვდა ტომს, ბიჭი გაქვავდა: იგი ხან სულ ახლოს მიცოცდებოდა ტომთან, ხან შორდებოდა, ტომსაც ამის მიხედვით ხან იმედი ეძლეოდა, ხან ეკარგებოდა. ბოლოს მატლის ჰაერში ატანილი, გაღუნული სხეულით მცრე ხანს შეყოყმანდა, მერე გაბედულად გადაინაცვლა ტომის ფეხზე და იქ შეუდგა მოგზაურობას; ტომის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი უეჭველად შეიძენდა ახალ კოსტიუმს - მეკობრის ბრწყინვალე ტანსაცმელს. საიდანღაც გაჩნდნენ ჭიანჭველები და შეუდგნენ მუშაობას; ერთი ნაბლაუჭებოდა მკვდარ ობობას, თავისზე ხუთჯერ დიდს და ცდილობდა, აეთრია ხეზე. ყავისფერი დანიწკლული ჭიამაია აცოცებულებოდა თავბრუდამხვევ სიმაღლეზე - ბალახის კენწეროზე. ტომი დაიხარა და უთხრა:

ჭიამაი, ჭიამაია,

ბავშვებს მიხედე, შინ ხანძარია.

ჭიამაიამაც გაუგონა და გაფრინდა პატარების გადასარჩენად. ტომს არ გაჰკვირვებია: კარგად იცოდა, ადვილი იყო ჭიამაიას მოტყუება და არაერთხელ უსარგებლია მისი გულუბრყვილობით.

ახლა ნეხვის ჭია გაჩნდა; ძლივს მობაჯბაჯებდა და მოათრევდა თავის ტვირთს. ტომმა განგებ შეახო ხელი, სურდა დაენახა, როგორ აწევდა ფეხებს და თავს მოიმკვდარუნებდა.

ამასობაში ფრინველებმა ატეხეს საშინელი ჟრამული. ხუმარა შაშვი ჩამოვდა ხეზე, ზედ ტომის თავზე, და მოჰყვა თავისი მებობლების გამოჯავრებას. ცისფერი ბოლივით გაისრიალა ჰაერში მჩხავანა ჩიხკვმა. ჩამოვდა ხის ტოტზე (ტომი ხელითაც შესწვდებოდა), გადახარა თავი გვერდზე და დაუცხრომელი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა უცნობებს. ნაცრისფერმა ციყვმა და ცოტა უფრო მოზრდილმა მელიის მსგავსმა ცხოველმა გაირბინეს; დროდადრო შეჩერდებოდნენ, შეხედავდნენ ბიჭებს და დაიქსუტუნებდნენ; ამ პანია ცხოველებს, ჩანს, არ ენახათ ადამიანები და არ იცოდნენ, შეშინებოდათ მათი თუ არა. ამასობაში მთელმა ბუნებამ გამოიღვიძა და ყველაფერი ამოძრავდა. მზის სხივები ისრებივით ჩასწვდა ხშირ ფოთლნარს; აქა-იქ გამოჩნდნენ ჭრელი, მოფარფატე პეპლებიც.

ტომმა გამოაღვიძა დანარჩენი მეკობრეებიც. ყველანი ჟრამულით გაცვივდნენ მდინარისაკენ. ორიოდე წუთის შემდეგ ტიტველა ბიჭები უკვე ბლლარძუნობდნენ, ჭყუმპალაობდნენ თავთხელ წყალში, სულაც არ აგონდებოდათ თავიანთი პატარა ქალაქი, რომელსაც მშვიდად ეძინა წყლის ამ დიდებული სივრცის იქით. ღამით წყალს მათი ტივი წაეღო, მაგრამ ბიჭები ამით თითქოს კმაყოფილნიც დარჩნენ. ეს თითქოს ხიდის ჩატეხვას ნიშნავდა მათსა და განათლებულ ქვეყნიერებას შორის.

ბანაკში დაბრუნდნენ გამოცოცხლებულნი, მხიარულ გუნებაზე და მგლებივით დამშეულნი. მალე კვლავ გაჩაღდა ცეცხლი. ჰეკმა იქვე მახლობლად იპოვა ცივი და კამკამა წყარო.

ბიჭებმა გააკეთეს ფინჯნები მუხის და კაკლის ფართო ფოთლებისაგან და დაენაფნენ. თავი დაირწმუნეს, ტყის საოცარი მშვენიერებით შეზავებული წყალი ყავის მაგივრობას გასწევსო; ჯომ ხორცის დაჭრა დაიწყო საუზმისათვის, მაგრამ ტომმა და ჰეკმა მოცდა სთხოვეს, წყლის ნაპირას იპოვეს მოხერხებული ადგილი და ისროლეს ანკესები.

დიდხანს არ მოუხდათ ცდა. ჯოს ჯერ არც კი დაჰკარგვოდა მოთმინება, როცა ბიჭებში დაბრუნდნენ და მოიტანეს ქაშაყი, ორი ქორჭილა, ერთი პატარა ლოქო; ერთი სიტყვით, მთელი ოჯახის სამყოფი სანოვაგე. თევზი ლორთან ერთად შეწვეს, თან უკვირდათ: ასე გემრიელი თევზი თავის დღეში არ გვიჭამიაო. რა იცოდნენ, რომ მდინარის თევზი ერთიორად გემრიელია, თუ დაჭერის უმაღვე შეინწება. არც იმაზე უფიქრიათ, რომ სუფთა ჰაერზე ძილი, სირბილი, ბანაობა და, რაც მთავარია, შიმშილი - საუკეთესო საკმაზია.

დანაყრების შემდეგ წამოწვნიან ჩრდილში, ვიდრე ჰეკი ჩიბუხს მოსწევდა. შემდეგ გაემართნენ კუნძულის დასაზვერად. მხიარულად მიდიოდნენ ტყეში, გზას მიიკვლევდნენ ხშირ ბუჩქნარსა და თავიდან ბოლომდე გარეული ყურძნით დაფარულ ხეებს შორის.

ალაგ-ალაგ ხვდებოდნენ პატარა მდელოებს, რომელბიც ხალიჩასავით

აჭრელებულიყვნენ ბალახითა და ყვავილებით.

ბევრი რამ ნახეს ისეთი, რაც მოუნონათ, მაგრამ არაფერი გაჰკვირვებიათ. მათი

კუნძულის სიგრძე დაახლოებით სამ მილს უდრიდა, სიგანე - მეოთხედ მილს; მოპირდაპირე ნაპირს დაცილებული იყო პატარა სრუტით, რომის სიგანე დაახლოებით ორასიორდე იარდი იქნებოდა. ბიჭები ყოველ საათში ბანაობდნენ. შინ ნაშუადღევს დაბრუნდნენ, ძალიან შიოდათ და თევზის ჭერას თავი მიანებს. უამისოდაც მშვენივრად

ისადილეს ცივი ხორციით და კვლავ წამოწვენენ ჩრდილში სამასლაათოდ. მაგრამ მასლაათი თანდათან მინელდა და ბოლოს მთლად შეწყდა. სიჩუმემ, დიდებული ტყის იდუმალეობამ, სიმარტოვის გრძობამ მაინც თავისი გაიტანა, მათი გონება ფიქრმა წაიღო. გულში რაღაც იდუმალი სევდა შეეპარათ, თანდათან გაერკვნენ - თურმე სახლზე ნაღვლობდნენ. ფინიც კი - "სისხლიანი ხელი" - ოცნებობდა თავის ნაცნობ დირეებსა და ცარიელ კასრებზე. მაგრამ გულში სამივეს რცხვენოდა ამ სისუსტისა და არც ერთს არ ეყო გამბედაობა, ხმამაღლა გამოეთქვა თავისი აზრი.

ბიჭებს შორიდან უკვე კარგა ხანია რაღაც უჩვეულო ხმა ესმოდათ. პირველად ყურადღება არ მიაქციეს, ისევე, როგორც ყურადღებას არაავინ აქცევს საათის ნიკნიკს. მაგრამ ეს უცნაური ხმა თანდათან გაძლიერდა. ბიჭები შეკრთნენ, ერთმანეთს შეხედეს და ყური მიუგდეს.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ შორიდან მოსიმა ყრუ და შემადრწუნებელი: "ბუმ!"

- რას ნიშნავს? - ჩურჩულით წამოიძახა ჯომ.

- ვერაფერი გამიგია! - ისეთივე ჩურჩულით უპასუხა ტომმა.

- ეს ქუხილი არ არის, - შიშით წამოიძახა ჰეკლბერიმ. - მიტომ, რომ ქუხილი...

- გაჩუმდი, - შეუყვირა ტომმა, - ყური დაუგდე და ნუ ყბედობ!

გაკვიდა ერთი წუთი, რომელიც მათ საუკუნედ მოეჩვენათ და ამ დიდებულ მდუმარებაში კვლავ გამეორდა უცნაური ყრუ გუგუნი.

- წავიდეთ, ვნახოთ.

სამივე წამოხტა და გაექანა ნაპირისაკენ, საიდანაც ქალაქი მოჩანდა. გადან-გადმონიეს ბუჩქები და იქიდან დაუნყეს თვალთვალი. შუა მდინარეში, ქალაქიდან ერთი მილის დაშორებით, მოცურავდა პატარა გემი, რომელსაც ბორნად იყენებდნენ ხოლმე. მისი ფართო გემბანი ხალხით იყო გაჭედილი. გემის ირგვლივ აქეთ-იქით დაცურავდა აუარებელი ნავი, მაგრამ ბიჭებმა ვერ გააჩიეს, რას აკეთებდნენ შიგ მსხდომნი. უეცრად, გემის თავზე გაჩნდა თეთრი ბოლი, ნელ-ნელა გაიფანტა ღრუბლებად და მესამედ შემოესმათ ჩვენს ბიჭებს ყრუ და შემადრწუნებელი ხმა.

- ახლა კი ვიცი, რაც მოხდა! - წამოიძახა ტომმა. - ვინმე დაიხრჩობოდა.

- ეგრე იქნება! - დაემონმა ჰეკი. - ასევე მოხდა შარშან ზაფხულში, როცა ბილ ტერნეტი დაიხრჩო; ზარბაზანს ისვრიან, ამბობენ, დამხრჩვალნი ამოტივტივდებოთ; ამას გარდა, იღებენ პურის ნაჭერს, შიგ დებენ ვერცხლის წყალს და აგდებენ მდინარეში; სადაც დამხრჩვალნი, თურმე პურიც იქ გაჩერდება.

- ეგ მეც გამიგია, - თქვა ჯომ, - მაგრამ, ნეტავ რა აჩერებს პურს?

- ამ მთავარი პური არ არის, - განმარტა ტომმა, - არამედ ის, რასაც ჩაუთქვამენ, როცა პურს გადაისვრიან წყალში.

- სრულიადაც არაფერს არ ჩაუთქვამენ, - შეეკამათა ჰეკი, - მე თვითონ მინახავს, როგორ გადაუგდიათ პური წყალში და არაფერიც არ უთქვამთ.

- უცნაურია! - ტქვა ტომმა, - მაგას, იქნებ ჩურჩულით ამბობენ, თავისთვის. ასე იქნება წამდვილად, ადვილი მისახვედრია.

ბიჭები დაეთანხმნენ, რადგანაც ტომი დამაჯერებლად მსჯელობდა. ართლაცდა, ძნელი წარმოსადგენი იყო, უბრალო პურის ნაჭერს შეულოცავად ემოქმედა ასეთი მნიშვნელოვანი დავალების შესრულების დროს.

- უჰ, რა კარგი იქნებოდა, ახლა იქ ვყოფილიყავი! - წამოიძახა ჯომ.

- კარგი იქნებოდა, - დაეთანხმა ჰეკიც. - რას არ მიცემდი, რომ გამეგო, ვინ დაიხრჩო. ბიჭებმა ყური მიუგდეს და ცდა დაიწყეს. უცებ ტომს თავში გაურბინა ერთმა ჭკვიანურმა აზრმა.

- ბიჭებო! კარგად ვიცი, ვინც დაიხრჩო: ჩვენ!

იმწამს თავიანთი თავი გშირებად წარმოიდგინეს. რა სასიხარულოა! მათ ეძებენ.

დასტირიან, მათი გულისათვის თავებს იხოცავენ, ცრემლს ღვრიან; გრძობენ თავიანთ უსამართლობასა და უსულგულობას საცოდავი დაღუპული ბიჭების წინაშე; დიდ სინანულში არიან და სინდისი ქენჯნით; რაც მთავარია, მთელი ქალაქი მათზე ლაპარაკობს, ყველა ბიჭს შურს მათი სახელი და დიდება. განა ეს შესანიშნავი არ არის?! მარტო ამისათვის ღირდა მეკობრეებად გადაქცევა.

შებინდებისას გემი შეუდგა თავის ჩვეულებრივ საქმიანობას, ნავები წავიდ-წამოვიდნენ და მეკობრეებიც დაბრუნდნენ ბანაკში. ისინი ამაყოფდნენ თავიანთი დიდებით და იმით, რომ ამდენი წუხილი მიაყენეს ახლობლებს. დაიჭირეს თევზები, შეწვეს, ივახშმეს და ახლა შეუდგნენ საუბარს, ნეტავ ვინ რას ლაპარაკობს ჩვენზეო. თვალწინ ეხატებოდათ საჯარო გლოვის სურათები და ეს მეტად სიამოვნებდათ. როდესაც ღამე ჩამოწვა, მათი საუბარი თანდათან მიწყდა. სამივე მიაშტერდა ცეცხლს, ფიქრებით კი შორს იყვნენ,

აღგზნებაც გაუქრათ. ტომსა და ჯოს გაახსენდათ თავიანთი ახლობლები, რომელთაც მათი ცულქობა არცთუ იმდენ სიხარულს მიჰკვრიდა, როგორც თვითონ ბიჭებს. თანაც ცუდი წინათგრძნობა დაეუფლათ. ვერც ერთი ვერ ისვენებდა, ხანდახან უნებური ოხვრაც კი აღმოხდებოდათ. ჯომ კიდევაც სცადა სიტყვა გადაეკრა თავისი ამხანაგებისათვის ქალაქში დაბრუნების შესახებ, მართალია, ახლა არა, მაგრამ...

ტომმა მასხრად აიგდო. ჰეკიც, რა თქმა უნდა, მას მიემხრო. სახლი არა ჰქონდა და კარი, რომ იმაზე ედარდა. ორჯოფობაში მყოფმა ჯომ დაიწყო “ახსნა-განმარტება”, ვიხუმრეო, თან უხაროდა, რომ საქმეს თავი ადვილად დაღწია. სულმოკლეობა და სახლის დარდი არცთუ ისე შეუბღალავდა სახელს. ამ ჯერზე ამბობება თავშივე ჩაახშეს. დაღამდა. ჰეკი თავს აკანტურებდა და მალე ხვრინვაც ამოუშვა. მას მიჰყვა ჯოც. ტომი რამდენიმე ხანს გაუნძრევლად იწვა იდაყვზე დაყრდნობილი და დაკვირებით მისჩერებოდა თავის ამხანაგებს. შემდეგ ფრთხილად წამოიჩოქა და ალის მკრთალ შუქზე რაღაცას დაუნყო ძებნა ბალახებში. მან იპოვა ჭადრის ხის თეთრი, თხელი ქერქის რამდენიმე დიდი ნახვევი, ამოარჩია ყველაზე უფრო ვარგისი ორი ცალი, მიჩოქა ცეცხლთან და თავისი სურინჯით ძლივს დაჭაბნა თეთოეულ ნაჭერზე რამდენიმე სტრიქონი. ერთი დაახვია და ჯიბეში ჩაიდო, მეორე კი ჯოს ქუდში ჩადო და შორიახლოს დაუდო. ამას გარდა, ჯოს ქუდში ჩადო მონაფისათვის ფასდაუდებელი რამდენიმე ნივთი: ცარცის ნაჭერი, რეზინის ბურთი, სამი ნემსკავი და ერთი პატარა ბურთულა, “ნამდვილი ბროლის” სახელით რომ იყო ცნობილი. შემდეგ ფრთხილად, ფეხაკრებით გაძვრა ხეებს შორის. ასე იარა, ვიდრე იქაურობას კარგა არ გასცდებოდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა ნაპირისაკენ.

თავი მეთხუთმეტე

რამდენიმე წუთის შემდეგ მუხლებამდე წყალში შესული ტომი ფონს გადიოდა ილინოსის ნაპირისაკენ. ვიდრე წყალი წელამდის შემოსწვდებოდა, მან უკვე ნახევარი გზა გაიარა; მაგრამ შემდეგ ფეხით გასვლა უკვე შეუძლებელი იყო. და ტომიც ცურვაზე გადავიდა. მეორე ნაპირამდე ასიოდე იარდი დარჩენილიყო. ტომი დინების წინააღმდეგ მიცურავდა. წყალს იგი ბევრად უფრო ქვემოთ მიჰქონდა, ვიდრე მოელოდა. მაგრამ მაინც მიაღწია ნაპირს, შესაფერისი ადგილი მოძებნა და წყლიდან ამოვიდა. ჯიბეში ხელი ჩაიყო, ხის ქერქი უვნებელი დახვდა. ტყეს მიჰყვა მდინარის გაყოლებით, ტანისამოსიდან წყალი წურწურით ჩამოსდიოდა. ათი საათი არ იქნებოდა, როცა ტომი ტყიდან გამოვიდა. პატარა მინდორს მიადგა ქალაქის პირდაპირ. ხეების ჩრდილში მალალ ნაპირთან გემს მოჰკრა თვალი. ირგვლივ სიჩუმე იყო და ვარსკვლავები მკრთალად კიაფობდნენ. ტომმა დაღმართზე სწრაფად ჩაირბინა; თან სულ აქეთ-იქით იყურებოდა. გადახტა წყალში და სიბნელეში გაემართა ნაპირ-ნაპირ. მგზავრებს რომ არ შეხვედროდა, ორმოცდაათი ნაიჯით უფრო ქვემოთ გამოვიდა, არჩია მიყრუებული ქუჩებით სიარული და მალე მიადგა დეიდას სახლის ღობეს. ფრთხილად გადაფოფხდა მესერზე, მივიდა მინაშენთან და შეიხედა დეიდას ფანჯარაში, რადგან იქიდან სინათლე გამოდიოდა. ოთახში ისხდნენ: დეიდა პოლი, სიდი, მერი, ჯო ჰარპერის დედა და ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. ისინი ისხდნენ სანოლთან; სანოლი იმათსა და კარებს შუა იდგა. ტომი მიუახლოვდა კარს და ფრთხილად ჩამოსწია სახელური, შემდეგ კი ოდნავ მიანვა; კარმა დაიჭრაჭუნა; ტომი თანდათან აწვებოდა, თან თითოეულ ჭრაჭუნზე კრთებოდა. ბოლოს იმ ზომამდე გააღო კარი, რომ ოთხზე შეძრომა შეიძლებოდა. მართლაც შეყო თავი და შეძვრა.

- ამ სინათლის შუქი რად დაფარფაცდა? - იკითხა დეიდა პოლიმ. ტომმა ნაბიჯს უმატა. - ალბათ, კარი გაიღო, ადე, სიდ, დახურე.

ტომი სწორედ დროზე შეძვრა სანოლქვეშ. ცოტა შეისვენა და შემდეგ ისე ახლოს მიფოფხდა, რომ შეეძლო დეიდას ფეხზე შეხებოდა.

- პოდა, იმას ვამბობდი, - განაგრძო დეიდა პოლიმ, - რომ ის სრულიადაც არ იყო ცუდი, მხოლოდ ძალიან ანცი და თავქარიანი იყო, როგორც ყველა ბიჭი. ბოროტი განზრახვა არავისადმი არა ჰქონია, ისეთი გულკეთილი ძნელად თუ მოიძებნება ვინმე, ოქროს გული ჰქონდა...

და ტირილი დაიწყო.

- სწორედ ასეთივე იყო ჩემი ჯოც, განუწყვეტლივ ცულქობდა. ყველა ანცობაში პირველი

იყო და ამავე დროს კეთილი, ისეთი კეთილი, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა! ღმერთო, შემინდე მე ცოდვილს! რომ მომაგონდება მისი განკეპვლა ნაღებისათვის!.. სრულიად გადამავინყდა, რომ ნაღები მე თვითონ გადავღვარე, დამჟავებულიყო... როცა მომაგონდება, რომ ვეღარასოდეს ვნახავ მას აქვეყნად, ვეღარასოდეს, ვეღარასოდეს ვნახავ ჩემს საცოდავ ბიჭუკელას!

და მისის ჰარპერმა ისეთი ტირილი მორთო, გეგონებოდათ, გულს თან ამოაყოლებსო. - იმედი მაქვს, ტომი კარგად გრძნობს თავს იქ, სადაც არის, - თქვა სიდმა, - მაგრამ, ის რომ ცოტა უკეთესად მოქცეულიყო...

- სიდ! (ტომმა იგრძნო, როგორ აენტო დეიდას თვალები, თუმცა ამის დანახვა არ შეეძლო). - არ გაბედო ტომზე ცუდი რამის თქმა, როცა ის აღარ არის. ღმერთი იზრუნებს მათზე, ისე რომ, შენ ნუ შეწუხდები. სერ. ოპ, მისის ჰარპერ, არც კი ვიცი, როგორ გადავიტანო. წარმოდგენაც არ შემიძლია, რომ ის აღარ არის! ის ჩემთვის დიდი ნუგეში იყო, თუმცა კი ხშირად მანვალვდა.

- ღმერთმა მოგცა და ღმერთივე წაგართმევს. კურთხეულ იყოს მისი სახელი. დიახ, ძნელია, მეტად ძნელია! ჯერ კიდევ გასულ შაბათს ჩემმა ჯომ ფისტონი გაისროლა ჩემს ცხვირს და მე ისეთი ჩავთხლიშე, რომ მიწაზე დაენარცხა. რა ვიცოდი მაშინ, რომ ასე ჩქარა... ასე ჩქარა... ასეთი რამ ახლა კიდევ რომ ჩაედინა, გადავხვდებოდი და გადავკოცნიდი.

- მესმის, ძალიან კარგად მესმის თქვენი წუხილი, მისის ჰარპერ. მხოლოდ გუშინ იყო შუადღისას, ჩემმა ტომმა კატას რომ დააღვეინა წამალი: საცოდავი პირუტყვი ისე გაოგნდა, მეგონა, დაუმტვრეველი აღარაფერი გადაგვრჩებოდა. და მეც, ღმერთო შემინდე, ცოტა განყდა, თავი არ გავუხვრიტე სათითოთ. ჩემი სანყალი ბიჭი, ის უკვე აღარ არის, გათავდა მისი ტანჯვა, მისი უკანასკნელი სიტყვები საყვედური იყო. მაგრამ ამის გახსენება მის ძალას აღემატებოდა და ტირილი წასკდა. ტომიც ამლუქუნდა, მაგრამ უკვე საკუთარი თავისადმი სიბრაღულის გრძნობით. მას ესმოდა მერის ტირილიც, ხანდახან ისიც ჩაურთავდა რამდენიმე სიტყვას და ტომს ალერსით იხსენებდა. ყველაფერმა ამან ტომი მეტად აამაღლა საკუთარ თვალში, ვერასოდეს იფიქრებდა, რომ ასეთი კარგი ბიჭი იყო, დეიდას სევდამ კი მაინც მეტად შეანუხა. უნდოდა გამომძვრალიყო სანოლის ქვეშიდან და უსაზღვროდ გაეხარებინა მოხუცი, მაგრამ ამ ცდუნებას არ დაემორჩილა, სულგანაბული ინვა და ყურს უდგებდა. ნაწყვეტ-ნაწყვეტი საუბრიდან გაიგო, ჯერ ჰგონებიათ ბიჭები ბანაობის დროს დახრჩვნივნო, შემდეგ ტივის დაკარგვა შეუმჩნევიათ. ახლა ვიღაც ბიჭს გახსენებოდა დაკარგული ამხანაგების დაპირება: მალე ქალაქი რალაციტ გაკვირდებაო. მაშინ ბრძენმა ადამიანებმა ჭკუას ძალა დაატანეს და დაასკვნეს, ბიჭები, ალბათ ტივით გაემგზავრნენ და მახლობელ ქალაქში გადავიდნენო; მაგრამ შუადღისას ქალაქიდან ხუთი-ექვსი მილის დაშორებით ნაპირზე მიმდგარი ტივი დაენახათ. მაშინ კი დაჰკარგვოდათ იმედი, ბიჭები, ალბათ დაიხრჩვნივნო. ასე რომ არ იყოს, მოშივდებოდათ და საღამოთი ან უფრო ადრე დაბრუნდებოდნენ. უთუოდ მდინარის შუაგულში დაიხრჩვნივნენ, ამიტომ ვეღარ იპოვეს. ალბათ, ასე იყო, თორემ კარგი ცურვა იცოდნენ და ნაპირამდე გამოცურავდნენო. ეს ამბავი ოთხშაბათ საღამოს მოხდა, თუ კვირამდე მათ გვამებს ვერ იპოვიან, იმედს სრულიად დაკარგავენ და კვირა დილას მათ პანაშვიდს გადაიხდიანო. ამ სიტყვებზე ტომს შეაჟრჟოლა.

მისის ჰარპერი ტირილით გამოემშვიდობა ყველას და წასასვლელად მოემზადა. ორი დამწუხრებული მანდილოსანი ერთმანეთს გადაეხვია და, როცა გული იჭერეს ტირილით, დაშორდნენ. დეიდა პოლიმ ჩვეულებრივზე უფრო ნაზად გადაკოცნა სიდი და მერი; სიდი ცოტა სლუკუნებდა, მერი კი მდულარებას აფრქვევდა. დეიდა პოლი მუხლებზე დაემხო და ტომისთვის ისე ამაღლეველად და გულმხურვალედ ილოცა, ისეთი უსაზღვრო სიყვარული ჩააქსოვა თავის სიტყვებში და ბებრულ აკანკალებულ ხმაში, რომ ტომი აცრემლდა. დეიდა პოლიმ ლოცვა დაამთავრა, მაგრამ ტომი მაინც კარგა ხანს იცრემლებოდა. დეიდა დანვა დასაძინებლად, მაგრამ ტომს დიდხანს მოუხდა გაუნძრევლად წოლა სანოლქვეშ. დეიდა ერთთავად ტრიალებდა, ახველებდა და ხანდახან გულამოსკვნილი ოხრავდა. ბოლოს სრულიად მიწყნარდა, დროდადრო ძილში გმინავდა. ტომი გამოძვრა სანლის ქვეშიდან, ფრთხილად წამოდგა, ხელი მოაფარა სანთელს და დიდხანს დაჰყურებდა მოხუცს. ტომს ცოდვისაგან გული ეწვოდა. ამოიღო ჯიბიდან ხის ქერქი და დადო სანთლის გვერდით. მაგრამ რაღაც მოაგონდა, დაფიქრდა, უცებ სახე გაუბრწყინდა და საჩქაროდ ისევ ჩაიდო ჯიბეში; მერე დაიხარა, აკოცა მოხუცს გაცრეცილ ტუჩებში, უხმოდ გამოვიდა გარეთ და მაგრად გაიხურა კარი. ტომი ნავსადგურში დაბრუნდა და, რადგან არავის არ შეხვედრია, საჩქაროდ ავიდა გემზე. კარგად იცოდა, რომ დარაჯის მეტი იქ არავინ იქნებოდა და რომ ისიც

ყოველთვის კაიუტაში შედიოდა და მკვდარივით იძინებდა. ტომმა ახსნა ნავი, შიგ ჩაჭდა და ფრთხილად გასცურა დინების სანინაალმდეგო მიმართულებით. ქალაქს ერთი მილით რომ გასცდა, გადაჭრა მდინარე და ნავი მოპიდაპირე ნაპირისაკენ წაიყვანა. სწორედ ნავისადგომთან მიცურდა, რადგანაც ამ საქმეში უკვე განაფული იყო. ძალიან უნდოდა ნავი მიეთვისებინა, ის მათ გემობას გაუნეჯდა, თანაც მეკობრეების კანონიერი მონაპოვარი იქნებოდა, მაგრამ იცოდა, ძებნას დაუნეებდნენ და შეიძლება მათი კვალისთვისაც მიეგნოთ.

ასე რომ, გადმოხტა ნაპირზე და ცოტა ხანს შეისვენა ტყეში. ძილისაგან თავს ძლივს იკავებდა; მერე წალასლასდა თავის ამხანაგებთან. დამე უკვე ილეოდა და, როცა ის თავთხელს მიუახლოვდა, სრულიად გათენდა. ტომმა ცოტა ხანს კიდევ შეისვენა, ვიდრე მზე თავის ქოროს სხივებს წყალს მოჰფენდა, მერე კი გადაეშვა მდინარეში და გასცურა. ცოტა ხნის შემდეგ ბანაკის საზღვართან იდგა მთლად სველი, სწორედ იმ დროს, როცა ჯო ამბობდა:

- არა, ჰეკ, ტომი სანდო კაცია, ის არ გაგვექცევა, დაბრუნდება. განა არ იცის, რომ უკან დახევა სირცხვილია მეკობრისათვის. მან, ალბათ, რაღაც სხვა მოიფიქრა. მაგრამ ნეტავ, რა მოიფიქრა?

- ყოველ შემთხვევაში, ეს ნივთები ხომ ჩვენია?

- ჩვენია, ჰეკ, მაგრამ მთლად არა. წერილში წერია, დავისაკუთროთ, თუ არ დაბუნდება საუზმემდე.

- აი, მეც აქ გახლავართ, - წამოიძახა ტომმა და მედიდურად გამოემართა მათკენ. ეს იყო საუცხოლო თეატრალური ეფექტი.

მაღე შესანიშნავად ისაუბრეს ლორით და თევზით. საუზმის დროს ტომმა უამბო მათ, რაც თავს გადახდა და ჩვეულებრივად შეალამაზა. როცა ყველაფერი ბოლომდე მოისმინეს, ჩვენი გმირების პატივმოყვარეობას და ტრაბახს საზღვარი აღარ ჰქონდა. ამის შემდეგ ტომი ჩრდილში მიწვა შუადღემდე გამოსაძინებლად, დანარჩენი მეკობრეები კი თევზის საჭერად და კუნძულის გამოსაკვლევად გაემართნენ.

თავი მეთექვსმეტე

სადილის შემდეგ მთელმა ჯგუფმა გასწია რიყებზე კუს კვერცხებზე სანადიროდ. ბიჭები ჯოხით სინჯავდნენ ქვიშას. როცა ფხვიერ ადგილს შეხვდებოდნენ, დაიჩოქებდნენ, ამოურევდნენ ხელს და ზოგი ორმოდან ორმოცდაათი-სამოცი კვერცხი ამოჰქონდათ. კვერცხები მრგვალი იყო, თეთრები, კაკალზე ოდნავ მომცრო. იმ საღამოს შესანიშნავად ივახშმეს ერბო-კვერცხით და ასევე კარგად ისაუბრეს პარასკევ დილით. საუზმის შემდეგ ყოვნიით დაჰქროდნენ რიყებზე; ერთმანეთს დასდევდნენ, თან გზადაგზა ტანთ იხდიდნენ, სანამ მთლად არ გაშიშვლდნენ; ახლა თავხელ წყალში შორს შევიდნენ, ებრძოდნენ მდინარის ტალღებს, ფეხი უსხლტებოდათ და ყველაფერი ეს უფრო ამხიარულებდათ. ზოგჯერ სამივე ერთად შეჯგუფდებოდნენ, ერთმანეთს წყალს ასხანდნენ სახეში. ეს თავდებოდა საერთო ბრძოლით, რმელიც იმდენ ხანს გრძელდებოდა, სანამ გამარჯვებული წყალში თავს არ ცააყოფინებდა მონინაალმდეგეს. მერე უცებ სამივენი წყალში ჩაიმალებოდნენ და აქა-იქ გაიფლავებდა მათი ხელ-ფეხი. შემდეგ კვლავ ზედაპირზე ამოცურდებოდნენ, ფრუტუნებდნენ, იცინოდნენ, იფურთხებოდნენ და სულს ძლივს ითქვამდნენ.

მოღალულნი ამოხტებოდნენ წყლიდან, გორაობდნენ მშრალ, ცხელ სილაში, ეფლობოდნენ შიგ, კვლავ ჩახტებოდნენ წყალში და თავიდან ინყებდნენ ყველაფერს. ბოლოს დაასკვნეს, რომ მათი შიშველი ტანი ხორცისფერ ქსოვინს ჰგავდა; სილაზე მოხაზეს წრე და გამართეს ცირკი, სადაც უნდა ეთამაშათ სამ ჯამბაზს: არც ერთს არ უნდოდა დაეთმო ეს სახარბიელო თანამდებობა.

შემდეგ მოძებნეს თავიანთი ბურთულები და დაიწყეს თამაში, ვიდრე არ მოებზრდათ. მერე ჯო და ჰეკი ისევ საბანაოდ წავიდნენ, მაგრამ ტომმა ვეღარ გაბედა. შარვლის გახდისას კოჭზე შებმული გველის ჩხრიალი დაჰკარგვოდა. ძალიან უკვირდა, ამ სასწაულმოქმედი თილისმის გარეშე კრუნჩხვას როგორ გადავურჩიო; სანამ თავისი ჩხრიალა არ იპოვნა, ვეღარ გაბედა წყალში შესვლა. ამასობაში ჯო და ჰეკი ცურაობით უკვე დაღლილიყვნენ და დასვენებას აპირებდნენ. თანდათან სხვადასხვა

მიმართულებით გაიფანტნენ; უცებ დაღონდნენ და თითოეული სევდიანად გაჰყურებდა მდინარის იმ ნაპირს, სადაც ცხრათვალა მზე დანათოდა მათ ქალაქს. ტომმა თავისდაუნებურად სილაზე ფეხის ცერით დაწერა: ბეკი; უცებ გონს მოვიდა, ნაშალა დაწერილი და თავისი თავი დატუქსა ასეთი სისუსტისათვის; მაგრამ მაინც ვერ მოითმონა და კვლავ დაწერა ეს სახელი; ისევ ნაშალა და რომ არ აპყლოდა გულისთქმას, ამხანაგებს შეუერთდა.

ჟო კი მთლად დაეცა სულით. ისე ნატობდა შინაურებს, რომ აღარ იცოდა, რა ექნა, ცრემლებს ძლივს იკავებდა. ჰეკიც მიყუნდა. ტომიც უგუნებოდა იყო, მაგრამ არ იმჩნევდა. გულში ერთ საიდუმლოს ინახავდა, მაგრამ, თუ ვინიცობაა მისი მეგობრების შფოთვა არ დაცხრებოდა, იძულებული გახდებოდა, ყველაფერი ეთქვა: გარეგნულად მხიარულმა ასე მიმართა თავის ამხანაგებს:

- ბიჭებო, სანაძლოს ვდებ, ჩვენამდის კუნძულზე სხვა მეგობრები იქნებოდნენ. მოდი თქვენც დავათვალე ერთ აქაურობა: ალბათ, სადმე განძი იქნება დამალული. შენ ნახე სერი, თუ ნავანყდით უკვე ნახევრად დამპალ, ოქროთი და ვერცხლით სავსე ზანდუკებს.

მაგრამ წინადადება მდინარე აღფრთოვანება არ გამოიწვია. ტომმა კიდევ სცადა ორიოდ სახარბიელო ვარაუდის გამოთქმა, მაგრამ სრულიად უშედეგოდ. ტომი არასასურველ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ჟო სილას ჯოხით უჩხიკინებდა კოპებშეკრული, ბოლოს თქვა:

- ეჰ, ძმებო, თავი დავანებოთ ყველაფერს. შინ მინდა წასვლა, აქ მონყენილობაა.

- ეჰ, ჟო, რას ამბობ, მიეჩვევი, - ურჩევდა ტომი, - მარტო აქ თევზაობა რად ღირს!

- არავითარი თევზაობა არ მსურს, შინ მინდა..

- ბანაობა? განა სადმე მოიძებნება ასეთი საბანაო ადგილები?

- არც ბანაობა მინდა! ბანაობაც მომბებრდა, როცა არავინ მიშლის. შინ მინდა.

- ფუი, რა სისულელეს ჩმახავ! ალუ, დედასთან მოგინდა?

- დიახაც, დედასთან. შენც მოგენატრებოდა, რომ გყოლოდა. თან არცთუ შენზე პატარა ვარ, - ჟო ჩუმად ასლუკუნდა.

- ძალიან კარგი. დაბრუნდეს ჩვენი მტირალა შინ, დედასთან; გაუშვებთ, არა ჰეკ?

საწყალი, უდედოდ მოეწყინა. რა ვუყოთ, დაე, ნავიდეს! შენ ხომ მოგონს აქ, ჰეკ? მე და შენ აქ დავრჩეთ!

- ჰოო... - თქვა ჰეკმა სრულიად გულგრილად.

- აღარასოდეს აღარ დაგელაპარაკებით დღეის შემდეგ, - განაცხადა ჟომ და ნამოდგა, შუბლშეკრული განმარტოვდა და ტანისამოსის ჩაცმა დაიწყო.

- დიდი ამბავი, - გამოუხმაურა ტომი, - არც არავინ შეგეხვეწება! მიბრძანდი! დაე, ყველამ დაგცინოს. ნამდვილი მეგობრე კი ხარ, კი! ჰეკი და მე შენსავით მტირალეები არა ვართ, ჩვენ აქ დავრჩებით, არა, ჰეკ? ნავიდეს, თუ უნდა. უმაგისოდაც გავძლებთ.

მაგრამ ტომი შეშფოთდა, როცა დაინახა, როგორ კუმტად იცვამდა ჟო თავის ტანსაცმელს. მას აღელვებდა ჰეკიც, რომელიც უხმოდ უთვალთვალებდა მიმავალი ამხანაგის სამზადისს. ჟომ ჩაიყვია და უსიტყვოდ, გამოუმშვიდობებლად გაემართა ილინოსის ნაირისაკენ. ტომს გული დაწყდა. შეხედა ჰეკს. მან ვერ გაუძლო ტომის მზერას, თვალეები დახარა და თქვა:

- მეც მინდა წასვლა, ტომ. აქ რაღაც მონყენილობა ჩამოვარდა და ამას იქით უფრო უარესი იქნება. ჩვენც ნავიდეთ, ტომ!

- ნადი, თუ გინდა. მე არ ჩამოვალ, აქ დავრჩები.

- ტომ, მე წასვლა მირჩევნია.

- მერე ვინ გიშლის? ნადი.

ჰეკმა დაიწყო თავისი გაფანტული ტანისამოსის შეგროვება, თან ასე მიმართა ტომს:

- ტომ, შენც წამოდი! გადანყვიტე. ჩვენ იქითა ნაპირზე დაგიცდით.

- ძალიან დიდხანს დაგჭირდებათ ცდა.

ჰეკი დაღონებული გაშორდა; ტომი იდგა და გასცქეროდა მიმავალთ; დიდი სურვილი ჰქონდა, ჯიბეში შეენახა თავისი ამპარტავნობა და გაჰყოლოდა მათ. იმედი ჰქონდა, ბიჭები ჩერდებოდნენ, მაგრამ ისინი ნელ-ნელა მიიწვედნენ წინ. ტომმა რაღაც არაჩვეულებრივი სიმართლე იგრძნო. მან შეაფურთხა თავის თავმოყვარეობას და სირბილით გამოუდგა ამხანაგებს!

- შეჩერდით, შეჩერდით, რაღაცა მინდა გითხრათ!

ისინიც შეჩერდნენ და უკან მოტრიალდნენ. ტომი რომ დაენია, თავისი დაიდუმლო გაანდო; ისინი უსმენდნენ კოპებშეკრულნი, ვიდრე არ მიხვდნენ, რისი თქმაც უნდოდა ტომს; როცა გაიგეს, საქმე რაშიც იყო, ჭყვილს მოჰყვნენ სიხარულისაგან და გაიძახოდნენ, "შესანიშნავიაო!" თავიდანვე რომ გეთქვა, წასვლას არ ვიფიქრებდითო.

ტომმა, ყოველი შემთხვევისათვის, ბოდიში მოიხადა. მაგრამ ნადვილი მიზეზი კი ის იყო, რომ იცოდა, თვით ეს საიდუმლოებაც კი არ გააჩერებდა ბიჭებს მასთან დიდხანს. ისე რომ, გადანყვებილი ჰქონდა, შემოენახა იგი, როგორც უკიდურესი საშუალება. ბიჭები მხიარულად დაბრუნდნენ უკან. ისევ დაინყეს ცელქობა, თან განუწყვეტლივ ყბედობდნენ ტომის არაჩვეულებრივ ჩანაფიქრზე, აღტაცებულნი იყვნენ მისი გონიერებით. სადილის შემდეგ, რომელიც შედგებოდა კვერცხებისა და თევზისაგან, ტომმა განაცხადა, თუთუნის ნევა უნდა ვისწავლო. ჯოს მოეწონა ეს აზრი და თვითონაც გამოთქვა ამისი სურვილი. ჰეკმა გააკეთა ჩიბუხი და თუთუნით გაუვსო. აქამდე ეს ორი ყმანვილი მხოლოდ ვაზის ფოთლის სიგარებს თუ სწვევდა, მაგრამ ისინი ენას უთუთქავდნენ და არც შეეფერებოდა ვაჟკაცებს.

სამივენი გაიშხლართნენ მიწაზე, დაეყრდნენ იდაყვებს და დაინყეს ნელ-ნელა, ნაფახით ნევა. კვამლს არასასიამოვნო სუნი ჰქონდა, ცოტას იჭლანებოდნენ, მაგრამ ტომმა მაინც განაცხადა:

- ადვილი ყოფილა! რომ მცოდნოდა, აქამდისაც დავინყებდი.

- მეც ეგრე ვიზამდი, - დაეთანხმა ჯო, - სულ უბრალო რამე ყოფილა!

- რამდენჯერ მინატრია, როცა სხვა დამინახავს, ნეტავ მასწავლა-მეთქი, მაგრამ არ ვიყავი დარწმუნებული, თუ შევძლებდი, - თქვა ტომმა.

- მეც ეგრე მეგონა, ხომ მართალია, ჰეკ? ჩემგან ხომ რამდენჯერმე გაგიგონია? აი, თვითონ ჰეკმა თქვას.

- მართალია, რამდენჯერმე გითქვამს, - დაემონმა ჰეკიც.

- მეც, ალბათ, ათასჯერ მითქვამს, - თქვა ტომმა. - ერთხელ, გახსოვს, საყასბოსთან ვიდექით. იქ იყვნენ ბობ ტანერი, ჯონ მილერი და ჯეფ თეტჩერი. გახსოვს, ჰეკ, რაც ვთქვი მაშინ?

- როგორ არა, მახსოვს. ეს იმ დღეს იყო, როცა ჩემი თეთრი ბურთულა დავკარგე... თუმცა არა, წინადადით.

- აი, ხომ გითხარი, ჰეკს ახსოვს!

- ასე მგონია, ჩიბუხის მონევას მთელ დღეს შევძლებ, - განაცხადა ჯომ, - სრულიადაც არ მერევა გული.

- არც მე, - თქვა ტომმა, - შემოიძლია მთელი დღე ვნო, მაგრამ დაგენიძლავებით, ჯეფ თეტჩერი ვერ შესძლებს.

- ჯეფ თეტჩერი? აბა, იმას რა შეუძლია? ის ორ ნაფაბსაც ვერ დაართყამს! აბა, ერთი სცადოს!

- თავისთავად ცხადია, ვერც ჯონ მილერი შესძლებს. ნეტავი, ერთი დამანახა, როგორ მოსწევს ჯონ მილერი!

- სად აქვს ამისი შნო ჯონ მილერს! იმას არაფერი არ შეუძლია. ერთი ნაფაბით თავბრუ დაეხვევა.

- შენ მართალი ხარ, ჯო, რა სერი იქნებოდა, ახლა ჩვენი ამხანაგები რომ დაგვინახავდნენ!

- შესანიშნავი იქნებოდა!

- გამიგონეთ, ბიჭებო, კრინტი არ დაძრათ არავისთან! ოდესმე, როდესაც ყველა ერთად ვიქნებით თავმოყრილი, მოგიახლოვდები და გეტყვი: “ჯო, გაქვს ჩიბუხი? მინევა მსურს”. შენ კი დაუდევრად მიპასუხებ, თითქოს სულ უბრალო რამეს ამბობდე: “ჯო, ჩემი ძველი ჩიბუხი მაქვს, კიდევ სხვაც, მაგრამ თუთუნი არ მივარგა”. მე კი გეტყვი: “სულ ერთია, ოღონდ მაგარი იყოს”. შენც ამოიღებ ჩიბუხებს და, ვითომც აქ არაფერიაო, ორივე გავაბოლებთ. აი, მაშინ იქნება სერი!

- ოღონდაც, რომ იქნება! ტომ! ნეტავ, ეს ახლავე მოხდებოდეს!

- ნეტავი, მეც მინდა! როცა ვეტყვი, თუთუნის ნევა მეკობრეობის დროს ვისწავლეთო, შენ მაშინ ნახე, როგორ შეშურდებათ!

- ოღონდაც, გასაგებიც იქნება!

ასე გრძელდებოდა მუსიაფი, მაგრამ თანდათან შენელდა და მათი ხმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისმოდა. ხანგრძლივად დუმდნენ, მხოლოდ ძალიან მოუხშირეს პურტყებას. ბიჭებს პირი ევსებოდათ ნერწყვით და ძლივს ასწრებდნენ მისგან განთავისუფლებას. მიუხედავად მათი მეცადინეობისა, ნერწყვი მაინც ყელში გადასდიოდათ და გულს საშინლად აზიდებდათ. ორივე ყმანვილი მთლად გაყვითლდა და შესაბრალისი შესახედაობისანი იყვნენ. ჯოს ხელიდან გაუვარდა ჩიბუხი, იმდენად დაუსუსტდა თითები. ასევე დაემართა ტომსაც, ბოლოს მისუსტებულმა ჯომ ძლივს ნაილულულა:

- დანა დავკარგე, საძებნელად უნდა წავიდე.

ტომმა აცახცახებული ტუჩებით ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოთქვა:

- მეც გიშველი. შენ ამ გზით წადი, მე კი იმ გზით წავალ, წყაროსაკენ. ჰეკ, შენ ნუ

გამოგვყვები, ჩვენ თვითონ ვიპოვით.

ჰეკი დაჭდა თავის ადგილას და ერთ საათზე მეტი ელოდა მათ. ბოლოს მოსწყინდა და წავიდა ამხანაგების საძებნელად. ისინი იპოვა ტყეში, ერთმანეთისაგან კარგა მოშორებით; ორივე საშინლად იყო გაფითრებული და ორივეს მაგრად ეძინა. ჰეკმა გაიფიქრა: თუ ადრე ცუდად იყვნენ, ახლა არარაფერი არ უნდა უშავდეთო. საღამოთი, ვახშმობის დროს, ორივე გაჩუმებულიყვი იყვნენ და რაღაც უმწეოდ გამოიყურებოდნენ. ვახშმის შემდეგ, როცა ჰეკმა ჩიბუხი გატენა და იმათაც მიაწოდა, ორივემ უარი განაცხადა უქეიფობის გამო: ალბათ სადილზე რაღაცამ გვანყინაო.

თავი მეჩვიდმეტე

შუალამისას ჯოს გამოედვიდა და ამხანაგებიც გაადვიდა. ჰაერი შეხუთული იყო და კარგს არას უქადდა იქაურობას, ბიჭები ერთმანეთს მიეკვრნენ ცეცხლის პირას, თუმცა საკმაოდ ცხელოდა და სუნთქვაც ჭირდა. ისხდნენ სულგანაბულნი და სმენაგამახვილებულნი.

ცეცხლის მიღმა ყველაფერი სიბნელეში იყო ჩანთქმული.

უცებ გაიელვა, სუსტმა სინათლემ ერთი წუთით გაანათა ხის ფოთლები. მერე კიდევ გაიელვა უფრო ძლიერ. ელვა კიდევ გამეორდა. სუსტმა გმინვამ გადაუარა ხის ტოტებს. ბიჭებმა სახეზე თითქოს ვიღაცის სუნთქვა იგრძნეს, შიშისაგან შეაჭრუოლათ: იფიქრეს “ღამის სულმა” ჩაგვიქროლაო. შემდეგ მყუდროება ჩამოვარდა. უცერად ავის მომასწავებელმა ელვამ დღესავით გააჩუქა ცეცხლის პირას თითქმის თითოეული ბალახი და შიშისაგან გაფითრებული სამი სახე. ქუხილმა ყრუდ გადაუარა მთელ ცას და სადღაც შორს მიწყდა. დაუბერა ცივმა ქარმა, ფოთლები ააშრიალა და ცეცხლის გარშემო ნაცარი მიმოფანტა. კვლავ ძლიერად გაიელვა და იმ წუთსვე დაიქუხა. ბიჭებს ეგონათ, თავზე ელენებოდათ ხეები. შიშით გულგახეთქილნი უკან სიბნელეში ერთმანეთს მიჰკვროდნენ. ხის ფოთლებზე გაისმა მსხვილი წვიმის ხათქახუთქი.

- არიქა, ბიჭებო, კარავში! - წამოიყვირა ტომმა.

წამოცვივდნენ საჩქაროდ და გაიფანტნენ; ხის ჭირკებს ედებოდნენ, ხან გარეულ ვაზებში ებოდნენ. ტყეში მრისხანე ქარაშოტი ზუზუნებდა, გრიალებდა და თავისი სიმძრავრით დიდრონ ხეებს ღუნავდა. თითქმის განუწყვეტლივ ელავდა და თითოეულ გაელვებაზე გამაყრუებელი ჭექა-ხუხილი ისმოდა. უცებ კოკოსპირული წვიმა დაიწყო.

ბიჭები ერთმანეთს ეძახდნენ, მაგრამ ქარიშხალის ღმუილი და ჭექა-ქუხილი აყრუებდა მათ ხმას. როგორც იყო მიაღწიეს კარავს და თავი შეაფარეს აცახცახებულმა და გულგახეთქილებმა. ტანისამოსიდან წურწურით ჩამოსდიოდათ წყალი, მაგრამ ერთმანეთის სიახლოვემ ისინი დაამშვიდა. ლაპარაკი შეუძლებელი იყო. მათ ძველ კარავს ქარი ისე გააფთრებით აფრიალებდა, რომ ყველა სხვა ხმა იფარებოდა. ქარიშხალი სულ უფრო ძლიერდებოდა, ბოლოს, ქარმა აწყვიტა მათი კარავი და ციბრუტივით დაატრიალა ჰაერში. ბიჭებმა ერთმანეთს ჩასჭიდეს ხელი და გაიქცნენ დიდი მუხისაკენ, რომელიც წყლის პირას იდგა. გზაზე სულ ფეხი უცდებოდათ და ხან რას დაეჯახებოდნენ, ხან - რას. გრიგალი თავისას არ იშლიდა და გაცხარებულმა ბრძოლაში იყო. ელვა წამდაუნუმ ანათებდა ღრუბლებით მოკუპრულ ცას. დედამიწაზეც ყველაფერი გარკვევით ჩანდა: დახრილი ხეები, აღელვებული, თეთრქაფმოდებული მდინარე, მის მეორე ნაპირზე, წვიმის გამჭვირვალე ფარდის გადაღმა, ციცაბო კლდის ბუნდოვანი მოხაზულობა. დროგამოშვებით ტყის რომელიმე ბუმბერაზი ხე ძირს ეხეთქებოდა ბრძოლაში დაღუპულივით და ახლომახლო ხეების ნორჩ ტოტებს ლანალუნს უყენებდა. განუწყვეტელი ჭექა-ქუხილი მარბაზანივით გამაყრუებლად გრიალებდა და მკვეთრი ხმაურით ადაამიანს შიშის ბარს ჰკვრიდა. გრიგალი ბოლოს ისე გააფთრდა, გააღმასდა, თითქოს სურს მთელი კუნძული ნამსხვრევებად აღგავოს, ყველა ცოცხალი არსება დააყრუოსო. ეს იყო საშინელი ღამე უსაჯანო ბავშვებისათვის.

ბოლოს ძლივს შეწყდა ბრძოლა. ჭარებმა უკან დაიხიეს. მათი ბურტყუნი და მუქარა უფრო და უფრო ყრუდ ისმოდა; ბუნებაში ისევ სიმშვიდემ დაისადგურა. ბიჭები საკმაოდ შეშინებულნი დაბრუნდნენ თავიანთ ბანაკში. თურმე უზარმაზარ ჭადრის ხეს, რომლის ქვეშაც ღამეს ათევდნენ, მეხი დასცემოდა, სიხარულით აღივსნენ: კიდევ კარგი, იმ დროს აქ არ ვიყავითო.

მათი ბანაკი წყალს დაეფარა, ცეცხლი ჩამქრალიყო. ბიჭებს, მათი ასაკისათვის დამახასიათებელი დაუდევრობის გამო, არ ეზრუნათ წვიმისაგან დაეცვათ იგი. ძალიან

სამწუხარო იყო, რადგანაც განუწულები იყვნენ და სიცივიტ კანკალებდნენ. ისინი მჭერმეტყველურ სიტყვებით უჩიოდნენ თავის ბედს. მარამ უცებ შეამჩნიეს, რომ იმ ადგილს, სადაც ისინი კოცონს აჩაღებდნენ, ცეცხლს ღრმად გამოენვა ძელი, და იგი მინიდან ისე დაეშორებინა, რომ ერთი ხელის დადება ნაკვერჩხალი გადარჩენოდა სისველეს. ბიჭებმა მოძებნეს მშრალი ჩინჩხვარი, ხის ქერქები, დააყარეს ზედ და ძლივძლივობით გააღვივეს ცეცხლი. მერე ხის ტოტები შეუკეთეს, დაანთეს დიდი კოცონი და გულიც სიხარულით აევსოთ. ცეცხლზე გააშრეს დასველებული ლორი, კარგად ივახშმეს, შემოუსხდნენ ცეცხლს და დილაამდე მუსაიფობდნენ. სულ ერთია, დასაძინებელი ადგილი მაინც არა ჰქონდათ, გარშემო ერთი მტკაველი მშრალი ადგილიც არ მოიძებნებოდა.

მზის სხივების გამოჩენისას ჩვენს გმირებს ძილი მოერიათ და იძულებულნი გახდნენ მდინარის პირას, სველ სილაზე განოლილიყვნენ. როცა მზემ კარგად დააცხუნა, ბიჭები ჩამოსხდნენ და უხალისოდ შეუდგნენ საუზმის მომზადებას. მაგრამ საუზმის შემდეგ სულ მოეშვნენ. ძლივს დადიოდნენ, გულში ისევ შეეპარათ სახლისადმი სევდა. ტომმა ეს შეამჩნია. რას არ ჩადიოდა, რომ თავისი ამხანაგები გაემხიარულებინა, მაგრამ მათ აღარ ახალისებდათ არც კენტაობა, არც ცირკი, არც ბანაობა. ტომმა მოაგონა მათ დიდი საიდუმლო და ოდნავ გაამხიარულა. ამით ისარგებლა და ახლა ისინი სხვა გამოგონებით დააინტერესა; ურჩია, დროებით დაენებებინათ თავი მეკობრეობისათვის და გადაქცეულიყვნენ ინდიელებად. ეს აზრი მოეწონათ. სწრაფად გაშიშვლდნენ, თავით ფეხებამდე გაითხუბნენ ტალახით, აჭრელდნენ ზებრებივით. ამასთან სამივენი ბელადები იყვნენ და გაიქცნენ ტყისაკენ ინგლისელთა სოფელზე დასაცემად.

თანდათან გაიყვნენ სამ მოსისხლე ბანაკად. გამოუხტებოდნენ ერთმანეთს საფარიდან საომარი ყიჟინით და მტერს ათასობით ხოცავდნენ, სკალპს აცლიდნენ. გაცხოველებული ბრძოლა იყო და ჩვენი ბიჭები მეტად კმაყოფილნი დარჩნენ.

ვახშმობისას ბანაკში მოიყარეს თავი მშვივრებმა და ბედნიერებმა. მაგრამ აქ დაბრკოლება გადაეღობათ: გადამტერებული ინდიელები პურს ვერ გატეხდნენ ერთად, ვიდრე წინასწარ ზავს არ ჩამოაგდებდნენ. ეს კი შეუძლებელი იყო, თუ მშვიდობიანობის ჩიბუსს არ მოსწევდნენ; სხვა საშუალება მათ არ იცოდნენ ზავის ჩამოსაგდებად. ორმა ინანა კიდევ, რატომ მეკობრეებად არ დავრჩით, მაგრამ სხვა გამოსავალი რომ არ იყო, ნაძალადევი მხიარულებით რიგრიგობით გააბოლეს ჩიბუსი.

ბოლოს გაუხარდათ ინდიელებად გადაქცევა, რადგან მოგებულნი დარჩნენ; ამ ჯერზე უკეთ შესძლეს ჩიბუსის მოწევა და აღარ დასჭირვებიათ დანის საძებნელად წასვლა. თავს არც იმდენად ცუდად გრძნობდნენ, რომ სერიოზული რამე დამართნოდათ. ასეთმა წარმატებამ წააქეზა ბიჭები და, რა თქმა უნდა, ცდას აღარ დააკლებდნენ. ვახშმის შემდეგ სიამოვნებით გააბოლეს და საღამომ შესანიშნავად ჩაიარა. მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ისე ამყობდნენ თავიანთი ახალი წარმატებით, თითქოს ექვსი ინდიელი ტომისათვის გაეძროთ ტყავი. დაე, ახლა იმათ თუთუნი სწიონ, ილაქლაქონ და იტრაბახონ, უიმათოდაც იოლად წავალთ.

თავი მეთვრამეტე

სამაგიეროდ, ამ შაბათ საღამოს პატარა ქალაქში არავინ არ მხიარულობდა. პარპერისა და დეიდა პოლის ოჯახები დიდ ტირილსა და მწუხარებას მისცემოდა და ძაძით შემოსილიყო. მართალია, ეს ქალაქი სხვა დროსაც არ გამოირჩეოდა დიდი მხიარულებით, მაგრამ ახლა უჩვეულო სიჩუმე სუფევდა. საქმეში გართულ მოქალაქეებს დაბნეული გამომეტყველება ჰქონდათ. ისინი თითქმის არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და ხშირად ოხრავდნენ. შაბათის დასვენება ბავშვებისათვისაც ტანჯვად იქცა. თამაში არ უნდოდათ და თანდათანობით სრულიად მიანებეს კიდევ მას თავი.

საღამო ხანს ბეკი თეტჩერი მოწყენილი დაეხებებოდა დაცარიელებული სკოლის ეზოში, მაგრამ ვერფერს სანუგეშოს ვერა ხედავდა. ის თავის თავს ელაპარაკებოდა.

- ნეტავ ის სპილენძის ბურთულა მაინც მქონოდა! იმის სახსოვრად არაფერი დამრჩა! ბეკის გული აუჩუყდა, შემდეგ განაგრძო:

- დიახ, სწორედ აქ მოხდა... შესაძლებელი რომ იყოს იმ შეხვედრის გამეორება, არასგზით არ ვეტყვოდი ისეთ მწარე სიტყვებს! მაგრამ ის აღარ არის და მეც ვეღარასოდეს, ვეღარასოდეს ვიხილა.

ამ აზრმა გული მოუკლა და ცხარედ ატირებული წავიდა შინისაკენ. შემდეგ სკოლის ეზოსთან გოგო-ბიჭების მთელი ხროვა მოგროვდა. ტომისა და ჯოს სკოლის ამხანაგები იყვნენ. ყველანი გაჩერდნენ მესერთან და ეზოში დაიწყეს ცქერა, თანაც მოწინებით იკონებდნენ, თუ რა ჩაიბინა ტომმა უკანასკნელი შეხვედრის დროს. მოიგონეს ჯოს ნათქვამიც, თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ თურმე საშინელი წინასწარმეტყველების გამომხატველი, როგორც ახლა რწმუნდებოდნენ. ამავე დროს, თითოეული მოუბარი გულდაგულ უჩვენებდა იმ ადგილს, სადაც იდგნენ დაღუპული ბიჭები, თან უმატებდა: “მე სწორედ აქ ვიდექი, ისევე, როგორც ახლა ვდგავარ, ის კი ისე იდგა, როგორც ახლა რწმუნდებოდნენ. ამავე დროს, თითოეული მოუბარი გულდაგულ უჩვენებდა იმ ადგილს, სადაც იდგნენ დაღუპული ბიჭები, თან უმატებდა: “მე სწორედ აქ ვიდექი, ისევე როგორც ახლა ვდგავარ, ის კი ისე იდგა, როგორც შენ დგახარ, თანაც ისე იღიმებოდა, რომ პირდაპირ ჟრუანტელმა დამიარა; მაშინ აბა, რა ვიცოდი, რას ნიშნავდა ყველაფერი ის, ახლა კი მესმის!”

ბოლოს კამათი იმაზე ატყდა, თუ ვინ ნახა უკანასკნელად ბიჭები. ბევრმა თავის თავს მიაწერა ეს არცთუ სახარბიელო უპირატესობა, მოჰყავდათ სხვადასხვაგვარი საბუთი, მაგრამ მათ ჩვენებას ახლა სხვები აბათილებდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, დაბუსტდა, ვინ ნახა უკანასკნელად დაღუპული მეგობრები და ვინ ელაპარაკა მათ. ეს ბედნიერნი ამაყად გამოიყურებოდნენ, დანარჩენები კი შეჰყურებდნენ მათ და შურით ივსებოდნენ. ერთმა ბიჭმა, მეტი რომ ვერაფერი მოახერხა, თავმოძრონედ განაცხადა:

- ტომ სოიერმა ერთხელ ლაზათიანად მიმბეგვა.

მაგრამ ამ დატრახტებამ ვერავინ გააკვირვა. ამისთანა მიტყეპილები ბევრი იყვნენ; ასე რომ, ეს კვებნა მეტად იაფფასიანი გამოდგა. ბიჭები გაშორდნენ იქაურობას, თანაც კვლავ დიდი მოწინებით იხსნებდნენ დაღუპულ გმირებს.

მეორე დილას, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, ეკლესიის ჩვეულებრივი ზარის მაგიერ გაისმა გაბმული რეკვა. მეტად წყნარი დღე იდგა და ზარის სევდიანი ხმა კარგად ესმარებოდა იდუმალებას, რომელსაც ბუნებაში დაესადგურებინა. მოდიოდნენ მოქალაქეები, ჩერდებოდნენ კარიბჭესთან და ხმადაბლა ლაპარაკობდნენ სამწუხარო ამბის შესახებ. ეკლესიაში აღარავინ ჩურჩულებდა, სკამებისაკენ მიმავალი ქალების სამკლავიარო კაბების შრიალი თუ არღვევდა იქ გამეფებულ სიწყნარეს. არავის არ ახსოვდა, პატარა ეკლესია ასე გადაჭედული ყოფილიყო ხალხით. ბოლოს მოლოდინის მდუმარება ჩამოვარდებოდა. ეკლესიაში შემოვიდნენ დეიდა პოლი, სიდი, მერი; ამათ მოჰყვა ჰარპერების ოჯახი, - ყველანი ზაძებში შემოსილნი. ყველა მლოცველი, თვით მოხუცი მღვდელიც კი მოწინებით ფეხზე წამოდგნენ და იდგნენ იქამდის, ვიდრე დაღუპულთა ნათესავებმა წინა სკამები არ დაიკავეს; კვლავ ჩამოვარდა სიჩუმე, რომელსაც არღვევდა მხოლოდ ყრუ ქვითინი. შემდეგ მღვდელმა აღაპყრო ხელები და დაიწყო წირვა. იგალობეს გულსაკლავი საგალობელი, შემდეგ მღვდელმა წარმოთქვა: “მე ვარ აღდგომა და ცხოვრება”.

მღვდელმა განაგრძო ქადაგება და დაღუპული ბიჭების ყველა ღირსების, მიმზიდველი თვისებისა და იშვიათი ნიჭის ისეთი წარმტაცი სურათი დახატა, რომ დამსწრეებს სინდისმა ქენჯნა დაუნყო; შენუხდნენ, როცა გაიხსენეს, რომ ყოველთვის ავი თვალთ უყურებდნენ სანყალ ბიჭებს და მხოლოდ ნაკლს და უმსგავსობას ამჩნევდნენ. მოძღვარი ჰყვებოდა მრავალ ამალღევებელ ამბავს გარდასულთა ცხოვრებიდან, აღწერდა მათ თვინიერ, კეთილშობილურ ბუნებას. ახლა ყველა დარწმუნდა, რაოდენ საოცხოო, რაოდენ მოშიბლავი იყო მათი საქციელი და გულისტკივილით გაიხსენეს, რომ წინათ ყველაფერი აღმაშფოთებელ, გამათრახების ღირს აბეზრობად ეჩვენებოდათ. მღვდელის სიტყვების გავლენით მსმენელებს გული ისე აუჩუყდათ, რომ ბოლოს ერთბაშად შეუერთდნენ დაღუპულთა ნათესავების ქვითინს. თვით მღვდელმაც თავი ველარ შეიკავა და ატირდა კათედრაზე.

უცებ ქანდარაზე რაღაც ხმაური გაისმა, რომელსაც ყურადღება არავინ მიაქცია. ერთი წუთის შემდეგ შემოსასვლელი კარი აჭრიალდა. მღვდელმა ასწია ნამტირალევი თვალები და გაკვირვებისაგან გაშეშდა! ამის დანახვაზე მიიხედა მეორემ, მესამემ... და უცებ, მლოცველნი ადგილიდან წამოდგნენ და თვალი მიაპყრეს სამ მიცვალებულს, რომელნიც საკურთხევლისაკენ მიდიოდნენ: ტომი წინ, მას მისდევდა ჯო, უკან კი მოლასლასებდა, ნაფტლეუთებად ქცეულ ტანისამოსში. თურმე სამივენი ქანდარაზე იმალებოდნენ და ყურს უგდებდნენ სამკლავიარო ქადაგებას.

დეიდა პოლი, მერი და ჰარპერები მისცვივდნენ თავიან მკვდრეთით აღმდგარ ბიჭებს, იხუტებდნენ გულში, ჰკოცნიდნენ; საცოდავი ჰეკი კი იდგა დარცხვენილი და აღარ იცოდა, სად გაქცეოდა ამდენ არამეგობრულ გამოხედვას. ის იყო გაპარვა დააპირა, რომ ტომმა წაავლო ხელი და უთხრა:

- დეიდა პოლი, ასე არ შეიძლება! ჰეკის ნახვაც ხომ უნდა ესიამოვნოს ვინმეს!
- მართალია, გენაცვალე! გულით მიხარია მისი ნახვა, სანყალი ობოლი ბიჭი!
დეიდა პოლიმ მიუაღერსა. ისედაც დარცხვენელმა ბიჭმა უფრო მეტი უხერხულობა იგრძნო.

...უცებ მოძღვარმა ხმამაღლა წამოიძახა:

- ადიდეთ ღმერთი, ყოვლისა სიკეთისა მომმადლებელი. იგალობეთ! იგალობეთ მთელი სულითა და გულით!

ამის შემდეგ ყველა გალობას მოჰყვა. ძველებური საგალობელი გრგვინვასავით გაისმა და შეარყია ეკლესიის თაღები. მეკობრე ტომ სოიერი აქეთ-იქით იცქირებოდა, შეჰყურებდა შურით გამსჭვალულ ამხანაგებს და გრძნობდა, მის სიცოცხლეში ეს წუთები ყველაზე საუკეთესო იყო.

როდესაც “განბილებული” მრევლი ეკლესიიდან ჰგუფ-ჰგუფად გამოდიოდა, ერთმანეთს ეუბნებოდნენ, თანახმა ვართ კიდევ ერთხელ გაგვაცურონ, ოღონდ ასეთი მთამაგონებელი გალობა მოგვასმენინონო.

ამ დღეს ტომმა დეიდა პოლის ცვალებადი განწყობილების მიხედვით იმდენი წკიპურტი და კოცნა მიიღო, რამდენიც სხვა დროს მთელი წლის განმავლობაში არ ღირსებია. და ძნელად იტყოდით, რაში უფრო მეტად გამოიხატებოდა დეიდის სიყვარული ბიჭისადმი და მადლობა ღმერთისადმი - კოცნაში თუ წკიპურტებში.

თავი მეცხრამეტე

სწორედ ეს იყო ტომის დიდი საიდუმლო: ისეთ დროს უნდა დაბრუნებულიყვნენ, რომ დასწრებოდნენ თავიანთ საკუთარ დასაფლავებას. შაბათს შებინდებისას მორზე შემსხდრებმა გამოცურეს მისურის ნაპირისაკენ, გადმოვიდნენ ქალაქიდან ხუთი-ექვსი მილის დაშორებით, ღამე ტყეში გაათენეს. რიჟრაჟზე ქალაქში შეიპარნენ, ყრუ ქუცებით შევიდნენ ეკლესიაში და მალლა, ქანდარაზე, დამტვრეულ სკამებს შორის გემრიელად გამოიძინეს.

ორშაბათ დილით საუზმის დროს დეიდა პოლი და მერი დიდ გულკეთილობას იჩენდნენ ტომისადმი და ყველა სურვილს უსრულებდნენ. დიდი ხალისით საუბრობდნენ. მუსაიფის დროს დეიდა პოლიმ თქვა:

- კეთილი და პატიოსანი, ტომ. ჩემთვის გასაგებია, სამივეს დიდად გახალისებდათ ხალხის განვალეხა ერთ კვირას. მაგრამ როგორ გამოიჩინე ასეთი გულქვაობა ჩემს მიმართ. თუკი ტივის ერთი მორით შეძელით გამოსვლა საკუთარ დასაფლავებაზე დასასწრებად, ნუთუ არ იქნებოდა, შინ მოგვრბინა და როგორმე გენიშნებინა, რომ ცოცხალი ხარ და მხოლოდ გაიქცევი.

- დიახაც შეგეძლო ასე მოქცეულიყავი, ტომ, - თქვა ახლა მერიმ, - და ასეც მოიქცეოდი, რომ მოგფიქრებოდა.

- მართლა, ტომ? ასე მოიქცეოდი? - დეიდა პოლის სევდიანი სახე გაუბრწყინდა, - სთქვი, ტომ, რომ მოგფიქრებოდა, ხომ ასე მოიქცეოდი? - დეიდა პოლის სევდიანი სახე გაუბრწყინდა, - სთქვი, ტომ, რომ მოგაქრდებოდა, ხომ ასე მოიქცეოდი?

- არ ვიცი... მაშინ ხომ არაფერი გამოვიდოდა...

- ოჰ, ტომ, რა იმედი მქონდა, რომ ცოტათი მაინც გიყვარდი! - თქვა დეიდა პოლიმ ისეთი სევდიანი კილოთი, რომ ტომი შენუხდა, - რომ გყვარებოდი, იქნებ მაშინ მაინც რამე გეფიქრა, გაკეთებაზე აღარაფერს ვამბობ.

- დეიდა, ეგ მაინც დიდი ცოდვა არ არის, - გამოექომაგა მერი, - ტომს ეგ დაბნეულობის გამო მოუვიდა. ის ხომ ყოველთვის ჩქარობს და ამიტომაც აღარაფერი ახსოვს.

- ეგ კიდევ უარესი! სიდი რომ ყოფილიყო, მოვიდოდა და ყველაფერს მეტყოდა! ტომ, დადგება დღე, როცა სანანებლად გაგიხდება, რომ იოტისოდენადაც არ ააფსებს ჩემს სიყვარულს, მაგრამ გვიანლა იქნება.

- დეიდა, თვენ ხომ კარგად იცით, რომ მყვარხართ, - თქვა ტომმა.

- კარგად მეცოდინებოდა, საქმითაც რომ ამტკიცებდე.

- ახლა ძალიან ვნანობ, რომ ვერ მოვიფიქრე. - თქვა ტომმა მონანიების კილოთი, - სამაგიეროდ, სიზმარში გნახეთ. ესეც ხომ რამედ ღირს!

- დიდი არაფერია, კატებიც კი ხედავენ სიზმრებს, თუმცა სულ არარაობას სჯობს. მაინც

რა დაგესიზმრა?

- აი, რა, ოთხშაბათს საღამოს დამესიზმრა, ვითომ თქვენ იჯექით საწოლთან, სიდი შუშის ჩასაწყობ ყუთთან იჯდა, მის გვერდით კი მერი...
 - ეგ რა, ასედაც ვისხედით. ასე არ ვსხედვართ ყოველთვის?! მაინც მოხარული ვარ, რომ სიზმარმა მაინც მოგაგონა ჩვენი თავი.
 - მერე დამესიზმრა, ვითომ აქ იყო ჯო ჰარპერის დედაც.
 - ეგეც მართალია, ისიც აქ იყო! კიდევ რა დაგესიზმრა?
 - ოო, ბევრი რამ! მხოლოდ ახლა აღარ მახსოვს.
 - ეცადე მოიგონო! ნუთუ არ შეგიძლია?
 - კიდევ დამესიზმრა, ვითომ ქარმა... ქარმა დაუბერა...
 - გაიხსენე, ტომ! რას დაუბერა ქარმა?
- ტომმა შუბლზე მიიდო თითი, ყურადღება დაძაბა და თქვა:
- მოვიგონე! მოვიგონე! ქარმა სანთელს დაუბერა.
 - ღმერთო მონყალეო! შემდეგ, ტომ, შემდეგ?
 - შემდეგ თქვენ ვითომ თქვით: მგონია, კარი...
 - შემდეგ, ტომ, შემდეგ?
 - დამაცადეთ, მომადიქრებინეთ... ჰო, თქვენ თქვით, მგონი კარი გაიღო.
 - მე სწორედ ეგა ვთქვი, ხომ გახსოვს, მერი? შემდეგ?
 - შემდეგ, შემდეგ...აღარ მახსოვს. დარწმუნებული არა ვარ, მაგრამ მგონია, თქვენ სიდი გაგზავნეთ, რომ მას...
 - რა იმას, რა... რა ვუთხარი იმას?
 - რომ... რომ კარი დაეხურა.
 - ღმერთო მონყალეო! ჩემს დღეში ამისთანა არაფერი მსმენია! მოდი და ამას იქით ნუ დაუჯერებ სიზმრებს! ახლავე გავიქცევი და ვუამბობ მისის ჰარპერს! ვნახოთ, ერთი, კიდევ იტყვის, ყველაფერი ცრუმორწმუნეობააო?! ტომ, განაგრძე, რა მოხდა მერე?
 - ახლა კი ყველაფერი მომაგონდა, დეიდა! მერე თქვენ თქვით, რომ მე ცუდი არა ვარ, მხოლოდ ცელქი ვარ, დაბნეული და ისევე მომეკითხება, როგორც... როგორ თქვით? მგონია, კვიცს.
 - სწორედ, სწორედ ეგა ვთქვი! ღმერთო მონყალეო! მერე, ტომ, რა მოხდა?
 - მერე იტირეთ.
 - ეგეც მართალია, ვიტირე! თანაც პირველად არა. მერე...
 - მერე მისის ჰარპერმაც იტირა და თქვა, რომ ჯოც კარგი იყო და ენანება, რომ ნაღების გულისათვის მიტყუბა, ნაღები ხომ თვითონვე გადააქცია.
 - ტომ, ეგ ზეციური ძალის გავლენაა! წინასწარმეტყველური სიზმარი გინახავს! მერე, მერე?
 - მერე სიღმა თქვა...
 - მე, მგონია, არაფერი მითქვამს.
 - უკაცრავად, სიდ, შენც თქვი, - გაუსწორა მერიმ.
 - გაჩუმდით, ნუ უშლით ტომს! აბა, ტომ, რა თქვი?
 - სიღმა თქვა: მე იმედი მაქვს, ტომი კარგად გრძნობს თავს იქ, სადაც არისო. მაგრამ უფრო კარგი რომ ყოფილიყო, მაშინ...
 - ოო, ღმერთო ჩემო, გესმით? სწორედ ეს სიტყვები თქვა...
 - თქვენ კი ამისათვის სიდი დატუქსეთ!
 - ცხადია, დავტუქსავდი. არა, არა, აქ ალბათ ანგელოზი იყო. ნამდვილად ანგელოზმა შთაგაგონა.
 - შემდეგ მისის ჰარპერმა გაიხსენა, ჯომ როგორ გაისროლა ფისტონი მის ცხვირწინ, თქვენ კი უამბუთ კატა პიტერისა და ნამლის ამბავი.
 - ჭეშმარიტებაა!
 - მერე დიდხანს ისაუბრეთ იმაზე, როგორ გვეძებდით მდინარეში, რომ კვირას წესის აგებას გვიპირებდით... ბოლოს თქვენ და მისის ჰარპერი ერთმანეთს გადაეხვიეთ, ტირილი დაიწყეთ და ამის შემდეგ ის წავიდა.
 - სწორედ ასე იყო! სწორედ ასე! ეგ ისეთივე სიშარტლეა, როგორიც ის, რომ ამ ადგილზე ვზივარ. შენი საკუთარი თვალებით რომ გენახა და შენი ყურით მოგესმინა, ტომ, მაშინაც კი ვერ სეძლებდი ასე დაწვრილებით გადმოცემას. მერე რა მოხდა?
 - მერე ილოცეთ ჩემთვის და მე მეჩვენა, რომ თქვენი ყოველი სიტყვა მესმოდა. მერე დაწექით. ისე შემეცოდეთ, რომ ავდექი და ხის ქერქზე დავწერე: "ჩვენ არ მოვმკვდარვართ, ჩვენ მხოლოდ გავიქცით, გვინდა მეკობრეები გავხდეთ". და დავდე თქვენს მაგიდაზე სანთლის გვერდზე. თქვენ ამ დროს გეძინათ და ძილში ისეთი კეთილი სახე გქონდათ, რომ მოგიახლოვდით, დავიხარე და შიგ ტუჩებში გაკოცეთ.

- მართლა, ტომ, მართლა? ამისათვის კი ყველაფერს გაპატიებ. - და ისე ჩაიკრა გულში, რომ ბიჭმა თავისი თავი უკანასკნელ არამზადად ჩათვალა.

- ძალიან კარგი, თუმცა ეგ ხომ სიზმარი იყო, - ვითომ თავისთვის ჩაილაპარაკა სიღმა.

- გაჩუმდი, სიდ, კაცი იმას აკეთებს სიზმარში, რასაც ცხადლივ იზამდა. აჰა, დიდი ვაშლი, რომ გინახავდი, თუ ვინიცოდაა დაბრუნდებოდი. ახლა კი წადით სკოლაში. შენი დაბრუნებისათვის მადლობას ვწირავ ღმერთს, მამაზეციერს, რომელიც მარად მომთმენი და მოწყალეა იმათ მიმართ, ვისაც მისი სწამს და ვინც მის მცნებას მიჰყვება და ჩემს მიმართაც, თუმცამე უღირსი ვარ. მაგრამ მის წყალობასა და დახმარებას გაჭირვებაში მართო ღირსეულნი რომ იღებდნენ, მაშინ იშვიათად თუ ვინმეს ეცოდინება, რა არის სიხარული აქ და საუკუნო ნეტარება იქ, როცა მუდმივი ღამე დაგვიდგება. ახლა კი სასწრაფოდ მომშორდით აქედან, სიდ, მერი, ტომ! ძალიან შემანუხეთ.

ბავშვები წავიდნენ სკოლაში მოხუცი დეიდა კი მისის ჰარპერთან გაიქცა, რათა მისი ურწმუნოება დისწულის შესანიშნავი სიზმრით დაეთრგუნა. სიღმა საჭიროდ არ სცნო ხმამაღლა ეთქვა ის, რაც თავისთვის გაიფიქრა. გაფიქრებით კი, აი, რა გაიფიქრა: "განა შეიძლება ადამიანმა დაიხსომოს ასეთი გრძელი სიზმარი და არაფერი შეეშალოს?"

ახლა კი ნამდვილად გმირად გადაიქცა ტომი! ის აღარ დახტოდა, აღარც დარბოდა, თავი ამაყად, ღირსეულად ეჭირა, როგორც შეეფერება მეკობრეს, რომელიც გრძნობს რომ ათასი თვალი მისკენ არის მიპყრობილი. მართლაც ასე იყო, მაგრამ თავი ისე ეჭირა, ვითო ვერაფერს ამჩნევდა და არც ესმოდა, რასაც მის შესახებ ამბობდნენ.

ნამდვილად კი გული სიხარულით ევსებოდა. უფრო პატარა ბიჭი ფეხდაფეხ დასდევდნენ, მისი სიახლოვით თავი მოჰქონდათ, უხაროდათ, რომ ტომი კადრულობდა მათ. იფიქრებდით, ტომი მედაფეაო, ან სპილო, რომელიც წინ მიუძღვის ქალაქისაკენ მიმავალ სამხეცეს. ტომის თანატოლნი ისე იქცეოდნენ, ვითო მისი დაკარგვის შესახებ არც არაფერი იცოდნენ, გულში კი საშინლად შურდათ მისი. ყველაფერს მისცემდნენ, ოღონდ მათაც სახე მზით ჰქონოდათ დამწვარი და ისევე სახელმომხვეჭილნი ყოფილიყვნენ. ტომიც თავის მხრივ არც ერთს არ დასთმობდა, ცირკიც რომ ეჩუქებინათ მისთვის.

სკოლაში მოწაფეები ისე ელოლიავებოდნენ ტომსა და ჯოს, მათ დანახვაზე თვალები უბრწყინავდათ, რომ მალე ჩვენმა გმირებმა მეტისმეტი ყოყლოჩინობა დაიწყეს. ისინი შეუდგნენ თავიანთი თავგადასავლის მოყოლას. ამხანაგები სულგანაბულნი უსმენდნენ, მაგრამ მათ მხოლოდ დაიწყეს მოყოლა. მართლაცდა, ასე იოლი ხომ არ იყო დამთავრება, მათ გაზვიადებულ წარმოდგენას ბოლო აღარ უჩანდა, ხოლო, როცა ჯიბეებიდან ამოიღეს თავიანთი თუთუნი და დინჯად გააბოლეს, მათმა განდიდებამ უმაღლეს ნერტილს მიაღწია.

ტომმა გადაწყვიტა, გულგრილად მოქცეოდა ბეკი თეტერს. მას თავისი სახელიც ეყოფოდა და იცოცხლებდა ამ სახელისათვის. იქნებ ახლა ბეკიმ კიდევაც ისურვოს შერიგება. დაე, ასე მოიქცეს! ის დარწმუნდება, რომ ტომსაც შეუძლია ისევე გულგრილი იყოს, როგორც სხვას. სწორედ ამ დროს მოვიდა ბეკი. ტომმა ვითომ ვერ შეამჩნია იგი, განზე გადგა, შეუერთდა გოგო-ბიჭების ჯგუფს და დაიწყო მუსაიფი. მალე შეასწრო თვალი, რომ ბეკი მხიარულად დარბოდა აქეთ-იქით, სახეანითლებული და თვალებგაბრწყინებული; ვითომ ძალიან იყო გართული თავისი ამხანაგების დევნით და სიხარულით ჭყიოდა, როცა ვინმეს დაიჭერდა. ტომმა ისიც შეამჩნია, რომ გოგონა ცდილობდა მის ახლოს ყოფნას; როცა ვინმეს დაიჭერდა, თვალს სულ მისკენ აპარებდა. ამან უფრო გააძლიერა ტომის პატივმოყვარეობა, გაჭიუტდა და განზრახვას რომ მიუხვდა, გადაწყვიტა, არ დაეთმო. ბეკიმ მიანება თავი სირბილს, გაუბედავად დაიწყო შორიახლოს სიარული, ხანდახან ოხრავდა და დაღვრემილი მალულად უყურებდა ტომს. უცებ შეამჩნია, რომ ტომი მეტწილად ემი ლორენსს ესაუბრებოდა. მწვავე ტკივილი იგრძნო და შეშფოთდა. შეეცადა იქაურობას გარიდებოდა, მაგრამ მოლაღატე ფეხებს ის უფრო ახლო და ახლო მიჰყავდა იმ ჯგუფთან, სადაც ტომი იყო. თითქმის გვერდით ამოუდგა მას და მხიარულად მიმართა ერთ თავის ამხანაგ გოგონას:

- მერი ოსტინ, რატომ არ იყავი საკვირაო სკოლაში, შე ზარმაცო?
- ვიყავი. განა შენ ვერ შეამჩნიე?
- არა, სად იჯექი?
- ოსს პიტერსის კლასში, როგორც ყოველთვის. მე კი გნახე შენ.
- მართლა? საკვირველია, რატომ ვერ დაგინახე. მინდოდა მეთქვა, რომ მალე პიკნიკს ვაწყობთ. დედაჩემი აწყობს ჩემთვის.
- რა კარგია! მერე, მე დამპატიჟებ?
- ცხადია; პიკნიკს ხომ ჩემთვის მართავს. ის ყველას დაპატიჟებს, ვისაც მე მოვისურვებ!

მე მინდა შენც იყო.

- რა შესანიშნავია! როდის იქნება?

- მალე, შეიძლება არდადეგებზე.

- წარმომიდგენია, რა მხიარულება იქნება. ბიჭებსა და გოგონებს ყველას დაპატიჟებ?

- ყველას, ვინც ჩემი მეგობარია და ვისაც სურს ჩემთან მეგობრობა. - მან მალულად შეხედა ტომს; მაგრამ ტომი ამ დროს ემი ლორენსს უყვებოდა კუნძულზე მომხდარი საშინელი ქარიშხლის ამბავს; როგორ “აქცია ნაფოტებად” მუხმა დიდი ჭადარი და როგორ იდგა ის, ტომი, იმ დროს იქვე, სულ “სამი ნაბიჯის დაშორებით”.

- შეიძლება მეც მოვიდე? - ჰკითხა გრესი მილერმა.

- კი.

- მე? - ჰკითხა შალი როჟერსმა.

- ცხადია.

- შეიძლება მეც მოვიდე? - იკითხა სუზი პარპერმა. - ჯოც?

- ისიც.

ყველა ეკითხებოდა ერთსა და იმავეს და როცა დასტურს იღებდნენ, სიხარულით ტაშს უკრავდნენ, ასე რომ, ბოლოს და ბოლოს თითქმის ყველა დაპატიჟა, გარდა ტომისა და ემისა. ტომი გულდამშვიდებით გატრიალდა, საუბარს განაგრძობდა და თან გაიყოლა ემიც. ბეკის ტუჩები აუკანკალდა, თვალებზე ცრემლი მოადგა, მაგრამ დამალა თავისი აღელვება და ნაძალადევი მხიარულებით გამაგრძო მასლაათი; მან ყოველგვარი ინტერესი დაკარგა პიკნიკისა და, საერთოდ, ყველაფრისადმი; განმარტოვდა ამხანაგებისგან, იპოვა მიყრუებული ადგილი და, როგორც ქალები იტყვიან ხოლმე, “ტირილით გული იჯერა”. სანამ ბარი არ დარეკეს, დაღვრემილი და თავმოყვარეობაშელახული იჯდა. მერე ნამოდგა, ნაწნავები უკან გადაიყარა, თვალები შურისგებით აუციმციმდა და ჩაილაპარაკა: ახლა კი ვიცი, როგორ მოვიქცევიო. დასვენების დროს ტომი ისევ ემის ემუსაიფებოდა მხიარული თვითკმაყოფილებით. თანაც სულ ბეკის ძებნაში იყო, რომ უფრო გამოეჯავრებინა. დაინახა და ხასიათი წაუხდა. ბეკი სკოლის შენობის უკან პატარა სკამზე ჩამომჯდარიყო ალფრედ ტემპთან ერთად. თავები მიეახლოებინათ და ორივენი ისე იყვნენ გართულნი სურათებიანი წიგნის სინჯვით, ეგონებოდათ, გარშემო სრულიად ვერაფერს ვერ ამჩნევდნენ. ეჭვიანობის გრძობამ გულ-ღვიძლი აუმღვრია ტომს. თავის თავზე ბრაზი მოუვიდა, რომ უარყო ბეკის სურვილი, შერიგებოდა. თავის თავს სულელი უწოდა და კიდევ ბევრი სხვა რამ, რაც კი მოაგონდა. ჭავრით კინაღამ ატირდა. ემი ისევ მხიარულად მუსაოფობდა, სიხარულით ფრთაშესხმული. ტომს კი თითქოს ხმა ჩაუნყდა. ყურს აღარ უგდებდა და, როცა ემი შეჩერდებოდა პასუხის მოლოდინში, ტომი გონებადაფანტული ისეთ პასუხს აძლევდა, რომელსაც არაფერი საერთო არა ჰქონდა ემის ნალაპარაკებთან. მას სულ უფრო და უფრო იზიდავდა სკამი სკოლის შენობის უკან, თუმცა უმსგავსო სანახაობა აღშფოთებდა. იგი თავის თავს ვერ დაეუფლა. ეჩვენებოდა, რომ ბეკი ვერც კი ამჩნევდა მის არსებობას და ეს აგიჟებდა. მაგრამ ბეკი ყველაფერს ხედავდა, თანაც იცოდა, რომ ბრძოლაში გამარჯვება მის მხარეზე იყო და ტომის ტანჯვა ახარებდა. ადრე თვითონ ხომ ასე იტანჯებოდა. ბოლოს ტომს ემის მხიარული ყბედობა მოებზრდა. მოიმიზეზა, რომ წასასვლელია ათას ადგილს, გასაკეთებელი აქვს ათასი საქმე, რომ დრო ეკარგება, მაგრამ სულ ამოდ: გოგონა არა ჩერდებოდა. “ღმერთო ჩემო! ნუთუ თავიდან ვეღარ მოვიშორებ!” - ფიქრობდა ტომი. ბოლოს განიცხადა, ჩემს საქმეზე უნდა წავიდეო. გულუბრყვილო გოგონამ უპასუხა, გაკვეთილების შემდეგ “აქ სადმე ვიქნებიო”. ტომი სწრაფად გაშორდა მძულვარებით.

“სხვა ვინც უნდა იყოს, - ფიქრობდა ტომი, - თან კბილებს აღრჭიალებდა, - ოღონდ ნუ იქნება ეგ პრანჭია სენლუიდან, რომელსაც თავი არისტოკრატი ჰგონია, აქაოდა კოხტად მაცვიაო. დამაცადე, ხომ მიგტყეპე ქალაქში ჩამოსვლის პირველსავე დღეს, ახლაც გცემ! დამაცადე, პრანჭიავ, მე შენ გაჩვენებ სეირს!” და ისე დაინყო ხელების ქნევა ჰაერში, თითქოს თავის მოსისხლე მტერს სცემდა და გვერდებს უზღვდა. ესეც შენ, ესეც შენ! ხომ მიიღე, გეყოფა? მეორედ აღარ გაბედო! - და ეს წარმოსახვითი ბრძოლა ტომმა თავისი სრული გამარჯვებით დაამთავრა.

თორმეტ საათზე ტომი შინ წავიდა. მისი სინდისი ვეღარ უძლებდა ემის სიხარულს, თანაც გატანჯა ეჭვიანობამ. ბეკი კვლავ სურათებს სინჯავდა ალფრედთან ერთად. დრო გადიოდა, ტომი კი არსად ჩანდა და ბეკის სიხარულს მწუხარება გადაეფარა, სურათები მოებზრდა; სახე მოედრებულა და გონება გაეფანტა. დაღონდა. ორჯერ-სამჯერ ყურები დაცქვიტა ფეხის ხმაზე, მაგრამ ამოდ, ტომი არ მოდიოდა; ბოლოს, სასონარკვეთილებაში ჩავარდა და ნანობდა, რომ საქმე აქამდე მიიყვანა. სანყალი ალფრედი მიხვდა, რომ ბეკი ყურადღებას აღარ აქცევდა, ძალიან ცდილობდა მის

გართობას და წამდაუნუმ წამოიყვირებდა: უი, რა კარგი სურათია! აბა, ეს ნახეთ! ბოლოს გოგონას მოთმინება დაეკარგა და წამოიყვირა: “თავი დამანახეთ, მომაშორეთ თქვენი სურათები” - ატირდა და წავიდა.

ალფრედი უკან გაედევნა. ეცადა დამშვიდება, მაგრამ მან უთხრა:

- ნადით! დამტოვეთ მარტო! მძულხართ!

ბიჭი შეჩერდა, სრულიად ვერ გაიგო, რა ჩაიდინა ასეთი! ხომ თვითონ დაპირდა, დასვენებაზე სურათები გავსინჯოთო, და უცებ კი წავიდა ატირებული... ალფრედი შეფიქრიანებული გაემართა დაცარიელებული სკოლის შენობისაკენ. იგი ნაწყენი იყო გაბრაზებული. მაგრამ ადვილად გაერკვა სინამდვილეში: ალბათ, გოგონა მას მხოლოდ იმიტომ ელაპარაკებოდა, რომ ტომ სოიერი გამოეჯავრებინა. ამ აზრმა უფრო მეტი სიძულვილი აღუძრა ტომისადმი. უნდოდა, რითიმე გადაეხადა სამაგიერო, მაგრამ ისე, რომ თითონ არაფერი დაშავებოდა. ამ დროს თვალი შეასწრო ტომის საკლასო წიგნს. აი, შემთხვევაც!

მან გადაშალა წიგნი სწორედ იმ ფურცელზე, სადაც დავალება ეწერა და მელანი გადაასხა. ბეკიმ სწორედ იმ წუთს შეიხედა ფანჯრიდან და დაინახა, რაც ჩაიდინა ალფრედმა, მაგრამ შეუმჩნევლად გაშორდა. ბეკიმ შინისაკენ მოჰკურცხლა იმ იმედით, რომ ტომს შეხვდებოდა და უამბობდა წიგნის ამბავს. ტომი მადლობას გადაუხდოდა და უსიამოვნებაც დაჰინწყებას მიეცემოდა. მაგრამ გზაში გადაიფიქრა: მოაგონდა, ტომი რომ განზრახ არ აქცევდა ყურადღებას, როცა პიკნიკის შესახებ ლაპარაკობდა, და ძალიან შერცხვა. გადანწყობა, დაე, განკეპლონ წიგნის გაფუჭებისთვის - მისთვის სულ ერთია: მას სძულს ტომი!

თავი მეოცე

ტომი შინ დაღონებული დაბრუნდა. დეიდაც ისე დახვდა, რომ აქაც სანუგეშო არაფერი მოელოდა.

- ტომ, ტყავი უნდა გაგადროს ადამიანმა, ახი იქნება.

- რა დავაშავე? დეიდა?

- კმარა! მე ბებერი სულელი, გავიჭერი მისის ჰარპერთან, მეგონა, დაიჭერებდა შენს მოჩამხულ სიზმარს, და რა აღმოჩნდა? მას თურმე ჯო გამოუტეხია, რომ იმ ღამეს შენ აქ ყოფილხარ და ჩვენი საუბარი მოგისმენია. არ ვიცი, რა ელის იმ ბიჭს, რომელიც ასე უსინდისოდ ცრუობს! პირდაპირ ცუდად ვხდები, როცა ამაზე ვფიქრობ; ერთი სიტყვა მაინც გეთქვა, რომ არ წავსულიყავი მისის ჰარპერთან და სასაცილოდ არ ავეგდე ყველას.

ახლა კი სხვაგვარად დატრიალდა საქმე; თუ ტომს თავისი დილის ოინი მოსწრებული და მახვილგონიერი ეგონა, ახლა საძაგელი და უბადრუკი ეჩვენა. თავი დაღუნა, არ იცოდა, რა ეპასუხა, ბოლოს თქვა:

- დეიდა, ძალიან ვნანობ, რომ ასე მოვიქეცი. დაუფიქრებლობის ბრალია.

- ჰო, ჩემო კარგო, შენ არასოდეს არ ფიქრობ, არაფერზე არ ფიქრობ, შენი თავის სიამოვნების გარდა. ის ხომ კარგად მოიფიქრე, რომ ჯეკსონის კუნძულიდან წამოსულიყო ღამით და მასხრად აგეგდო მგლოვიარენი, რომ გაგესულელებინე შენი მოგონილი სიზმრით. ჩვენს შებრალებებზე და მწუხარების შემსუბუქებაზე კი სულ არ გიფიქრია.

- დეიდა, ახლა ვგრძნობ, რომ საძაგლად მოვიქეცი, მაგრამ მე არ მინდოდა რამე ცუდი ჩამედინა, პატიოსნებას გეფიცებით, არ მინდოდა. ამას გარდა, იმ ღამეს სრულიადაც არ მოვსულვარ თქვენს დასაცინად.

- მაშ რისთვის მოხვედი?

- იმიტომ, რომ მეთქვა, არ შენუხებულიყავით, რადგანაც არ დავმხრჩვალვართ.

- ეჰ, ტომ, ტომ! გულით გავიხარებდი, რომ შემეძლოს დაჯერება, მაგრამ ეგ კეთილი აზრი შენს თავში არ გაიჭაჭანებდა. ეს შენც კარგად იცი და მეც...

- მართალს ვამბობ, მაგისტვის მოვედი, დეიდა. დედამინამ ჩამიტანოს, თუ ვტყუოდე!

- ეჰ, ტომ, ნუ ცრუობ, ეგ ათასჯერ უფრო ცუდია.

- არა ვცრუობ, დეიდა, მართალს ვამბობ! მე მეცოდებოდით, რომ ნუხდით და ამიტომ მოვედი.

- რას არ მივცემდი, რომ შემეძლოს მაგის დაჭერება, - ამით ბევრ ცოდვას გამოიწყიდდი: თვით შენს გაქცევას და ცუდ საქციელსაც არაფრად არ ჩავაგდებდი. მაგრამ ამის დაჭერება არ ძალმიძს. რატომ მაშინვე არა თქვი?

- იცით რა დეიდა, როცა თქვენ ლაპარაკი ჩამოაგდეთ წესის აგებაზე, უცებ აზრი მომივიდა, შემოვპარულიყავით ეკლესიაში და დავმალულიყავით; ეს ისე საინტერესოდ მეჩვენა, რომ ვეღარაფერი მოვახერხე. ხის ქერქი ისევ ჯიბეში ჩავიდე და დუმილი ვარჩიე.

- რა ქერქი?

- აი, ის, რაზედაც დავწერე, რომ ჩვენ მეკობრეობა დავინწყეთ. ახლა ბალიან ვნანობ, რომ არ გაგელვიძათ, როცა გაკოცეთ. ძალიან ვნანობ, პატიოსნებას გეფიცებით. დეიდა პოლის სახეზე გაქრა სიმკაცრის კვალი და თვალები ალერსით გაუბრწყინდა.

- მართლა მაკოცე, ტომ?

- ჰო, მართლა გაკოცეთ.

- შენ დარწმუნებული ხარ?

- რასაკვირველია, დარწმუნებული ვარ.

- რად მაკოცე, ტომ?

- იმიტომ, რომ ძალიან მიყვარხართ იმიტომ, რომ ძილში ოხრავდით და ძალიან შემეცოდეთ.

ეს სიტყვები გულწრფელად ჟღერდა. მოხუცებულს უნებურად ხმა აუთრთოლდა, როცა მიმართა:

- კიდევ მაკოცე, ტომ. მერე კი გაიქეცი სკოლაში და მეტს ნუღარ შემანუხებ. როგორც კი ტომი წავიდა, დეიდა პოლი გაეშურა საკუჭნაოსაკენ და მოძებნა დაგლეჯილი ქურთუკი, რომელიც ტომს მეკობრეობის დროს ეცვა. შეჩერდა ქურთუკით ხელში და თავისთვის თქვა:

- არა, არ არის საჭირო! საბრალო ბიჭი; დარწმუნებული ვარ, იცრუა; მაგრამ ასეთი სიცრუე ცოდვა არ არის, რადგანაც შვება მომგვარა. დარწმუნებული ვარ, ღემრთი შეიწყალებს, მას ხომ გულკეთილობით მოუვიდა. მაგრამ მაინც არ მინდა დავიჭერო რომ იცრუა, არ შევამონძებ.

გადადო იქით ქურთუკი და ერთი წუთით დაფიქრდა. შემდეგ ხელი ორჯერ გაიწვდინა მისკენ, მაგრამ მოაშორა; ბოლოს გაბედა, თან თავი გაიმხნევა: “ეს კეთილი ნების სიცრუეა, კეთილი გულის, - იგი არ ამაღელვებს”. ერთი წუთის შემდეგ ის უკვე კითხულობდა ხის ქერქზე დაჯღაბნილ სტრიქონებს, ცრემლები ღაპალუპით ჩამოსდიოდა და თან ამბობდა:

- მე ამ ბიჭს ათი ათას ცოდვას ვაპატიებ!

თავი ოცდამეერთე

დეიდა პოლიმ ისეთ სიყვარულით აკოცა, რომ ტომს, რაც გულზე ბოღმა აწვა, უეცრად გაუქრა და გამხიარულდა. გაემართა სკოლისაკენ. ბედმა გაუღიმა: მედოუ-ლეინის დასაწყისში ბეკი თეტჩერს დაენია. ტომი ყოველთვის განწყობილების მიხედვით მოქმედებდა. არც კი დაფიქრებულა, ისე მიირბინა გოგონასთან და უთხრა:

- დღეს ძალიან საძაგლად მოვიქეცი, ბეკი, და ახლა ძალიან ვნანობ! ჩემს სიცოცხლეში ასე აღარ მოვიქეცი. მოდი, შევრიგდეთ, გინდა?

გოგონა შედგა და ზიზღით შეხედა.

- მეტად მადლობელი ვიქნები, მისტერ ტომას სოიერ, თავს რომ დამანებებდეთ. მე აღარ მსურს თქვენთან ლაპარაკი!

გოგონამ დიდგულად ჩაუარა გვერდზე. ტომი ისე სახტად დარჩა, რომ ვერც კი მოახრეხა ეპასუხა: “მე მენადვლება! ძალიან კი მოგაქვს თავი, აი!” - როცა დააპირა ამის თქმა, უკვე გვიან იყო, ამიტომ აღარაფერი თქვა, მაგრამ მეტად კი გაცეცხლდა. დაძმარებული შევიდა სკოლის ეზოში და ნატრობდა ბეკი ბიჭი ყოფილიყო, რომ ერთი მაგრად დაეზილა. სწორედ ამ დროს ბეკიმ გვერდზე ჩაუარა და ტომმა მწარედ რაღაცა გადაჰკრა. ბეკიმაც უპასუხოდ არ დატოვა, ისე რომ მათ შორის დიდი განხეთქილება

ჩამოვარდა. გაგულისებულ ბეკი მოუთმენლობისაგან ვეღარ ისვენებდა: როდის დაიწყება გაკვეთილი, რომ ტომი დასაჯონ წიგნის გაფუჭებისათვის. თუ აქამდე მცირეოდენი სურვილი მაინც ჰქონდა, ალფრედ ტემპლი გამოეჯღავენებინა, ახლა სულ გადაიფიქრა.

საწყალი გოგონა, რას წარმოიდგენდა, რომ არანაკლები უსიამოვნება ელოდა თვითონ მასაც. მასწავლებელი მისტერ დობინსი ხანში შევიდა და მიზანი მაინც ვერ შეისრულა. მისი წარუბოცელი ოცნება იყო ექიმობა, მაგრამ, სიღარიბის გამო, სკოლის მასწავლებლობას ვერ გასცდა. ყოველდღე, სანამ მოწაფეები გაკვეთილს ამზადებდნენ, უჭრიდან ამოიღებდა რაღაცა საიდუმლო წიგნს და გულმოდგინედ კითხულობდა. ეს წიგნი ყოველთვის ჩაკეტილი ჰქონდა. სკოლაში არ დარჩენილა არც ერთი ბიჭი, რომელსაც დიდი სურვილი არა ჰქონოდა ცალი თვალით მაინც ჩაეხედა წიგნში, მაგრამ ამის შემთხვევა არავის მიეცა. თითოეულს თავისებური აზრი ჰქონდა ამ წიგნის შესახებ, მაგრამ სიმართლის გაგება შეუძლებელი გახდა. და, აი, ბეკიმ, კათედრის გვერდზე ჩავლისას, კათედრის უკრაში გასაღები შეამჩნია: მასწავლებელს გამოვება დავიწყებოდა. განა შეიძლებოდა ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება? გოგონამ მიმოიხედა. ირგვლივ არავინ იყო. ერთი წუთის შემდეგ წიგნი უკვე ხელთ ჰქონდა. სათაურმა, რომელიც პროფესორის “ანატომია”, ვერაფერში ვერ გაარკვია და ამიტომ დაუნყო წიგნს ფურცლა... პირველ ფირცვლებზე თვალში მოხვდა ლამაზად დახატული და გაფერადებული ადამიანის სხეული, სწორედ იმ წუთს წიგნზე დაეცა რაღაც ჩრდილი: კარებში ტომ სოიერი იდგა, რომელმაც თვალი მოჰკრა სურათს. ბეკიმ ისე სწრაფად დახურა წიგნი, რომ მისდა საუბედუროდ, შუაზე გადახია სურათიანი ფურცელი. საჩქაროდ შეაგდო წიგნი უკრაში, გადაატრიალა გასაღები და დაიწყო ტირილი სირცხვილისა და ბრაზისაგან.

- ტომ სოიერ! სწორედ რომ საძაგლობაა უკანიდან მიეპაროთ ადამიანს და თვალთვალი დაუნყოთ.

- განა მე ვიცოდი, თქვენ რას აკეთებდით?

- გრცხვენოდეთ, ტომ სოიერ! თქვენ ახლა დამაბეზლებთ... რა უნდა ვქნა, ოჰ, რა უნდა ვქნა? აუცილებლად გამწკებლავენ, მე კი სკოლაში არასოდეს არ დავეუსჯივართ. - ცალი ფეხი დააბაკუნა და თან დაუმატა: - დაე, ასე იყოს, მეც ვიცი რაღაცა! მოიცადეთ, აი, ნახავთ, რაც მოხდება! საძაგელო! საძაგელო! საძაგელო!

და ის ტირილით გავიდა გარეთ.

ტომი გაშტერდა ასეთი მოულოდნელი თავდასხმისაგან. შემდეგ თავისთვის თქვა:

- რა სულელი გოგოა! არასოდეს არ გაუნკებლავთ სკოლაში! დიდი საქმე იქნება, თუ განკებლავს! გოგონები ყოველთვის ასეთები არიან - მხდალები და მშიშრები. მე, რა თქმა უნდა, არაფერს არ ვეტყვი იმ ბებერ დობინს ამ პატარა სისულელებზე. მე სხვანაირად შემიძლია მივუზღო სამაგიერო, მაგრამ, სულ ერთია, მიხვდება. დობინსი იკითხავს - ვინ გახია ჩემი წიგნიო. არავინ არ უპასუხებს. მაშინ თავიდან გამოიძახებს ყველას სათითაოდ, როგორც სჩვევია და როცა დამნაშავესთან მივა, უმაღლ სახეზე შეატყობს; გოგონებს ყველაფერი ადვილად ეტყობათ სახეზე. სადა აქვთ სიმტკიცე. უთუოდ განკებლავენ. გაება ბეკი თეტჩერი - ვეღარ დააღწევს თავს.

ცოტა ხანს დაფიქრდა და შემდეგ დაუმატა: - ძალიანაც კარგი. ხომ უნდოდა, მე მომხვედროდა, ახლა თვითონ გამოსცადოს.

ტომი შეუერთდა ეზოში მოთამაშე ამხანაგებს. რამდენიმე წუთის შემდეგ მასწავლებელიც მოვიდა. დაიწყო გაკვეთილები. ტომს მეცადინეობა არცთუ ძალიან აინტერესებდა; ის წამდაუნუმ იხედებოდა იმ მხარისკენ, სადაც გოგონები ისხდნენ და ყოველთვის აღელვებდა ბეკის სახის გამომეტყველება. სრულიადაც არ უნდა შესცოდებოდა იგი, მაგრამ თავის ვერ იკავებდა და სიბრაღულით იმსჯალებოდა. არც არავითარ სიხარულს არ გრძნობდა. მასწავლებელმა მალე აღმოაჩინა, რომ ტომის წიგნი დათხუპნული იყო მელნით, და ტომს ახლა თავის საკუთარ თავზე უნდა ეფიქრა. ბეკი გამოერკვა თავისი მდგომარეობიდან, მეტად დაინტერესდა, რა მოხდებოდა. იგი ფიქრობდა, ტომი ვერ გადაურჩებოდა დასჯას, თუ განაცხადებდა, მელანი მე არ დამისხიაო. არც მოტყუებულა. უარის თქმამ უფრო გაფუჭა საქმე. ბეკის ეგონა, გაუხარდებოდა, ცდილობდა კიდევ გახარებოდა, მაგრამ ადვილი არ გამოდგა. როცა საქმე ცუდად წავიდა, სურვილი ჰქონდა წამომდგარიყო და ეთქვა: ეს ალფრედ ტემპლმა ჩაიდინაო, მაგრამ თავი აიძულა წყნარად მჯდარიყო; იგი ამბობდა თავისთვის: “სულ ერთია, დამაბეზლებს, იტყვის, რომ სურათი მე გავხიე. კრინტსაც არ დავძრავ, თუნდაც ეს აუცილებელი გახდეს მისი სიცოცხლის გადასარჩენად”.

ტომმა გაუძლო სასჯელს და არხეინად დაჯდა თავის ადგილზე; იფიქრა, იქნებ თამაშობის დროს შემთხვევით წიგნს მე თვითონ გადავასხი მელანიო. რაც შეეხება

დანაშაულს, განგებ იუარა, რადგან ნესად ჰქონდა, პრინციპის გამო არ გადაეთქვა თავისი სიტყვა.

გავიდა ერთი საათი. მასწავლებელი იჯდა და თავს აკანტურებდა, მონათფეები ძილის მომგვრელად ზუზუნებდნენ: გაკვეთილს ამზადებდნენ. მალე მისტერ დობინსი გაიზმორა, დაამთქნარა, გაალო უჯრა და გაუბედავად ნაატანა ხელი ნიგნს, თითქოს არ იცოდა, ამოელო თუ არა. მონათფეთა უმრავლესობა მონყენილი თვალებით უმზერდა მას, მაგრამ ორი მათგანი კი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს მის ყოველ მოძრაობას. რამდენიმე ხანს მისტერ დობინსი უგულისყუროდ ატრიალებდა ხელში ნიგნს. შემდეგ ამოიღო, მოხერხებულად დაჯდა და მოემზადა საკითხავად. ტომმა შეხედა ბეკის. გოგონა უმწეო ბაჭიას ჰგავდა, რომელსაც თოფი დაუმიზნეს. ტომს სრულიად გადაავიწყდა მასთან ჩხუბი. საჩქაროდ უნდა მოიფიქროს რაიმე, არ შეიძლება დახანება ერთი წუთითაც კი! მაგრამ მოახლოებულმა საშიშროებამ მთლად გამოფიტა მისი გონება. უცებ შესანიშნავი რამ მოაფიქრდა! ის გაექანება, გამოსტაცებს მასწავლებელს ნიგნს ხელიდან, გავარდნა გარეთ და გათავდა! ეს ცოტა ხანს შეყოყმანდა და უკვე ხელიდან გამოეცალა შესაფერისი წუთი: მასწავლებელმა გადაშალა ნიგნი. ო, შესაძლებელი რომ იყოს დაკარგული წუთის დაბრუნება! “უკვე გვიან არის, ახლა ბეკის აღარაფერი გადაარჩენს!”, - ფიქრობდა თავისთვის ტომი. ერთი წუთიც და მასწავლებელმა მთელ კლასს გადაავლო თვალი. ყველამ თვალები დახარა, ვერ გაუძლეს მზერას. მის თვალებში რაღაცა ისეთი გამოკრთოდა, რომ უდანაშაულონიც კი აკანკალდნენ შიშისაგან. სიჩუმე ჩამოვარდა, ათამდის დათვლასაც კი მოასწრებდით. მასწავლებელი, ასე ვთქვათ, ბალღამს აგროვებდა, ბოლოს წარმოთქვა:

- ვინ დახია ნიგნი?

კლასში ისეთი სიჩუმე ჩამვარდა, რომ ქინძისთავის დავარდნასაც გაიგონებდით. დუმილი გრძელდებოდა, მასწავლებელი თითოეულს რიგრიგობით მისჩერებოდა სახეში, რომ დამნაშავე ეპოვა.

- ბენჯამენ როჯერს, შენ გახიე ეს ნიგნი?

უარყოფითი პასუხი. კვლავ დუმილი.

- ჯომეფ ჰარპერ, შენ?

კვლავ უარყოფა. ტომის მოუსვენრობა ძლიერდებოდა; ეს კითხვები და პასუხები მისთვის ნამდვილი წამება იყო. მასწავლებელმა დაკითხა ბიჭები, ერთხანს შეყოვნდა და ახლა გოგონებზე გადავიდა.

- ემი ლორენს?

მან თავი გაქნია.

- გრესი მილერ?

- იმანაც უარი თქვა.

- სუმენ ჰარპერ, შენ გახიე?

კვლავ უარყოფითი პასუხი. ჯერი მიდგა ბეკი თეტჩერზე. ტომი თავიდან ფეხებამდის თრთოდა აღელვებისა და გამოუვალი მდგომარეობის გამო.

- რებეკა თეტჩერ (ტომმა შეხედა: სახე მთლად გათეთრებოდა შიშისაგან), შენ ხომ არ გახიე... არა, შემომხედე პირდაპირ (ბეკიმ მუდარით აღაპყრო ხელები)... შენ ხომ არ გახიე ნიგნი?

ტომს უცებ ელვასავით გაურბინა რაღაც აზრმა: ფეხზე წამოიჭრა და დაიყვირა:

- მე გავხიე!

მთელი კლასი გაკვრვებული იყო ამ წარმოუდგენელი სისულელით. ტომი ერთი წუთით შეჩერდა, რომ თავისი დაბნეული აზრები მოეკრიბა; და როცა ბოლოს გაემართა იმ კუთხისაკენ, სადაც მას დასჯა მოელოდა, გაკვირვება, აღფრთოვანება და უზომო მაღლობა ამოიკითხა ბეკის თვალებში, რაც ათასი წკეპლის დარტყმას გადაატანინებდა.

ისე კმაყოფილი იყო თავისი დიდსულოვნებით, რომ სრულიად უხმოდ გადაიტანა შეუბრალებელი სასჯელი, რომელიც მისტერ დობინსმა თავს დაატეხა. ასევე გულგრილად მიიღო დამატებითი სასჯელი - სკოლაში ორი საათით დარჩენა გაკვეთილების შემდეგ. მას კარგად იცოდა, ვინც დაელოდებოდა გარეთ, სანამ ტყვეობიდან გაათავისუფლებდნენ და ამიტომ კლასში მონყენით ჯდომა დიდ უბედურებად აღარ მიაჩნდა.

იმ ღამეს, ძილის წინ, ტომი ალფრედ ტემპლის წინააღმდეგ შურისგების გეგმებს აწყობდა. დარცხვინილმა ბეკიმ მონანიებით უამბო მას ყველაფერი, თავისი ღალატი არ დაუმალავს, მაგრამ შურისგების სურვილი მალე შეცვალა უფრო სასიამოვნო ფიქრებმა. ბოლოს ტომს ჩაეძინა. ყურებში კი ისევ ჩაესმოდა ბეკის უკანასკნელი სიტყვები:

“ტომ, რა კეთილშობილი ხარ”.

თავი ოცდამეორე

არდადეგები ახლოვდებოდა. მუდამ მკაცრი მასწავლებელი ახლა უფრო უღმობელი და მომთხოვნი გახდა: ბალიან უნდოდა მის მოწაფეებს გამოცდებზე თავი ესახელებინათ. მისი ჯოხი და სახაზავი ერთ წუთსაც არ ისვენებდა, განსაკუთრებით უმცროს კლასებში. მხოლოდ 18-20 წლის ასაკის ჭაბუკები და ქალიშვილები თუ იყვნენ გადარჩენილი ამ სასჯელს. მისტერ დობინსს მეტად მძიმე ხელი ჰქონდა. თუმცა მელოტ თავს პარიკით იმალაკდა, მაგრამ ის ჯერ მხოლოდ შუახნის იყო, ჯანღონით სავსე ვაჟკაცი. რამდენადაც ახლოვდებოდა გამოცდები, იმდენად უფრო მეტი ძლიერებით იჩენდა თავს მისი უღმობლობა: თითქოს ნეტარებას ჰგვრიდა, დაესაჯა მოწაფეები, თუმცა სულ უბრალო დანაშაულისათვის. საცოდავი პატარა ბიჭები მთელი დღე შიში ცახცახებდნენ, რამე კი არეძინათ და შურისძიების გეგმებს ადგენდნენ, სულ მცირე შემთხვევასაც კი არ უშვებდნენ ხელიდან, რათა უსიამოვნება მიეყენებინათ მისთვის. მაგრამ მასწავლებელიც არ ჩამორჩებოდა მათ. სულ უბრალო უსიამოვნებისთვის პატარა ბიჭები ისეთ საშინელ სასჯელს იღებდნენ, რომ ყოველთვის სასტიკად დამარცხებულნი ბრუნდებოდნენ ბრძოლის ველიდან. ბოლოს ნამდვილი შეთქმულება მოაწყვეს. რაღაც გადანყვიტეს და გამარჯვების იმედიც დიდი ჰქონდათ. ტავიანთი საიდუმლო გაანდეს მხატვრის შვილს და სთხოვეს დახმარება. მხატვრის შვილი აღტაცებაში მოვიდა და საკვირველი არც იყო: მასწავლებელი მათ ოჯახში სადილობდა და ბევრი საბაბი ჰქონდა მისი სიძულვილის. თითქოს ბედზე, მასწავლებლის ცოლი სტუმრად აპირებდა ნასვლას სოფელში რამდენიმე დღით; ასე რომ, არაფერი არ შეუშლიდა ხელს მათი გეგმის განხორციელებას. მასწავლებელს ჩვეულებად ჰქონდა კარგად გადაეკრა დიდმნიშვნელოვან დღეებში. მხატვრის შვილმა თქვა: როცა გამოცდის წინ გამოთვრება და ჩაეძინება სავარძელში, ამ საქმეს “მოვაკვარახტინებო”. მერე, როცა დრო დადგება, გავაღიძებ და სკოლაში გამოვგზავნიო.

დადგა ეს სანატრელი დროც. საღამოს რვა საათისათვის სკოლის შენობა გაჩირადნებული იყო და მორთული ყვავილებისა და ფოთლების გვიგვინებითა და გრეხილებით. მასწავლებელი გამოქიმულიყო ამაღლებულზე შემდგარ დიდ სავარძელში. მის უკან იდგა საკლასო დაფა. მასწავლებელს სახეზე ეტყობოდა, რომ ზორბად იყო ნასვამი. მის მარჯვნივ და მარცხნივ სკამების სამ-სამი რიგი, ხოლო პირდაპირ ექვსი წინა რიგი ეკავა ქალაქის წარმომადგენლობას და მოწაფეთა მშობლებს. მარცხნივ, მაყურებელთა უკან, მოწყობილი იყო დროებითი ფართო ესტრადა, სადაც ისხდნენ გამოცდებში მონაწილე მოსწავლეები: მწკრივად ისხდნენ პატარა ბიჭები, კარგად პირდაბანილნი და ისე კობტად ჩაცმულნი, რომ თავს მეტად უხერხულად გრძობდნენ; მწკრივადვე ისხდნენ მოუხეშავი, მოწიფული ბიჭები. თეთრად გაჰქონდათ ქათქათი მწკრივად ჩამომსხდარ პატარა გოგონებსა და ქალიშვილებს. ამ უკანასკნელთ ეუხერხულებოდათ ტიტველი მკლავებისა, რომლებიც შემკული იყო ბებიის ნაჩუქარი ძველებური სამაჯურებით; ვარდისფერი და ცისფერი ლენტების, ყვავილების რომლებიც თმებში ჰქონდათ დატანებული. დანარჩენი ნაწილი დარბაზისა ეკავათ იმ მოსწავლეებს, რომელნიც მონაწილეობას არ იღებდნენ გამოცდებში.

დაიწყო გამოცდები. თითსტოლა ბიჭი წამოდგა და დარცხვენით ნაიტიკტიკა ლექსი: “ვინ იფიქრებდა, - ვუცქერდი იჭვით, რომ ლექსს იტყოდა პატარა ბიჭი”. თანაც ხელებს ისე კრყნხხავდა და შლიდა, გეგონებოდათ, მანქანაა და რაღაც გაფუჭებიაო. შიშისაგან გულგახეთქილმა, როგორ იყო, თავი დააღწია გაჭირვებას. იგი დააჯილდოვეს ტამისცემით, მან კი წინასწარ შესწავლილი წესით თავი დაუკრა საზოგადოებას და მიიშალა.

პატარა მორცხვმა გოგონამ ნაიკითხა “მერის ჰყავდა ბატკანი”, სიბრაღულის მომგვრელი რევერანსი გააკეთა და მთლად განითლებული და კმაყოფილი დაჯდა თავის ადგილზე. ტამისცვრით დააჯილდოვეს ეს გოგონაც.

შემდეგ დიდი დარდიმანდობით გამოვიდა ტომ სოიერი და ნაიკითხა უკვდავი ლექსი: “მომეცით თავისუფლება ან მომანიჭეთ სიკვდილი!” დიდი შთაგონებით კითხულობდა და ხელებს ფართოდ შლიდა; მაგრამ როცა ნახევრამდის მივიდა, ენა დაება. რაღაც გამოუთქმელმა შიშმა შეიპყრო; ფხეები აუკანკალდა, ყელში რაღაც მოეჭინა და ვერც ერთი სიტყვის თქმა ვეღარ შეძლო. მართალია, მსმენელები თანაუგრძობდნენ, მაგრამ

ისინი დუმდნენ და ეს დუმილი უფრო ანუხებდა ტომს, ვიდრე მათი თანაგრძობა. მასწავლებელმა შუბლი შეიკრა და ამან ბოლო მოუღო ბიჭს. შეეცადა განეგრძო, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა; საშინლად დარცხვენილი ჩამოვიდა ძირს. თითო-ოროლამ სცადა ტაშის დაკვრა, მაგრამ უშედეგოდ.

ამას მოჰყვა: “ბიჭი ცეცხლნაკიდებული გემის ბაქანზე”, “ასირიელი მიიწვედნენ” და სხვა ნიმუშები სცენაზე წასაკითხად. შემდეგ გაიშართა შეჯიბრება კითხვასა და მართლწერაში. ახალი პროგრამის წამყვანი ნომრის ჯერი დადგა. ახალგაზრდა ქალიშვილებს უნდა წაიკითხათ საკუთარი თხზულებანი. თითოეული მათგანი რიგრიგობით გამოდიოდა მსმენელების წინ, ხმას ამოისუფთავებდა, გაშლიდა ხელნაწერს, რომელიც ლამაზი ლენტით ჰქონდა შეკრული და იწყებდა კითხვას. თითოეული ყურადღებას ამახვილებდა გამოთქმასა და სასვენი ნიშნების დაცვაზე. ამ ნაწერების თემები იგივე იყო, რაც მათ დედებს, ბებიებსა და ბებიის ბებიებს, ჯვაროსანთა ლაშქრობის დროიდან მოყოლებული, უწერია: “მეგობრობა”, “რელიგიის როლი ისტორიაში”, “მოგონება წარსულთა დროთა”, “ოცნების სამყარო”, “კულტურის უპირატესობა”, “სიყვარული მშობელთა”, “იდუმალი ოცნება” და სხვა... ყველა ამ თხზულების ძირითად თავისებურებას შეადგენდა მეტად სათუთი მელანქოლია. მეორე თავისებურება გახლდათ ლამაზი სიტყვების მთელი ნიაღვარი. მესამე თავისებურება - ხელოვნურად შეთითხნილი სიტყვები და ფრაზები უკიდურესად გაცვეთილი ხშირი ხმარებისაგან. ყველა ეს ნაწერი იმ მავნე თვისებით გამოირჩეოდა, რომ მთავრდებოდა დახავსებული, აუტანელი, კუდმოცვეთილი მორალით. რა თქმაც უნდა ყოფილიყო, ავტორს ტვინიდან უნდა გადმოეწერა ისეთი დარიგება, რომელიც ჩააფიქრებდა და სარგებლობას მოუტანდა მორწმუნე და მაღალზნეობრივ ადამიანს. ამ მორალის სიყალბე ყველასათვის ნათელია, მაგრამ მისი განდევნა სკოლებიდან შეუძლებელია ახლაც და იგი, ალბათ, შემორჩება სკოლებს იქამდე, სანამ დედამინა იარსებებს. მთელს ჩვენს ქვეყანაში ვერ იპოვნით ისეთ სკოლას, სადაც გოგონებს ვალდებულებად არ მიაჩნდეთ, თავიანთი თხზულებანი რელიგიური ქადაგებით დაასრულონ. რაც უფრო თავაშვებული და ნაკლებად მორწმუნეა რომელიმე მონაფე ქალი, მით უფრო ღვთისმოსავი, გრძელი და მკაცრია მისი თხზულების მორალი. თუმცა კმარა ამაზე ლაპარაკი, მწარე სინამდვილე არავის არ მოსწონს. უმჯობესია, გამოცდებს დაკუბურდეთ. ყველაზე პირველად წაკითხული თხზულების სათაური იყო - “აი, რა ყოფილა ცხოვრება” იქნებ მკითხველს ეყოს მოთმინება, თუნდაც ამ მოკლე ნაწყვეტის მოსასმენად:

“ცხოვრების ჩვეულ ბლიკებზე რა მღელვარებით ელიან ახალგაზრდები დიდი ხნის ნანატრ რაიმე დღესასწაულს. მათ წარმოდგენაში ეხატებათ დროისტარების ვარდისფერი სურათები. მოდების განებივრებული თავყვანისმცემელი ოცნებაში ხატავს თავის თავს მოზეიმე და აღფრთოვანებული ბრბოს შუაგულში. თოვლივით ქათქათა ქსოვილებში გახვეული მისი თვალები ყველაზე ნათლად ბრწყინავენ, მისი ნაბიჭი ყველაზე უფრო მსუბუქია ამ მოზეიმე ბრბოში. საამო ფიქრებში დრო სწრაფად გადის და დგება სანატრელი წამი, როცა მას შეუძლია შეაღოს კარი იმ სამოთხისა, რომელზედაც ასეთი გზებით ოცნებობდა, როგორ წარმტაცად ეჩვენება ყველაფერი მის მოჭადლოებულ მზერას! ყოველი ახალი ხილვა სულ უფრო ხიბლავს მას. მალე რწმუნდება იმაში, რომ ამ მშვენიერების უკან ყველაფერი ამაოებაა. ცბიერება, რომელიც მის სულს ესოდენ ატკობდა, ახლა მხოლოდ მის სმენას აღიზიანებს, სამეჯლისო დარბაზი ჰკარგავს მომხიბლაობას. ჯანმრთელობაშერყეული, გულდაკოდილი ქალიშვილი სტოვებს იქაურობას და თან მიჰყვება რწმენა: ვერავითარი მინიერი სიამენი ვერ დააკმაყოფილებენ მის სულიერ სწრაფვას!”

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. კითხვას ერთთავად თან ახლდა მონონების ჩემი შეძახილები: “რა მშვენიერია! რა ენამზიანი! რა სწორია!”

და სხვ. და როცა მთელი ეს გულისგამანყალბელი თხრობა დაგვირგვინდა გაცვეთილი მორალით, ყველამ აღტაცებით დაუკრა ტაში.

შემდეგ წამოდგა გამხდარ-გამხდარი, სევდიანი გამომეტყველების ქალიშვილი, რომელსაც პირზე ფერი აღარ ედო აბების ხმარებისა და კუჭის მოუნელებლობის გამო და წაიკითხა “პოემა”.

ამ პოემის რამდენიმე სტროფის მოყვანაც საკმარისია:

მისურელი ქალის დამშვიდობება ალაბამასთან

გემშვიდობები, ალაბამავ! მიყვარხარ ძლიერ,
მაგრამ ამჟერად მე დროებით დატოვო უნდა,

შენზე ფიქრებმა და დარდებმა კინალამ მძლიეს და შენმა მწველმა მოგონებამ სული დასუდრა.

ფერად ყვავილებს მიმზადებდა ტყე უდაბური და ტალაპუზას ნაპირებზე კითხვას რა სჯობდა, შმაგ ტალასიის ზვირთებისთვის მიგდია ყური და კუსას პირას დამინახავს ცის რიჟრაჟობა.

მე სირცხვილს მაინც აღარა ვგრძნობ, თუ მწყდება გული, განა უცხოელთ სიყვარულით ვარ დაისრული, განა უცხოთა ქვეყანაში ვარ მიმავალი!

აქ სიყვარული მიგრძვნია მე, აბა რა მეტი? აქ, სადაც მრჩება მონდორ-ველთა ზურმუხტი, ლალი, დაე, დამეფსოს ეს თვალები, გამიხმეს tete-ი თუ შეგაქციო, ალაბამავ, გული, ალალი.

მსმენელთაგან ცოტამ თუ იცოდა, რას ნიშნავდა tete, მაგრამ პოემა მაინც მოეწონათ. ამის შემდეგ გამოვიდა შავგვრემანი, შავთვალწარბა, შავთმიანი ქალიშვილი. გააკეთა მნიშვნელოვანი პოუზა, მიიღო ტრაგიკული გამომეტყველება და თავშეკავებით დაიწყო:

გამოცხადება

“ბნელი და ქარიშხლიანი ღამე იყო. ცის კაბადონზე არც ერთი ვარსკვლავი არ ბრწყინავდა. სამაგიეროდ, განუწყვეტლივ გაჰქონდა გრიალი ჭექა-ქუხილს. მაღიმაღლ შემზარავად იკლაკნებოდა ელვა და აშუქებდა მოპირქუშებულ ცას, თითქოს არაფრად არ აგდებდა იმას, რომ გამოჩენილმა ფრანკლინმა დათრგუნა მისი სისასტიკე. შმაგ ქარსაც დაეტოვებინა თავისი ბუნაგი და ძლიერად ქროდა, თითქოს სურდა, უფრო შემზარავი გაეხადა ისედაც გაშმაგებული ბუნება. ამ სიბნელეში ამ მრისხანე ჟამს სული ჩემი ლამობდა ადამიანის თანაგრძნობას, მაგრამ მის ნაცვლად მომევიღინა ჩემი საუკეთესო მეგობარი, ჩემი მრჩეველი, ნუგეშისმცემელი მწუხარებასა და სიხარულში. ვიდოდა იგი, ვითარცა ციური ქმნილება, რომლის მსგავსი მხოლოდ ოცნებაში წარმოესახება ახალგაზრდა რომანტიული სულის ადამიანს. ვიდოდა ედემის გასხივოსნებულ გზებზე მშვენიერების დედოფალი, რომელსაც თვალმარგალიტი კი არ ამშვენებს, არამედ საკუთარი სწორუპოვარი სიტურფით გამოირჩევა. ისეთი ჩუმი და უხმო იყო მისი ნაზი ნაბიჯი, რომ თუ არა მისი მოახლოების ჯადოსნური თრთოლვა, ჩაივლიდა შეუმჩნევლად სხვა მშვენიერთა მსგავსად, რომელნიც თავიანთ სიტურფეს არ აჩვენენ. დეკემბრის სამოსზე შეყინული ცრემლებივით ემჩნეოდა რაღაც გამოუცნობი სევდის კვალი სახეზე, როცა მან თითოთ მიჩვენა მტრულად განწყობილი სტიქიონების ბრძოლა და მიბრძანა, მიმეპყრო ფიქრნი იმ ორისათვის, რომლებიც იქ იყვნენ”.

ამ საშინელებას მთელი ათი გვერდი ეჭირა და მთავრდებოდა იგი არაჩვეულებრივად მკაცრი ქადაგებით. მძიმე სასჯელით ემუქრებოდა ყველა იმას, ვინც პრესვიტერიანულ ეკლესიას არ ეკუთვნოდა. ამიტომაც, უმაღლესი ჯილდო სწორედ ამ თხზულებას არგუნეს. ქალაქის თავმა, როცა ავტორს გაუნოდა ჯილდო, თბილი სიტყვა წარმოთქვა და ირწმუნებოდა, არასოდეს არ მომისმენია ასეთი მჭერმეტყველური თხზულება. თვით დანიელ უემბსტერიც კი იამაყებდა ასეთი მჭერმეტყველებით. აქ გაკვრით უნდა აღინიშნოს, როგორც ყოველთვის, ახლაც ცოტა როდი იყო ისეთი თხზულებები, რომლებშიც სიტყვა “მომაჯადოებელი” ერთთავად მეორდებოდა, ხოლო ადამიანური გამოცდილება “ცხოვრების ფურცლად” იწოდებოდა.

ღვინის გავლენით დიდსულოვნებამდე მისულმა მასწავლებელმა თავისი სავარძელი გვერდზე გადადგა, ზურგი შეუქცია მსმენელთ და დაფაზე დაიწყო ამერიკის რუკის ხატვა, რომ ახალ გეოგრაფიაში გამოეცადა მონაფეები. მაგრამ ხელი არ ემორჩილებოდა და მთელ კლასში გაისმა თავშეკავებული ხითხითი. მან იცოდა, რაშიც იყო საქმე და ცდილობდა, გამოეხსნორებინა: ნაშალა დახაზული და დაიწყო ახლად, მაგრამ უფრო ცუდად გამოდიოდა და ხითხითი უფრო ძლიერდებოდა. მან მთელი გულისყური მუშაობას

მიაპყრო, რომ ბოლო მოეღო ამ უადგილო მხიარულებისათვის. მასწავლებელი გრძნობდა, რომ ყველას თვალები მას მისჩერებოდა; ეგონა, საქმე გამოსწორდაო, მაგრამ კლასში სიცილი არ წყდებოდა, პირიქით, თანდათან ძლიერდებოდა. არც საკვირველი იყო! სწორედ მასწავლებლის თავზე, ჭერში, სხვენზე ასასვლელი ჭრილი იყო. იქიდან ნელ-ნელა ეშვებოდა თოკზე მიბმული კატა. კატას ყბები ახვეული ჰქონდა ჩვრით, რომ არ ეკნავლა. კატა ნელ-ნელა ეშვებოდა ძირს, მთელი ტანით იკლაკნებოდა, ხან ზევით მიიწევდა, უნდოდა თოკი დაეჭირა ბრტყალებით, ხან ძირს იწვევდა, რომ რამეს მოსჭიდებოდა. ხითხითი ძლიერდებოდა. კატას რამდენიმე გოჯილა აკლდა და მისწვდებოდა კიდევაც თავის საქმეში გართულ მასწავლებელს... ცოტა ქვევით... კიდევ ქვევით... ნამიჯ, და კატა გამწარებული დააცხრა თავისი ბრტყალებით მის პარიკს... კატა თავისი ნადავლით უცებ აიტაცეს ზევით. დობინის მელოტმა თავმა ლამპის სინათლეზე ლაპლაპი დაიწყო: მხატვრის შვილს მოეხერხებინა პარიკის მოვარაყება შიგნიდან. ამის შემდეგ კრებაც დაიშალა. ბიჭებმა ჯავრი ამოიყარეს. დადგა არდადეგები.

თავი ოცდამესამე

ტომი შევიდა ახალ “სიფრთხილის ჭაბუკ მეგობართა საზოგადოებაში”; მას ხიბლავდა “წარჩინების ნიშნები”, რომლებსაც იქ ურიგებდნენ. პირობა დასდო, რომ აღარ მოსწევდა, აღარ დაღეჭავდა თუთუნს, არც ცუდ სიტყვებს იხმარდა, სანამ საზოგადოების წვერი იქნებოდა. ამის შემდეგ მან ერთი ჭეშმარიტება აღმოაჩინა: თუ გინდა, კაცმა რაიმე ჩაიდინოს, პირობა დაადებინე, ამას არასოდეს გავაკეთებო. უებარი საშუალებაა. ტომს მაშინვე მოუნდა გინებაც და ლოთობაც. ეს სურვილი დღითი დღე უძლიერდებოდა და უთუოდ გავიდოდა კიდევ საზოგადოებიდან, მაგრამ ერთი რამ აჩერებდა: სურდა, ხალხში ალისფერი ხელსახვევით გამოჩენილიყო. ახლოვდებოდა ოთხი ივლისი, თუმცა სიფხიზლის ტყვეობაში ყოფნის მესამე დღესვე გადააზინყდა ეს და მთელი იმედეები სიკვდილის პირზე მყოფ მოხუც მომრიგებელ მოსამართლე ფრეზერზე დაამყარა, დიდი კაცია და, ალბათ, დიდი ამბითაც დაასაფლავებენო. სამი დღე ზედიზედ სულ მოსამართლის ჯანმრთელობას კითხულობდა და ახალი ამბების მოლოდინში ყურებდაცქვეტილი იყო. ზოგჯერ ისეთი იმედი ეძლეოდა, რომ თამამად იღებდა თავის წარჩინების ნიშნებს და სარკესთან ირგებდა. მაგრამ მოსამართლე ხან კარგად იყო, ხან ცუდად. ბოლოს ხმა გავრცელდა: ავადმყოფი მომჭობინდა, ხოლო შემდეგ - სულაც გამოჯანმრთელდაო. ტომი აღშფოთდა, გეგონებოდათ, ვინმემ აწყენინაო; მაშინვე საზოგადოებიდან გამოვიდა. მოსამართლე კი იმ ღამეს ცუდად შეიქნა და გარდაიცვალა. ტომმა გადაწყვიტა, ამის შემდეგ აღარავის დაუჭერებო. მოსამართლე დიდი ამბით დაასაფლავეს. “სიფრთხილის საზოგადოების” ჭაბუკი წევრები ისე თავმოძნონედ მიაბიჯებდნენ, რომ მათი ყოფილი ამხანაგი ღამის შურით გულზე გასკდა. სამაგიეროდ, ტომი ახლა უკვე თავისუფალი იყო და ესეც ხომ რამედ ღირდა! მას შეეძლო ლოთობითა და გინებით გული ეჯერა. მაგრამ, ჰოი, საკვირველებავ! რაკი აღარ უშლიდნენ, აღარ იზიდავდა. ტომმა მალე გაოცებით შენიშნა, რომ მისთვის მოსაწყენი ხდებოდა ის არდადეგები, რომლებზედაც ამდენს ოცნებობდა. დღიურის წერაც კი წამოიწყო, მაგრამ სამი დღის განმავლობაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა და თავი მიაწება. ქალაქში ჩამოვიდა ზანგთა ორკესტრი, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. ტომმა და ჯო ჰარპერმა ბიჭებისაგან თავისი ორკესტრი შეადგინეს და ორ დღეს ბედნიერების მწვერვალზე იყვნენ. თვით დიდებამოსილმა ოთხმა ივლისმაც უხეიროდ ჩაიარა; ძალიან წვიმდა, პროცესია არ შემდგარა, ხოლო მსოფლიოს უდიდესმა ადამიანმა (ყოველ შემთხვევაში, ტომი ასე ფიქრობდა) მისტერ ბენტონმა, შეერთებული შტატების ნამდვილმა სენატორმა, ბიჭს გული გაუტეხა, რადგანაც იგი ოცდახუთი ფუტის სიმაღლის ბუმბერაზი კი არა, გაცილებით უფრო დაბალი ადამიანი აღმოჩნდა. ცირკი ჩამოვიდა. ამის შემდეგ ბიჭები სამ დღეს ზედიზედ თვითონ მართავდნენ ცირკის წარმოდგენებს დაგლეჯილი ხალიჩებისაგან შეკრულ კარავში. შესვლის საფასურად

ბიჭებს სამ ქინძისთავს ახდევინებდნენ, გოგონებს - ორს. მერე ესეც მობეზრდათ. მერე ჰიპნოზიორი და ფენოლოგი ჩამოვიდნენ. მათი ნასვლის შემდეგ ქალაქში უფრო მეტი მონყენილობა ჩამოვარდა.

ხანდახან ბიჭებსა და გოგონებს საღამოებს უმართავდნენ, მაგრამ ეს ისეთი იშვიათი და ისეთი სასიხარულო იყო, რომ ერთი საღამოდან მეორემდე გაჭიმული დრო სრულიად აუტანელი ხდებოდა.

ბუკი თეტჩერი არდადეგებზე თავის სამშობლო ქალაქ კონსტანტინოპოლს გაემგზავრა მშობლებთან და ამან ხომ მთლად ჩაჰკლა ყოველგვარი სიხარული.

მკვლელობის საშინელი საიდუმლოება წარმოუდგენლად სტანგავდა ტომს; წყლულის მსგავსად ერთთავად ღრღნიდა და ღრღნიდა.

ამას წითელაყ ზედ დაერთო.

ორი კვირის განმავლობაში ტომი სანოლში იწვა, ტუსადივით მონყვეტილი ქვეყანასა და ადამიანურ საქმეებს. მძიმედ იყო ავად და აღარაფერი აინტერესებდა. ბოლოს, როცა წამოდგა და პირველად გავიდა ბარბაცით ქალაქში, შენიშნა, რომ ყველა და ყველაფერი უსიამოვნოდ შეცვლილიყო. ქალაქში რელიგიის ნამდვილი აღორძინება დაწყებულიყო და ყველას, დიდსა თუ პატარას, პირზე “ღვთაებრივი” ეკერა. ტომმა მთელი ქალაქი შემოიარა იმის იმედით, რომ იქნება სადმე ერთი ცოდვილი მაინც ვიპოვო, მაგრამ ამაოდ, ყველგან სასონარკვეთილება ელოდა. ჯო ჰარპერთან მივიდა, მაგრამ იგი სახარებას სწავლობდა და დაღონებულმა ტომმა ამჯობინა, რაც შეიძლება, ჩქარა გასცლოდა ამ უბადრუკ სანახაობას. ბენ როჯერსი მოძებნა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი ღარიბ-ღატაკებთან დაიარებოდა და რელიგიური წიგნებით სავსე კალათას დაატარებდა. ბოლოს ჯიმ პოლისი მოძებნა, მაგრამ იმანაც დარწმუნება დაუნყოფ, ზეცამ წითელა ცოდვების მოსანანიებლად გამოგიგზავნათ. ყოველი ბიჭის შეხვედრა კიდევ უფრო აძლიერებდა მის ბოღმას, რომელიც ისედაც ახრჩობდა. მთლად სასონარკვეთილმა პეკლებერი ფინს მიაშურა, იქნება მასთან ვიპოვო შვებაო, მაგრამ ისიც ბიბლიის ტექსტით შეხვდა. ამას ვეღარ გაუძლო, გული გაუტყდა, სახლამდე ძლივს მიაღწია და სანოლზე დაემხო. იგი გრძნობდა, რომ მთელ ქალაქში ერთადერთი ის იყო განწირული და განწირული სამუდამოდ.

იმ რამეს საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, კოკისპირული წვიმა წამოვიდა, შემზარავი ჭექა-ქუხილი ატყდა და თვალისმომჭრელად ელავდა. ტომმა თავზე საბანი წაიფარა და ძრწოლვით ელოდა სიკვდილს. სჯეროდა, ყველაფერი ეს ჩემს გამო ატყდაო. ღმერთმა დიდხანს ითმინა ჩემი ცოდვები და ახლა შეწყალების იმედი აღარ უნდა მქონდესო.

ვინმეს რომ ფიქრად მოსვლოდა, უნიათომუშლის წინააღმდეგ არტილერია გამოეყენებინა, ტომის ამას ამაო შრომად ჩასთვლიდა, მაგრამ ისეთი მუშლის შესამუსრავად, როგორიც თვითონ იყო, ეს სრულიადაც არ ეუცნაურებოდა.

ქარიშხალი თანდათან ჩადგა, ისე, რომ არ მიუღწევია თავისი მიზნისათვის. ტომის პირველი სურვილი იყო მადლობა მოეხსენებინა ღმერთსათვის და გამოსწორებულიყო. მეორე კი - პატარა ხანს კიდევ მოეცადა - იქნებ ქარიშხალი აღარ ამოვარდესო.

მეორე დღეს ისევ საჭირო გახდა ექიმების მონვევა. ტომს ავადმყოფობა შეუბრუნდა.

მთელ საუკუნედ ეჩვენა სამი კვირა, რომლის განმავლობაშიც სანოლზე იყო მიჭაჭვული. როცა წამოდგა და სახლიდან გავიდა, აღარც კი უხაროდა, რომ სიკვდილმა დაინდო იგი.

გაახსენდა, როგორი უთვისტომო იყო, მეგობრებისაგან დავიწყებული. ზანტად დაუყვა ქუჩებს და ნახა, რომ ჯიმი პოლისი სხვა ბიჭებთან ერთად კატას ასამართლებდა ჩიტის მოკვლის გამო. მსხვერპლი იქვე ეგდო. ცოტა მოშორებით, მყუდრო შესახვევში ჯო ჰარპერი და პეკ ფინი ისხდნენ და მოპარულ ნესვს შექცეოდნენ. საბრალონი, მათაც ტომის მსგავსად, შეუბრუნდათ ავადმყოფობა.

თავი ოცდამეოთხე

როგორც იყო, პატარა ქალაქის მოდუნებული სიცოცხლე შეირხა და ძლიერადაც შეირხა. დაინიშნა ექიმის მკვლელის გასამართლების დღე. ქალაქში მარტო ამასლა ლაპარაკობდნენ, ვერც ტომი გაექცეოდა ამ მითქმა-მოთქმას. მოჰკრავდა თუ არა ყურს მკვლელობაზე ლაპარაკს, სისხლი ეყინებოდა ძარღვებში. აფორიაქებული სინდისი და შიში უკარნახებდა, რომ მასთან უსაბაბოდ კი არ ლაპარაკობდნენ იმ კვლელობაზე,

არამედ მას “ცდიდნენ”.

ვერ ნარმოედგინა, რა მიზეზით უნდა მიეტანათ ეჭვი იმაზე, რომ მან მკვლელობის შესახებ რამე იცოდა, მაგრამ ვერ ისვენებდა. ამ მიუხედავად რომ ისმენდა, ტანში ერთთავად ჟრუანტელი უვლიდა. მიყრუებულ ადგილას გაიხმო ჰეკი, რომ მოლაპარაკებოდა. თანაც უნდოდა, გული გადაეყოლებინა, თავისი მწუხარება გაეზიარებინა მეორე ტანჯულისათვისაც. გარდა ამისა, უნდოდა, დარწმუნებულიყო, შეეძლო თუ არა ჰეკს საიდუმლოს შენახვა.

- ჰეკ, შენ ვინმეს უთხარი?

- რა?

- თვითონ იცი, რაც.

- ცხადია, არა.

- არც ერთი სიტყვა არ გითქვამს?

- არც ერთი სიტყვა, მინამ ჩამიტანოს, თუ ვტყუოდე! რად მეკითხები?

- ისე, უბრალოდ, შიში მაქვს.

- არ იცი, ტომ სოიერ, რომ მაგის თქმა ხეირს არ დაგვაცერის? ორ დღესაც აღარ გვაცოცხლებენ.

ტომს გულზე მოეშვა, ცოტა ხანს შეყოყმანდა და მერე განაგრძო:

- ჰეკ, ძალაც რომ დაგატანონ, მაინც ხომ ვერ გამოგტეხავენ?

- გამოგტეხავენ? ნურას უკაცრავად! ხოლო თუ მოვისურვე, რომ იმ შეჩვენებულმა მეტისმა კატასავით დამახრჩოს, მაშინ, ცხადია, გამოგტეხავენ. ისე კი ვერასგზით.

- ეგ ძალიან კარგია! მე მგონია ვიდრე ხმაგაკმენდილები ვიქნებით, არავინ ხელს არ გვახლებს. მოდი, მაინც ხელმეორედ შევფიცოთ ერთმანეთს, რომ კრინტს არ დავძრავთ, ასე ემჯობინება.

- თანახმა ვარ.

და მათ კვლავ გაიმეორეს ფიცი.

- მაინც რას ლაპარაკობენ, ჰეკ? იმდენი რამე მესმის, რომ ველარც კი გავრკვეულვარ.

- რას ლაპარაკობენ? ერთსა და იგივეს: მეფ პოტერი, მეფ პოტერი, ჭირის ოფლს მასხამს, როცა ეს მესმის. ცხრა მთას იქით გადავიკარგებოდი, რომ შემეძლოს.

- მეც ეგრე შემართება. უკვე დაიღუპა სანყალი პოტერი. არ გეცოდება?

- რა თქმა უნდა, მეცოდება, დაუდგრომელი კაცი კია, მაგრამ ბოროტება არასოდეს არ ჩაუდენია. სათუვზაოდ დადის, რომ გადასაკრავად იმოვოს რამე, დანარჩენ დროს კი უქმად ხეტიალში ატარებს... მერე რაა, ასე არა ვართ ყველანი? უმრავლესობა, ყოველ შემთხვევაში, თვით მამაჩემი და სხვანიც. ის საკმაოდ გულკეთილია, ერთხელ ნახევარი თევზი მომცა, თუმცა თავისი სამყოფიც არა ჰქონდა. რამდენჯერმე გამომქომაგებია და განსაცდელისაგან დავეხსნივარ.

- შეკი, ჰეკ, ხან ფრანს შემიკეთებდა, ხან ნემსკავს მიმაბამდა ანკესზე. ნეტავ შეგვეძლოს, როგორმე დავეხმაროთ.

- ჰო, მაგრამ, როგრც დავეხმაროთ? თუ გავაპარეთ ციხიდან, რას უშველის, ისევ დაიჭერენ.

- მართალია, დაიჭერენ. მაგრამ მოსმენა აღარ შემეძლია, როცა ასე დაუნდობლად ლანძღავენ უდანაშაულოს.

- მეც ასე მომდის, ტომ! იმასაც კი ამბობენ, ყველაზე ავაზაკური სახე იმას აქვს და, რასაკვირველია, აქამდე რატომ არ ჩამოახრჩვესო.

- ჰო, სწორედ ასე ამბობენ. ჩემი ყურით ისიც კი გავიგონე, როგორ ამბობდნენ. თუ გამოუშვეს, ლინჩის წესით გავასამართლებთო.

ბიჭებმა კიდევ დიდხანს იმასლაათეს, მაგრამ დიდად ვერ ანუგეშეს ერთმანეთი.

ბინდისას ხეტიალი დაიწყეს პატარა განმარტოებული ციხის გარშემო, იმ იმედით, რომ იქნება რამე მოხდეს და გაჭირვებიდან დავიხსნათო. მაგრამ არაფერი არ მოხდა: ეტყობოდა, არც ანგელოზები, არც ჯადოქრები არ იყვნენ დაინტერესებული საბრალო პატიმრით.

ბიჭებმა მართლ ის მოახერხეს, რაც წინათ ხშირად გაუკეთებიათ: პოტერს სარკმლიდან გადასცეს თუთუნი და ასანთი. პოტერი ქვედა სართულში ჰყავდათ დამწვრდელი და ყარაულიც არ ეყენათ.

როცა პატიმარი მადლობას უხდიდა საჩუქრებისათვის, ისინი ყოველთვის სირცხვილით იწვოდნენ, ახლა კი უარესი დაემართათ. თავიანთი თავი საძაგელ მოღალატეებად ჩათვალეს, როდესაც პოტერმა თქვა:

- ამ ქალაქში თქვენ ყველაზე მეტი გულთბილობა გამოიჩინეთ ჩემდამი. მეც არასოდეს დაგივინყებთ. ხშირად ვუბნები ჩემს თავს: მე ხომ ყველა ბავშვს ვუკეთებდი სათამაშოებს, ვუჩვენებდი კარგ სათუვზაო ადგილებს და, საერთოდ, ვმეგობრობდი

მათთან. ახლა კი, როცა ბებერი მეფე განსაცდელშია, ყველამ დაივიწყა, გარდა ტომისა და ჰეკისა, იმათ არ დამივიწყეს და არც მე დავივიწყებ მათ. ეპ, ბიჭებო, საშინელება ჩავიდინე, ეტყობა, სიმთვრალემ დამიბნია გონება - მხოლოდ ამით შემოძლია ავხსნა ბოროტება... ახლა ამისთვის შესაფერისად დამსჯიან და ახიც იქნება. ჩემთვის, იქნება, ეს უფრო კარგიც იყოს, ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია. ეს! კმარა ამაზე ლაპარაკი! არ მინდა აგაღელვოთ, თქვენ ხომ მეგობრულად მექცეოდით. მაგრამ აი, რა მინდა გითხრათ: თუ გსურთ სატუსალოს ასცდეთ, ღვინოს ნუ მიეჩვევით... ცოტა განზე გაიწიეთ... აი ისე, როცა ადამიანი ჩემისთანა განსაცდელშია, სურვილი აქვს მეგობრის სახე დაინახოს; აქ ხომ არავინ მოდის, თქვენს მეტი. მეგობრის კეთილი სახე, მეგობრის სახე... უზურგულეთ ერთმანეთს, რომ ხელი შეგახოთ. აი, ასე, ახლა კი ხელი გამომიწოდეთ. თქვენი ხელი შემოეთევა რკინის ბადეში, ჩემი კი მეტად დიდია. პატარა და სუსტია თქვენი ხელები, მაგრამ ბევრი დახმარება აღმოუჩინეს მეფე პოტერს და უფრო მეტს დაეხმარებოდნენ, რომ შეეძლოთ.

ტომი დანადგლიანებული დაბრუნდა შინ და მთელი დამე საშინელ სიზმრებს ხედავდა, მეორე და მესამე დღეს დილიდან საღამომდე სულ სასამართლოს ახლომახლო დაეხებებოდა, ლამობდა შიგ შესვლას, მაგრამ ძალით იკავებდა თავს. ჰეკსაც იგივე ემართებოდა. ისინი ერთმანეთს ერიდებოდნენ. ორივენი დროულად მოშორდნენ იქაურობას, მაგრამ უხილავი ძალა მათ ისევ უკან აბრუნებდა. როცა ვინმე უსაქმური გამოვიდოდა სასამართლოდან და უამბობდა ხალხს, რაც შიგ ხდებოდა, ტომი ყურდაცქვეტილი უსმენდა თითოეულ სიტყვას, მაგრამ სანუგეშო არაფერი ესმოდა, სანყალი პოტერი თურმე თანდათან უფრო ებმებოდა ქსელში. მეორე საღამოს ქალაქში ყველა იმას ამბობდა, რომ ინდიელი ჯო მტკიცედ იდგა თავის სიტყვაზე და ეჭვი აღარ იყო, რომ პოტერს შესაფერ განაჩენს გამოუტანდა სასამართლო.

ტომი ამ საღამოს შინ გვიან დაბრუნდა და როგორც ჩვეულებად ჰქონდა, ფანჯრიდან გადაძვრა. საშინლად იყო აღელვებული და დიდხანს ვერ დაიძინა. მეორე დილას მთელი ქალაქი სასამართლოს გარშემო ტრიალებდა, ვინაიდან ეს იყო ფრიად მნიშვნელოვანი დღე. სასამართლო დარბაზი გაჭედილი იყო ქალებითა და მამაკაცებით. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მსაჯულებიც გამოჩნდნენ და ყველამ დაიკავა თავისი ადგილი. შემოიყვანეს პოტერიც - გაყვითლებული, განამებული, ბორკილგაყრილი. დასვეს ისეთ ადგილას, საიდანაც ყველას კარგად შეეძლო დაენახა. გამოსაჩენ ადგილზე იჭდა ინდიელი ჯოც, სრულიად დამშვიდებული, როგორც ყოველთვის. სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს შემოვიდა მოსამართლეც და შერიფმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა. მსაჯულნი, ჩვეულებისამებრ, მოჰყვნენ ჩურჩულსა და ქალაქლების ქექვას. საქმის ასეთი გაჭიანურება უფრო აძლიერებდა მოლოდინის სიმწვავეს.

პირველი მონმე დაჰკითხეს. მან განაცხადა, რომ მეფე პოტერი მდინარესთან ნახა, თურმე ხელებს იბანდა დილაადრიან სწორედ იმ დღეს, როცა მკვლელობა მოხდა და მის დანახვაზე გაქცეულიყო. რამდენიმე შეკითხვის შემდეგ პროკურორი მიუბრუნდა დამცველს:

- ახლა თქვენი რიგია, დაჰკითხეთ მონმე.

ბრალდებულმა დამცველს თვალებში შეხედა, მაგრამ მყის ისევ დახუჭა თვალები, როცა მისმა დამცველმა თქვა:

- მე შესაკითხი არაფერი მაქვს.

შემდეგმა მონმემ უჩვენა, რომ მან დანა იპოვა მკვლელობის ადგილზე, პროკურორის მიმართვაზე - "დაჰკითხეთ მონმე", დამცველმა კვლავ განაცხადა:

- შეკითხვა არა მაქვს.

მესამე მონმემ ფიცის ქვეშ განაცხადა: ეს დანა ხშირად მინახავს პოტერის ხელში.

- დაჰკითხეთ მონმე.

დამცველმა აქაც უარი თქვა შეკითხვებზე.

დამსწრეთა სახეზე უკმაყოფილება აღიბეჭდა. ნუთუ ისე გასწირავს პოტერს, რომ არც ეცდება დაცვას?

რამდენიმე მონმემ უჩვენა, რომ პოტერს მკვლელობის ადგილზე მიყვანის დროს თავი ისე ეჭირა, როგორც დამნაშავეს. იმათაც არაფერს შეეკითხა დამცველი.

მონმეებმა სასამართლოს მოახსენეს იმ მარადსახოვან დილას მომხდარი ამბის ყველა წვრილმანი, მაგრამ მეფე პოტერის დამცველს არც ერთი მათგანისათვის არაფერი არ უკითხავს, სახლში აღელვებისა და უკმაყოფილების დრტვინვა გაისმა.

მოსამართლისაგან ამის გამო საყვედური მიიღეს.

პროკურორი წამოდგა და განაცხადა:

- ნაფიცმა, სრულიად კეთილსინდისიერმა მონმეებმა დაადასტურეს, რომ ეს საშინელი ბოროტმოქმედება ჩაიდინა მხოლოდ იმან, ვინც ზის სამსჯავრო სკამზე. ეს

დასაბუთებულად მიგვაჩნია.

საცოდავმა პოტერმა ამოიგმინა, ხელები სახეზე მიიფარა და სკამზე ქანაობა დაიწყო. სასამართლოს დარბაზში სულშემხუთავი სიჩუმე იდგა. მამაკაცებიც კი აღელდნენ, ხოლო დედაკაცები ცრემლებს აფრქვევდნენ სიბრაღულით.

წამოდგა დამცველი.

- თქვენო მონყალებავ, სხდომის დაწყებამდე გადამწყვეტილი გვქონდა, დაგვემტკიცებინა, რომ ბრალდებულმა საშინელი ბოროტება ჩაიდინა უგონო სიმთვრალეში. მაგრამ ჩვენ აზრი შევიცვალეთ და ეს აღარ გამოგვადგა საბუთად. - ის მიუბრუნდა სასამართლოს ბოქაულს და უბრძანა:

- შემოიყვანეთ ტომას სოიერი.

ყველას სახეზე, თვით პოტერისაზეც კი უსაზღვრო გაკვირვება აღიბეჭდა. ყველამ დიდი ცნობისმოყვარეობით მიაპყრო თვალები ტომს. ბიჭი მთლად დაბნეული იდგა, შიშისაგან ლამის დაღეულიყო. ფიცი ათქმევინეს მაგიდასთან.

- ტომას სოიერ, სად იყავით ჩვიდმეტ ივნისს, დაახლოებით ღამის პირველ საათზე? ტომმა გადახედა ინდიელ ჯოს გაქვავებულ სახეს და ენა მუცელში ჩაუვარდა.

დამსწრეებმა სული განაბეს, მაგრამ მონმე სდუმდა. რამდენიმე წამის შემდეგ ბიჭმა დაიმორჩილა თავი და ისე ჩუმად ჩაილაპარაკა, რომ ყველამ ვერ გაიგო მისი პასუხი:

- სასაფლაოზე.

- ძალიან გთხოვთ, ხმამაღლა ილაპარაკოთ. ნუ გეშინიათ. მაშასადამე, თქვენ იყავით...

- სასაფლაოზე.

ინდიელი ჯოს მძულვარების ღიმილმა გადაჰკრა სახეზე.

- მოხუცი უილიამსის საფლავის ახლოს ხომ არ იყავით?

- დიახ, სერ.

- გთხოვთ ხმამაღლა ილაპარაკოთ. რა მანძილზე იდევით?

- იმავე მანძილზე, რაც თქვენსა და ჩემს შორისაა.

- დამალული იყავით თუ არა?

- დამალული ვიყავი.

- სად?

- თელის უკან. საფლავთან რომ დგას.

ინდიელი ჯო ეკრთა.

- დიახ, სერ, მე ნავედი იქ...

ცოტა ხანს შეჩერდა.

- საჭირო არ არის ახლა დაასახელოთ თქვენი თანამგზავრი. თავის დროზე იმასაც დაგვიტხავთ. სასაფლაოზე რამე მიიტანეთ?

ტომი ყოყმანობდა, ეტყობოდა, დარცხვენილი იყო.

- თქვით, ნუ გეშინიათ, სიმართლე ყოველთვის ღირსია პატივისცემისა. რა მიიტანეთ სასაფლაოზე?

- მხოლოდ... მხოლოდ მკვდარი კატა.

დარბაზში სიცილი გაისმა. თავმჯდომარემ ბარი დარეკა.

- ნიშნად საბუთისა, ჩვენ წარმოგიდგენთ იმ კატის ჩონჩხს. ახლა კი, ჩემო პატარა მეგობარო, გვიაშბეთ ყველაფერი, რაც ნახეთ. ყველაფერი ისე გვიაშბეთ, როგორც მოხდა, არაფერი დამალეთ და ნურც ნურაფრისა შეგეშინდებათ.

ტომმა გაუბედავად დაიწყო, შემდეგ კი თანდათან გაყოჩაღდა. მისი სიტყვები მკაფიოდ ჟღერდა. მალე მთელ დარბაზში მხოლოდ მისი ხმა ისმოდა; ხალხი პირდაღებული, სულგანაბული იჭერდა მის ყოველ სიტყვა, გატაცებული ბავშვის შემადრწუნებელი თხრობით. საერთო აღელვება საზღვარს გადასცდა, როცა ტომმა თქვა:

- ექიმმა მეფ პოტერს ფიცარი დაართყა და ძირს დასცა, სწორედ იმ დროს ინდიელი ჯო მივარდა დანით ექიმს და...

ბრაბ! ელვის სისწრაფით ეცა მეტისი ფანჯარას, გმიდან ჩამოიშორა ყველა, ვინც მის დაჭერას ცდილობდა, ისკუპა და თვალის ველარავინ მოჰკრა მას!

თავი ოცდამეხუთე

ტომი კვლავ დიდების სარავანდებით შეიმოსა; უფროსები ანებივრებდნენ, ახალგაზრდები კი შურის თვალით უყურებდნენ. მან თავისი სახელი უკვდავყო;

ადგილობრივი გაზეთი ქება-დიდებათ იხსენიებდა მას. ზოგიერთები იმ აზრსაც კი გამოთქვამდნენ, იქნება ოდესმე პრეზიდენტიც კი გახდეს, თუ სახრჩობელას გადაურჩაო. როგორც ჩვეულებრივ ხდება, ადვილმორწმუნე ადამიანებმა გულდიად მიიღეს მეფე პოტერი და ახლა ალერსს ისევე აღარ აკლებდნენ, როგორც უნინ ლანძღვა-გინებას. მაგრამ ასეთი საქციელი მხოლოდ პატივს თუ სდებს ადამიანებს. ამიტომ არ არის კარგი მათი გაკიცხვა ამისთვის.

დღისით ტომი სულ მხიარულებაში იყო, მაგრამ ღამით შიშისაგან მოსვენება არა ჰქონდა. სიზმარში ხედავდა ინდიელი ჯოს საშინელი შურისძიებით აღსავსე თვალებს. ვერავინ გაიყვანდა ტომს დაბინდებისას გარეთ. საცოდავი ჰეკიც უზომოდ იყო შეშინებული. საქმე ისაა, რომ ტომმა გასამართლების წინა საღამოს ვეჭილს ყველაფერი უამბო; ჰეკი შიშობდა, რომ მისი მონანილეობაც გამოაშკარავდებოდა, თუმცა მეტისის გაქცევამ ის დაიხსნა სასამართლოში წარდგომის სატანჯველისაგან. მართალია, ვეჭილი გაჩუმებას დაპირდა, მაგრამ გამოვიდოდა რამე? მას შემდეგ, რაც ტომმა, სინდისის ქენჯნით შეწუხებულმა, ღამით ვეჭილის ბინაზე გათქვა შემზარავი ფიცით შეკრული საშინელი საიდუმლო, ჰეკმა მთლიანად დაკარგა კაცობრიობისადმი ნდობა. დღისით ტომს, პოტერის მხურვალე მადლობით აღტაცებულს, უხაროდა, რომ სიმართლე თქვა, ღამე კი საშინლად ნანობდა - რატომ ენა მუცელში არ ჩავიგდეო. ხან იმის ეშინოდა, ჯოს ვერასოდეს დაიჭერენო, ხან ეშინოდა, ვაითუ დაიჭირონო. ის დარწმუნდა, რომ თავისუფლად მხოლოდ მაშინ ამოისუნთქავდა, როცა ის კაცი მოკვდებოდა და ტომი თავისი თვალთ ნახავდა მის გვამს.

მთელი ქვეყანა შეჭრეს, ჯილდოც დანიშნეს მეტისის დაჭერისთვის, მაგრამ არაფერი გამოვიდა. სენ-ლუიდან მოიწვიეს ყველაფრის შემძლე სასნაულთმოქმედი მადებარი. მან ყველაფერი გაჩხრიკა, თავი დაიქნია, მიიღო ჭკვიანური გამომეტყველება და ბოლოს მიაღწია შესანიშნავ შედეგს, როგორსაც აღწევს მისი ყაიდის ხალხი, ესე იგი “კვალს მიაგნო”, მაგრამ “კვალს” რას უბამთ, ხომ არ ჩამოახრჩობთ. ამიტომ, მადებრის წასვლის შემდეგ ტომს ისევ ისეთი შიში კლავდა, როგორც უნინ. ნელა გადიოდა დღეები და ბიჭებს შიში თანდათან უქრებოდათ.

თავი ოცდამეექვსე

თითოეული ნამდვილი ბიჭის ცხოვრებაში დგება ისეთი ხანა, როცა მას იპყრობს უძველესი სურვილი, თხაროს შინა და ეძებოდ მის სიღრმეში დამალული განძეული. ასეთი სურვილი დაებადა ჩვენს ტომს ერთ მშვენიერ დღეს. ის გაემართა ჯო ჰარპერის საძებნელად, მაგრამ ვერ იპოვა. შემდეგ ეძება ბენ როჯერსი, მაგრამ ისიც სათევზაოდ წასულიყო. ბოლოს წააწყდა ჰეკ ფინს - “სისხლიან ხელს”. აი, მართლაც, შესაფერისი ამხანაგი. ტომმა წაიყვანა ჰეკი მივარდნილ ადგილას, სადაც მათ ყურს არავინ დაუგდებდა, და გაანდო თავისი სურვილი. ჰეკი დათანხმდა, - ის მუდამ მზად იყო მონანილეობა მიეღო ყოველგვარ წამონყებაში, რომელიც გაართობდა და ხარჯებსაც არ მოითხოვდა. მას იმდენი თავისუფალი დრო ჰქონდა, რომ არც კი იცოდა, რაში დაეხარჯა, თუმცა კი ნათქვამია: დრო ფულიაო.

- მერე სად უნდა ვთხაროთ?

- სადაც გინდა, ყველა ადგილას.

- განა განძი ყველგან არის დაფლული?

- არა, ყველგან არ არის, ჰეკ, მას ინახავენ განსაკუთრებულ ადგილას - კუნძულზე ან დაფუტურობებულ ზანდუკში, რომელსაც ფლავენ გამხმარი ხის ძირში, იმ მხარეს, სადაც შუაღამისას ჩრდილი ადგება; უფრო ხშირად კი იატაკქვეშ - იმ სახლებში, სადაც ავი სულები დაბორიანდებიან.

- მერედა ვინ ფლავს ამ განძეულობას?

- ცხადია, ყაჩაღები; შენ ვინ გგონია, ჩვენი სკოლის მასწავლებლები ხომ არა?

- არ ვიცი. მე კი იმ განძს შინაში არ შევინახავდი, დროსტარებაში დავხარჯავდი.

- მეც ასე ვიზამდი. მაგრამ ყაღაჩები ასე არ იქცევიან. ისინი ყოველთვის შინაში მარხავენ განძს და იქვე რჩებათ.

- მერედა აღარ ბრუნდებიან მის წასაღებად?

- რა თქმა უნდა, სულ აპირებენ დაბრუნებას, მაგრამ ან ადგილის ნიშანი ავიწყდებათ, ან

იხოცებიან. ამგვარად, განძი დევს თავისთვის და ჟანგდება. ბოლოს, ვინმე იპოვის ძველ, ჩაყვითელებულ ქაღალდს, რომელიც უჩვენებს, სად უნდა მოიძებნოს განძი. ამ ქაღალდის გარჩევას მთელი კვირა უნდა, მეტი თუ არა, რადგანაც ქაღალდზე რაღაცა არის დანერგილი იეროგლიფებითა და ნიშნებით.

- იერო... რა?

- იეროგლიფები სურათებია და რაღაც ნიშნები, რომლებიც, ერთი შეხედვით, თითქოს არაფერს არ ნიშნავენ.

- შენ ასეთი ქაღალდი გაქვს, ტომ?

- არა.

- მაშ, როგორ გაიგებ ადგილის ნიშანს?

- მე არ მჭირდება ნიშნები. განძეულს ყოველთვის ინახავენ სახლებქვეშ, სადაც ლანდები დაიარებიან, ან კუნძულზე, ან კიდევ გამხმარი ხის ქვეშ, რომელსაც ერთი ფესვი ამოშვერილი აქვს. ჩვენ ხომ უკვე დავინყეთ თხრა ჯეკსონის კუნძულზე, ახლა შეგვიძლია განვაახლოთ ეს მუშაობა. მდინარის გადაღმა ხის ძველი სახლია, იქვეა უამრავი გამხმარი ხეც.

- და ყველა ხის ქვეშ განძია?

- აბა, რას ლაპარაკობ! რასაკვირველია, არა!

- მაშ, როგორ უნდა შეატყო, რომელი ვთხაროთ?

- ყველა უნდა გადავთხაროთ.

- ეჰ, ტომ, მაგას ხომ მთელი ზაფხული მოუნდება!

- მერე რა არის? უცებ, წარმოიდგინე, ვიპოვეთ სპილენძის ქვაბი და შიგ ასიოდე დოლარი; ან კიდევ დამპალი ზანდუკი, ბრილიანტებით სავსე. მერე რაღას იტყვი? ჰეკს თვალები გაუბრწყინდა.

- უჰ, რა კარგი იქნება! ჩემთვის ეს მეტისმეტად კარგი იქნება. მაშინ ასი დოლარი მე მომეცი, ბრილიანტები კი არ მინდა.

- კარგი! ბრილიანტი გადასაგდები ნუ გგონია. ზოგიერთი მათგანი ოცი დოლარიც ღირს, არც ერთი არ არის ისეთი, რომ დოლარზე ნაკლები ღირდეს.

- ვითომ?

- ცხადია; ამას ყველა დამიდასტურებს. განა არასოდეს არ გინახავს ბრილიანტი, ჰეკ?

- რამდენადაც მახსოვს, არა.

- იცი, მეფეებს ბრილიანტების მთელი მთები აქვთ.

- მე არც მეფეებს ვიცნობ.

- ვიცი, რომ არ იცნობ. მაგრამ ევროპაში რომ წასულიყავი, უთვალავს ნახავდი; პირდაპირ ყველგან დახტიან.

- განა დახტიან ისინი?

- დახტიან? ღმერთო დიდებულო! რა თქმა უნდა, არა.

- მაშ რაღად მითხარი, დახტიანო!

- სისულელეა! მე მხოლოდ იმის თქმა მსურდა, რომ იქ ბევრი არიან ხტომით კი, რა თქმა უნდა, არ დახტიან, რაში სჭირდებათ? ნეტავი გადანახა, ჭიანჭველებით ირევიან. აი, თუ გინდ ის კუზიანი რიჩარდი რომაა!

- რიჩარდი! რა გვარია?

- გვარი ვინ მისცა. მეფეებს მხოლოდ სახელები აქვთ.

- აბა, რას ამბობ?

- დამიჯერე, გვარი არა აქვთ-მეთქი!

- დაე, თუ მოსწონთ, ასე იყოს. ტომ. მე კი არ ვისურვებდი მეფობას, თუ გვარიც არ მექნებოდა, ზანგი ხომ არა ვარ, მაგრამ მითხარი, პირველად სად აპირებ თხრას!

- მეც არ ვიცი. იქნება იმ გამხმარი ხიდან დავინწყოთ, მდინარის იქით რომ არის - გორაკზე.

- კეთილი.

მათ სადღაც იშოვეს ბლაგვი წერაქვი და ბარი და გაუდგნენ გზას; თითქოს სამი მილი პქონდათ გასავლელი. ადგილზე მივიდნენ განითლებულნი, დაღლილნი; დიდი თელის ჩრდილქვეშ წამოწვნენ დასასვენებლად და თუთუნის გასაბოლებლად.

- ასე ძლიან მომწონს, - თქვა ტომმა.

- მეც.

- გამიგონე, ჰეკ, ახლა აქ რომ ვიპოვნოთ განძეული, შენს ნახევარს რას უბამ?

- მე? ყოველდღე შევჭამ ნამცხვრებს და დავლევ ტკბილ წყალს, ხოლო როცა ცირკი ჩამოვა, ყოველდღე ვივლი ცირკში. მოვახერხებ მხიარულად ცხოვრებას!

- ნუთუ ფულს არ შეინახავ?

- შევინახავ? რისთვის?

- როგორ თუ რისთვის? რომ თანდათან ხარჯო.

- რა საჭიროა! მირჩევნია, დავეშურო იმ ფულის ხარჯვას, თორემ ერთ მშვენიერ დღეს დაბრუნდება მამაჩემი, თავის კლანჭებს ჩაავლებს იმ ფულს და ერთიანად შთანთქვას. შენ რაღას უბამ შენს წილს, ტომ?

- მე ვიყიდი ახალ დოლს, ნამდვილ ხმალს, წითელ ყელსახვევს, ძაღლს და... ცოლს შევირთავ.

- ცოლს შეირთავ?

- ჰო.

- ტომ... შენ... შენ, მგონი გაგიჟდი.

- აი, ნახავ.

- ეგ ხომ სისულელეა, ტომ! მაგაზე სისულელეს, აბა, სხვას რას მოიგონებდი! ნარმოიდგინე ჩემი დედ-მამის ამბავი; დილიდან საღამომდის მხოლოდ და მხოლოდ ჩხუბობდნენ, ძალიან კარგად მახსოვს.

- ეგ არაფერს არ ნიშნავს. მე ვის შერთვასაც ვაპირებ, ის არ წამეჩხუბება.

- მე კი მგონია, ყველა ერთი ყაიდისაა. ისინი ყველანი მოჩხუბრები არიან. არა, ტომ, შენ კარგად მოიფიქრე, გირჩევ, მოიფიქრო. რა ჰქვია იმ გომბიოს?

- გომბიო კი არ არის, გოგონაა.

- სულ ერთია. ზოგი გომბიოს უწოდებს, ვისაც როგორ სურს! ჰოდა, რა ჰქვია?

- როდისმე გეტყვი, ახლა კი არა.

- კარგი, როგორც გინდა, მაგრამ შენ თუ ცოლს შეირთავ, მე სულ მართოდმართო დავრჩები.

- არა, ჰეკ, შენც ჩვენთან ერთად იცხოვრებ, გვეყოფა ამაზე ლაპარაკი, ახლა საქმეს შევუდგეთ.

ნახევარი საათი თხარეს მიწა, გაოფლიანდნენ, მაგრამ ვერაფერი იპოვეს. ამის შემდეგ კიდევ იმუშავეს ნახევარი საათი, მაგრამ არაფერი გამოჩნდა. ბოლოს ჰეკმა იკითხა:

- ნუთუ განძს ყოველთვის ასე ღრმად ფლავენ?

- მხოლოდ ზოგჯერ, ყოველთვის ასე როდია! ჩვენ, ალბათ, იმ ადგილს ვერ მივაგენით. ახლა სხვა ადგილი ამოარჩიეს და დაუნყეს თხრა. ამჯერად უკვე ნელა მუშაობდნენ, მაგრამ საქმე მაინც წინ მიდიოდა. ერთ ხანს უხმოდ თხრიდნენ. ბოლოს, ჰეკი გაჩერდა, დაეყრდნო ბარს, სახელოთი შუბლიდან ოფლის წვეთები მოიწმინდა და იკითხა:

- მერე სად დავინყებთ თხრას, როცა ამას მოვრჩები?

- მე მგონი, უნდა ვცადოთ ბებერი ხის ქვეშ, კარდიფის გორაკზე რომ დგას, ქვრივის სახლის წინ.

- მეც ასე ვფიქრობ, რომ ის ადგილი შესაფერია. მაგრამ რას იტყვი, რომ, ქვრივი არ წაგვართმევს განძს? ის ხომ იმისი მიწაა!

- წაგვართმევს? აბა, ერთი სცადოს. არა, ჰეკ, განძი ისეთი რამ არის, ვინც იპოვის, იმას ეკუთვნის. ვის მიწაზეც არ უნდა იყოს ნაპოვნი, სულ ერთია.

ამან დაამშვიდა ჰეკი და განაგრძეს მუშაობა. ბოლოს ჰეკი ისევ ალაპარაკდა:

- ეშმაკსაც წაუღია. როგორც ჩანს, კიდევ ვერ მივაგენით იმ ადგილს! შენ როგორ ფიქრობ, ტომ?

- საკვირველია, ჰეკ, ვერაფერი გამიგია. იქნებ კუდიანი გვიშლის. იქნებ სწორედ ასეც არის.

- თქვი რაღა შენც, კუდიანები დღისით ვერაფერს ვერ გახდებიან!

- მართალია, ეგ მართალია! მე მთლად გადამაზინყდა. ოო, ახლა კი მივხვდი, რაშიაც არის საქმე. რა სულელები ვართ! ჯერ ხომ საჭიროა იმ ადგილის პოვნა, რომელსაც გამხმარი ტოტის ჩრდილი ადგენა შუაღამისას, აი, სწორედ იქ უნდა დავინყოთ თხრა.

- შენ კი რა გითხრა, აჰა! რა ტყუილებრად ვიშრომეთ! ახლა ხომ ღამით დაგვჭირდება კიდევ მოსვლა. შორს კია. შენ მოახერხებ ღამით წამოსვლას?

- რა თქმა უნდა, მოვახერხებ! ამაღამვე უინდა გავაკეთოთ ეს საქმე, თორემ თუ ვუნებმ ნახა ორმოები, მაშინვე მიხვდება, რასაც ვაკეთებდით, და განძსაც დაეპატრონება.

- კარგი, მოვალ და ფანჯარასთან დავიკნავლებ.

- კარგი, მოდი. სამუშაო იარაღი ბუჩქებში შევინახოთ.

დანიშნულ დროს ბიჭები მივიდნენ ამორჩეულ ალაგას, დასხდნენ ჩრდილში და დაიწყეს ცდა. იქაურობა სიბნელით იყო მოცული. ადგილი მიყრუებული იყო და ძველთაგანვე ცუდი სახელი ჰქონდა. ამრალეებულ ფოთლებში სულელები ჩურჩულებდნენ, აჩრდილები მიკუნჭულიყვნენ ბნელ კუთხეებში. შორიდან ყრუდ მოისმოდა ძაღლის ყეფა. ამ ხმას შეუერთდა ბუს ბორბლის მომასწავებელი კვილი. ამან იმოქმედა ბიჭებზე და კრინტის დაძვრა არ შეეძლოთ. ბოლოს დაასკვნეს, რომ შუაღამე დადგა, დაუკვირდნენ ჩრდილს და დაიწყეს თხრა. იმედმა ალაფრთოვანა ისინი. მეტის ხალისით მუშაობდნენ და მეტი

მხნეობა და გულმოდგინება ეტყობოდათ. ორმო თანდათან ღრმადვდებოდა და, როგორც კი ბარი მაგარ რამეს მოხვდებოდა, ბიჭებს გული აუფანცქალდებოდათ. მაგრამ იმედგაცრუებულნი რჩებოდნენ: ეს ქვა იყო ან ხის ფესვი. ბოლოს ტომმა თქვა:

- ტყუილად ვირჯებით, ჰეკ! კიდევ შევცდი, იქ არა ვთხრით, სადაც საჭიროა.
- როგორ თუ შევცდით, ჩვენ ვთხრით სწორედ იმ ადგილას, რომელსაც ჩრდილი ადგია.
- ვიცი... მაგრამ საქმე მაგაში არ არის.
- მაშ რაშია?

- იმაში, რომ საათი არა გვაქვს და დრო ვარაუდით გამოვიანგარიშეთ. შეიძლება ადრე დავინწყეთ, ან იქნებ დავაგვიანეთ კიდევ. ჰეკს ბარი გაუვარდა ხელიდან.

- ეგ მართალია... მიზეზიც ეგა ყოფილა; ჩანს, ამ საქმეს უნდა გამოვეთხოვოთ, სულ ერთია, დროს ბუსტად ვერასოდეს ვერ შევიტყობთ; გარდა ამისა, საშიშიც არის; ასეთ დროს ირგვლივ ჯადოქრები და ავი სულები გვახვევია. ერთთავად მეჩვენება, რომ ჩემს ბურგს უკან ვიღაცა დგას და მიხედვის მეშინია, იქნებ წინ კიდევ სხვა მიდგას და ელის ჩემს მიხედვას-მეთქი. რაც აქ მოვსულვარ, მას შემდეგ ტანში ჟრუანტელი მივლის.

- მეც ასე მემართება, ჰეკ. მეც მეშინია. ამბობენ, როცა განძს მარხავენ ხის ქვეშ, იქვე მიცვალებულს ასაფლავებენ, რომ უყარაულოსო.

- ღმერთო, მიშველე!

- ჰო, ასე გამიგია ხშირად.

- ჰოდა, ტომ, არავითარი სურვილი არა მაქვს იქ ვიყო, სადაც მიცვალებულებია.

ხათაბალას გადაეკიდება კაცი.

- არც მე მინდა მათი შენუხება, ჰეკ. ერთიც ვნახოთ, თავის ქალამ ამოიხედა და თქვა რამე!

- გაჩუმდი, ტომ, მეშინია!

- ოღონდაც, რომ გეშინია, ჰეკ, მეც მაკანკალებს.

- გამიგონე, ტომ, წავიდეთ აქედან, სადმე სხვაგან ვცადოთ.

- წავიდეთ, ურიგო არ იქნება.

- მერე, სად წავიდეთ?

ტომი ცოტა ხანს დაფიქრდა, შემდეგ თქვა:

- მოდი, აი, იმ გაპარტახებულ სახლში ვცადოთ.

- ეშმაკსაც წაუღია, იქ ხომ ავი სულები ბუდობენ, არ მეჭაშნიკება, ტომ. ისინი მიცვალებულებზე უარესნი არიან. მიცვალებულმა შეიძლება რამე თქვას, მაგრამ ავი სულივით ხომ არ გამოგვეკიდება, სახეში არ შემოგიჭყეტს და კბილებს არ დაგიღჭიალებს. მე ამას ვერ გავუძლებ, ტომ, და არც მგონია, ვინმემ შეძლოს ამის ატანა.

- კი მაგრამ ავი სულები მხოლოდ ღამით დაბორიალობენ, დღე ისინი არ შეგვიშლიან თხრას.

- ეგ კი აგრეა, მაგრამ ადამიანები დღისითაც გაურბიან ასეთ სახლებს და ღამითაც.

- ეს იმიტომ, რომ, საერთოდ, ადამიანებს არ უყვართ ის ადგილი, სადაც მკვლელობა მოხდა. იმ სახლთან სხვა ისეთი არაფერი შეუმჩნევიათ; ათასში ერთხელ თუ მოუკრავთ თვალი, რომ ფანჯარასთან ლურჯი სინათლეები ციმციმებენ ღამით, მაგრამ ისინი ხომ ნამდვილი ავი სულები არა არიან.

- ჰოდა, ტომ, თუ ლურჯ სინათლეს დაინახავ, იცოდე, იქვე ახლოს არის ავი სულიც. ავი სულების მეტი არავინ საჭიროებს ლურჯ სინათლეს.

- ეგ მართალია, მაგრამ ისინი დღე მაინც არა ჩნდებიან, მაშ რაღასი გეშინია?

- შენი ნებაა, რადგან ასე ძალიან გსურს, ახლა იქ მოვთხაროთ; მაგრამ მაინც დიდი გაბედულებაა ჩვენის მხრივ.

ბიჭები თავქვე დაეშვნენ. დაბლობში განმარტოებით იდგა მთვარით გაშუქებული მიტოვებული სახლი, მესერი დიდი ხანია გადანგრეოდა, ეზო შამბნარს დაეფარა, ბუხარი ჩაქცეოდა, ფანჯრის ჩარჩოები დასცარიელებოდა, სახურავი ერთ მხარეს ჩამონგრეოდა. ბიჭები დიდხანს შესცქეროდნენ ფანჯრებს ლურჯი სინათლის მოლოდინში. ისინი ერთმანეთს ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ, როგორც ამას დრო და ადგილი მოითხოვდა. ლაპარაკით გაუხვიეს მარჯვნივ, რამდენადაც შეიძლებოდა აუარეს გვერდი სახლს და გაეშურნენ შინისაკენ ტყე-ტყე, რომელიც კარდიფის ფერდობის მოპირდაპირე მხარეს ამშვენებდა.

თავი ოცდამეშვიდე

მეორე დღეს, ნაშუადღევს, ბიჭები კვლავ გაჩნდნენ გამხმარ ხესთან თავიანთი იარაღის წასაღებად. ტომს გული ელეოდა, ისე ჩქარობდა ავი სულეებით დასახლებულ სახლში მისვლას. ჯეკიც ეშურებოდა, მაგრამ უცებ თქვა:

- გამიგონე, ტომ, იცი, რა დღეა დღეს?

ტომმა გონებაში საჩქაროდ გადათვალა კვირის დღეები და გაკვირვებულმა შეხედა ამხანაგს.

- უჰ! სრულიად გადამავინწყდა, ჰეკ.

- არც მე მახსოვდა და მხოლოდ ახლა გამახსენდა, რომ პარასკევია.

- აი, დასწყევლოს ღმერთმა! როგორი სიფრთხილეა საჭირო... შესაძლოა, საშინელ ხიფათს წავწყდომოდით, ასეთი საქმე პარასკევს დღეს რომ წამოგვეწყოს.

- სულ ადვილად! აუცილებლად გავებმებოდით. არსებობს რამდენიმე ბედნიერი დღე, პარასკევისა კი რა მოგახსენო.

- ეგ ყველა სულელმა იცის, ჰეკ, პირველად შენ კი არ აღმოგიჩენია.

- განა ვამბობ, მე აღმოვაჩინე-მეთქი? აქ მარტო პარასკევში არ არის საქმე. წუხელის საშინელი სიზმარი ვნახე: ვირთაგვები დამესიზმრა.

- უჰ! ეგ მართლა ცუდი სიზმარია. ვირთაგვები ცუდის მომასწავებელია. ხო არა ჩხუბობდნენ?

- არა.

- მაგას კი არა უშავს. თუ ვირთაგვები ჩხუბობენ, ეს იმას ნიშნავს, რომ განსაცდელი ახლოს არის; საჭროა მეტი სიფხიზლე, რომ საფრთხე თავიდან აიცილიყო. მოდი, დღეს ამას თავი დავანებოთ და სჯობია, ვითამაშოთ. ჰეკ, გაგიგონია რობინ ჰუდი?

- არა, ვინ იყო რობინ ჰუდი?

- ის იყო ერთი უდიდესი და უშესანიშნავესი ადამიანი ინგლისში. ის ყაჩაღი იყო.

- რა კარგია, ნეტავი მეც ყაჩაღი ვიყო, მერედა, ვის ძარცვავდა?

- მარტო ეპისკოპოსებსა და შერიფებს, მდიდრებს, მეფეებსა და მათ მსგავსთ, მაგრამ ღარიბ-ღატაკებს არასოდეს არ ახლებდა ხელს. ღარიბები უყვარდა და თავის ნადავლს თანაბრად უნაწილებდა.

- კიდევ იმიტომ ყოფილა კარგი.

- ოღონდაც, რომ კარგი იყო. იმისთანა კეთილშობილი ადამიანი ქვეყნად ჯერ არც დაბადებულა. ახლა იმისთანა ადამიანები არ არიან. დამიჯერე, მას შეეძლო ცალი ხელით ეცემა ვისთვისაც კი გინდა ინგლისში. ურთხმელის მშვილდით ისარს რომ გატყორცნიდა, მილნახევრის მანძილზე მოახვედრებდა ათცენტიანს.

- რა არის ურთხმელის მშვილდი?

- არ ვიცი, რაღაცნაირი მშვილდია. თუ ფულს შუაში ვერ მოახვედრებდა, ისე სწყინდა, რომ დაჭდებოდა და ტიროდა, თანაც იღანძვებოდა. ჰოდა, მოდი ვითამაშოთ “რობინჰუდობანა”. ეს ძალიან კარგი თამაშობაა. მე გასწავლი.

- კარგი, თანახმა ვარ.

ბიჭებმა შებინდებამდე ითამაშეს “რობინჰუდობანა”. დროდადრო მოწყენილო თვალებით გაჰხედავდნენ “უნწინდურ” სახლს და ხვალინდელი დღის შესახებ გამოელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

მზემ დასავლეთისაკენ გადახრა რომ დაიწყო, ისინი შინისაკენ გაემართნენ, გზადაგზა ხეების გრძელ ჩრდილებს ჰკვეთავდნენ და მალე კარდიფის გორაკის ტყეში გაუჩინარდნენ.

შაბათს, ნაშუადღევს, ბიჭები ისევ მივიდნენ გამხმარ ხესთან. ჯერ ჩრდილში წამოწვნენ, თუთუნი გააბოლეს და იმასლაათეს, შემდეგ სრულიად უიმედოდ ცოტათი ამიჩიჩქნეს უკანვე ამოთხრილი ორმო. ტომი ირწმუნებოდა: თხრის დროს ხშირად დაჰკარგვიათ მოთმინება, ვერ მისწვდომიან განძს, თავი მიუწებებიათ სწორედ მაშინ, როცა რამდენიმე გოჯილა დარჩენიათ; შემდეგ მისულან სხვები და ერთი ბარის დაკვრით უპოვიათ საუნჯეო. მაგრამ ამჯერაზედაც მათმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. ამიტომ ბიჭებმა მხარზე გაიდეს თავიანთი იარაღი და გასწიეს სინდისდამუნჯებულებმა, რადგანაც პირნათლად შეასრულეს ყველაფერი, რაც საჭირო იყო საუნჯის საპოვნელად.

როცა “უნწინდურ” სახლს მიუახლოვდნენ, სამარისებური სიჩუმე ავისმომასწავებლად და

უცნაურად ეჩვენათ ამ პაპანაქებაში. თანაც სახლი ისე გაპარტახებული და უკაცრიელი იყო, რომ პირველად ვერც კი გაბედეს შესვლა. ისინი მიიპარნენ კარებთან და შიშითა და კანკალით შეიჭვრიტეს შიგნით. მათ დაინახეს: ოთახი, რომელსაც იატაკი აღარ ჰქონდა, სულ ბალახს დაეფარა ჩამონგრეული კედლები, ძველისძველი ბუხარი, უმინო ფანჯრები, დანგრეული კიბე. ყველგან აბლაბუდა იყო გაბმული. მათ მოიკრიბეს ძაღ-ღონე და უხმოდ შევიდნენ. გული აჩქარებით უცემდათ, ჩურჩულით ლაპარაკობდნენ კუნთებდაჭიმულნი, ყურებდაცქვეტილნი და მზად იყვნენ, წამსვე მოეკურცხლათ. მაგრამ თანდათანობით შეეჩვივნენ იქაურობას და შიშმაც გაუარათ; დიდი უნდობლობით, დაკვირვებით ათვალიერებდნენ ყველაფერს. თვითონაც უკვირდათ და თავიანთი გამბედაობა და ეამაყებოდნენ კიდევ. ბოლოს, მოისურვეს ზევიდანაც ასულიყვნენ, იმასაც გრძნობდნენ, რომ მაღლა ასვლით გაქცევის საშუალებას ისპობდნენ, რომ მაღლა ასვლით გაქცევის საშუალებას ისპობდნენ, მაგრამ ერთმანეთი გაამხნევეს და ბოლოს ისე მოხდა, როგორც მოსალოდნელი იყო: დაყარეს თავიანთი სამუშაო იარაღი და ავიდნენ კიბეზე. ზევითაც ის იყო, რაც ქვევით. ერთ კუთხეში მიაგნეს საკუჭნაოს, რომელიც თითქოს რაღაც იმედს იძლეოდა, მაგრამ აქაც მოტყუვდნენ: საკუჭნაოს ცარიელი აღმოჩნდა. ახლა სრულიად გამხნევდნენ. ის იყო დაბლა ჩასვლა დააპირეს მუშაობის დასაწყებად, რომ უცებ...

- ჩუ! - წარმოთქვა ტომმა.
 - რა არის? - ჩურჩულით შეეკითხა შიშისაგან გაფითრებული ჰეკი.
 - ჩუ! გესმის?
 - ჰო, უჰ! მოდი, გავიქცეთ.
 - იჯექი წყნარად, არ გაინძრე! გესმის, ისინი კარებს უახლოვდებიან...
- ბიჭები განზნენ იატაკზე და ცდილობდნენ რა დაენახათ ნაპრალებიდან. ასე იზვნენ შიშისაგან სულგანაბულები...
- აი, გაჩერდნენ... არა... კვლავ წამოვიდნენ... მოვიდნენ. ნუ ჩურჩულებ, ჰეკ, გაიგონებენ, ღმერთო ჩემო, ნეტა გადაგვარჩინა!
- შემოვიდნენ ორნი. ბიჭებმა თავისთვის გაიფიქრეს: “ეს ხომ ესპანელია, ყრუ-მუნჯი მოხუცი, რომელიც უკანასკნელ ხანებში ერთი-ორჯერ გამოჩნდა ჩვენს ქალაქში; მერე კი არასოდეს გვინახავს”.

“მეორე” იყო ძონძებში გამოხვეული, თმაგაჩეჩილი არსება, უსიამოვნო სახით. ესპანელი წამოსასხამში იყო გახვეული. ჭაღარა ხშირი წვერი ჰქონდა. განიერი ქუდი ეხურა და ჭაღარა გრძელი თმა მხრებამდე სწვდებოდა; მწვანე სათვალე ეკეთა. როცა შემოვიდნენ, “მეორე” რარაცას ეჩურჩულებოდა ამხანაგს. ორივენი მიწაზე დასხდნენ, პირით კარისკენ და ზურგით კედელს მიეყრდნენ. “მეორემ” განაგრძო საუბარი. თანდათანობით გადაავიწყდა სიფრთხილე და უფრო ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი.

- არა, - თქვა მან, - მე ყველაფერი მოვიფიქრე, მაგრამ არ მომწონს, ეგ საქმე, საშიშია!
- საშიში! - ჩაიბუტბუტა “ყრუ-მუნჯმა ესპანელმა”, რამაც ბიჭები ძალიან გააკვირვა, - უშნო ყოფილხარ!

ამ ხმის გაგონებაზე ბიჭებმა კინაღამ შეყვირეს შიშისაგან, ეს იყო ინდიელი ჯოს ხმა. ერთხანს ორივე გაჩუმდა, შემდეგ ჯომ თქვა:

- იმაზე საშიში რაღა იქნებოდა, რაც ამ ბოლო დროს ჩავიდინეთ.
- ის სხვა საქმე იყო. ის მოხდა შორს, მდინარის სათავესთან, ქალაქგარეთ და ვერავინ ვერაფერს ვერ მიგვიხვდება, რაკი არაფერი არ გამოვიდა.
- დღისით აქ მოსვლაზე უფრო საშიში ხომ არაფერი არ არის: საკმარისია გვნახოს ვინმემ, რომ ეჭვი შეეპაროთ.
- ვიცი, მაგრამ სხვა დასამალი ადგილი არსად გვქონდა. იმ სულელური საქმის შემდეგ აქ დარჩენის სურვილი, საერთოდ, არა მაქვს. მე ჯერ გუშინაც მინდოდა თავი დამეღწია, მაგრამ აბა, როგორ მოხერხდებოდა შეუმჩნევლად გაპარვა, ვიდრე ის წყეული ბიჭები არ გაათავებდნენ თამაშობას იმ გორაკის თავზე.

“წყეულ ბიჭებს” კვლავ ტანში ჟრანტელმა დაუარა ამ სიტყვების გაგონებაზე. იფიქრეს, რა ბედზე შეგვმინებია პარასკევს საქმის დაწყება! კიდევ კარგი, ერთი დღე მოიცადეს. გულში იმასაც კი ნანობდნენ, ნეტავი ერთი წელი მოგვეცადაო. მანანწალებმა ამოიღეს სანოვაგე და საუზმეს შეუდგნენ. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ინდიელმა ჯომ თქვა:

- იცი, რა, ძმაო, შენ დაბრუნდი მდინარის სათავესთან, საიდანაც მოსულხარ, და დაელოდე ჩემს ცნობებს. მე კი შესაფერის დროს ვიხელთებ, ერთხელ კიდევ შევიპარები ქალაქში და ყველაფერს შევიტყობ. საჭიროა ყველაფრის კარგად გაგება და მოფიქრება, სანამ დავიწყებდეთ იმ დიდ, სახიფათო საქმეს. შემდეგ კი ჰაიდა, ტეხასისკენ. ორივემ მოვუსვათ!

ამაზე შეთანხმდნენ. ორივემ დაამთქნარა, ბოლოს მეტისმა თქვა:

- თვალები მეხუჭება! ახლა შენი ყარაულობის დროა.

მოიკუნტა ბალახებში და მალე ხვრინვა ამოუშვა. ამხანაგმა ორჯერ-სამჯერ მუჭლუგუნი წაჰკრა და გააჩუმა. შემდეგ ყარაულმაც დაიწყო თავის ქინდვრა. თანდათან ძირს დაეშვა მისი თავი და ორივე მოჰყვა ხვრინვას!

ბიჭებმა თავისუფლად ამოისუნთქეს!

- ახლა კი დროა! - წასჩურჩულა ტომმა, - აბა, ნავიდეთ.

- არ შემიძლია, - თქვა ჰეკმა, - ადგილზევე გავშემდები, რომ გამოიღვიძონ.

ტომი ეხვეწებოდა, ჰეკი ჯიუტობდა, ბოლოს, ტომი ჩუმად წამოდგა და მარტო გაემართა. მაგრამ პირველივე ნაბიჯის გადადგმაზე ძველმა იატაკმა ისეთი ჭრაჭუნი დაიწყო, რომ ტომი იქვე განვა შიშით შეპყრობილი და მეორე ნაბიჯის გადადგმა ვეღარ გაბედა. ბიჭები ინვინენ და ითვლიდნენ წუთებს, რომლებიც ნელა მიიზღაზნებოდა. ბიჭებს ეჩვენებოდათ, რომ დრო აღარ არსებობს და მარადისობასაც სიბერე შეეპარა. მათ ძალიან გაუხარდათ, როცა მზის ჩასვლა შეამჩნიეს.

ახლა ერთი მათგანილა ხვრინავდა. ინდიელი ჯო წამოდგა, ირგვლივ მიმოიხედა, შეხედა თავის ამხანაგს, რომელსაც თავი მუხლებში ჩაერგო, და პირქუშად გაიღიმა. ფეხი აჰკრა და უთხრა:

- ადექი! კაცმა შენისთანა ყარაული უნდა ინატროს. თუმცა არა უშავს; ხომ არაფერი მომხდარა.

- უი, ნუთუ ჩამეძინა?

- ჰო, ცოტა შეცოდე. აბა ახლა კი გზას გავუდგეთ, მეგობარო. დანარჩენ ფულს რაღა ვუყოთ?

- რა ვიცი, იქნებ კვლავინდებურად აქ დავტოვოთ. ვიდრე გზას არ გავუდგებით სამხრეთისაკენ, ხომ არ დაგვჭირდება. ექვსას ორმოცდაათი ვერცხლის ზურგით თრევა არც ისე ადვილია!

- მაშ, კარგი, არაფერი მოხდება, თუ კვლავ მოვალთ აქ.

- არა უშავს რა, მაგრამ უნინდებურად რამე მოვიდეთ, ასე ემჯობინება.

- სწორია, აი, რა უნდა გითხრა: იქნება მალე ვერ შევძლო იმ საქმის მოგვარება, შეიძლება რამე შემემთხვეს. ფული კი უხეიროდ მაქვს შენახული. ყველაფერს აჯობებს ფული მიწაში ჩავფლათ, ღრმად.

- კარგი აზრია, - უთხრა ამხანაგმა, გადაინაცვლა ოთახის მეორე მხარეს, აჰყარა ერთი ფილაქანი ბუხრის სიღრმეში და ამოიღო პარკი, რომელშიაც ვერცხლის ფულს წკრიალი გაჰქონდა. ოცი თუ ოცდაათი დოლარი ამოიღო თავისთვის, ამდენივე გადაუთვალა მეტისს და გადასცა პარკი; ის კი ამ დროს დაჩოქილი კუთხეში და მიწას თხრიდა თვალისი დასაკეცი დანით.

ბიჭებს ერთბაშად დაავინყდათ შიშიც და განსაცდელიც. ისინი გაფაციცებით უთვალთვალებდნენ მანანნალას ყოველ მოძრაობას. ასეთი სიმდიდრე არც კი დაესიზმრებოდათ; ექვსასი დოლარი! სრულიად საკმარისი თანხა იყო ექვსასი დოლარი ბიჭების გასამდიდრებლად. განძი თავისთავად მოუვიდათ; ახლა საჭირო აღარ არის იმაზე ფიქრი, თუ სად მოეთხარათ მიწა. ისინი წარამარა მუჭლუგუნს ჰკრავდნენ ერთმანეთს და თითოეული კარგად გრძნობდა, რასაც ნიშნავდა ეს: ახლა ხომ კმაყოფილი ხარ, აქ რომ მოცედიტო.

მეტისის დანა მოხვდა რაღაც მაგარ საგანს.

- ოჰ! - თქვა მან.

- რა არის? - ჰკითხა ამხანაგმა.

- ნახევრად დამპალი ფიცარი... არა, მგონია, ზანდუკია. მოდი, მიშველე, ამოღება, ვნახოთ რა არის. შეჩერდი, საჭირო აღარ ხარ, ფიცარი გაიხვრიტა.

ჩაყო ხელი და მალე უკან ამოიღო.

- გამიგონე, აქ ფულია.

ორივე სიხარბით დააცქერდა მუჭით ამოებულ ფულს. ეს ოქრო იყო. ბიჭები ზევით ამათბე ნაკლებ არა ღელავდნენ სიხარულისაგან.

- საჩქაროდ უნდა ამოვთხაროთ ზანდუკი, - თქვა ჯოს მეგობარმა. - აგერ აი, იქ, ბალახებში, ბუხრის კუთხეში, ნელან დაჟანგული წერაქვი დავინახე, - გაიქცა და მალე მთარბენინა ბიჭების დატოვებული წერაქვი და ბარი. მეტისმა აიღო წერაქვი, უნდობლად დააცქერდა, თავი გაიქნია, რაღაც ნაიბუტბუტა თავისთვის და დაიწყო მიწის თხრა. მალე ამოიღო ზანდუკი. ზანდუკი პატარა იყო, რკინით მოჭედილი, ეტყობოდა, მაგარი იყო, რადგანაც დროს ჯერ არ შეეღაბა.

რამდენიმე წუთს მანანნალეები უხმოდ, აღფრთოვანებით დაჰყურებდნენ განძს.

- აქ, მეგობარო, - შენიშნა ჯომ, - რამდენიმე ათასი დოლარია.

- გაგონილი მაქვს, რომ ამ მიდამოებში ერთ ბაფხულს თურმე დათარეშობდა მერელას ბრბო, - თქვა მეორემ.

- მეც გამიგია. შეიძლება სწორედ იმათ შეინახეს ეს განძი.

- ახლა კი აღარ დაგვჭირდება იმ საქმის წამოწყება.

მეტისი მოიღუშა.

- შენ ან არ მიცნობ, ან ყველაფერი არ იცი იმ საქმის შესახებ. მე გაძარცვის სურვილი კი არ მამოქმედებს, არამედ შურისძიების გრძნობა! - და თვალებში ბოროტების ცეცხლმა გაუელვა. - მე დამჭირდება შენი დახმარება. როცა იმასაც მოვრჩებით, მაშინ კი ტეხასისკენ გავწიოთ! ნადი, შინ, შენს ნენსისთან და ბავშვებთან და ელოდე ჩემს ცნობას.

- კარგი, იყოს ნება შენი, ამას რაღა ვუყოთ? ისევ ჩავფლათ?

- ჰო... (ზევით აღტაცება სიხარულისაგან), არა, ვფიცავ დიდებულ სახემს, არა (ზევით დიდი სასწარკვეთილება). ცოტას განყდა, დამაზინყდა, რომ ბარს მინის ახალი ნაკვალევი ჰქონდა (ბიჭებს შიშისაგან თვალთ დაუბნელდათ). საიდან გაჩნდა ეს წერაქვი და ბარი? რად იყო მათზე მინა? ვინ მოიტანა ისინი და თვითონ სად გადაიკარგნენ? შენ არავინ დაგინახავს, ან არაფერი გაგიგონია? ნურას უკაცრავად, აქ შევინახოთ ფული, ისინი მოვიდნენ და ახლად მოთხრილი მინა შეამჩნიონ? არა, სჯობია, ჩემს სოროში წავიღოთ!

- დიახაც, ასე სჯობია! მე ეგ აღარ მომგონებია! რომელ სოროში, პირველ ნომერში?

- არა, მეორეში, ჯვრის ქვეშ. პირველი არ ვარგა, მეტად ხალხმრავალი ადგილია.

- კარგი. თითქმის უკვე შებინდდა და შეგვიძლია წასვლა.

ინდიელი ჯო წამოდგა, ფანჯარასთან გაირა-გამოიარა და სიფრთხილით მიათვალიერ-მოათვაიერა იქაურობა, ბოლოს თქვა:

- ვინ მოიტანდა ამ იარაღს? როგორა გგონია, იქ, ზევით ხომ არავინ იქნება?

ბიჭებს სუნთქვა შეეკრათ. ინდიელმა ჯომ დანა მოიმარგვა. ერთ ნუთს ყოყმანობდა, შემდეგ კი კიბისკენ გაემართა. ბიჭებს, მართალია, საკუჭნაო მოაგონდათ, მაგრამ ადგილიდან დაძვრა ვერ მოახერხეს, კიბემ ჭრაჭუნი დაიწყო. აუტანელმა შიშმა ბიჭებს გაბედულება ჩაუნერგა და ის იყო საკუჭნაოში დამალვას აპირებდნენ, რომ სწორედ ამ დროს მოესმათ საშინელი ჭახანი და ინდიელი ჯო დამპალი კიბის წამტვრევებს გადაჰყვა ძირს. გინებით წამოდგა. ამხანაგმა უთხრა:

- აბა, რას მიძვრებოდი ზევით? თუ ვინმეა, დაე, იყოს, ჩვენი რა საქმეა! თუ მოისურვებს გადმოხტომას და ხიფათში ჩავარდნას, არც მაგას დავეშლით. რამდენიმე ნუთის შემდეგ სულ დაბნელდა; დაე, მაშინ გამიგვიდგნენ. თუ ძალიან სურთ, სანინაალმდეგო არაფერი გვექნება. მე კი ვფიქრობ, ვინც იარაღი აქ მოიტანა, ჩვენ უთუოდ ეშმაკები ან მოჩვენებანი ვეგონეთ და, ალბათ, ახლაც თავქუდმოგლეჯილი გარბის.

ჯო ბუზღუნით დაეთანხმა ამხანაგს, რომ საძინებლად აღარ ეცალათ. საჭირო იყო ესარგებლათ სინათლით და მომზადებულყვნენ წასასვლელად. მერე ფრთხილად გავიდნენ სახლიდან, ბინდბუნდში გაემართნენ მდინარისაკენ და თან წაიღეს ძვირფასი ზანდუკიც.

ტომი და ჰეკი დაუძლურებულნი წამოდგნენ. ახლა თავისუფლად ამოისუნთქეს და კედლების ნაპრალებიდან დაუნყეს მათ ყურადღება. გამოჰკიდებოდნენ? ეჰ, - არას გზით! ჩვენ გმირებს ისიც ძალზე გაუხარდათ, რომ უვნებლად ჩამოვიდნენ ძირს და კისერი არ მოიტეხეს. გადაიარეს გორაკი და გზას გაუდგნენ ქალაქისაკენ. ერთმანეთს ცოტას ელაპარაკებოდნენ; ბრაზი ახრჩობდათ: იქ რამ მიგვატანინა წერაქვი და ბარი, ეს იარაღი რომ არ ეპოვათ, ჯოს ეჭვიც არ დაებადებოდა; იქვე ჩაფლავდა თავის ოქროსა და ვერცხლს, სანამ "შურს იძიებდა", და როცა დაბრუნდებოდა, ცარიელი დახვდებოდა თავისი ორმო. ბედმა უმტყუნა მათ, ბედმა! გადანყვიტეს, თვალყური ედევნებინათ "ესპანელისათვის", როცა ქალაქში დაბრუნდებოდა შურის საძიებლად; შემდეგ კი გაჰყოლოდნენ ნომერ ორ სორომდე. უცებ ტომს საშინელმა აზრმა გაუელვა:

- ჰეკ ვაითუ იმ შურისძიების საგანი ჩვენა ვართ?!

- ეჰ, კარგი ერთი და! - თქვა ჰეკმა და შიშისაგან კინალამ ჩაიკეცა.

სულ ამაზე ლაპარაკობდნენ, ვიდრე ქალაქში შევიდოდნენ; ბოლოს დაასკვნეს, რომ მეტისი შურისძიებას ფიქრობს ან სხვა ვინმეზე ან მხოლოდ ტომზე, რადგანაც სწორედ ტომმა მისცა მისი სანინაალმდეგო ჩვენება. ვერაფერი ნუგეში იყო ტომისათვის ის, რომ განსაცდელი მართლ მას მოელოდა. მისი აზრით, სხვაც რომ ჰყოლოდა გვერდით, დიდი შეღავათი იქნებოდა.

დღისით რაც გადახდა ტომს, ღამით სიზმარში ელანდებოდა და იტანჯებოდა. სიზმარში ოთხჯერ ეჭირა ხელში განძი და ოთხჯერვე გაუსხლტა ხელიდან. ძილი გაუქრა, ღვიძლმა კი საშინელი სინამდვილე და მარცხი გაახსენა.

გათენებისას ინვა ლოგინში და ყველა წვრილმანს იხსენებდა. მას ყველაფერი ისე ბუნდოვანი და შორეული ეჩვენა, თითქოს ეს მომხდარიყო სადღაც სხვა ქვეყანაში ძალიან დიდი ხნის წინათ. ერთ ხანს თავში იმანაც გაუელვა: იქნება სიზმარი იყო. ამ აზრში ერთი მეტად მნიშვნელოვანი საბუთი არწმუნებდა; სახელდობრ ის, რომ იქ ძალიან ბევრი ფული იყო, ხოლო სინამდვილეში ამდენის არსებობა შეუძლებელია. უნინ ტომს ერთბაშად ორმოცდაათ დოლარზე მეტი ფული არ უნახავს. სხვა ბიჭებივით, რომლებიც ფუფუნებაში არ გაზრდილან, მასაც ეგონა, რომ “ასები და ატასები” მხოლოდ გაზვიადებული წარმოდგენის ნაყოფია და სინამდვილეში ასეთი უზარმაზარი თანხა არ არსებობს. ერთი ნუთითაც ვერ წარმოიდგენდა, რომ ნაღდ ფულად ვინმეს ჰქონდა ისეთი თანხა, როგორიც ასი დოლარია. ვინმეს რომ გამოეკვლია მისი წარმოდგენა ჩაფლული განძის შესახებ, აღმოჩნდებოდა, რომ განძში იგი გულისხმობდა ერთ მუჭა სპილენძის ფულს და მთელ გროვას მქრქალ, დიდებულ, ხელშეუხებელ დოლარებს.

მაგრამ რამდენადაც მეტს ფიქრობდა, იმდენად ნათლად და ცხადად წარმოუდგა ნანახი და, ბოლოს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მას მართლა გადახდა თავს ყველაფერი და ეს სრულიადაც არ იყო სიზმარი. მაინც უნდოდა ამაში ნამდვილად დარწმუნებულიყო, ამიტომაც საჩქაროდ ისაუბრა და გაემართა ჰეკის საძებნელად.

ჰეკი ჩამომჭდარიყო მოზრდილ ნაზზე, ფეხები წყალში ჩაეკიდა და უხალისოდ აქანავებდა. მეტად მოწყენილი გამოიყურებოდა. ტომმა გადანვიტა, დალოდებოდა, სანამ ჰეკი იტყოდა რამეს. თუ ის არაფერს არ იტყოდა, ჩანს, ტომმა ყველაფერი სიზმარში ნახა.

- სალამი, ჰეკ!

- სალამი!

ნუთიერი დუმილი.

- ეჰ, ტომ, ჩვენ რომ ის წყეული იარაღები გამხმარი ხის ქვეშ დაგვეტოვებინა, ახლა ფული ხელში გვქენებოდა... მაშ, ეს საშინელება არ მოხდა?

- ჩანს, სიზმარი არა ყოფილა, არა ყოფილა სიზმარი! ნეტავ სიზმარი ყოფილიყო, ნეტავ!

- რა სიზმარი?

- მე გუშინდელ ამბავზე გეუბნები! ვფიქრობდი, ალბათ სიზმარი იყო-მეთქი.

- სიზმარი?! აბა კიბე არ ჩამტვრეოდა, ის გიჩვენებდა, რა სიზმარიც იყო! მე კი მთელი

ღამე ის შეჩვენებული თვალახვეული ესპანელი მესიზმრებოდა, თითქოს უკან მომდევდა. ეშმაკმა წაიღოს იმის თავი!

- ეშმაკმა რად უნდა წაიღოს? ჩვენ უნდა მივაგნოთ მის კვალს, რომ ფული ხელთ ვიკდოთ.

- ვერასოდეს ვერ ვიპოვნით მას. ასეთი შემთხვევა ორჯერ არა ხდება: ვერ ვისარგებლეთ და აკი დაგვეკარგა კიდევაც! ალბათ, გული გამისკდება, თუ შევხვდი სადმე.

- მეც, ჰეკ, მაგრამ მაინც მინდა შემხვდეს, იქნებ მეორე ნომრის კვალს მივაგნოთ.

- მეორე ნომრის? ჰო, საქმეც მაგაშია. მეც ვფიქრობდი, მაგრამ ვერაფერი გავარკვიე. როგორ გგონია, რა უნდა იყოს მეორე ნომერი?

- არ ვიცი. ძალიან ძნელი გასაკვირია. გამგონე, ჰეკ, იქნებ ეს სახლის ნომერია?

- რას ამბობ! არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, თუ ასეა, ჩვენს ქალაქში არ იქნება.

ჩვენი სახლები ხომ უნომროა.

- მართალია. მოიცა, მოვიფიქროთ. იქნებ სამიკიტნოს რომელიმე ოთახის ნომერია?

- ეგ ჭკუასთან ახლოა! ჩვენ ხომ სულ ორი სამიკიტნო გვაქვს. ასე რომ, მაგის შემონმება ადვილია.

- აქ დამიყადე, ჰეკ, სანამ მოვიდოდე.

და ტომი გაქრა. მას არ უყვარდა ხალხში გამოჩენა ჰეკთან ერთად. ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა. აღმოჩნდა, რომ კეთილმოწყობილ სამიკიტნოში ¹² უკვე კარგა ხანია ეკავა ახალგაზრდა ვეჟილს. უფრო უვარგის სამიკიტნოში ¹² ცოტა არ იყოს საიდუმლოებით იყო მოცული. მიკიტნის შვილს ეამბნა, რომ ეს ნომერი ერთთავად დაკეტილია; რომ მას დღისით არასოდეს არავინ უნახავს არც შესული, არც გამოსული.

მიკიტნის შვილმა არ იცოდა ამ უცნაური ამბის მიზეზი; მასში ცნობისმოყვარეობამ გაიღვიძა, მაგრამ არცთუ დიდად და დაასკვნა, იქ, ალბათ, “ავი სულები ბუდობენო”.

სხვათა შორის, ისიც დაუმატა, ნუხელის სინათლე გამოდიოდაო.

- აი, რა გავიგე, ჰეკ, დარწმუნებული ვარ, ის წორედ ის ნომერი ორია, რასაც ჩვენ დავეძებთ.

- მეც ასე ვფიქრობ, ტომ. ახლა რა ვქნათ?

- მოიცა, მოვიფიქრო.

ტომი დიდხანს ფიქრობდა, ბოლოს კი თქვა:

- აი, რა მოვიფიქრე, იმ მეორე ნომრის უკანა კარი პატარა შესახვევში გადის, სამიკიტნოსა და ძველი აგურის სანყობს შორის. ეცადე, რაც შეიძლება ბლომად მოაგვარო გასაღებები, მეც დეიდა პოლის ყველა გასაღებს ჩავიგდებ ხელში და პირველსავე ბნელ ღამეს ვცადოთ იმ კარის გაღება. თან სულ თვალი გეჭიროს ინდიელ ჯობე. მან ხომ თქვა, ქალაქში გავჩნდები, შესაფერისი დრო რომ შევარჩიო ჩემი შურისძიებისათვისო. როგორც კი თვალი მოჰკრა, უკან აედევნა და თუ არ შევიდა მეორე ნომერში, ჩანს, ვერ გამოგვიცვნია.

- ღმერთო ჩემო, მართო როგორ უნდა ავედევნო, მეშინია.

- ეგ ხომ ღამით უნდა მოხდეს! შეიძლება მან ვერც კი შეგამჩნიოს და კიდევ რომ დაგინახოს, არაფერსაც არ იფიქრებს.

- თუ ძალიან ებნელება, მაშინ თანახმა ვარ, არ ვიცი, არ ვიცი, ვცდი...

- ღამე ბნელი რომ ყოფილიყო, მე თვითონ ავედევნებოდი, ჰეკ. თორემ თუ დარწმუნდა, რომ შურისძიებას ვერ მოახერხებს, მაშინვე ფულზე წავა.

- მართალია ტომ, მართალი! ავედევნები, ღმერთმანი, ავედევნები!

- აი, ყოჩაღ! ეგ კარგია! მხოლოდ არ მიმტყუნო ჰეკ, და არც მე გიმტყუნებ.

თავი ოცდამეცხრე

ტომმა და ჰეკმა გადანყვიტეს, საქმეს იმ საღამოსვე შესდგომოდნენ. ცხრა საათამდის იტრიალეს სამიკიტნოს გარშემო. ერთი შორიდან ადევნებდა თვალყურს ქუჩის შესახვევს, მეორე - სამიკიტნოში შესასვლელ კარს. შესახვევში არავინ ჩანდა “ესპანელის” მსგავსი, სამიკიტნოში არც არავინ შესულა, არც გამოსულა. ეტყობოდა, ღამე მთვარიანი იქნებოდა. ტომი ნავიდა შინ. ასე შეთანხმდნენ: თუ ძალიან ებნელებოდა, ჰეკი მოვიდოდა ფანჯარასთან და კატასავით დაიკნავლებდა, ტომიც გადმოვიდოდა ფანჯრიდან და გასწევდნენ გასაღების მოარგებად. მაგრამ ღამე მთვარიანი იყო; ამიტომაც დაახლოებით თორმეტ საათზე ჰეკმა დატოვა თავისი საყარაულო ადგილი და დასაძინებლად ჩაძვრა შაქრის ცარიელ კასრში. სამშაბათსაც არ გაუღიმა ბიჭებს ბედმა, არც ოთხშაბათს. მაგრამ ხუთშაბათს იმედი მიეცათ, რომ ბნელი ღამე იქნებოდა. ტომი წინასწარვე გაიპარა შინიდან, თან წაიღო დეიდას ძველი ფარანი და დიდი პირსახოცი, შუქის შესანიღბად. ფარანი დამალა შაქრის კასრში და ორივე ყარაულობას შეუდგა. ნაშუაღამევს სამიკიტნო დაკეტეს, სინათლე ჩააქრეს. სინათლე სხვაგანაც აღარსად აღარ იყო. “ესპანელი” არ ჩანდა. შესახვევშიც არავინ ჭაჭანებდა. ყველაფერი ხელს უწყობდა ჩვენს გმირებს. ღამე ბნელი იყო; მდუმარებას დროდადრო შორი ქუხილი თუ არღვევდა.

ტომმა აანთო ფარანი შაქრის კასრში, მჭიდროდ შემოახვია პირსახოცი და ბიჭები ღამის სიბნელეში გაემართნენ სამიკიტნოსაკენ. ჰეკი გაჩერდა სადარაჯოდ. ტომი კი მიიპარებოდა შესახვევისაკენ. გულშემზარავი სინემე ჩამოვარდა, რომელიც ჰეკს ლოდივით დაანვა. მას უკვე ენატრებოდა ფარნის შუქი გამოჩენილიყო; მართალია, შეეშინებოდა, მაგრამ იმას მაინც გაიგებდა, რომ ტომი ცოცხალი იყო.

მას შემდეგ, რაც ტომი ნავიდა, მისი აზრით, რამდენიმე საათმა განვლო, “ალბათ, გული შეუწუხდა, - გაიფიქრა ჰეკმა, - იქნება კიდევაც მოკვდა შიშისაგან”. შემფოთებული ჰეკი თავისდა უნებურად სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა შესახვევს; ათასგვარი საშინელება ეხატებოდა თვალწინ და ყოველ ნუთს ელოდა რაღაც ხიფთს, აი, ახლა კი სულს ამომხდინანო. თუმცა კი სული თავისთავადაც ეხდებოდა და გულიც ისე უცემდა, რომ ეშინოდა, სულ არ გამიჩერდესო. უცებ გაიელვა სინათლემ და გაირბინა ტომმა.

- გაიქეცი, - წაიჩურჩულა მან, - თავს უშველე!

გამეორება აღარ დასჭირვებია, ჰეკი უკვე ქარივით მიჰქროდა. ბიჭები არ შეჩერებულან, ვიდრე არ მიუახლოვდნენ ფარდულს ძველ საყარაულობასთან, რომელიც ქალაქის მეორე

ბოლოში იყო. ის იყო, თავი შეაფარეს ფარდულს, რომ ატყდა ქუხილი და კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ცოტა სული რომ მოითქვა, ტომმა დაიწყო:

- უჰ, ჰეჰ, რა შემზარავი იყო. ორი გასაღები გავსინჯე, ვცდილობდი უხმოდ მემუშავა, მაგრამ ისინი ისე ჩხუბობდნენ, რომ შიშით გული მისკდებოდა; ვერასგზით ვერ მოვახერხე გადატრიალება. უცებ, ჩემდა უნებურად, სახელურს ხელი ჩამოვკარი და კარი გაიღო, დაკეტილი არ ყოფილა. ფარანს პირსახოცი შევხსენ და ღმერთო დიდებულო!

- რა ნახე, ტომ?

- ჰეჰ, კინალამ ხელზე დავაბიჯე ინდიელ ჯოს!

- რას ამბობ?

- ჰო, იატაკზე გამხლართულიყო და მაგრად ეძინა, თვალი კი ისევ ძველებურად ნაჭრით ჰქონდა აკრული.

- ღმერთო, გვიხსენი! მერე რა ქნა, გაიღვიძა?

- არა, არც კი განძრეულა. ალბათ, მთვრალი იყო. დავავლე ხელი პირსახოცს და მოვკურცხლე!

- სწორედ გითხრა, მაგ დროს პისახოცი არც კი მომაგონდებოდა.

- მე კი მომაგონდა. რომ დაკარგულიყო, დეიდასაგან მომხვდებოდა.

- გამიგონე, ტომ, მანდუკი ვერ დავინახე?

- ამას უყურე ერთი! დანახვის დრო იყო? არაფერი არ დამინახავს, არც მანდუკი, არც ჯვარი, არაფერი, გარდა ბოთლისა და თუნუქის ჭიქისა; ისინი ინდიელი ჯოს გვერდით ეყარა. გარდა ამისა, ოთახში დავინახე ორი კასრი და აუარება ბოთლი. ახლა გასაგებია, რატომ არის ის ოთახი “უნმინდური”?

- რატომ?

- რატომ და არყის გამო. იქნებ ყველა “სიფხიზლის დამცველი საზოგადოების” სამიკიტნოში არის ისეთი “უნმინდური” ოთახები, როგორ გგონია?

- იქნებ ასეც იყოს, მაგრამ ვინ იფიქრებდა! გამიგონე, ტომ, ახლა სწორედ იმის დროა, რომ მანდუკი წამოვიღოთ თუკი ჯო მართლა მთვრალია და სძინავს.

- როგორ არა! აბა, ერთი წადი, სცადე!

ჰეკს გააჟრჟოლა.

- არა, არ არის საჭირო.

- მეც ასე ვფიქრობ, ჰეკ. ერთი ბოთლი ინდიელისათვის ცოტაა. სამი ბოთლი რომ დამენახა მის გვერდით, მაშინ კიდევ შეიძლებოდა გაბედვა.

სიჩუმე ჩამოვარდა. დიდხანს ფიქრობდნენ და ბოლოს ტომმა თქვა:

- იცი, რა ჰეკ, ნურც ვცდით იქამდის, სანამ არ დავრწმუნდებით, რომ ინდიელი ჯო არ არის ოთახში. ძალიან საშიშია. თუკი ყოველდამ ვუყარაულებთ, უთუოდ ოდესმე დავინახავთ, რომ გამოვა. მაშინ კი დავტაცოთ ხელი მანდუგს...

- კარგი, თანახმა ვარ. მე მზადა ვარ მთელი ღამეები ვუყარაულო, ოღონდაც დანარჩენი მენ იკისრე.

- მეც თანახმა ვარ. საჭიროა მხოლოდ ჩამოირბინო ჰუპერსტირის ერთი კვარტალი და დაიკნავლო; თუ ვერ გავიღვიძე, მაშინ კენჭები ესროლე ფანჯარას და გამეღვიძება.

- თანახმა ვარ!

- ახლა კი, ჰეკ, წვიმამ გადაიღო. მე შინ გავიქცევი. გათენებამდე დიდი დრო არ დარჩა - სულ, ალბათ, ორი საათიღაა. შენ მანამ ისევ იქ მიდი და ცოტა ხანს კიდევ უყარაულე, კარგი?

- კარგი, ხომ გითხარი, ვუყარაულებ-მეთქი. მთელი წელიწადი ვუყარაულებ სამიკიტნოს. დღე დავიძინებ, ღამე კი ვუყარაულებ.

- ეგეც მართალია, სად დაიძინებ?

- ბენ როჯერსის სათივეში, ის ნებას მაძლევს. არც იმათი მანგი, ძია ჯეკი, მაგდებს იქიდან. წყალს ვუზიდავ, როცა სჭირდება, ზოგჯერ საჭმელსაც მაძლევს, როცა აქვს.

ძალიან გულკეთილია, ტომ, და ვუყვარვარ იმიტომ, რომ მანგებთან ამაყად არ მიჭირავს თავი. ზოგჯერ იმასთან ერთად ვჭამ საჭმელს, მხოლოდ გეხვენები, არავის არ უთხრა. შიმშილი რას არ გაგაკეთებინებს ადამიანს.

- კარგი, ჰეკ, მე დღე აღარ შეგანუხებ, თუ აუცილებელი საჭიროება არ იქნება. შენ კი, თუ ღამე თვალი რამეს შეასწრო, წამსვე მოირბინე და დაიკნავლე...

თავი ოცდამეათე

პარასკევ დილით ტომმა სასიხარულო ამბავი გაიგო, მოსამართლე თეტჩერის ოჯახი დაბრუნდაო! ტომს დროებით გადაავიწყდა მეტისიც და მისი განძიც, მთელი ყურადღება ბეკიმ მიიპყრო, მასთან მიიღობინა. სხვა მონაფეებთან ერთად მათ მხიარულად გაატარეს დრო, გული იჭერეს სხვადასხვა თამაშობით. დღის მხიარულება დაავიწყდებოდა კიდეც ერთმა სასიამოვნო ამბავმა: ბეკი უკვე დიდი ხანია ჩასციებოდა დედას, მეონყო დაპირებული პიკნიკი. ბოლოს, თავმოებრებულ დედას თანხმობა მიეცა ხვალისთვის და გოგონამ აღარ იცოდა, რა ექნა სიხარულისაგან. ტომიც ცას დაენია. მზის ჩასვლამდის ყველა მოსანვევი ბარათი დაიგზავნა და ახალგაზრდობა ფაციფუცით ემზადებოდა ამ სასიამოვნო დროსტარებისათვის. ტომს ღელვისაგან გვიანობამდე არ დაეძინა, სულგანაბული უცდიდა ჰეკს; ფიქრობდა, ან ახლა დაიკნავლებს, ან ახლა და იქნება ხვალ ყველანი გავაკვირვო ჩემი სიმდიდრით, ბეკიც და პიკნიკის მონაწილე სხვა ამხანაგებიცო. მაგრამ მოლოდინი გაუცრუვდა. იმ ღამეს ჰეკი არ გამოჩენილა. გათედა. დაახლოებით დილის ათ საათზე მიწვეულმა ბავშვებმა თავი მოიყარეს მოსამართლე თეტჩერის სახლში. ყველაფერი მზად იყო და გზას უნდა გასდგომოდნენ. უფროსები შინ რჩებოდნენ, ძველი ჩვეულების თანახმად. არ უნდოდათ, ბავშვებისთვის ხელი შეეშალათ. დარწმუნებული იყვნენ, ბავშვებს არაფერი დაუშავდებოდათ, რაკი ორი-სამი თვრამეტი წლის ქალიშვილი მისდევდათ და, აგრეთვე, რამდენიმე ოც წელს გადაშორებული ახალგაზრდა ვაჟიც. ამ შემთხვევის გამო იქირავეს ძველი პატარა გემი და მალე მთელი ჯგუფი დაიძრა. ხმაურით გაიარეს მთავარი ქუჩა სანოვაგით სავსე კალათებით დატვირთულებმა. სიდი ავად იყო და არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო ამ დროსტარებაში. შერიც შინ დარჩა, სიღს რომ არ მოსწყენოდა. მისის თეტჩერმა წასვლისას უთხრა ბეკის:

- თქვენ ალბათ შეგაგვიანდებათ. უმჯობესია, დამე დარჩე რომელიმე მეგობარ გოგონასთან, რომელიც ნავმისადგომთან ახლოს ცხოვრობს.

- დედა, მაშინ სუბი ჰარპერთან დავრჩები.

- კეთილი. აბა, შენ იცი, ჭკვიანად მოიქეცი!

როცა გარეთ გამოვიდნენ, ტომმა უთხრა ბეკის:

- იცი, რა? ჰარპერთან წასვლას ჯობია გორაკზე ავიდეთ და ქვრივ დუგლასს ვენვიოთ, იმას ნაყინი ექნება; ყოველდღე ამზადებს და მერე, ნეტა იცოდე, რამდენს! თანაც ძალიან გაუხარდება ჩვენი მისვლა.

ბეკი დაფიქრდა, ბოლოს უთხრა:

- მერე დედა რას იტყვის?

- საიდან გაიგებს?

გოგონა კვლავ დაფიქრდა, ბოლოს, გაუბედავად წარმოთქვა:

- ბარემ ეგ კარგი არ არის, მაგრამ...

- რა "მაგრამ", სისულელეა. დედაშენი ვერ გაიგებს. და რა არის აქ ცუდი? იმის სურვილია, შენ უვნებელი იყო. ის თვითონვე გაგაგზავნიდა ქვრივთან, რომ მოჰგონებოდა, სინდისს გეფიცები.

ქვრივი დუგლასის სახელგანთქმული სტუმართმოყვარეობა მეტად მომხიბვლელი იყო და ტომის დაჟინებულმა რჩევამ გაჭრა. გოგონა დათანხმდა. ბავშვებმა გადაწყვიტეს, არავისთვის არ ეთქვათ თავიანთი გადაწყვეტილება.

ტომს უცებ გაახსენდა: ვაითუ სწორედ ამალამ მოვიდეს ჰეკი და მომცეს ნიშანიო? ამ აზრმა მისი აღფრთოვანება შეანელა, მაგრამ უარი ვერ ათქმევინა დროსტარებაზე

ქვრივი დუგლასის სახლში. ან კი რად უნდა ვთქვა უარიო, - ფიქრობდა ტომი თავისთვის, - თუ ჰეკი ნუხელის არ მოვიდა, რაღა დღეს მოვა? - უეჭველი მხიარულების მოლოდინმა სძლია საეჭვო განძის პოვნის სურვილს და, როგორც ბიჭებს სჩვევიათ, ტომმაც

გადაწყვიტა, აპყლოდა თავის გულისთქმას, თანაც სრულიად დაევიწყა ფულიანი ზანდუკი მეორე დღემდე.

ქალაქიდან სამი მილის დაშორებით, მდინარის გაყოლებით, პატარა გემი მიადგა ნაპირს, რომელსაც ტყე ჰქონდა შემორტყმული. ბავშვების ჯგუფი გადავიდა ნაპირზე;

მალე ტყე და ახლომახლო სერები გააყრუა ბავშვების ჟივილ-ხივილმა და სიცილ-კისკისმა. ათასგვარი თამაშობა მოიგონეს და გაერთნენ. როცა ყოველგვარი თამაშობა მოიყირტეს, დაღლილი და ჭარხალივით დაწითლებული ბავშვები ქაქანით დაბრუნდნენ

ბანაკში მგლებივით დამშეულნი და შეუდგნენ გემრიელი სანოვაგის გაჩანაგებას, მხიარული ნადიმის შემდეგ ბავშვები წამოწვნენ დასასვენებლად და სამასლაათოდ

ტოტებგაშლილი მუხის ხეების ჩრდლქვეშ. ცოტა ხნის შემდეგ ვიღაცამ წამოიყვირა:

- ვის უნდა გამოქვაბულში შესვლა?

მსურველი ყველა აღმოჩნდა. ამოიღეს სანთლები, ერთბაშად მისცვივდნენ გორაკს და დაიწყეს ზედ აფოფხება. გამოქვაბულში ჩასასვლელი თითქმის გორაკის თავზე იყო და ფორმით ასო A-ს ჰგავდა. მუხის მძიმე კარი ღია დახვდათ. შიგნით პანანინა საკანი იყო, საყინულესავთ ცივი. მაგარი კირქვის კედლები თვითონ ბუნებას შეექმნა. კედლებიდან წყალი ჟონავდა, გეგონებოდათ, ოფლის წვეთებიაო. ადამიანს რაღაც უცნაური გრძნობა ეუფლებოდა, როცა სიბნელეში იდგა და გასცქეროდა მწვანედ მობიბინე ველს, ცხრათვალა მზით გაჩირადდებულს. მაგრამ ეს სანახაობა ცოტა ხნის შემდეგ აღარ ახდენდა ისეთ შთაბეჭდილებას, და მალე ისევ აქოთქოთდა ბავშვების ჯგუფი. თუ ვინმე აანთებდა სინათლეს, ნამსვე მივარდებოდნენ გასაქრობად. ამნთები იბრძოდა, მაგრამ სანთელს არ ჩაუქრობდნენ, ან გამოსტაცებდნენ ხელიდან და კვლავ გაისმოდა მხიარული ყიჟინა და სიცილი სიბნელეში. მაგრამ ყველაფერს დასასრული აქვს. ბავშვები დაენწყვნენ და წეროებივით გაბმულნი დაეშვნენ მთავარი შესასვლელის ციცაბო ფერდობზე. სანთლების მოციმციმე შუქი ოდნავ ანათებდა კლდეში გამოკვეთილ კედლებს თითქმის თაღებამდე, რომლებიც ერთდებოდნენ სამოცი ფუტის სიმაღლეზე. ეს მთავარი შესასვლელი სიგანით რვა-ცხრა ფუტი მაინც იქნებოდა. ყოველ ნაბიჯზე, ორივე მხარეს მოჩანდა უფრო ვიწრო გასასვლელები. მაკ-დუგალის გამოქვაბული წარმოადგენდა თვალუნვდენელ ლაბირინთს მიხვეულ-მოხვეული ტალანებით, რომელნიც ერთმანეთს კვეთდნენ და, რომელთაც დასასრული არ უჩანდათ. ამბობდნენ, რომ ამ დახლართულ ნაპრალებსა და ღრმულებში შეიძლებოდა დღეები და ღამეები ევლო ადამიანს ისე რომ გამოსასვლელი ვერ ეპოვნა. გარდა ამისა, შეიძლებოდა თანდათან სულ ქვევით ჩასვლა, მიწის სიღრმეში, სადაც ერთი ტალონი ებმოდა მეორეს და დასასრული კი არ უჩანდა. ვერავინ დაიტრიაბახებდა, რომ “იცნობდა” გამოქვაბულს. ეს შეუძლებელი იყო. საზოგადოდ, ახალგაზრდები ეცნობოდნენ მის მხოლოდ მცირე ნაწილს და ამ ნაწილის იქით ვერ ბედავდნენ შესვლას. ტომ სოიერი გამოქვაბულს არც სხვებზე უკეთესად იცნობდა და არც ნაკლებად. ბავშვებმა სამი მეოთხედი მილი გაიარეს მთავარ ტალანში, შემდეგ დაენწყვნენ წყვილ-წყვილად და ჯგუფ-ჯგუფად; ერთნიც და მეორენიც უხვევდნენ გვერდით შესასვლელებისკენ, ხეტილობდნენ ვიწრო ტალანებში, მოლოდნელად ერთმანეთს აწყდებოდნენ იქ, სადაც ტალანები ერთდებოდნენ. აქაც კი, გამოქვაბულის ნაცნობ ნაწილში, შეიძლებოდა ერთმანეთს ასცდენოდნენ, რომ ნახევარი საათის განმავლობაში ვერც კი შეხვედროდნენ. ჯგუფები ერთიმეორის მიყოლებით გამოვიდნენ გამოქვაბულიდან; მხიარულნი, სანთლის წვეთებით დაწინკლულნი, თიხით გათხუპნულნი, მაგრამ ფრიად კმაყოფილნი და ნასიამოვნებნი. ყველას გაუკვირდა, დრომ ისე სწრაფად გაირბინა, საცაა დაბინდებოდა. გემიც უკვე ნახევარი საათია რეკავდა. იმ დღის თავგადასავლის ასეთი დასასრული რომანტიკული ჩანდა და ამდენად დამაკმაყოფილებელიც. როცა მხიარული ბავშვებით დატვირთული გემი გასცდა ნაპირს და გაუდგა ქალაქის გზას, არავინ ნანობდა დაკარგულ დროს, გარდა გემის კაპიტნისა. ჰეკი უკვე სადარაჯოზე იდგა, როცა გემის სინათლემ გაიციმციმა ნავსადგურთან. გემბანიდან არავითარი ხმაური არ ისმოდა: ახალგაზრდობა მიწყნარდა და გაჩუმდა, ასე ემართებათ უზომოდ დაღალულთ. ჰეკს ცოტა არ იყოს გაუკვირდა, გემი რომ არ შეჩერდა ნავსადგურთან; მაგრამ მალე გადაავიწყდა იგი და მთელი ყურადღება მიაპყრო თავისი მოვალეობის შესრულებას. დაირეკა ათი საათი და ბორბლების ხმაურიც მიწყდა. აქა-იქ დარჩენილი სინათლეებიც ერთმანეთზე ქრებოდა. გამვლელ-გამომვლელი აღარავინ იყო: ქალაქს ძილი დაეუფლა. პატარა ყარაული კი მართოდმართო დარჩა დუმილისა და მოჩვენებების ტყვეობაში. თერთმეტ საათზე სამიკიტნოშიც ჩააქრეს სინათლე. ახლა ყველგან უკუნეთი სიბნელე ჩამოწვა. კარგა ხანი გავიდა, როგორც ჰეკს ეჩვენებოდა, მაგრამ არაფერი არ მომხდარა. იმედიც უქარწყლდებოდა: რისთვის წვალობენ? ღირს ყარაულობა? არა სჯობია, ჩაძვრეს კასრში და იძინოს? სწორედ ამ წუთს რაღაც ხმაური შემოესმა და მსწრაფლ გაინაბა. კარები, რომელიც შესახვევში გამოდიოდა, ფრთხილად დაიხურა. ჰეკი აგურის სანყობის კუთხეს ამოეფარა. ერთი წუთის შემდეგ მას გვერდით ჩაურბინა ორმა ლანდმა: ერთს თითქოს რაღაცა ჰქონდა იღლიის ქვეშ, - ალბათ, მანდუკი. ესე იგი, მათ სურთ სხვაგან გადაიტანონ განძი! რა ქნას ახლა? დაუძახოს ტომს? სისულელე იქნება, ისინი გაპარვას მოასწრებენ, მერე წადი და ეძებე! არა, სჯობია გაჰყვეს მათ კვალს: ასეთ უკუნეთ სიბნელეში ვერც კი შეამჩნევენ მას. ასე მსჯელობდა თავისთვის ჰეკი. გამოვიდა თავისი საფარიდან და ფეხშიშველა, კატასავით უხმოდ, დაედევნა მანანნალებს, მისდევდა შორიახლო, მაგრამ ისე კი, რომ თვალიდან არ დაჰკარგვოდა. ისინი ჯერ მიდიოდნენ მდინარის სანაპირო ქუჩით, გაიარეს სამი კვარტალი და მერე

გაუხვიეს მარცხნივ. სულ პირდაპირ ეჭირათ გეზი, სანამ მიუახლოვდნენ ბილიკს, რომელიც მიიკლაკნებოდა კარდიფის გორაკისაკენ. არც კი შეჩერებულან, ისე ჩაუარეს მოხუცი უელსის სახლს, რომელიც ფერდობზე იდგა და პირდაპირ გორაკს შეუდგნენ. “ოჰო, - გაიფიქრა ჰეკმა. - ალბათ, ფულის დამალვას ძველი ქვის სამტეხლოში აპირებენ”. მაგრამ ისინი არც კი შეჩერდნენ ქვის სამტეხლოსთან, აუარეს გვერდი და განაგრძეს გზა აღმართისაკენ; თუთუბოს ბუჩქებისაკენ მიმავალ ბილიკზე გაუხვიეს და ისინი უცებ ჩანთქა სიბნელეში. ჰეკმა ფეხს აუჩქარა, რომ დასწვოდა: სულ ერთია, მაინც ვერ დაინახავდნენ. ერთ ხანს თითქმის მირბოდა, მერე ნაბიჯს უკლო, ეშინოდა, ზედ არ წავანყდოდა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ გაჩერდა და ყური მიუგდო. არსაიდან არაფერი არ ესმოდა, საკუთარი გულისცემის გარდა. გორაკიდან ბუმ დაიკვილა: ცუდი ნიშანი იყო. ფეხის ხმა სრულიად აღარ ისმოდა. ღმერთო, ნუთუ ყველაფერი დაიღუპა? ის იყო, უკან მოკურცხვლა დააპირა, რომ უცებ ვიღაცამ ჩაახველა, სულ ორიოდ ნაბიჯის დამორებით. ჰეკს ეგონა, გული ამოუვარდებოდა ბუდიდან, მაგრამ გამაგრდა, გაშეშდა თავის ადგილზე. მთელი ტანით ცახცახებდა, თითქოს ციებ-ციხელება შეჰყრიაო, და ისე იყო დაუძღურებული, რომ ეგონა, ეს-ეს არის ნავიქცევიო! მან იცნო ადგილმდებარეობა; ქვირივი დუგლასის მამულში იყო და ღობის გადასასვლელამდე ხუთიოდე ნაბიჯი თუ იქნებოდა.

“კეთილი, დაე, აქ ჩაფლან, - გაიფიქრა მან. - დიდხანს მაინც აღარ მოგვიხდება ძებნა”. შემდეგ ინდიელი ჯოს ხმა შემოესმა. მან ოდნავ გასაგონად წაიჩურჩულა:

- ეშმაკსაც წაუღია! იქნებ სტუმრები ჰყავს. შუქი გვიანობამდე უნთია.
- სად ხედავ შუქს? მე ვერ ავმჩინევ?

მეორე ხმა იყო მეტისის ამხანაგის, რომელიც “უნმინდურ” სახლში ნახა. ცივმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში ჰეკლბერი ფინს. აი, თურმე ვისზე აპირებს შურისგებას! ჰეკმა უკან გაბრუნება დააპირა, მაგრამ მოაგონდა რამდენი სიკვეტე ახსოვდა ქვირივი დუგლასისაგან და ახლა იქნებ მისი მოკვლაც უნდოდათ! იგი ნატრობდა, ნეტავ გაბედულება მეყოს, ქვირივი გავაფრთხილო; მაგრამ აბა, როგორ შეძლებდა. ისინი ხომ დაიჭერდნენ. მრავალმა ამდაგვარმა აზრმა გაურბინა თავში ჰეკს, ვიდრე მეტისი უპასუხებდა:

- ბუჩქები გიშლის და იმიტომ ვერა ხედავ. აქეთ მოინი, ახლა ხომ ხედავ?
- ჰო, ალბათ, სტუმრები ჰყავს, იქნება უმჯობესია, დღეს თავი დავანებოთ?
- დიახ, თავი დავანებო, როცა აქაურობას სამუდამოდ ვშორდები. თავი დავანებო? იქნებ ამისთანა შემთხვევა აღარც მომეცეს!.. კიდევ გიმეორებ, რაც უკვე მითქვამს: იმისი ფულები არ მჭირდება; შენ აიღე. მაგრამ მისმა ქმარმა მანყენინა და არა ერთხელ და ორჯერ. როცა მოსამართლედ იყო, ციხეში მიკრა თავი მანანნალობისთვის, ეგ კიდევ არაფერი! მისი ბრძანებით გამწკეპლეს ციხის წინ, ზანგივით, ყველამ დამინახა. გამშოლტეს, გესმის, რა არის ეს: მისი ბედი, რომ ცოცხალი აღარ არის, მაგრამ ცოლს გაუუქვითავ!

- ნუ მოკლავ! რა საჭიროა!

- მოვკლა? ვინ გითხრა, რომ მოვკლავ? მის ქმარს მოვკლავდი, რომ შეიძლებოდა. ამას არ ვუპირებ. როცა დედაკაცზე იძიებენ შურს, მას არ კლავენ, - რა საჭიროა? საკმარისია დაუსახირო სახე; შუაზე გაუპო ცხვირი, მოაჭრა ყურები, როგორც ღორს...

- თუ ღმერთი გნამს, ეგ...

- შენთვის შეინახე დარიგება! გირჩევნია, გაჩუმდე. სანოლზე მივაბამ და თუ სისხლისგან დაინრიტება, განა ჩემი ბრალი იქნება? მე რა მენალვლება. შენ კი, ძმობილო, ამაში უნდა დამეხმარო; აქ ამისთვის მოგიყვანე. ერთი ვერ გაუძღვები ამ საქმე, და თუ თავს აარიდებ, აქვე გაგაქრობ, გესმის? ხოლო თუ შენ მოგკლავ, იმასაც აღარ ვაცოცხლებ, და ვეღარავინ გაიგებს, ვინ ჩაიდინა ეს საქმე.

- რა გაენყობა! თუ უამისობა არ შეიძლება, ეგრე იყოს. რაც უფრო მალე მოხდება, უკეთესია. მთლად მაკანკალებს.

- როგორ, ახლა? სტუმრები? გამიგონე, შენ რაღაც საეჭვოდ აჩქარდი! არა; დავიცადოთ, სანამ სინათლეს ჩააქრობენ, რა გვეჩაქრება.

ჰეკმა იგრძნო, რომ ახლა საუბარს მოჰყვებოდა სიხუმე, გაცილებით უფრო შემზარავი, ვიდრე მკვლელბაზე ლაპარაკი. ამიტომ მან სული განაბა და ფრთხილად უკან დაიხია. დიდხანს ირწეოდა ცალ ფეხზე. ლამის ან აქეთ გადავარდნილიყო, ან იქით, სანამ მეორე ფეხს დადგამდა მიწაზე. ასეთივე სიფრთხილითა და თავგანწირვით გადადგა კიდევ ერთი ნაბიჯი; შემდეგ კიდევ; უცებ ფეხქვეშ გატკაცუნდა ხმელი ტოტი! გული გაუსკდა. გაჩერდა და ყური მიუგდო: არსაიდან ხმა, სამარისებური დუმილი. ძალზე გახარებული მიტრიალდა, გაძვრა კედლებივით აღმართულ თუთობოს ბუჩქებს შუა და უხმაუროდ გაემართა წინ. როცა მიუახლოვდა ქვის სამტეხლოს, თავი სამშვიდობოს დაიგულა და

მოკურცხლა, რაც ძალი და ღონე ჰქნდა. თავქვე დაეშვა ბურთივით, სანამ უელსელის სახლამდე მიაღწევდა. კარებს დაუნყო მუშტით ბრახუნი. ფანჯრიდან თავი გამოყო ბებერმა ფერმერმა, გამოჩნდნენ მისი ბრგე ვაჟიშვილებიც.

- რაშია საქმე? ვინ აბრაახუნებს? რა გინდათ?

- შემომიშვით ჩქარა! ყველაფერს გიამბობთ.

- ვინა ხარ?

- ჰეკლბერი ფინი. შემომიშვით ჩქარა.

- ჰეკლბერი ფინი? ბიჭოს, შენ არც ისე სახელოვანი კაცი ხარ, რომ ყველამ ფართოდ გაგიღოს კარი, მაგრამ მაინც შემოიშვით, ბიჭებო, ვნახოთ, რას იტყვის.

- ოღონდ, გთხოვთ, არავის უთხრათ (ეს იყო ჰეკის პირველი სიტყვები, როცა შემოვიდა), რასაც ახლა მე გიამბობთ, თორემ კარგი დღე არ დამაგდება. ქვრივი მე ხომ ყოველთვის კარგად მექცეოდა; გეტყვით, ნუ დამპირდებით, რომ არავის ეტყვით.

- ვფიცავ პატიოსნებას, ამ ბიჭს რაღაც აქვს სათქმელი! - წამოიძახა მოხუცმა. - აბა, დაიწყე, ბიჭო, არავის ვეტყვით.

რამდენიმე წუთის შემდეგ მოხუცი და მისი შვილები კარგად შეიარაღებულნი, თითის წვერებზე შემდგარნი, მიუახლოვდნენ ბილიკს თუთუბოს ბუჩქებს შორის, იარაღი მზად ჰქონდათ. ჰეკმა მიიყვანა ბილიკამდე, იმის იქით კი არ ნაჰყვა. ჩამოკდა დიდი ლოდის უკან და დაუნყო ლოდინი. სულის შემხუთავი დუმილი ჩამოვარდა. უცებ მოისმა თოფის ჭახანი და ყვირილი. ჰეკს აღარაფრისთვის აღარ დაუცდია, წამოხტა, შურდულივით დაეშვა ქედიდან და მოკურცხლა.

თავი ოცდამეთერთმეტე

კვირა დილით, ინათა თუ არა, ჰეკი აფოფხდა გორაკზე, მიადგა მოხუცი უელსელის კარებს და დააკაკუნა. სახლში მყოფთ ეძინათ, მაგრამ ფხიზლად, წინა ღამით განცდილი მღელვარების გამო. ფანჯრიდან შემოესმა ხმა:

- ვინა ხარ?

ჩუმი, შეშინებული ხმით უპასუხა:

- თუ შეიძლება, შემომიშვით! ჰეკ ფინი ვარ.

- შენთვის ჩვენი კარი ღიაა დღეცა და ღამეც, კეთილი იყოს შენი მობრძანება!

ასეთი სიტყვები, ცოტა არ იყოს, ეუცხოვა პატარა მანანალას; თავის დღეში ასე აღერსიანად არავის მიუმართავს მისთვის; არც კი შეეძლო გახსენება, თუ ოდესმე ვინმეს უხმარია “კეთილი იყოს შენი მობრძანება” მის მიმართ.

კარი სწრაფად გაუღეს და ჰეკიც შევიდა. ბიჭი სკამზე დასვეს. მოხუცი და მისი ვაჟკაცები სწრაფად იცვამდნენ.

- აბა, ჩემო ბიჭო, შენ, ალბათ, მოგშივდა; არხეინად იყავი, ცხელ საუზმეს მოგართმევინ, როგორ კი მზე ამოვა. ჩვენ კი გვეგონა, ღამე მოხვიდოდი და ჩვენთან დაიძინებდი...

- ძალიან შემეშინდა! - განუმარტა ჰეკმა. - რა წამს თქვენ სროლა დაიწყეთ, მე მოკურცხლე, რაც ძალი და ღონე მქონდა; სამი მილი ისე გავირბინე, არც კი შემისვენია. ახლა იმიტომ მოვედი, რომ გავიგო, რა მოხდა. განგებ ალიონზე წამოვედი, რომ არ წავწყდომოდი იმ წყეულებს, თუნდაც დახოცილები ყოფილიყვნენ.

- საბრალო ბიჭუნა, სახე ისეთი გაცრეცილი გაქვს, გეტყობა მართლა დიდი ჯაფა გამოიარე. ფიქრი ნუ გაქვს! აი, ლოგინი, საუზმის შემდეგ მოისვენე; სამწუხაროდ, ის ავამბაკები ვერ დავხოცეთ. აი, როგორ მოხდა: შენი ნაამბობიდან უკვე ვიცოდით, სადაც წავაწყდებოდით მათ. ამიტომ, იმ ადგილს სულ ფეხაკრეფით მივახლოვდით. იმ დასაქცევ ბილიკზე უკუნეთი სიბნელე იყო; მათან თხუთმეტოდე ნაბიჯზე შევჩერდით და უცებ, იცი, რა მოხდა? გამიწყრა ღმერთი და ცხვირი დავაცემინე და ყველაფერი ამან გააფუჭა! მე წინ მივდიოდი, რევოლვერი მზად მქონდა. რა წამს ცხვირი დავაცემინე, ესროლეთ, ბიჭებო-მეთქი, და გავისროლეთ კიდევაც იქით, საიდანაც შრიალი შემოგვესმა. მართალია, ყოჩაღად მოვიქეცი, მაგრამ ის არამზადები მაინც გაგვექცნენ, ჩვენ სროლით დავედევნეთ ტყე-ტყე, მაგრამ, ჩანს, სამივემ ავაცდინეთ ტყვია. იმათაც თითოჯერ ისროლეს. მაგრამ აგვცდა. შემდეგ სულ მიწყდა ფეხის ხმა. ჩვენ თავი

დავანებეთ მათ დევნას და პოლიციას შევატყობინეთ. პოლიციამ რამდენიმე კაცი დააყენა მდინარესთან საყარაულოდ. როცა გათენდა, შერიფი ტყეს გააჩხრეკინებს თავის ხალხს, ჩემი ბიჭებიც გაჰყვებიან. კარგი იქნება, თუ აგვინერ, როგორი შეხედულებისანი არიან ის არამზადები, ეს ძალიან დაგვეხმარება. თუმცა, ჩემო კარგო, სინბელეში რას დაინახავდი.

- არა, მე მათ ქალაქში შევხვდი და დავედევნე.

- ძალიან კარგი! აბა, მაშ თქვი, როგორები არიან.

- ერთი მოხუცი ყრუ-მუნჯი ესპანელია, რომელიც ამ ბოლო ხანებში გაჩნდა ჩვენს ქალაქში, მეორე კი - შემზარავი გარეგნობის ნაფლეთებში გამოხვეული მანანნალაა.

- საკმარისია, ჩემო კარგო, მათ ჩვენც ვიცნობთ. ერთხელ ტყეში წავანყდი, ქვრივის სახლის უკან დაეხეტებოდნენ; როგორც კი მომკრეს თვალი, წამსვე მოუსვენს. აბა, ბიჭებო, ჩქარა გამეგზავრეთ შერიფთან, საუბრე კი სხვა დროისათვის გადადეთ! უელსელის შვილები წამსვე წავიდნენ. როცა კარებს უახლოვდებოდნენ, ჰეკი დაედევნა და მუდარით უთხრა:

- გთხოვთ, ნუ იტყვით, რომ მე გითხარით ყველაფერი, გემუდარებით!

- კარგი, თუ არ გინდა, არ ვიტყვი, მაგრამ ამისთვის მხოლოდ მადლობა გეკუთვნის.

- არა, არ მინდა! გთხოვთ ნუ იტყვით.

როცა ახალგაზრდები წავიდნენ, მოხუცი მიუბრუნდა ჰეკს:

- ისინი არ იტყვიან, არც მე ამოვიღებ ხმას. მაგრამ რატომ არ გინდა, სიმართლე გამოამჟღავნდეს?

ჰეკს არ უნდოდა გატეხილიყო. მხოლოდ ის თქვა, რომ ერთი მათგანის შესახებ იმდენი რამ ვიცი, თუ გამიგო, აუცილებლად მომკლავსო.

მოხუცი ერთხელ კიდევ დაჰპირდა საიდუმლოს შენახვას, მერე კი ჰკითხა:

- რად გაჰყვები უკან? საეჭვო პირებად მოგჩვენენ?

ჰეკი სდუმდა, თან ორჭოფული პასუხის მოგონებას ცდილობდა, ბოლოს თქვა:

- საქმე ისაა, რომ მეთვითონ დაღუპული ადამიანი ვარ, ყოველ შემთხვევაში, ასე ჰგონია ყველას, და აბა, მე რა მეთქმის. ჰოდა, ზოგჯერ ღამდამობით არც კი მძინავს, სულ ვფიქრობ, რა გზას დავადგე-მეთქი, ასევე მოხდა ნუხელაც. ძილი გამიკრთა და მწარე ფიქრებში გართული ქუჩაში დავხეტებოდი შუალამემდე. როცა სამიკიტნოს გვერდით ძველი აგურის საწყობთან მივედი, კედელს მივეყუდე და კვლავ ფიქრებმა წამიღო. უცებ ვხედავ, - ჩემ გვერდით გაიბრინა ორმა კაცმა, ერთს იღლიაში რაღაც ამოედო.

გავიფიქრე, მოპარულია-მეთქი; ერთი თუთუნს აბოლებდა; მეორესაც მოუნდა მოწევა და ამისათვის სწორედ ორ ნაბიჯზე დამიდგნენ: ასანთმა გაანათა მათი სახეები; ერთი ის მაღალი ყრუ-მუნჯი ესპანელი იყო, ვიცანი, ჭაღარა წვერით და თვალზე აფარებული ნაჭრით, მეორე კი - ჩამოფლეთლი, წყეული...

- ნუთუ სიგარის სინათლეზე მისი დაფლეთილი ტანისამოსიც შეამჩნიე?

ჰეკი ერთ ნუთს დაიბნა, მერე კი თქვა:

- მეც არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ შევამჩნიე.

- მერე? ისინი წავიდნენ და შენ...

- მეც უკან გავყვები. მინდოდა გამეგო, რას აპირებდნენ, მეტად ქურდულად მიიპარებოდნენ. ქვრივის ეზოს მესერამდე ვდიე. შევჩერდი სინბელეში და მესმის: მანანნალა ესარჩლება ქვრივს, ესპანელი კი მას დასახიჩრებას უპირებს, თუმცა ეს ხომ უკვე გიამბეეთ...

- როგორ? განა ყრუ-მუნჯი ლაპარაკობდა?

ჰეკი კვლავ გაება მახეში. ის ყოველ ღონეს ხმარობდა მოხუცი არ მიმხვდარიყო, თუ ვინ იყო ესპანელი; მაგრამ რას იზამდა, თუკი ენა არ ემორჩილებოდა. რამდენჯერმე შეეცადა საქმე გამოესწორებინა, მაგრამ მოხუცი თვალს არ ამორებდა და ჰეკი უარესად იბნეოდა.

ბოლოს მოხუცმა უთხრა:

- გეთაყვა, ჩემი ნუ გეშინია! მე არაფერს არ დაგიშავებ, პირიქით, დაგიცავ, შენ ეგ წამოგცდა და ახლა ვეღარ წაიღებ სიტყვას უკან; შენ რაღაც იცი იმ ესპანელზე და არ გინდა თქვა: გულახდილად მითხარი ყველაფერი და მენდე: დამშვიდებული იყავი, არ გაგცემ.

ჰეკი ერთხანს დააკვირდა მოხუცის ნათელ თვალებს, მერ კი დაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა:

- ის ესპანელი კი არ არის, ინდიელი ჯოა.

მოხუცი კინაღამ სკამიდან გადმოვარდა.

- ახლა კი ყველაფერი ნათელია, - თქვა მან. - როცა შენ მოჭრილ ყურებსა და დასახიჩრებულ ნესტოებზე ლაპარაკობდი, მეგონა, ამბავს ალამაზებდი, თეთრკანიანებს

როდი სჩვევიათ ასეთი შურისგება. ხოლო თუ ის ინდიელი ჯოა, ეგ უკვე სხვა საქმე! საუზმის დროს საუბარი გააგრძელს. სხვათა შორის, მოხუცმა თქვა: ნუხელ, სანამ დავიძინებდი, მესერთან მივედი და ფარანი ავანთეთ, გვინდოდა გვენახა, მესერზე ან მის ახლომახლო სისხლის კვალი ხომ არ იყო. ვერაფერი ვერ შევამჩნიეთ, მაგრამ დიდი ბოხია კი ვიპოვეთ და შიგ...

- რა იყო?

ეს კითხვა ელვის სისწრაფით მოსწყდა ბიჭის გაფითრებულ ბაგეს. თვალეგამტერებული მიაჩერდა მოხუცს და სულგანაბული ელოდა პასუხს. მოხუცი სამი, ხუთი, ათი წამი მისჩერებოდა გაკვირვებული, ვიდრე უპასუხებდა...

- ბოხიაში ქურდების ხელსაწყობებია, ჰო, რა მოგივიდა?

ჰეკი სკამის ზურგს მიეყრდნო, ძლივს სუნთქვდა, მაგრამ უსაზღვრო ბედნიერებას გრძნობდა. მოხუცი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა.

- ჰო, ხელსაწყობები, ეტყობა, ამან დაგამშვიდა. რისი გეშინოდა? რა გეგონა, რას ვიპოვიდით?

ჰეკი ახლა მთლად დაიბნა. მოხუცი გამომცდელ თვალს არ აშორებდა; ბიჭი ყველაფერს მისცემდა, ოღონდ გამოეძებნა შესაფერისი პასუხი, მაგრამ ვერაფერი მოახერხებინა. მოხუცის თვალები კი ლამის სულში ჩასწვდომოდნენ; ენაზე მოადგა სრულიად შეუფერებელი პასუხი, მაგრამ მისი აწონ-დაწონის დრო აღარ იყო, და ჰეკმაც უგემურად წაიბუტბუტა:

- მე მეგონა, საკვირაო სკოლის სახელმძღვანელოები იპოვეთ.

საწყალი ბიჭი ისე იყო აღელვებული, რმ ღიმილის თავიც არა ჰქონდა. მოხუცმა კი ისე ხმამაღლა და მხიარულად გადაიხარხარა, რომ მთელი მისი სხეული შეინძრა თავით ფეხებამდე. ბოლოს, როცა სიცილით გული იჯერა, თქვა: ასეთი ჯანსაღი სიცილი ფული ღირს, რადგანაც სამკურნალო ხარჯებს ამცირებსო.

- ჩემო საბრალო ბიჭო, - დაუმატა მან, - ფერი სულ დაგკარგვია, ჩანს, უქეიფოდ ხარ, ჰოდა, რა გასაკვირველია, რომ ცოტას ბოდავდე კიდევ. არა უშავს რა, მალე გამოკეთდები, დაისვენებ, გამოიძინებ და მშვენივრად გახდები.

ჰეკს გული მოსდიოდა: რად ვარ ასეთი სულელი, ასე საეჭვოდ რად ავლელი; მე ხომ ადრევე მივხვდი, ბოხიაში განძი არ იყო, ქვრივის მესერთან ამ არამზადების საუბარი ხომ მოვისმინეო. მაგრამ ეს მხოლოდ მისი ვარაუდი იყო. და უთუოდ ამიტომაც აღელდა, როცა ბოხიის ამბავი შეიტყო. საერთოდ კი ამ ამბავით გახარებული იყო. ახლა ნამდვილად იცოდა, რაც იყო იმ ბოხიაში და სრულიად დამშვიდდა. როგორც ჩანს, საქმე კარგად მიდიოდა; განძი, ალბათ, კვლავ შენახულია ¹²-ში, ორივე არამზადას დღესვე დაიჭერენ, ღამით კი ტომთან ერთად ჰეკი უწვალელებლად დაეპატრონება იმათ განძს. როგორც კი საუზმე გაათავეს, ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. ჰეკი წამსვე დაიძალა: სრულიადაც არ უნდოდა ეჭვი მიეტანათ, რომ ის მონაწილეობას იღებდა წინა ღამით მომხდარ ამბავში. მოხუცმა შემოუშვა რამდენიმე მანდილოსანი და მამაკაცი, მათ შორის ქვრივი დუგლასიც. ისიც შეამჩნია, რომ ფერდობზე მობობდავდა მოქალაქეთა მთელი ჯგუფი იქაურობის დასათვაიერებლად. ჩანს, ახალი ამბავი უკვე მოსდებოდა ქალაქს. უელსელმა უამბო მათ, რაც ღამით მოხდა. ქვრივი უსაზღვროდ მადლობელი იყო გადარჩენისათვის.

- არც ერთი სიტყვა, ქალბატონო, ამის შესახებ. აქ ჩარეულია სრულიად სხვა ადამიანი, რომელსაც უფრო მეტად უნდა უმადლოდეთ, ვიდრე მე და ჩემს ვაჟებს, მაგრამ ის ნებას არ მაძლევს დავასახელოთ. ის რომ არა, აბა რა გვაფიქრებინაბდე იქ მოსვლას.

ცხადია, ამ სიტყვებმა ისეთი ცნობისმოყვარეობა გამიწვია, რომ მთავარი გადაავინწყდათ. ეს ცნობისმოყვარეობა ელვის სისწრაფით გადაეცა მთელ ქალაქს, მაგრამ უელსელმა არ გასცა თავისი საიდუმლოება. როცა ყველაფერი დანვრილებით შეიტყო, ქვრივმა თქვა:

- წიგნით ხელში ჩამძინებოდა და არაფერი არ გამიგონია. რატომ არ შემოხვედით და არ გამაღვიძეთ?

- არ ღირდა. ის არამზადები, სულ ერთია, არ დაბრუნდებოდნენ. რად უნდა გაგვეღვიძებინეთ იმისათვის, რომ გული გაგვეხეთქა თქვენთვის? ჩემი სამი ზანგი ხომ მთელ ღამეს ყარაულობდა თქვენს სახლს. ისინი ეს არის ახლა დაბრუნდნენ.

მოვიდნენ სხვებიც და მთელი ორი საათის განმავლობაში ამეორებინებდნენ მოხუცს წინა ღამის ამბავს.

საკვირაო სკოლაში არდადეგების გამო არ იყო მეცადინეობა. სამაგიეროდ, დილაადრიან ეკლესიაში შეიკრიბნენ. მსჯელობის საგანი მომხდარი ამბავი იყო. ამბობდნენ, ავაზაკების კვალს ჯერ ვერ მიაგნესო. ქადაგების შემდეგ მოსამართლე თეტჩერის ცოლი წამოწვია მისის ჰარპერს, როცა ის ხალხთან ერთად გადიოდა ეკლესიიდან და უთხრა:

- ნუთუ ჩემი ბეკი მთელ დღეს ძილში გაატარებს? ასეც ვფიქრობდი, რომ უზომოდ დაიქანცებოდა.

- თქვენი ბეკი?

- დიახ (გაკვირვებული შეხედვა). განა თქვენთან არ გაათია ღამე?

- არა, რას ამბობთ.

მისის თეტჩერი გაფითრდა და სკამზე დაეშვა. სწორედ ამ დროს გამოიარა დეიდა პოლიმ. გაცხარებული რაღაცას ელაპარაკებოდა თავის მეგობარს.

- სალამი, მისის თეტჩერ! - მიმართა დეიდა პოლიმ. - დილა მშვიდობისა, მისი ჰარპერ.

ჩემი ბიჭი ისევ დამეკარგა. ალბათ თქვენთან რომელიმესთან დარჩა ღამე და ახლა ეკლესიაში მოსვლის ეშინია. იცის, კარგი დღე არ დაადგება.

მისის თეტჩერმა ოდნავ გააქნია თავი და უფრო გაფითრდა.

- ის ჩვენთან არ ყოფილა, - თქვა მისი ჰარპერმა, რომელიც, ცოტა არ იყოს, შეკრთა.

დეიდა პოლის სახეზე აღელვება დაეცყო.

- ჯო ჰარპერ, ამ დილით ნახე ჩემი ტომი? - ჰკითხა ბიჭს.

- არა, არ მინახავს.

- როდის ნახე უკანასკნელად?

ჯო შეეცადა გაეხსენებინა, მაგრამ დანამდვილებით ვერაფერი თქვა. ეკლესიიდან გამომსვლელები შეჩერდნენ, ხალხში ჩურჩული გაისმა. მოუსვენრობა და აღელვება დაეცყო. ბავშვებსა და ახალგაზრდა მასწავლებლებს დაუნყეს გამოკითხვა. აღმოჩნდა, რომ არავის არ ახსოვდა, იყვნენ თუ არა გემბანზე ბეკი და ტომი. როცა უკან

ბრუნდებოდნენ, უკვე ბნელოდა, არავის მოფიქრებია შეემონებინა, ყველა იყო თუ არა. ერთმა ყმანვილმა წამოაყრანტალა, - ვშიშობ, რომ გამოქვაბულში დარჩნენო! - მისის თეტჩერს გული შეუღონდა, დეიდა პოლიმ კი მორთო ტირილი და სიმწრით სულ ხელებს იმტვრევდა.

მოულოდნელი და სამნუხარო ამბავი გადადიოდა ერთი ადამიანიდან მეორეზე, ჯგუფიდან ჯგუფზე, ქუჩიდან ქუჩაზე. ხუთი ნუთის შემდეგ მთელ ბარებს აუყენეს გუგუნი, ხალხი ფეხზე დადგა. კარდიფის ფერდობზე მომხდარი ახალი ამბავი აღარავის ახსოვდა, ქურდები მიივიწყეს. ცხენებს კამბავდნენ, ნავეებს უშვებდნენ; გემი გაამზადეს და ნახევარი საათის შემდეგ ორას კაცამდე გაემართა გამოქვაბულისაკენ ზოგი შარავით და ზოგიც გემითა და ნავეებით.

თითქოს ამონყვებილიაო, ისე დაცარიელდა მთელი ქალაქი. მთელ დღეს არ გამოლეულად მეზობლები დეიდა პოლისთან და მისის თეტჩერთან. მიდიოდნენ დასამშვიდებლად, მათთან ერთად ტიროდნენ და სიტყვებს ესსჯობდა.

მთელი ღამე მოუთმენლად ელოდნენ ამბავს. მაგრამ როცა ირიჟრაჟა, გამოქვაბულიდან კაცი მხოლოდ სანოვაგისა და სანთლებისათვის გამოგზავნეს. მისის თეტჩერი ლამის ჭკუაზე შეშლილიყო. დეიდა ოლისაც ბევრი აღარაფერი უკლდა. მოსამართლე თეტჩერი გამამხნეველ ბარათებს გზავნიდა გამოქვაბულიდან, მაგრამ არაფერს შველოდა.

გათენებისას მოხუცი უელსელი დაბრუნდა შინ თიხითა და სანთლის ღვენტით დასვლირი. დაღლილობისაგან ფეხზე ძლივს იდგა. მას ჰეკი ისევ ლოგინში დახვდა.

ბიჭს დიდი სიციხე ჰქონდა. ექიმები გამოქვაბულში იყვნენ, ისე რომ ავადმყოფის მოვლა ქვრივმა დულგასმა იკისრა. ყურადღებას არ დავაკლებ, სულ ერთია, ცუდი ბიჭია თუ კარგიო, ღვთის შვილს უპატრონოდ ხომ არ დავტოვებო. უელსელმა უთხრა, ჰეკსაც აქვს მეტად კარგი თვისებებიო. ქვრივი დაეთანხმა:

- თქვენ მართალი ბრძანდებით. რაც ღვთის შექმნილია, მას ღვთის მადლიც ზედ აცხია.

მისი ხელით შექმნილი ყოველი არსება მადლმოსილია. მძებნელთა ერთი ჯგუფი ჯერ კიდევ შუადღემდე დაბრუნდა ქალაქში უზომოდ დაღლილი; უფრო გამძლე და ამტანი ნაწილი კი დარჩენილიყო. დაბრუნებულებისაგან ბევრი ვერაფერი შეიტყვეს, გარდა იმისა, რომ მაძიებლებს გამოქვაბულის ყველა ტალანი დაეთვალიერებინათ, ისეთი ადგილებისთვისაც მიეღწიათ, სადაც ჯერ ადამიანის ფეხი არ შედგმულიყო; რომ აპირებდნენ დაეთვალიერებინათ ყველა კუნჭული და ნაპრალი; რომ ტალანების ლაბირინთში აქა-იქ ზოგჯერ გამკრთოდა სინათლე, დროდადრო

ისმოდა ყვირილი და სროლის ხმა ბნელით მოცულ გასასვლელეებში. ერთ ადგილს, გამოქვაბულის შორეულ ნაწილში, სადაც მოგზაურები ჩვეულებრივ არ შედიოდნენ, ქვაზე იპოვეს სანთლის ჭვარტლით გამოყვანილი ორი სიტყვა. "ბეკი, ტომი" და იქვე სანთლის

წვეთებით დანიღწკლული ლენტი. მისის თეტჩერმა იცნო ლენტი, ზედ ცრემლები დააფრქვია და თქვა, რომ ეს მისთვის ყველაზე ძვირფასი ნივთია, თავისი გოგონას უკანასკნელი სახსოვარი; ზოგი ამბობდა, ძებნისას დროდადრო შორს სინათლე გაიელვებდა, ყველა სიხარულით გარბოდა იმ მხარისაკენ, მაგრამ მწარედ

მოტყუებულნი რჩებოდნენ, რადგანაც ისევ თავისიანებს ხვდებოდნენო.

მძებნელთა ერთი ჯგუფი ჯერ კიდევ შუადღემდე დაბრუნდა ქალაქში უზომოდ დაღლილი; უფრო გამძლე და ამტანი ნაწილი კი დარჩენილიყო. დაბრუნებულებისაგან ბევრი ვერაფერი შეიტყვეს, გარდა იმისა, რომ მაძიებლებს გამოქვაბულის ყველა ტალანი დაეთვალიერებინათ, ისეთი ადგილებისთვისაც მიეღწიათ, სადაც ჯერ ადამიანის ფეხი არ შედგმულიყო; რომ აპირებდნენ დაეთვალიერებინათ ყველა კუნჭული და ნაპრალი; რომ ტალანების ლაბირინთში აქა-იქ ზოგჯერ გამკრთოდა სინათლე, დროდადრო

ისმოდა ყვირილი და სროლის ხმა ბნელით მოცულ გასასვლელეებში. ერთ ადგილს, გამოქვაბულის შორეულ ნაწილში, სადაც მოგზაურები ჩვეულებრივ არ შედიოდნენ, ქვაზე იპოვეს სანთლის ჭვარტლით გამოყვანილი ორი სიტყვა. "ბეკი, ტომი" და იქვე სანთლის

წვეთებით დანიღწკლული ლენტი. მისის თეტჩერმა იცნო ლენტი, ზედ ცრემლები დააფრქვია და თქვა, რომ ეს მისთვის ყველაზე ძვირფასი ნივთია, თავისი გოგონას უკანასკნელი სახსოვარი; ზოგი ამბობდა, ძებნისას დროდადრო შორს სინათლე გაიელვებდა, ყველა სიხარულით გარბოდა იმ მხარისაკენ, მაგრამ მწარედ

მოტყუებულნი რჩებოდნენ, რადგანაც ისევ თავისიანებს ხვდებოდნენო.

მძებნელთა ერთი ჯგუფი ჯერ კიდევ შუადღემდე დაბრუნდა ქალაქში უზომოდ დაღლილი; უფრო გამძლე და ამტანი ნაწილი კი დარჩენილიყო. დაბრუნებულებისაგან ბევრი ვერაფერი შეიტყვეს, გარდა იმისა, რომ მაძიებლებს გამოქვაბულის ყველა ტალანი დაეთვალიერებინათ, ისეთი ადგილებისთვისაც მიეღწიათ, სადაც ჯერ ადამიანის ფეხი არ შედგმულიყო; რომ აპირებდნენ დაეთვალიერებინათ ყველა კუნჭული და ნაპრალი; რომ ტალანების ლაბირინთში აქა-იქ ზოგჯერ გამკრთოდა სინათლე, დროდადრო

ისმოდა ყვირილი და სროლის ხმა ბნელით მოცულ გასასვლელეებში. ერთ ადგილს, გამოქვაბულის შორეულ ნაწილში, სადაც მოგზაურები ჩვეულებრივ არ შედიოდნენ, ქვაზე იპოვეს სანთლის ჭვარტლით გამოყვანილი ორი სიტყვა. "ბეკი, ტომი" და იქვე სანთლის

წვეთებით დანიღწკლული ლენტი. მისის თეტჩერმა იცნო ლენტი, ზედ ცრემლები დააფრქვია და თქვა, რომ ეს მისთვის ყველაზე ძვირფასი ნივთია, თავისი გოგონას უკანასკნელი სახსოვარი; ზოგი ამბობდა, ძებნისას დროდადრო შორს სინათლე გაიელვებდა, ყველა სიხარულით გარბოდა იმ მხარისაკენ, მაგრამ მწარედ

მოტყუებულნი რჩებოდნენ, რადგანაც ისევ თავისიანებს ხვდებოდნენო.

მძებნელთა ერთი ჯგუფი ჯერ კიდევ შუადღემდე დაბრუნდა ქალაქში უზომოდ დაღლილი; უფრო გამძლე და ამტანი ნაწილი კი დარჩენილიყო. დაბრუნებულებისაგან ბევრი ვერაფერი შეიტყვეს, გარდა იმისა, რომ მაძიებლებს გამოქვაბულის ყველა ტალანი დაეთვალიერებინათ, ისეთი ადგილებისთვისაც მიეღწიათ, სადაც ჯერ ადამიანის ფეხი არ შედგმულიყო; რომ აპირებდნენ დაეთვალიერებინათ ყველა კუნჭული და ნაპრალი; რომ ტალანების ლაბირინთში აქა-იქ ზოგჯერ გამკრთოდა სინათლე, დროდადრო

ისმოდა ყვირილი და სროლის ხმა ბნელით მოცულ გასასვლელეებში. ერთ ადგილს, გამოქვაბულის შორეულ ნაწილში, სადაც მოგზაურები ჩვეულებრივ არ შედიოდნენ, ქვაზე იპოვეს სანთლის ჭვარტლით გამოყვანილი ორი სიტყვა. "ბეკი, ტომი" და იქვე სანთლის

წვეთებით დანიღწკლული ლენტი. მისის თეტჩერმა იცნო ლენტი, ზედ ცრემლები დააფრქვია და თქვა, რომ ეს მისთვის ყველაზე ძვირფასი ნივთია, თავისი გოგონას უკანასკნელი სახსოვარი; ზოგი ამბობდა, ძებნისას დროდადრო შორს სინათლე გაიელვებდა, ყველა სიხარულით გარბოდა იმ მხარისაკენ, მაგრამ მწარედ

მოტყუებულნი რჩებოდნენ, რადგანაც ისევ თავისიანებს ხვდებოდნენო.

ასე გავიდა მოუსვენარი დღე და სამიჯ ღამე. მძიმედ და სულშემხუთავად მიიზღაზნებოდა დრო; ქალაქი სასონარკვეთილებში ჩავარდა. არავის არა ჰქონდა არაფრის გული. თვით ახალმა ამბავმა, რომ “სიფრთხილის დამცველი” სამიკიტნოს პატრონი ჩუმ-ჩუმად მაგარ სასმელს ინახავდა და ჰყიდდა, არცკი ააღელვა მოქალაქენი. როცა ჰეკს სიციხემ გაუარა და გონს მოვიდა, მისუსტებული ხმით საუბარი ჩამოაგდო სამიკიტნოზე და ბოლოს იკითხა, ჩემი ავადმყოფობის დროს ხომ არაფერი უპოვიათ “სიფრთხილის დამცველ” სამიკიტნოშიო. თან გული უსკდებოდა, ვაითუ არასასიამოვნო ამბავი გავიგო.

- იპოვეს, - უპასუხეს მას.

ჰეკი წამოხტა და გაკვირვებული თვალებით მიაჩერდა ქვრივ დუგლასს.

- რა? რა იპოვეს?

- არაყი. და სამიკიტნო დაკეტეს, დანეჭი, შვილო, როგორ შემაშინე!

- მხოლოდ ერთი მითხარით, ძალიან გთხოვთ, ვინ იპოვა, ტომ სოიერმა?

ქვრივს გული ამოუჯდა.

- კმარა, ჩემო კარგო; მე უკვე გითხარი, რომ შენ ბევრი არ უნდა ილაპარაკო, ძალიან ავად ხარ.

“ჩანს, არყის მეტი ვერაფერი უპოვიათ. ფული რომ ეპოვათ, დიდ აურზაურს გამოიწვევდა ქალაქში. ჩანს, განძი ხელიდან გაგვიქრა... სამუდამოდ დაგვეკარგა... ნეტავ, რა ატირებს ამას? საკვირველია რა აქვს სატირალი?”

აი, რა ფიქრები ანუხებდა ჰეკს და ამან ისე მოქანცა, რომ ჩაეძინა.

- დაეძინა საცოდავს, - თავისთვის ლაპარაკობდა ქვრივი. - “ტომ სოიერმა იპოვა”.

ნეტავ თვითონ ტომ სოიერს იპოვიდეს ვინმე! ცოტაღა თუ მოიძებნება ისეთი, ვისაც მისი პოვნის იმედი და ღონე შერჩა, რათა განაგრძოს ძებნა.

თავი ოცდამეთორმეტე

დავუბრუნდეთ ახლა ტომსა და ბეკის. ისინი სხვებთან ერთად დაეხეტებოდნენ გამოქვაბულის ბნელ ტალანებში და ათვალეიერებდნენ ყველაფერს, რაც კი რამ საკვირველი სანახავი იყო და რისთვისაც მაღაფარდოვანი სახელები შერქმიათ: “მისაღები დარბაზი”, “ტაძარი”, “ალადინის სრა-სასახლე” და სხვა. შემდეგ გამართა დახუჭობანას თამაში. ტომი და ბეკი მხურვალე მონანილეობას იღებდნენ, სანამ არ დაიქანცენ სირბილით. მერე გაჰყვნენ ერთ გრძელ, გაჭიმულ, მიხვეულ-მოხვეულ ტალანს, სანთლები მაღლა ეჭირათ და ცდილობდნენ წაეკითხათ ათასი სხვადასხვა სახელი, რიცხვი, მისამართი და დევზი, რომლებითაც აჭრელებული იყო ქვის კედლები. საუბარში გართულებმა ვერც კი შენიშნეს, როგორ გაჩერდნენ გამოქვაბულის ისეთ ალაგას, სადაც არავითარი წარწერა აღარ იყო. მათ სანთლის ჭვარტლით დანერეს ქვაზე თავიანთი სახელები და კვლავ წინ გასწიეს. მალე წყაროს მიადგნენ. წყარო კლდიდად გადმოდიოდა და თან მოჰქონდა კირიანი ნალექი, რომელიც დროთა მსვლელობაში მაგარი, კრიალა ქვიშის არშიისებურ ნიაგარას დამსგავსებოდა, ტანწვრილი ტომი გაძვრა ვიწრო ადგილში და ჩანჩქერს მიანათა სინათლე, ბეკი რომ ესიამოვნებინა. ტომმა შეამჩნია, რომ ჩანჩქერის უკან, ორ კედელს შორის ბუნებრივი კიბე ადიოდა და მას უმაღვე აღმოჩენების სურვილი დაეუფლა. ბეკის დაუძახა. მათ ნიშანი გააკეთეს კედელზე, გზა რომ არ დაჰკარგოდათ უკან დაბრუნებისას, და წინ გაემართნენ. დიდხანს იარეს ამ ტალანის მიხვეულ-მოხვეულ გასასვლელებში. უფრო და უფრო ქვევით, საიდუმლოებით მოცული სიღრმისაკენ მიდიოდნენ, მათ კიდევ გააკეთეს ნიშანი, შეუხვიეს და კვლავ განაგრძეს სხვა ახალ საკვირველებათა სანახავად, რათა შემდეგ ეამბნათ ზევით მყოფთათვის. ისინი მიადგნენ ერთ გამოქვაბულს, რომლის ვეებერთელა თაღიდან ეშვებოდა უამრავი ვბრჭყვიალა სტალაქტიტი ადამიანის ფეხის სისქე და სიგანე. მათ შემოუარეს გამოქვაბულს, მისი სიღმამით აღტაცებულებმა და ერთ-ერთი ტალანით უკანვე გავიდნენ. მალე წაანყდნენ საოცარ ნაკადულს, რომლის ნაპირები ბრჭყვიალა კრისტალებით იყო დათრთვილული. ეს ნაკადული იყო გამოქვაბულში, რომლის კმარა დაყრდნობოდა დიდი სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების შეერთებით გაჩენილ საოცარ სვეტებს. ისინი საუკუნეთა განმავლობაში ნაწვეთი კირნარევი წყლისაგან წარმოიშვნენ.

გამოქვაბულის თალი ღამურებით იყო სავსე, ათასობით შეჯგუფებულიყვნენ. სინათლემ დააფრთხო ისინი, ასობით წამოიშალნენ და წრიობით ეცნენ სანთლებს. ტომმა კარგად იცოდა მათი ამბავი, იცოდა, რა საფრთხეც მოეოდათ, ამიტომაც მაშინვე სტაცა ხელი ბეკის და გაიყვანა უახლოეს გასასვლელში. სწორედ დროზე მოასწრეს გასვა: ერთმა ღამურამ მოუქნია ფრთა ბეკის სანთელს და გაუქრო, როცა ის გამოქვაბულიდან გადიოდა; ღამურები დიდხანს მისდევდნენ უკან, მაგრამ ბავშვები ხან რომელ ტალანს ეცნენ, ხან რომელ გამოქვაბულს და ასე წვალებით, როგორც იყო, თავი დააღწიეს ამ განსაცდელს. ტომმა ახლა მინისქვეშა ტბა აღმოაჩინა, რომლის ნაპირები არცკი ჩანდა სანთლის შუქზე. ძალიან უნდოდა მისი დათვალიერება, მაგრამ ჯერ დასვენება არჩიეს. უცებ ქვესკნელის სამარისებურმა სიჩუმემ საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვებზე.

- ტომ, აქამდე არ მიმიქცევია ყურადღება, მაგრამ რა ხანია, ჩვენების ხმა არ გამიგია, - უთხრა ბეკიმ.

- შენ ხომ იცი, ბეკი, რომ ისინი ზევით არიან. ჩვენ კი ქვესკნელში; არც კი ვიცი, სადა ვართ: ჩრდილოეთით, სამხრეთით თუ აღმოსავლეთით. აქამდე მათი ხმა როგორ ჩამოაღწევს.

ბეკი შეწუხდა.

- ტომ, დიდი ხანია ასე დავდივართ? არა სჯობია, დავბრუნდეთ?

- მართალია, გვირჩევნია.

- ტომ, შეგიძლია გზა იპოვო? აქ ისეთი მიხვეულ-მოხვეული გასასვლელებია, რომ აღარაფერი გამეგება.

- ადვილად ვიპოვიდი გზას, ღამურები რომ არ ყოფილიყვნენ! თუ მათ ორივე სანთელი ჩაგვიქრეს, აი, ის იქნება საქმე. მოდი, სხვა გზის ძებნა ვცადოთ, იქნებ, იქით აღარ მოგვიხდეს გავლა.

- იმედი მაქვს, არ დავიკარგები. ეს შემზარავი იქნება! - და პატარა გოგო კიდევ შეხტა ამ საშინელების წარმოდგენაზე.

მათ რომელიღაც ტალანისაკენ გაუხვიეს და დიდხანს მიდიოდნენ უხმოდ, თან სულ აქეთ-იქით იხედებოდნენ, იქნება გასასვლელი ვიცნოთო. მაგრამ ყველაფერი უცნობი იყო მათთვის. ყოველთვის, როგორც კი ტომი იპოვიდა ახალ გასასვლელს, ბეკი სახეში იმედიანად უყურებდა. ისიც მხიარულად ეუბნებოდა:

- ეს ჯერ ის გზა არ არის, რომლითაც მოვედით, მაგრამ ნუ გეშინია, თავის დროზე იმასვე მივაგნებთ.

ყოველი მისი ცდა მარცხით თავდებოდა და თანდათან იმედს მთლიანად ჰკარგავდა. წარამარა უხვევდნენ ხამ მარცხნივ, ხან მარჯვნივ, ეგება როგორმე ვიპოვოთ ნაცნობი გზა, მაგრამ ამაოდ. დროგამოშვებით ტომი ეუბნებოდა: “ნუ გეშინია, საქმე კარგად მიდისო...” მაგრამ გულზე ბოღმა შემოსწლოდა და მისი ხმაც ისე ჟღერდა, თითქოს ამბობდა: საქმე ცუდად არისო. ბეკი შიშისაგან ტომს ეკვროდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, ცრემლები შეეკაპებინა, მაგრამ უშედეგოდ, ბოლოს თქვა:

- გამიგონე, ტომ, არაფერი უშავს, რომ იქ ღამურებია; ისევ იქ დავბრუნდეთ, თორემ უარესად ავკვრევა გზა-კვალი.

ტომი შედგა.

- უსმინე, - თქვა მან.

გარშემო ისეთი დუშული იყო გამეფებული, რომ საკუთარი გულისცემა ესმოდათ. ტომმა დაიყვირა. მისი ხმა დაირხა ცარიელ ხვრელებსა და გამქვაბულებში და შორს ყრუდ მიწყდა; გეგონებოდათ, ვიღაცა დაცინვით ხარხარებსო.

- ოჰ, ტომ, ნუ ყვირი, ეგ უფრო მაშინებს! - უთხრა ბეკიმ.

- მართალია, მაგრამ იქნებ ყვირილი სჯობდეს, ბეკი, შეიძლება გაიგონონ, - და ხელახლა დაიყვირა.

ეს “იქნება გაიგონონ” ისე იყო თქმული, რომ პატარა გოგონა ამან უფრო შეაშინა, ვიდრე დამცინავმა ხარხარმა; მისთვის აშკარა გახდა, რომ ტომმა იმედი დაკარგა. ბავშვები საპასუხო ძახილის მოლოდინში ჩუმად იდგნენ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ.

არავინ არ გამოეხმაურა. ტომი უკან გამობრუნდა და ფეხს აუჩქარა. მალე მისმა გაუბედავმა მოქმედებამ გამოამჟღავნა მეორე საშინელი ამბავი: მას უკვე აღარ შეეძლო გზის პოვნა.

- ტომ, რატომ ნიშნებს არ ტოვებდი გზადაგზა?

- ბეკი, სულელი ვარ და იმიტომ! ფიქრადაც ამ მომსვლია, რომ უკან დაბრუნება დაგვჭირდებოდა. ახლა კი გზის პოვნა აღარ შემეძლია, სულ დავიბენი.

- ტომ ტომ, ჩვენ გზა დავკარგეთ და ვეღარასოდეს თავს ვეღარ დავაღწევთ ამ საშინელ გამოქვაბულს. ოჰ, რად ჩამოვრჩით ჩვენებს!

ბეკი უღონოდ დაეშვა მინაზე და ისეთი ქვითინი ამოუშვა, რომ ტომს გული გაუსკდა: ეგონა, ახლა ან მოკვდება ან ჭკუაზე შეიშლებოდა. ტომი გვერდით მიუჯდა და მოეხვია, ბეკი ქვითინებდა და თან ეკვროდა ტომს; ახლა მთლად გამოამჟღავნა თავისი შიში; ჩიოდა და ნანობდა წამოსვლას; შორეულ გამოძახილს ბეკის ხმა უკან მოჰქონდა დამცინავი ხარხარით. ტომი გამხნევებას სთხოვდა, მაგრამ ის პასუხობდა, არ შემძლიაო. მაშინ ტომმა თავის თავს დაიწყა ლანძღვა, რომ ასეთ საშინელ მდგომარეობაში ჩააგდო ბეკი. ამან უფრო იმოქმედა პატარა გოგონაზე. მან უთხრა: გულს გავიმაგრებ და ყველგან გამოგყვები, სადაც კი წამიყვან, ოღონდ ასე ნუ ლაპარაკობ, რადგანაც შენზე ნაკლები დამნაშავე არც მე ვარო. წამოდგნენ და გასწიეს სრულიად უმიზნოდ; მიდიოდნენ უგზო-უკვლოდ, მიდიოდნენ იმიტომ, რომ ერთ ადგილზე ყოფნა არ შეეძლოთ, მიდიოდნენ, რადგანაც ამ სიარულის მეტი აღარაფერი დარჩენოდათ.

კვლავ იმედი მიეცათ მცირე ხნით. იმიტომ კი არა, რომ ამის მიზეზი არსებობდა, არამედ იმიტომ, რომ იმედი ყოველთვის ცოცხლობს, სანამ ადამიანი ახალგაზრდაა და მარცხს არ არის შეჩვეული.

მაღე ტომმა გამოართვა სანთელი ბეკის და ჩააქრო. გასაგები იყო, რასაც ნიშნავდა ასეთი მომჭირნეობა. ბეკიმ ეს აუხსნელად იგრძნო და ისევ დაეცა სულით. მან კარგად იცოდა, რომ ტომს ჯიბეში ედო ერთი მთელი სანთელი და სამი თუ ოთხი ნამწვი, მაგრამ მაინც დაზოგა.

ბავშვებმა თანდათან იგძნეს დაღლა; მაგრამ ცდილობდნენ არაფრად არ ჩაეგდოთ, ეშინოდათ, დამსხდარიყვნენ მაშინ, როცა თითოეული წამი ძვირად უღირდათ; მათ ერჩინათ მოძრაობა, რა მიმართულებითაც არ უნდა ყოფილიყო, იქნებ გასასვლელთანაც მისულიყვნენ! ერთ ადგილას დადომა კი სიკვდილის დაჩქარებას ნიშნავდა.

ბოლოს ბეკის მუხლი მოეკვეთა და ფეხის გადადგმა აღარ შეეძლო. ის დაჯდა. ტომი გვერდით მიუჯდა. ჩამოაგდეს ლაპარაკი თავიანთ სახლზე, ქალაქში დარჩენილ მეგობრებზე, გაიხსენეს თბილი ლოგინი და, რაც მთავარია, სინათლე! ბეკი ატირდა; ტომი ცდილობდა რამე ეღონა, რამე ეთქვა მის დასამშვიდებლად, მაგრამ ამაოდ ყველაფერი უკვე იმდენჯერ ითქვა, რომ ბეკიზე აღარ მოქმედებდა და დაცინვასავით გაისმოდა. ბეკი ისე იყო მოქანცული, რომ ბოლოს დაეძინა. ტომს გაუხარდა. ის დასცქეროდა გოგონას მოქანცულ სახეს და ხედავდა, როგორ ქრებოდა თანდათანობით მისი მწუხარება; სასიამოვნო სიზმარს თუ ხედავდა; მის ტუჩებზე ღიმილი კრთოდა და დიდხანს შემორჩა ეს ღიმილი. მძინარე გოგონას მშვიდმა სახემ ტომს სიმშვიდე მოჰგვარა და იგი ფიქრებით გადაეშვა წარსულში... მოგონებებში... ისე გაიტაცა ფიქრებმა, რომ ბეკის გაღვიძება ვერც კი შეამჩნია. ბეკი ჩუმად იცინოდა. მაგრამ სიცილი მსწრაფლ გაუქრა და ოხვრა აღმოხდა.

- როგორ მომივიდა, რომ ჩამეძინა! თუმცა, ნეტავი აღარ გამღვიძებოდა! არა, არა, ტომ, ნუ მიყურებ ასე! ასეთ სისულელეებს აღარ ვილაპარაკებ.

- მიხარია, რომ გეძინა, ბეკი, ახლა დასვენებული ხარ და შეგვიძლია ისევ გზის ძებნა დავიწყოთ.

- ვცადოთ, ტომ. სიზმარში შესანიშნავი მხარე ვნახე და მგონია, მაღე მივადნევთ მას.

- იქნებ მივადნვიოთ, ან იქნებ არა. გამხნევდი, ბეკი, აბა, გავწიოთ!

წამოდგნენ და გაემართნენ ხელჩაკიდებულნი, მაგრამ იმედი კი არაფრისა არ ჰქონდათ. ცდილობდნენ ევარაუდათ, რამდენ ხანს იყვნენ გამოქვაბულში; მათი წარმოდგენით, რამდენიმე კვირაც კი გავიდა, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელი იყო, სანთლები ჯერ არ გამოლეოდათ.

ამის შემდეგ დიდხანს იარეს უხმოდ, ტომმა თქვა: მოდი, ყური დავუგდოთ, წყლის წვეთების ხმა ხომ არსაიდან ისმისო. წყაროს პოვნა უნდოდათ და იპოვეს კიდევ. ტომის ამრით, კიდევ შესვენება იყო საჭირო, ორივენი მოქანცულები იყვნენ; მაგრამ ბეკიმ სიარული ამჯობინა და ძალიანაც გაუკვირდა, როცა ტომი არ დათანხმდა. ის ვერაფერს მიხვდა. ჩამოსხდნენ, ტომმა თიხის ნაჭრით მიამაგრა სანთელი კედელს. ორივენი ჩაფიქრდნენ და კარგა ხანს ხმა არ ამოუღიათ. ბეკიმ პირველმა დაარღვია სიჩუმე:

- ტომ, ძალიან მომშივდა!

ტომმა რაღაცა ამოიღო ჯიბიდან.

- გახსოვს?

ბეკიმ ოდნავ გაიღიმა.

- ეს ჩვენი საქორწინო ნამცხვარია, ტომ.

- ნეტავ ვეებერთელა ნაჭრად გადაიქცეოდეს, ამის მეტი ხომ არაფერი გვაქვს, - თქვა ტომმა.

- ეგ ნაჭერი მე განგებ შევინახე პიკნიკის დროს. მინდოდა ბალიშქვეშ ამომედო, როგორც დიდებს სჩვევიათ, მაინტერესებდა, ვის ვნახავდი სიზმარში; მაგრამ ეს იქნება ჩვენი უკანასკ...

ბეკიმ აღარ დაასრულა. ტომმა ნამცხვარი ორ ნაწილად გაყო. ბეკიმ მაღიანად მიირთვა თავისი ნაწილი, ტომმა კი მხოლოდ აციცქნა ნაპირები. წყურვილს ადვილად მოიკლავდნენ, იქვე ცივი წყარო მონკრიალებდა. ცოტა ხნის შემდეგ ბეკიმ ნასვლის სურვილი განაცხადა. ტომი ცოტას დაფიქრდა და მერე თქვა:

- ბეკი, შეგიძლია წყნარად მოისმინო, რასაც გეტყვი?

ბეკი გაფითრდა, მაგრამ მაინც უპასუხა:

- ვგონებ შევძლებ.

- აი, რა ბეკი. ჩვენ აქ უნდა დავრჩეთ; აქ წყალი მაინც გვექნება. ეს ერთი პატარა ნამწვილა დაგვრჩენია.

ბეკი ატირდა. ტომი ცდილობდა, დაემშვიდებინა, მაგრამ უშედეგოდ, ბოლოს ბეკიმ თქვა:

- ტომ!

- რა, ბეკი?

- ცხადია, მოგვაკითხავენ და ძებნას დაგვინწყებენ.

- რასაკვირველია, მოგვძებნიან.

- იქნებ ახლაც გვეძებენ, ტომ?

- იქნება ასეც იყოს, მე იმედი მაქვს, ეს ასეც იქნება.

- ტომ, როგორ გგონია, როდის მოვაგონდებოდით?

- ალბათ, როდესაც გემზე დაბრუნდებოდნენ.

- ტომ, მაშინ ხომ უკვე ებნელებოდა და განა ვინმე ნიშნავდა, რომ იქ არ ვიყავით?

- ეგ აღარ ვიცი... ყოველ შემთხვევაში, დედაშენი მაინც შეამჩნევდა, როცა სხვები დაბრუნდებოდნენ.

ბეკის შეშინებულმა სახემ გამოაფხიზლა ტომი და მიხვდა, რომ სისულელე თქვა. ბეკის ხომ არ მიელოდნენ შინ ამ ღამეს. ბავშვები გაჩუმდნენ და ისევ ფიქრს მიეცნენ. ცოტა ხნის შემდეგ ბეკი კვლავ აქვითინდა და ტომმა შეატყო, რომ ორივეს ერთი და იმავე ფიქრმა გაუელვა: კვირა დილა შეიძლება ისე მიილიოს, მისის თეტირმა ვერც კი გაიგოს, რომ ბეკი ღამე მისის ჰარპერთან არ ყოფილა. ბავშვები თვალს არ აშორებდნენ სანთლის უკანასკნელ ნამწვს, რომელიც ნელ-ნელა ილეოდა, ბოლოს თითქმის მთლად ჩაიწვა. მისი ალი ხან აბრიალდებოდა, ხან მიილეოდა; მერე წვრილ ნაკადად აღიმართა, ერთხანს ბოლოზე აელვარდა, მერე კი სულ ჩაიწვა და უკუნეთი სიბნელე გამოეფდა.

ბეკი თავისდაუნებურად ჩაეკრა ტომს და ატირდა. არც ერთმა არ იცოდა, რამდენ ხანს იყვნენ ასე. მათ ეგონათ, რომ ძალიან დიდმა ხანმა განვლო და მხოლოდ ახლა

გამოფხიზლდნენ საშინელი ძილისგან და გაახსენდათ თავიანთი უბედურება. ტომმა თქვა, დღეს, ალბათ, უკვე კვირაა, ან შეიძლება, ორშაბათიცო. ცდილობდა,

აელაპარაკებინა ბეკი, მაგრამ გოგონა ძალიან დამწუხრებული იყო, აღარაფრის იმედი აღარ ჰქონდა. ტომი არწმუნებდა, რომ მათ არყოფნას უკვე დიდი ხანია შეამჩნევდნენ და ახლა, ალბათ, მათ ძებნაში იქნებოდნენ. ტომი ყვირილს დაიწყებს, უთუოდ ვინმეს გააგონებს, გამოეხმაურებიან და მოვლენ მათ ნასაყვანად. ტომმა დაიყვირა, მაგრამ სიბნელეში შორეული გამოზახილი ისე საზარლად ისმოდა, რომ მეორედ დაყვირება ვეღარ გაბედა.

დრო გადიოდა. ბევშვებს ისევ მოშივდათ. ტომმა თავისი წილი ნამცხვარი ორად გაანაწილა, ჭამეს, მაგრამ უფრო მეტი შიმშილი იგრძნეს.

- ჩუ... - თქვა ტომმა, - გესმის?

ბეკიმ სული განაბა და ყური მიუგდო. შორიდან ოდნავ მოისმა ხმა, თითქოს ვიღაც ყვიროდა. ტომი სასწრაფოდ გამოეხმაურა, ხელი ჩასჭიდა ბეკის და იქით გასწიეს,

საიდანაც ხმა ისმოდა, ტომი შეჩერდა, ხმა კვლავ განმეორდა, თითქოს უფრო ახლოს.

- ისინი არიან! - შესძახა ტომმა, - ისინი მოდიან აქეთკენ. ნამოდი, ბეკი, ნუ გეშინია, ახლა კი გადავრჩით!

პატარა ტყვეებმა სიხარულისაგან აღარ იცოდნენ, რა ექნათ. მაგრამ აჩქარება არ შეიძლებოდა, რადგანაც ორმოცი ბლომად იყო და უნდა გაფრთხილებულიყვნენ. ერთ ორმოსთან ძალაუნებურად შეჩერდნენ. ორმო შეიძლება სამი ფუტის სიღრმისა იყო, შეიძლება ასი ფუტისაც - სულ ერთია, გადასვლა მაინც შეუძლებელი იყო. ტომი მიწაზე დაემხო და ხელით დაიწყო სინჯა. ორმოს ძირს ვერ ჩასწვდა. უნდა შეჩერებულიყვნენ და დალოდებოდნენ, სანამ მათ ნასაყვანად მოვიდოდნენ. ბავშვებმა კვლავ მიუგდეს ყური, მაგრამ ხმა თითქოს უფრო შორდებოდა მათ. ცოტა ხანიც და, სრულიად მიწყდა. რა საშინელებაა! ტომი ყვიროდა, სანამ ხმა არ ჩაეხრინა. საუკუნემ განვლო შემადრწუნებელ მოლოდინში, მაგრამ არავითარი ხმა არ ისმოდა.

ბავშვები ხელი ფათურით დაბრუნდნენ უკან, წყაროსთან. დრო ზღაბვნიტ მიდიოდა, მათ ისევ დაეძინათ და გამოეღვიძათ მშვიტებსა და განწირულებს. ტომის აზრით, უკვე სამშაბათი იყო.

უცებ გაუეღვა ერთმა აზრმა; მას ახლოს რამდენიმე ტალანი იყო. უსაქმოდ ყოფნას და წუხილს იქნებ სჯობდა მათი დათვალიერება, ჯიბიდან ამოიღო კანაფის გორგალი, კანაფი კლდის წვერს მოაბა, ჩასჭიდა ბეკის ხელი და გასწიეს. ტომი წინ მიუძღოდა; კანაფის გორგალი თანდათან იხსნებოდა. იცი ნაბიჯის შემდეგ ტალანი თავდებოდა ფლატით. ტომმა დაიხოქა და მოსინჯა დედამინა; ხელი ჯერ კუთხისაკენ გაანვდინა, შემდეგ მარჯვნივ დაპირა და სწორედ იმ წუთს, სულ ოციოდე ნაბიჯზე, გამოჩნდა ადამიანის ხელი სანთლით. ტომმა სიხარულისაგან შეჰყვირა. მაგრამ უცებ გამოჩნდა ადამიანის ტანიც; ეს იყო ინდიელი ჯო. ტომი გაშრა შიშისაგან; მას არ შეეძლო განძრევა. თითქოს ხელ-ფეხი გაუქვავდაო. მაგრამ იმავე წუთს დიდი სიხარულით აღივსო, რადგან “ესპანელმა” ზურგი შეაქცა და სწრაფად მიეფარა. ტომს გაუკვირდა, როგორ არ იცნო ჯომ ჩემი ხმა და არ მომვარდა მოსაკლავად სასამართლოში მიცემული ჩვენებისთვისო. მაგრამ ჩანს, გვირაბმა შემიცვალა ხმა, უთუოდ ასე იყო. შიშისაგან ტომი მთლად მოეშვა. თავის თავს ეუბნებოდა, თუ ძალა მეყოფა, დავბრუნდები წყაროსთან და იქიდან ფეხს აღარ მოვიცვლი, ხომ შეიძლება ინდიელ ჯოს ისევ ნავანყდო. ბეკის დაუმალა, რაც ნახა და უთხრა, ბედის საცდელად შევყვირო. მაგრამ შიშილმა და წვალეობამ შიშსა სძლია. წყაროსთან დიდხანს ჯდომის შემდეგ მათ ხელახლა ჩაეძინათ და განწყობილებაც შეეცვალათ. ბავშვები საშინლად შეანუხა შიმშილმა; ტომს სჯეროდა, რომ ახლა უკვე ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, ან იქნებ შაბათიც იყო და რომ მძებნელებს უთუოდ დაეკარგათ მათი პოვნის ყოველგვარი იმედი. მან გადაწყვიტა კიდევ სხვა ტალანის დათვალიერება. ტომს უკვე აღარც ჯოსთან შეხვედრისა ეშინოდა, აღარც სხვა რამისა. ბეკი მეტად დასუსტდა. იგი შეიპყრო რაღაც სევდამ და გულგრილობამ და მისი ამ მდგომარეობიდან გამოყვანა შეუძლებელი იყო. ის ამბობდა: დავრჩები ამ ადგილას, სადაც ვზივარ და მოვკვდები, ლოდინი დიდი ხანი არ დამჭირდებაო. ტომს კი ურჩია, თავისი კანაფით წასულიყო, თუ უნდოდა. ბეკი ემუდარებოდა, ხშირად დაბრუნებულიყო მასთან გამოსალაპარაკებლად და სიტყვაც კი ჩამოართვა, უკანასკნელი წუთები რომ დამიდგება, ჩემ გვერდით იყავი და ჩემი ხელი გეჭიროს, სანამ სული ამომხდებო. ტომმა აკოცა, თან სულ ბოღმა აღრჩობდა. დააიმედა: ან გასასვლელს ვიპოვნი, ან ჩვენს მძებნელებს შევხვდებით. შემდეგ აიღო კანაფი და მუხლის თავებზე წაფოფხდა ერთ-ერთი ტალანისაკენ, სასონარკვეთილი შიმშილისა და მოახლოებული დაღუპვის გამო.

თავი ოცდამეცამეტე

დადგა სამშაბათი, მოსალამოვდა კიდევ. პატარა ქალაქი სანკტ-პეტერბურგი კვლავ სევდით იყო მოცული: დაკარგული ბავშვები არ ჩანდნენ. ეკლესიაში პარაკლისიც კი გადაიხადეს მათ გადასარჩენად. ბევრნი ევედრებოდნენ ღმერთს სულით და გულით მათ გადარჩენას, გამოქვამულიდან კი არავითარი სასიხარულო ამბავი არ მოდიოდა. მძებნელთა მეტმა ნაწილმა თავი მიანება ძებნას და თავის ჩვეულებრივ საქმიანობას დაუბრუნდა. ამბობდნენ: ბავშვების პოვნა უკვე შეუძლებელიაო. მისის თეტჩერი ლოგინად ჩავარდა და თითქმის სულ ბოდავდა. მისი მნახველები ამბობდნენ, გული გვიკვდება, როცა გვესმის, როგორ ეძახის თავის გოგონას; წამოწევს თავს, დიდხანს ყურს უგდებს, შემდეგ ამოიოხრებს და დაქანცული ისევ ბალიშზე მიესვენებაო. დეიდა პოლის სევდას ხომ საზღვარი არ უჩანდა. შევერცხლილი თმა თითქმის მთლად გაუთეთრდა. სამშაბათ საღამოს ქალაქი სევდიან, სასონარკვეთილ ძილს მიეცა. შუადამისას მოულოდნელად ატყდა ზარების გამმაგებელი რეკვა და ქუჩა ერთ წამში გაივსო ნახევრად შიშველი ხალხით. ხმამაღლა გაჰყვიროდნენ: “გამოდით! გამოდით! იპოვეს! იპოვეს!” იყო ერთი ზარების რეკვა, საყირების განგაში. მთელი მოსახლეობა გარბოდა მდინარისაკენ ბავშვების შესახვედრად, რომლებიც თავახდილი ეტლით მოჰყავდათ.

ხალხი შემოხვეოდა ეტლს, ბავშვებს აცილებდნენ სახლისაკენ. მთავარ ქუჩაზე მოდიოდნენ დიდი ხმაურითა და განუწყვეტელი “ვაშას” ძახილით.

მთელი ქალაქი გაჩირადნა: ძილისთვის ვიღას ეცალა! ასეთი დიდებული ღამის მომსწრე არასოდეს არ ყოფილა პატარა ქალაქი. ნახევარ საათში მოსამართლე თეტჩერის ბინაზე გაჩნდა ქალაქის თითქმის ყველა მცხოვრები, ეხვეოდნენ გადარჩენილ ბავშვებს, ჰკოცნიდნენ; ხელს ართმევდნენ მისის თეტჩერს, ცდილობდნენ რაღაცის თქმას, მაგრამ ვერ ახერხებდნენ და გასვლისას ცრემლებს აფრქვევდნენ იქაურობას. დეიდა პოლი ცას უნია ბედნიერებისაგან, ასევე მისის თეტჩერიც, მაგრამ მისის თეტჩერი სრულ ბედნიერებას მხოლოდ მაშინ იგრძნობდა, როცა მდევარი გამოქვაბულში მყოფ მის ქმარს სასიხარულო ამბავს შეატყობინებდა.

ტომი გადაწოლილიყო სავარძელზე და განცვიფრებულ მსმენელებს უამბობდა თავის გასაოცარ თავგადასავალს, თანაც შესალამაზებლად ბევრ მოგონილ ამბავსაც ჩმახავდა. დასასრულს უამბო, როგორ დატოვა ბეკი და წავიდა გზის საძებნელად. ორი ტალანი რომ გაიარა, კანაფი ძალზე დაჭიმა და მესამესაც მიაღწია, ის იყო, უკან დაბრუნებას აპირებდა, რომ უცებ მის წინ დღის სინათლესავით რაღაცამ გაიელვა. ხელი გაუშვა კანაფს და იქით გაეშურა; გაყო თავი და მხრები სულ პატარა ხვრელში და დაინახა მისისიპის აბობაქრებული ტალღები. ღამე რომ ყოფილიყო, ტომი ვერ შეამჩნევდა სინათლის წერტისლ და არც თავში მოუვიდოდა ტალანის ბოლომდის მისვლა. როცა დაბრუნდა ბეკისთან სასიხარულო ამბის შესატყობინებლად, მან არ დაუჯერა და სთხოვა, ასეთი სისულელეებით ნუღარ შემანუხებ, ძალიან დავიღალე და მიხარია, სიკვდილი რომ მიახლოვდებაო. ტომმა ახლა ის თქვა, როგორ გაუძნელდა დაერწმუნებინა ბეკი სინამდვილეში და რომ იგი კინალამ შეიშალა სიხარულისაგან, როცა იმ ადგილამდე მიხობდა, საიდანაც დღის სინათლე მოჩანდა. თქვა, როგორ გამოაღწია ხვრელიდან ჯერ თვითონ და მერე ბეკისაც უშველა გამოსვლა, როგორ ისხდნენ და ტიროდნენ სიხარულისაგან, როგორ დაინახეს თავიანთ ახლოს ნავი; როგორ გამოეხმაურა რომ შიგ მყოფთ, აუხსნა თავიანთი მდგომარეობა და უთხრა, რა საშინლად არიან დამშეულები. მათ ჯერ არ დაუჯერეს ტომს. თქვეს, ეგ შეუძლებელია, რადგანაც გამოქვაბული აქედან ხუთი მილის მანძილზეაო. მაგრამ მაინც ჩასხეს ნავში, მიიყვანეს რომელიღაც სახლში, ავახშმეს, დაასვენეს ორი თუ სამი საათი და შებინდებისას წამოიყვანეს შინისაკენ. გათენებამდე მოსამართლე თეტჩერი და ორიოდე მისი მხლებელი მოძებნეს გამოქვაბულში თოკის საშუალებით, რომელიც მათ კვალს მიჰყვებოდა, და აცნობეს სასიხარულო ამბავი.

სამი დღე-ღამის შიმშილს და შიმშს უშედეგოდ არ ჩაუვლია. ამაში მალე დარწმუნდნენ ტომიც და ბეკიც. ოთხშაბათი და ხუთშაბათი ორივემ ლოკინში გაატარა. თანდათანობით უფრო იგრძნეს საშინელი მოქანცულობა და სისუსტე. ტომი ხუთშაბათს წამოდგა, პარასკევს სახეტაილოდ წავიდა ქალაქში და შაბათს უკვე ყოჩაღად გამოიყურებოდა; ბეკი კი კვირამდე არ გამოსულა ოთახიდან და გამოსვლისასაც ისეთი შეხედულება ჰქონდა, თითქოს მძიმე ავადმყოფობა გადაუტანიო.

ტომმა გაიგო ჰეკის ავადმყოფობა და პარასკევს გაემართა მის სანახავად. მაგრამ არ მიუშვეს არც იმ დღეს, არც შაბათს და არც კვირას. შემდეგ კი ყოველდღე უშვებდნენ, მაგრამ ნება არ მისცეს ეამბნა ავადმყოფისათვის გამოქვაბულის ამბავი და საერთოდ რაიმე ამაღელვებელი რამ.

ქვრივი დუგლასი ამის გამო ერთთავად მათთან იჯდა. შინ ტომმა შეიტყო, რომ ქვრივი კინალამ გაძარცვეს; რომ ერთერთი ქურდის გვაში იპოვეს მდინარეში ბორნის ახლოს: აბათ, დაიხრჩო, როცა მდევარი მისდევდაო.

გამოქვაბულიდან თავის დახსნის შემდეგ ორი კვირა იყო გასული. ტომი კვლავ გაემართა ჰეკის სანახავად. იგი ისე მომჯობინდა, რომ შეიძლებოდა მასთან ყველაფერზე ლაპარაკი. ვინაიდან მოსამართლის სახლის წინ უნდა გაევილო, ჩვენი გმირი ბეკის სანახავადაც შევიდა. მოსამართლეს სტუმრები ჰყავდა; მათ ტომს დაუწყეს ლაპარაკი და ვიღაცამ ხუმრობით ჰკითხა: ხომ არ გინდა გვირაბში ხელმეორედ ყოფნაო?

ტომმა უპასუხა: არაფერი მექნება სანინააღმდეგო.

- ეჭვი არ მეპარება, ტომ, მიმბაძველები გამოგიჩნდება, - უთხრა მოსამართლემ, - მაგრამ ჩვენ უკვე მივიღეთ ზომები, ახლა გვირაბში ველარავინ შევა.

- როგორ?

- როგორ და ისე, რომ ჯერ კიდევ ორი კვირის წინ გავეცი განკარგუება გვირაბში შესასვლელი რკინით მოეჭედათ და სამნაირი საკეტით დაეკეტათ. გასაღები მე მაქვს. ტომი მიტკალივით გაფითრდა.

- რა მოგივიდა, ბიჭიკო? ჰეი, ვინა ხართ მანდ, მოიტათ ერთი ჭიქა წყალი!

მოიტანეს წყალი და სახეზეასხურეს ტომს.

- აი, ახლა კი უკეთესად ხარ. რა დაგემართა, ტომ?

- ოჰ, მოსამართლე, იქ, გამოქვაბულში... ინდიელი ჯო!

თავი ოცდამეთოთხმეტე

რამდენიმე წუთში ახალი ამბავი მთელს ქალაქს მოედო. ცოტა ხნის შემდეგ კი ხალხით დატვირთული თორმეტობე ნავი გაემართა მაკ-დუგალის გამოქვაბულისაკენ. მალე მას გაჰყვა პატარა გემიც, ისიც ხალხით გაჭედილი. ტომ სოიერი ცალკე ნავით მოცურავდა მოსამართლე თეტჩერთან ერთად. როგორც კი კარი გაიღო, გამოქვაბულის ბინდბუნდში დამსწრეთ თვალწინ წარმოუდგათ საშინელი სანახაობა. მინაზე ეგდო მკვდარი ჯო. პირისახით კარის ნაპრალს მიყრდნობოდა, თითქოს უკანასკნელ წუთამდე არ უნდოდა მოეშორებინა სევდიანი თვალები ნათელი და მხიარულებით აღსავსე სამყაროსათვის. ტომს შეეცოდა იგი. საკუთარი გამოცდილებით იცოდა, რა ტანჯვასაც გამოივლიდა ის უბედური. ინდიელი ჯო ძალიან ებრალებოდა, მაგრამ იმავე დროს მის გულს სიმშვიდე მოეფინა; მხოლოდ ახლა იგრძნო, რა მძიმე ლოდად აწვა გულზე მუდმივი შიში იმ დღიდან, რაც სისხლისმეღი არამზადის წინააღმდეგ ხმა აღიმალა. გვამის მახლობლად ეგდო შუაზე გადატეხილი სანადირო დანა. კარის ქვედა ძელი სულ ნაჩორნი იყო. კარების გარეთ კლდე ზღურბლივით შემადლებულიყო და აბა, იმას რას დააკლებდა მისი დანა! მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, ჯოს შრომა მაინც ამაო იქნებოდა, ქვედა ძელი რომ გამოემტვრია კიდევ. კარებქვეშ, სულ ერთია, ვერ გამოეტეოდა. ეტყობა, თვითონაც გრძნობდა ამას, მაგრამ ძელს მხოლოდ იმიტომ ჩორკნიდა, რომ ცუდად ყოფნა ეძნელებოდა. ჩვეულებრივ, კედლის ნაპრალებში ხშირად შეხვდებოდით ტურისტების მიერ დატოვებულ სანთლის რამდენიმე ნაძვს. ახლა კი ერთიც აღარ ჩანდა: გამოქვაბულის ტყვეს მოეძევნა ისინი და შეეჭამა, მხოლოდ ბრჭყალები დაეტოვებინა; საცოდავი შიშშილით მომკვდარიყო. იქვე, შესასვლელის ახლოს მინიდან ამოზიდულიყო სტალაგმიტი, რომელიც ჟამთა ვიტარებაში გაჩენილიყო მის ზემოთ მყოფი სტალაქტიტისაგან ჩამონაჟონი წყლით. ტყვეს მოეგლიჯა სტალაგმიტის თავი, ამოეღრმავებინა ქვა და ზედ დაედო, რათა მოგროვილიყო წყლის ძვირფასი წვეთები, რომლებიც ეცემოდა ყოველ ოც წუთში ერთხელ, დღეღამის, ე.ი. ოცდაოთხი საათის განმავლობაში, ვროვდებოდა მხოლოდ ერთი სუფრის კოვზი. ეს წვეთი ვარდებოდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა შენდებოდა პირამიდები, როცა შეიმუსრა ტროა, როცა დაარსდა ქალაქი რომი, როცა ჯვარს აცვეს ქრისტე, როცა ვილჰელმ დამპყრობელმა შექმნა ბრიტანეთის იმპერია, როცა კოლუმბი მიცურავდა ამერიკის აღმოსაჩენად. როცა ლესინგტონის ბრძოლა ჯერ კიდევ ახალი მომხდარი იყო. ეს წვეთები ახლაც ეცემა და არ სეჩერდება არც მაშინ, როცა ეს ყველაფერი იქცევა ისტორიის გუშინდელ დღედ, როცა ჩაინთქმება წარსულის ბინში და დავინწყების წყვილიადში. ნუთუ ყველაფერს თავისი აზრი და დანიშნულება აქვს? ნუთუ ეს წვეთები ცვიოდა მოთმინებით ხუთი ათასი წლის განმავლობაში მხოლოდ იმიტომ, რომ თავის დროზე წყურვილი მოეკლა ამ ადამიანის ჯიშის მწერისათვის? ან იქნება, კიდევ მოელის რაიმე ახალს, მნიშვნელოვანს ათასი წლის შემდეგ? მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. ბვერი, ბვერი წელი გავიდა, რაც უბედურმა ინდიელმა ამოღრმავებული ქვა დადო წყლის წვეთების მოსაგროვებლად, მაგრამ ახლაც ტურისტები, რომელნიც მოდიან გამოქვაბულ მაკ-დუგალის საოცრებათა სანახავად, დიდხანს დგანან ამ საბედისწერო ქვასთან და შესცქერიან ზემოდან ჩამონადენ წვეთებს. გამოქვაბულის ღირშესანიშნავ სანახაობათა შორის პირველი ადგილი ინდიელი ჯოს ქვის თასს უკავია, თვით “ალადინის სასახლეს” კი ვერ გაუწევს მას მეტოქეობას. ინდიელი ჯო გამოქვაბულის შესასვლელთან დამარხეს. მის დასაფლავებას უამრავი ხალხი დაესწრო. ისინი ახლომახლო ფერმებიდან და სოფლებიდან მოვიდნენ ნავებითა და ფორნებით. ბავშვებიც თან წამოეყვანათ, სურსათ-სანოვაგაც წამოეღოთ. ამბობდნენ: ამ დამარხვამ იმდენივე სიამოვნება მოგვანიჭა, რამდენსაც მივიღებდით, მისი ჩამოხრჩობისათვის რომ გვეყურებინათ.

დასაფლავებამ შეაჩერა ერთი საქმის მსვლელობა: ხალხი აპირებდა შტატის გუბერნატორისათვის ინდიელი ჯოს შეწყნარება ეთხოვა. თხოვნას ბევრი აწერდა ხელს. ვინ მოსთვლის, ამის გამო რამდენი მიტინგი ჩატარდა, რამდენი მგზნებარე სიტყვა წარმოითქვა და ცრემლი დაიღვარა! შეიქმნა ტუტრუცანა ქალების კომიტეტი; ისინი მაძით მოსილნი უნდა ხლებოდნენ გუბერნატორს და ეთხოვათ: გულმონყალე დიდყურად იქეც და ფეხქვეშ გათელე შენი მოვალეობაო. ინდიელ ჯოს ბრალად ედებოდა ქალაქის ხუთი მაცხოვრებლის მკვლელობა. მერედა, რაო? ინდიელი ჯო თვით სატანაც რომ ყოფილიყო გამოჩნდებოდნენ ისეთი უნებისყოფო ადამიანები, რომლებიც მზად იქნებოდნენ ხელი მოეწერათ შეწყნარების თხოვნაზე და ზედაც თითო კურცხალი დაეფრქვიათ თავიანთი უშრეტი ცრემლსადენიდან.

დასაფლავების მეორე დღეს ტომმა ჰეკი სასაუბროდ გაიხმო. ამ დროისათვის ჰეკმა უკვე იცოდა ტომის თავგადასავალი უელსელისა და ქვრივი დუგლასისაგან. მაგრამ, ტომის აზრით, იყო ერთი რამ, რაც ჰეკისათვის არ უთქვამთ და ახლა სწორედ ამიტომ განმარტოვდნენ. ჰეკი მოიღუშა.

- ვიცი, რაშიც არის საქმე, - უთხრა ჰეკმა, - შენ “მეორე ნომერში” იყავი და ვერაფერი ვერ იპოვე, გარდა არაყისა. ჩემთვის შენზე არაყის არაფერი უთქვამს, მაგრამ მე თვითონ მივხვდი, როცა არაყის პოვნაზე ამბავი შევიტყვე. იმასაც მივხვდი, რომ იქ ფული ვერ აღმოაჩინე, თორემ როგორმე მოახერხებდი ამბის შეტყობინება, მიუხედავად იმისა, რომ სხვებს არაფერს არ გაუმხელდი. ტომ, ყოველთვის გული მიგრძნობდა, რომ იმ განძს ვერ ვკიდებდით ხელთ.

- რას ამბობ ჰეკ! არც მიფიქრია სამიკიტნოს პატრონის დაბეზღება. შენ ხომ იცი, შაბათს, როცა პიკნიკზე მივდიოდით, სამიკიტნოში ყველაფერი წესრიგში იყო. განა აღარ გახსოვს, რომ შენ სწორედ იმ რამეს უნდა გეყარაულა?

- ჰო, მართალიაQ ასე მგონია, ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა-მეთქი, ეს მართლაც სწორედ იმ რამეს იყო, როცა ინდიელ ჯოს ფეხდაფეხ მივყვებოდი და ქვრივ დუგლასთან კი მივდი!

- ესე იგი, შენ გაპყვევი?

- ჰო, მხოლოდ ამის შესახებ არაფერი თქვა, დარწმუნებული ვარ, მას მეგობრები დარცებოდნენ. არ მსურს ხელში ჩაუვუარდე და რამე ამიტეხონ! მე რომ არა ვყოფილიყავი, ახლა ის, ალბათ, ტეხასში იქნებოდა.

ჰეკმა საიდუმლოდ უამბო თავისი თავგადასავალი. ტომმა მხოლოდ ამის ნაწილი იცოდა უელსელისაგან.

- საქმე იმაშია, - თქვა ჰეკმა და დაუბრუნდა თავიანთი საუბრის მთავარ საგანს, - ვინც არაყი გაიტანა “მეორე ნომერიდან”, ფულსაც სწორედ ის გაიტანდა, ასე რომ, ჩვენთვის ის ფული უკვე დაკარგულია, ტომ.

- ჰეკ, ის ფული არც ყოფილა “მეორე ნომერში”.

- რა თქვი? - ჰეკი გამომცდელი თვალეებით მიაშტერდა ამხანაგს, - ტომ, შენ ხომ არ მიაგენი ფულის კვალს?

- ჰეკ, ფული გამოქვაბულშია.

ჰეკს თვალეები აენტო.

- გაიმეორე, რაც თქვი, ტომ!

- ფული გამოქვაბულშია!

- ტომ, დაიფიცე, მართალს ამბობ თუ ხუმრობ?

- მართალს, ჰეკ! მე ჯერ არასოდეს მითქვამს ასეთი სიმართლე. ხომ წამომყვები და მიშველი ფულის იქიდან წამორებაში?

- ოღონდაც, რომ წამოპყვები! ესე იგი, თუ გზას დავნიშნავთ და არ დავიკარგებით.

- ჰეკ, შენ მაგის ჯავრი ნუ გაქვს, ეგ სულ ადვილია.

- დიდებულია! მაგრამ, რა იცი, რომ ფული...

- დამაყადე! ჰეკ, ჯერ მივიდეთ იმ ადგილამდე. თუ ფული არ აღმოჩნდა, შენ არაფერს არ დაკარგავ. მე მოგცემ ჩემს დოლარს და ყველაფერს, რა სათამაშოებიც მაქვს, გეფიცები, მოგცემ!

- კარგი, თანახმა ვარ! როდის გინდა წასვლა?

- მე მზად ვარ, თუნდაც ამ ნუთს. შენ ძალა შეგნევს სიარულისათვის?

- შორს არის გამოქვაბული? მართალია, სამი თუ ოთხი დღეა ავდექი, მაგრამ, ალბათ, ერთი მილის მეტს ვერ გავივლი, ვერ შევძლებ, ტომ.

- იქამდე ხუთი მილია, თუ იმ გზით წავედით, რომლითაც ჩვეულებრივ დადიან, მაგრამ მე მოკლე გზა ვიცი. იმ გზის შესახებ არაფერ არ იცის. ნავით წავიყვან, ჰეკ. აქედანაც და იქიდანაც მე მოვუსვამ ნიჩბებს, შენ ხელსაც არ გაგანძრევინებ.

- ახლავე ნავიდეთ, ტომ!

- კეთილი! თან უნდა წავიღოთ პური და ხორცი, აგრეთვე ჩიბუხები, ორიოდ ტომარა, ორი-სამი გორგალი კანაფი და ის ახლად გამოგონილი რაღაცა, გოგირდის ასანთიც. იცი, რამდენჯერ ვინატრე თან მქონოდა, როცა გამოქვაბულში ვიჭექი?

ნაშუადღევს ბიჭებმა “ინათხოვრეს” პატარა ნავი, რომლის პატრონიც ცოტა ხნით წასულიყო და გამგზავრენ. როცა ბიჭები რამდენიმე მილით გასცდნენ გამოქვაბულის შესასვლელს, ტომმა თქვა:

- ხედავ ამ ფლატეს? იგი სულ ერთფეროვანია დაწყებული გამოქვაბულის შესასვლელიდან აქამდე: - არც სახლებია, არც ხეები, მხოლოდ ბუჩქებია, რომელნიც ერთმანეთს ჰგვანან. აი, იქ მორღვეული ადგილი რომ ჩანს თეთრად, ხედავ? ის ჩემი ნიშანია, იქ გამოვალთ.

ნავი ნაპირს მიაყენეს.

- აი, აქედან, სადაც ჩვენ ვდგავართ, ჰეკ, შენ შეგიძლია შეეხო ანკესით იმ კარებს, საიდანაც მე გამოვძვერი. აბა, ეცადე იპოვო.

ჰეკმა მოათვალიერა იქაურობა, მაგრამ ვერაფერი იპოვა. ტომი თავმომწონედ გაემართა თუთბოს ხშირი ბუჩქებისაკენ და იქიდან დაიძახა:

- აი, სად არის! ნახე, ჰეკ! ეს ყველაზე მოხერხებული ხვრელია ამ მიდამოებში. იცოდე, ამის შესახებ კრინტი არავისთან დაძრა. მე ხომ დიდი ხანია ყაჩაღობას ვაპირებდი და შესაფერისი თავშესაფარი ვერ მეპოვნა. თანაც სად მეძებნა, არ ვიცოდი. ახლა კი მოვძებნეთ და ამის შესახებ ნურავის ვეტყვით, გარდა ჯო ჰარპერისა და ბენ როჯერსისა; ხომ საჭიროა რაზმის შედგენა, ორ კაცში რა ყაჩაღობა იქნება. ყაჩაღთა რაზმი ტომ სოიერის მეთაურობით, - ხომ კარგია, ჰეკ?

- მშვენიერია, ტომ! მხოლოდ ვინ უნდა გავძარცვოთ?

- ვინც მოგვხვდება. ჩავუსაფრდებით ხალხს, როგორც წესად აქვთ მიღებული ყაჩაღებს.

- თანაც უნდა ვხოცოთ?

- ყოველთვის არა, ტყვედ დავამწყვდევთ გამოქვაბულში, ვიდრე გამოსასყიდს არ გადაიხდიან!

- ეგ გამოსასყიდი რაღაა?

- ფული. ასესხებიანებ მეგობრებისაგან ფულს, რამდენიც შეუძლიათ; ერთი წლის შემდეგ თუ არ გადაიხდიან მთელ გამოსასყიდს, მაშინ დახოცავენ; ასეთია ადათი. მაგრამ ქალების დახოცვა მაინც არ შეიძლება. ისინი დატყვევებულნი არიან, ოღონდ მათი მოკვლა არ შეიძლება. ყოველთვის ლამაზები და მდიდრები არიან. თანაც ძალზე მშიშრები. მათ ართმევენ საათებს და სხვა წვრილმან სამკაულებს, თავაზიანად ესაუბრებიან, ყოველთვის ქუდმოხდილნი. ყაჩაღებზე ზრდილობიანი ხალხი არ არსებობს, ყველა ნიგნში ასე ნათქვამი. ბოლოს ქალებს ყაჩაღები შეუყვარდებათ ხოლმე. გამოქვაბულში ერთ-ორ კვირას რომ გაატარებენ, მერე აღარ რინიან და თვითონვე აღარ უნდათ წასვლა, ასე წრენ ყველა ნიგნში.

- ეგ ხომ დიდებულია, ტომ! ეგ მეგობრობას უნდა სჯობდეს კიდევ!

- ჰო, უკეთესია ყოველმხრივ, სახლთანაც ახლო ხარ, ცირკთანაც...

ყველაფერი მზად იყო და ბიჭები ხვრელიდან შეძვრნენ გამოქვაბულში. ტომი წინ მიდიოდა. როგორც იყო, მიაღწიეს ერთ-ერთ ტალანის ბოლოს, კლდეს მიაბეს კანაფის წვერი და წავიდნენ წინ. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ მიუახლოვდნენ წყაროს და ტომს ჟრუანტელმა დაუარა. ჰეკს უჩვენა სანთლის ნაძნვი, კედელზე თიხით მიკრული და აუნწერა ბეკისა და თავისი მდგომარეობა, როგორ შესცქეროდნენ სანთელს, რომელიც ხან აელვარდებოდა და ხან ისევ ცაქრებოდა.

ბიჭებმა ხმას დაუდაბლეს, თითქმის ჩურჩულებდნენ; გამოქვაბულის მდუმარება და სიბნელე მათზე შემზარავად მოქმედებდა. ისინი წინ მიდიოდნენ, სანამ მიწვედნენ მეორე ტალანს და “ფლატეს”. სანთლის შუქზე აღმოჩნდა, რომ ვქვევით უფსკრული კი არ იყო, არამედ ოცი-ოცდაათი ფუტის სიმაღლის თიხნარის ფლატე.

- ახლა ერთ რამეს გიჩვენებ, ჰეკ, - წაიჩურჩულა ტომმა და სანთელი მაღლა ასწია.

- გაიხედე კუთხის იქით, იქ დიდ ქვაზე ჭვარტლით რა არის გამოყვანილი...

- ტომ, ის ხომ ჭვარია!

- ახლა ვიცი, სადაც არის “მეორე ნომერი”. ამ ჭვარის ქვეშ! გესმის? აქა ვნახე სწორედ ინდიელი ჯოჯ სანთლით ხელში.

ჰეკი ერთხანს უყურებდა საიდუმლო ნისანს, მერე კი ხმის კანკალით უთხრა:

- ტომ, წავიდეთ აქედან.

- როგორ თუ წავიდეთ? განძი აქ დავტოვოთ?

- ჰო, დავტოვოთ; ალბათ, ინდიელი ჯოჯ სული დახეტილობა ამ გამოქვაბულში.

- არა, ჰეკ, მისი სული ალბათ იმ ადგილზე დაეხეტება, სადაც მოკვდა, გამოქვაბულის შესასვლელთან, აქედან ხუთი მილის მანძილზე.

- არა, ტომ, არა ხარ მართალი, ის ნორედ ფულთან იხეტილებს, რომ უყარაულოს. ყოველთვის ასე ხდება, ეს მეც ვიცი და შენც.

ტომი შიშობდა, რომ ჰეკი მართალი იყო. უსიამოვნო წინათგრძნობა არ ასვენებდა, მაგრამ უცებ თავში ერთმა აზრმა გაუელვა.

- ყური მიგდე, ჰეკ, რას სისულელეს ამბობ! განა ინდიელი ჯოას აჩრდილი მიეკარება იმ ადგილს, სადაც ჰვარია?

საბუთი დამაჯერებელი იყო და სატანადო სთაბეჭდილებაც მოახდინა.

- მაგაზე აღარ მიფიქრია, შენ მართალი ხარ. ჩვენი ბედი, ჰვარი რომ ვიპოვეთ. ახლა კი... ნავიდეთ ქვევით და ვეძებოთ ზანდუკი.

ტომი პირველი ჩავიდა და სწრაფად თხრიდა საფეხურებს თიხნარის ფერდობზე. ჰეკი უკან მიჰყვებოდა. პატარა გამოქვაბულიდან, სადაც დიდი კლდე იყო, ოთხი ტალანი გამოდიოდა. ბიჭებმა დაათვალიერეს სამი და ვერაფერი იპოვეს; მათ შეამჩნიეს ღრმული კლდის უახლოეს ტალანში. იქ, მინაზე, საბნები იყო გაშლილი, იქვე ეყარა: ერთი ძველი აჭიმი, ღორის შაშხის ტყავი და რამდენიმე გამოხრული ფრინველის ჩონჩხი; მაგრამ ზანდუკი არ აღმოჩნდა. ბიჭებმა ველაფერი მოათვალიერეს, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ტომმა თქვა:

- ის ხომ “ჰვარის ქვეშ” ამბობდა და ეს სწორედ ის ადგილია; ხომ არ შეიძლება იყოს კლდის ქვეშ, ის ხომ მეტად მკვიდრად ზის მინაში.

კიდევ ბევრი ეძებეს და ღონემიხდილნი დასხდნენ დასასვენებლად, ჰეკს ვერაფერი მოეფიქრებინა. ბოლოს თომმა თქვა:

- შეხედე, ჰეკ. კლდის ერთ მხარეზე ნაფეხურები ჩანს, ხოლო მინაზე - სანთლის ნაღვენთი; მეორე მხარეზე არაფერია. რად უნდა იყოს ასე? დაგენიძლავები, ფული კლდის ქვეშაა. ახლავე შევუდგეთ თხრას.

- ეგ კარგი აზრია, ტომ, - ცოცხლად უპასუხა ჰეკმა.

ტომმა ამოიღო დანა და ჯერ არც კი ამოეთხარა რამდენიმე გოჯი, რომ დანა ხეს მოხვდა.

- ჰეკ, გესმის?

ჰეკიც თავგამოდებული შველოდა თხრაში. მალე ნაანყდნენ რაღაც ფიცრებს. ისინი ამოალაგეს. ფიცრებს ქვეშ აღმოჩნდა ნაპრალი, რომელიც კლდის ქვეშ გადიოდა. რომი ჩავიდა შიგ და გაიშვირა სანთლიანი ხელი, მაგრამ ნაპრალი ბოლომდე არ განათდა. ამიტომ მისი დათვალიერება გადანყვიტა. მოიხარა და კლდის ქვეშ ჩაძვრა. ვინრო გზა თანდათან მინის სიღრმეში მიდიოდა. ტომი გაჰყვა გზას ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, ჰეკი ფეხდაფეხ მისდევდა. მათ შეუხვიეს კიდევ ერთხელ და უცებ ტომმა წამოიძახა:

- ღმერთო ჩემო, ჰეკ, შეხედა ამას! - ეს მართლაც ზანდუკი იყო განძით, პატარა, მყუდრო გამოქვაბულში. მის გვერდით ეგდო დენტის ცარიელი ყუთი, ორი თოფი ტყავის შალითაში, ტყავიდ ქმაარი და სხვადასხვა ძველმანი, რომლებიც დასვენებულიყო კედლიდან ჩამონაჟონი ნვეთებით.

- როგორც იყო, ვიპოვეთ, - თქვა ჰეკმა და თან ხელით ამოურია გაუფერულებული ოქრო.

- აჰა, ტომ; ახლა კი მდიდრები ვართ!

- ჰეკ, ყოველთვის იმედი მქონდა, რომ ვიპოვიდით ფულს. არც კი მჯერა, მაგრამ ხომ მივაგებთ. აბა, გაჭიანურება აღარ არის საჭირო, ზანდუკი უნდა გავიტანოთ. მოდი ვცდი, შევძლებ მის ანეკას თუ არა.

ზანდუკი ორმოცდაათ გირვანქამდე იწონიდა. ტომმა ძლივს ასწია, მაგრამ ნაღება ვერ შეძლო.

- ასეც ვფიქრობდი - თქვა მან. - მაშინვე შევატყვე, მძიმე იყო, როცა “უნმინდური” სახლიდან გაჰქონდათ. ნახე, რა კარგად მოვიფიქრე ტომრების წამოდება.

ბიჭებმა გადმოსცალეს ფული ტომრებში და კლდესთან მიიტანეს.

- მოდი, ახლა თოფები გადმოვიტანოთ და დანარჩენი ყველაფერი, რაც იქ არის, - უთხრა ჰეკმა.

- არა, ჰეკ, იქ დავტოვოთ. ისინი მაშინ გამოგვადგება., როცა ყაჩაღობას დავინწყებთ. ყველაფერს აქ შევინახავთ და აქვე მოვანყოფთ ხოლმე ორგიებსაც, სწორედ შესაფერისია ეს ადგილი ორგიებისათვის!

- რას ნიშნავს ორგიები?

- არ ვიცი, ყველა ყაჩაღი მართავს ორგიას; ჩანს, ჩვენც მოგვიხდება მათი გამართვა.

აბა, ნავიდეთ, ჰეკ, თორემ აქ დიდი ხანია ვსხედვართ, ალბათ უკვე გვიან არის და მომშივდა კიდევ; ნავში ვჭამოთ და თუთუნიც გავაბოლოთ.

ისინი გამოვიდნენ ხშირი ბუჩქნარიდან, ფრთხილად მოათვალიერეს იქაურობა, დაინახეს, რომ წყლის პირას არავინ იყო, ჩასხდნენ ნავში და საუბრეს შექცენ. როცა მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა, მაშინ გაუდგნენ გზას. ტომი ნიჩაბს უსვამდა. ნაპირ-ნაპირ მიცურავდნენ, სანამ ბინდი იდგა. ტომი მხიარულად ემასლაათებოდა ჰეკს. როცა

დაბნელდა, ნაპირს მიადგნენ.

- აბა, ჰეკ, - უთხრა ტომმა, - ახლა დროებით ფული ქვრივი დუგლასის შუშის ფარდულში შევინახოთ. დილით კი მე მოვად და დავთვალთ, გავყოთ, მოვძებნოთ უშიშარი ადგილი ტყეში და ჩავმარხოთ მინაში. შენ აქ დარჩი და ფულს უყარაულე. მე გავიქცევი და ბენი ტეილორის ურიკას გამოვაპარებ. ერთ ნამში დავბრუნდები.

ტომი თვალს მიეფარა. მართლაც, ჩქარა დაბრუნდა და მოათრია ურიკა, დადო ზედ ტომარა, გადააფარა რაღაც ძონძები და ბიჭები შეუდგნენ აღმართს, თან ურიკას მიათრევდნენ. როდესაც უელსელის სახლს მიუახლოვდნენ, შედგნენ დასასვენებლად. ნასვლა რომ დააპირეს, სწორედ იმ დროს გამოჩნდა მოხუცი უელსელი.

- თქვენ ეი, ვინ ხართ?

- ჰეკი და ტომ სოიერი.

- შესანიშნავია! მომყვით ბიჭებო. თქვენ დიდი ხანია გელოდებიან. აბა, წინ იარ, მე ნავათრევ თქვენს ურიკას. მაგრამ არცთუ ისე მსუბუქია ეს თქვენი ტვირთი, რა არის?

- ჯართი...

- ასეც ვფიქრობდი; ჩვენი ქალაქის ბიჭები მზად არიან აუარება ღონე დახარჯონ ძველი რკინეულობის მოსაგროვებლად, რომელშიაც, ალბათ, კაპიკებს მისცემენ სამსხმელო ქარხანაში, ნამდვილ საქმე კი როდი მოჰკიდებდნენ ხელს, ორჯერ მეტიც რომ მისცენ. ასეთია ადამიანის ბუნება! აბა, ცოცხლად იარ!

ბიჭებს უნდოდათ გაეგოთ, რად აჩქარებდა მათ ასე მოხუცი.

- არაფერია, როცა მივალთ ქვრივ დუგლასთან, იქ გაიგებთ.

ჰეკმა, ცოტა არ იყოს, შიშით თქვა (ის ხომ შეჩვეული იყო ტყუილებრალ ბრალდებებს):

- მისტერ ჯონს, ჩვენ ხომ არაფერი დაგვიშავებია.

მოხუცმა გადაიხარხარა:

- არ ვიცი, ჰეკ, არ ვიცი, ჩემო ბიჭიკო, არაფერი არ ვიცი. შენ ხომ ქვრივი დუგლასის მეგობარი ხარ.

- მართალია, ყოველ შემთხვევაში, ის კარგად მექცევა.

- ჰოდა, მაშ რიღასი გეშინია?

ჰეკს მაინცდამაინც დიდი მოსაზრების უნარი არ ჰქონდა და პასუხის მოფიქრებაც კი ვერ მოასწრო, რომ ისა და ტომი შეყარეს მისის დუგლასის სასტუმრო ოთახში. მისტერ ჯონსმა ურიკა გარეთ და დატოვა და თვითონაც შეჰყვა ბიჭებს.

სასტუმრო განათებული იყო. იქ თავი მოეყარა ქალაქის ყველა წარჩინებულ პირს. აქ იყვნენ თეტჩერის, ჰარპერის და როჯერის ოჯახები, დეიდა პოლი, სიდი, მერი, მღვდელი, გაზეთის რედაქტორი და ბევრი კიდევ სხვა - ყველა საზეიმოდ მორთული. ქვრივი ბიჭებს ისე გულთბილად შეხვდა, რამდენადაც კი შეიძლებოდა ასეთი შესახედაობის სტუმრების დანახვისას. ორივენი თიხითა სანთლის ნაღვენთით იქნენ გათხუპნულნი.

დეიდა პოლი სირცხვილისაგან განითლდა, შუბლი შეიკრა და საყვედურით გააქნია თავი, მაგრამ ყველაზე უხერხულად თვითონ ბიჭები გრძნობდნენ თავს.

- რომი შინ არ ყოფილა, ჯერ, - განმარტა მისტერ ჯონსმა. - მე მეგონა, ვერც ვიპოვიდი, მაგრამ ახლა ნავანყდი მას ჰეკთან ერთად ჩემი სახლის წინ და აი, საჩქაროდ მოგგვარეთ.

- ძალიან კარგად მოქცეულხართ, - თქვა ქვრივმა, - მომყვით, ყმანვილებო!

ის შეუძღვა მათ სანოლ ოთახში და უთხრა:

- დაიბანეთ და გამოიცვალეთ ტანისამოსი. აქ ორი ხელი ტანისამოსია. ჰერანგები, წინდები, ყველაფერი, რაც კი საჭიროა.

- ეს ტანისამოსი ჰეკის არის... არა, არა, ჰეკ, მადლობას ნუ მიხდი: ერთი მე გიყიდე, მეორე მისტერ ჯონსმა, მაგრამ ორივეს გამოგადგებათ. ჩაიცვით. და როცა მზად იქნებით, ჩამოდით ქვევით, - ჩვენ დაგელოდებით.

ამის შემდეგ დუგლასი წავიდა.

თავი ოცდამეთხუთმეტე

- ტომ, - უთხრა ჰეკმა, - ჩვენ შეგვიძლია ფანჯრიდან მოვუსვათ, თუ თოკს ვიშოვით; ფანჯარა არც ისე მაღალია...

- რა სისულელეა, რად უნდა ნავიდეთ?

- იცი, რა? მე სულ არ ვარ ჩვეული ხალხში ყოფნას, არც მიყვარს. არ ჩამოვალ ქვევით, ტომ.

- რაებს ლაპარაკობ! არაფერია. მე არაფრად არ ვაკდებ, ნურც შენ გეშინია, მე გაგინევ მფარველობას.

უცებ გამოჩნდა სიდი.

- ტომ, დეიდა მთელი დღე გელოდება, სად იყავი? მერიმ საკვირაო კოსტიუმი მოგიმზადა; ყველა ნუხდა, სად დაიკარგაო! გამაგებინეთ, რა გაცხიათ მაგ ტანისამოსზე? თიხა, სანთლის ნალვენით?

- მისტერ სიდ, გირჩევნიათ, თქვენს საქმეებს მოუაროთ, რა ამბავი დღეს ქვრივთან, რისთვის გარჯილან?

- ქვრივმა უბრალოდ წვეულება მიანყო, როგორც სჩვევია. დღეს ვახშამი აქვს განსაკუთრებით მოხუცი უელსელისა და მისი ვაჟიშვილებისათვის, რადგან მათ იმ დამეს სიკვდილს გადაარჩინეს. თუ ისურვებთ მოსმენას, კიდევ გეტყვით რაღაცას.

- აბა, რას.

- აი, რას: დღეს მოხუც მისტერ ჯონსს სურს რაღაცით გააკვირვოს დამსწრე საზოგადოება, მაგრამ მე უკვე ვიცი ის საიდუმლო, დღეს ყურს ვუგდებდი ჩუმად, როცა დეიდას უამბობდა. ახლა კი, მე მგონი უკვე ყველამ იცის მისი საიდუმლო. ყველამ დიდი ხანია იცის, მაგრამ ქვრივს განზრახ ისე უჭირავს თავი, თითქოს არ იცის. მისტერ ჯონსისათვის აუცილებელი იყო ჰეკის აქ მოყვანა. მის გარეშე არაფერი არ გამოვიდოდა.

- რა საიდუმლოა, სიდ?

- ის, რომ ჰეკი მიჰყოლია ყაჩაღებს ქვრივის სახლამდე. მისტერ ჯონსს ჰგონია, რომ ამ ამბით ყველას გააკვირვებს, მაგრამ მას ყურადღებას არავინ არ მიაქცევს.

სიდი კმაყოფილი ხითხითებდა.

- სიდ, ალბათ, ყველას შენ უამბე, არა?

- სულ ერთი არ არის, ვინ ვის უამბობს? ყველამ იცის, მორჩა და გათავდა.

- სიდ, მთელ ქალაქში არის მხოლოდ ერთადერთი კაცი, რომელიც ასეთ სისაძაგლეს ჩაიდენდა და ის კაცი შენ ხარ! შენ რომ ჰეკის ადგილას ყოფილიყავი, მალულად ჩამოიპარებოდი გორაკიდან და ხმასაც არ ამოიღებდი იმ ყალბების შესახებ, შენ მხოლოდ სისაძაგლის ჩადენა შეგიძლია და ვერ აგიტანია, როცა ვინმეს აქებენ კარგი საქციელისათვის. ესეც შენ! მადლობა საჭირო არ გახლავთ, როგორც მისის დუგლასი იტყვის ხოლმე, - ტომმა ყური აუწია ძმას და პანდურისკვრით გააგდო გარეთ. - ახლა კი გაეთრიე. თუ დეიდა პოლისთან გიჩივლია, ხვალ გიჩვენებ სეირს!

რამდენიმე წუთის შემდეგ ქვრივის სტუმრები უკვე მაგიდას უხსდნენ და ვახშამს შეექცეოდნენ; ბავშვები კედელთან მიდგმულ პატარა მაგიდას შემოსხდომოდნენ, - ასეთი ადათი იყო ამ მხარეში. დრო რომ დადგა, მისტერ ჯონსმა პატარა სიტყვა წარმოთქვა.

მადლობა გადაუხადა ქვრივს იმ პატივისცემისათვის, რაც დღეს გაუწია მას და მის ვაჟიშვილებს, თანაც დააყოლა, რომ არის მესამე პირიც, რომლის მოკრძალებაც... სხვა და სხვა.

მისტერ ჯონსმა მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით ილაპარაკა ჰეკის მონანილეობის შესახებ ქვრივის გადარჩენის საქმეში; მაგრამ ისეთი გაკვირვება არ გამოუნვევია, როგორც მოსალოდნელი იყო სხვაგვარ, უფრო ხელსაყრელ ვითარებაში. თუმცა კი მისის დუგლასმა განზრახ გაიოცა, თანაც იმდენი ქება შეასხა ჰეკს და ისეთი გულწრფელობით გადაუხადა მადლობა, რომ ბიჭს სრულიად გადაავიწყდა თავისი ტანჯვა, რომელიც ახალმა კოსტიუმმა მიაყენა. ყველას ყურადღებისა და შექების საგნად გახდომა ახალ ტანსაცმელზე უფრო ძნელი ასატანი გახდა.

მისის დაუგლასმა განაცხადა, ჰეკს მე ვიყვან, სწავლა-განათლებას მივცემ და როცა ამისთვის თანხას ვიშოვნი, ხელს შევუწყობ რომელიმე პატიოსანი საქმის წამოწყებაში.

ახლა ტომის ჯერი დადგა.

- ჰეკი ამას არ საჭიროებს, - განაცხადა მან, - ჰეკი მდიდარი კაცია.

შეკრებილი საზოგადოება რომ ზრდილობიანი არ ყოფილიყო, ცხადია, ამისთანა ხუმრობას სიცილით შეხვდებოდა; მაგრამ სიჩუმეც ერთგვარ უხერხულობას იწვევდა და ამიტომ ტომმა საჩქაროდ დაარღვია იგი:

- ჰეკს აქვს ფული. თქვენ შეგიძლიათ არ დამიჯეროთ, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ მას ბლომად აქვს ფული, ნუ გეცინებათ. ახლავე გაჩვენებთ. მოიცადეთ ერთ წუთს!

ტომი გავარდა ოთახიდან. ყველა ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა ერთმანეთს, ხოლო ჰეკს გაკვირვებით. ჰეკს კი ენა ჩავარდნოდა.

- სიდ, ტომს, რა დაემართა? - შეეკითხა დეიდა პოლი. - ის... თუმცა, ამ ბიჭისაგან რას არ უნდა მოელოდე... არასოდეს... - დეიდა პოლის სიტყვა არც კი დაემთავრებინა, რომ

შემოვიდა ტომი. ძლივს მოათრევდა ორ მძიმე ტომარას. მან მაგიდაზე დაახროვა ოქრო და ნამოიყვინა:

- აი, რას გეობნებოდით, ამის ნახევარი ჰეკს ეკუთვნის, ნახევარი კი - მე! ამდენი ოქროს ნახვით სტუმრებს სული შეუგუბდათ. კარგა ხანს სიტყვის თქმაც კი ვერ მოახერხეს, მერე კი მოსთხოვეს ახსნა-განმარტება. ტომი სიამვნებით დათანხმდა. მართალია, მისი მოთხოვნა გაჭიანურებული იყო, მაგრამ სავსე იყო სიცოცხლით და მსმენელები დიდი ინტერესით უსმენდნენ. სიტყვა ვერავინ შეაწყვეტინა, რომ შთაბეჭდილება არ შენელებულიყო.

ტოცა ტომმა გაათავა, მისტერ ჯონსმა თქვა:

- მე მეგონა, რომ აქ დამსწრე სტუმრებისთვის პატარა სიურპრიზი მქონდა, მაგრამ ამასთან შედარებით ჩემი სიურპრიზი არაფერია!

დათვალეს ფული, თორმეტი ათას დოლარზე მეტი აღმოჩნდა. ამდენი ოქრო ერთბაშად თვალთ არავის ენახა, თუმცა ზოგიერთი დამსწრე ამაზე მეტი თანხის მფლობელიც იყო.

თავი ოცდამეთექვსმეტე

მკითხველისთვის, ალბათ, გასაკები იქნება, თუ რაოდენ ააფორიაქებდა პატარა, მიყრუებულ ქალაქ სანკტ-პეტერბურგს ტომისა და ჰეკის ამბავი. ასეთი დიდი თანხა, და ისიც ხალასი ოქრო, პირდაპირ დაუჭერებელი იყო. ფულზე ბევრს ლაპარაკობდნენ, ზოგი შურითაც კი ივსებოდა, აღტაცებას გამოთქვამდნენ და ზოგიერთი მოქალაქე კინალამ შეირყა მეტისმეტი აღზნებისაგან. სანკტ-პეტერბურგში და მის ახლომახლო მდებარე სოფლებში დაიწყო “უნძინდური” სახლების ჩხრეკა: ფიცრებს ყრიდნენ, თხრიდნენ საძირკველს და ყველგან ეძებდნენ დამარხულ განძს. ამ საქმეს ეწეოდნენ არა მხოლოდ ბიჭები, არამედ დარბაისელი ვაჟკაცები და არა მეოცნებენი. ტომსა და ჰეკს ყველა ანებივრებდა, პატივს სცემდა და ყველა გაკვირვებული შესცქეროდა, სადაც კი გამოჩნდებოდნენ. ბიჭებს არ ახსოვდათ ისეთი შემთხვევა, რომ უნინ მათი ლაპარაკისათვის ვინმეს ყურადღება მიექცია; ახლა კი თითოეულ მათ შენიშვნას იმეორებდნენ; თითოეულ მათ მოქმედებაში ხედავდნენ რაღაც არაჩვეულებრივს. თიტქოს ამ პატარა ბიჭებს დაეკარგათ ყოველგვარი უნარი, ელაპარაკათ ან გაეკეთებინათ ჩვეულებრივი რამ; ეს კიდევ ცოტაა, მათი წარსულიც გაიხსენეს და მასშიც აღმოაჩინეს უჩვეულო ნიჭის ნიშნები. ადგილობრივ გაზეთში ორივეს ბიოგრაფია მოათავსეს.

ქვრივმა დუგლასმა ჰეკის ფული ბანკში შეიტანა; მოსამართლე თეტჩერიც ასევე მოექცა ტომის ფულს დეიდა პოლის თხოვნით.

ახლა თითოეულს უშველებელი შემოსავალი ჰქონდა: თითო დოლარი დღეში, კვირა დღეს კი ნახევარი დოლარი. სწორედ იმდენი, რამდენსაც მოძღვარი იღებდა, უფრო სწორად, უნდა მიეღო თავისი მრევლისაგან, მაგრამ ეს ვერასოდეს ვერ ხერხდებოდა. იმ ძველ, ბედნიერ დროს მხოლოდ დოლარი და ერთი მეოთხედი ჯდებოდა კვირაში მოსწავლის ბინა, კვება, ჩაცმა-დახურვა და დაბანა.

მოსამართლე თეტჩერი დიდი პატივისცემით განისმტვალა ტომისადმი, მისი აზრით, ჩვეულებრივი ბიჭი ვერ შესძლებდა მისი ქალის გამოყვანას გამოქვაბულიდან. ხოლო როცა ბეკიმ საიდუმლოდ უამბო მამას, ტომმა როგორ დაასჯევინა თავი მისი გულისათვის, მოსამართლეს გული აუჩუყდა. როდესაც ბეკიმ სთხოვა მამას, არ დაედანაშაულებინა ტომი იმ ტყუილისათვის, რომელიც მოიგონა ბეკის დასახსნელად, მოსამართლემ აღფრთოვანებთ განაცხადა: ეს ტყუილი მეტად კეთილშობილი და დიდსულოვანია, იგი ღირსია ისტორიის მსვლელობაში გვერდში ამოუდგეს ჯოჯრ ვაშინგტონის სახელგანთქმულ გულახდილობას ნაღდუნას შესახებო. ბეკის არასოდეს არ ენახა თავისი მამა ისეთი ბრწყინვალე და წარმოსადეგი, როგორც ახლა, როცა ამ სიტყვებს ამბობდა და თანაც ოთახში მიმოდრიოდა. ბეკი წამსვე გაიქცა და ყველაფერი ტომს უამბო.

მოსამართლე თეტჩერს იმედი ჰქონდა, რომ მოესწრებოდა ტომის ან გამოჩენილ ვეჭილობას ან დიდებულ მთავარსარდლობას. ის ამბობდა: მე ვუშუამდლომლებ, რათა ტომი ნაციონალურ სამხედრო აკადემიაში მიიღონ, ხოლო შემდეგ კი ისწავლოს იურისპრუდენცია ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სკოლაში. ამგვარად, იგი მოემზადება ერთ-

ერთი კარიერისათვის ან ერთბაშად ორივესათვის.

სიმდიდრემ და ქვრივი დუგლასის მფარველობამ ჰეკლბერი ფინი საზოგადოებაში გამოიყვანა, უფრო სწორად კი, ძალით შეტმასნეს და ჩაითრის; ამიტომაც მის ტანჯვა-წამებას საზღვარი არა ჰქონდა. ქვრივის მოსამსახურეები ბანდნენ და უსუფთავებდნენ ტანსაცმელს, ვარცხნიდნენ თმას; ღამე აძინებდნენ ისეთ ქათქათა ლოგინში, რომლის თეთრეულზე ერთ დალაქავებულ ნერტილსაც ვერ იპოვიდით, რათა სასოებით ცაეკრა გულში ჭუჭყის მოყვარულ ბიჭს. უნდა ეჭამა დანა-ჩანგლით, უნდა ეხმარა ხელსახოცი, ფინჯანი და თეფში. უნდა ესწავლა წიგნი, ევლო ეკლესიაში და, რაც მთავარია, ელაპარაკა ზრდილობიანად. ისე რომ, საცოდავმა, ბოლოს ლაპარაკის ხალისიც კი დაკარგა: საითაც კი მიიხედავდა, ყველგან ცივილიზაციის ხუნდები ხვდებოდა, რაც ხელ-ფეხს უბორკავდა.

სამ კვირას ვაჟკაცურად გაუძლო თავის გაჭირვებას, შემდეგ კი, ერთ მშვენიერ დღეს გაქრა. შეშფოთებული ქვრივი მთელ ორ დღე-ღამეს ეძებდა მას. ეძებდნენ ხევსა და მთებში, მდინარეც კი გაჩხრიკეს მისი გვამის საპოვნელად. ბოლოს, მესამე დღეს დილაადრინად, ტომ სოიერმა მოიფიქრა დაკარგულის მოძებნა ცარიელ კასრებში, სასაკლავო გვერდით, და ერთ-ერთში მართლაც იპოვა გაქცეული. ჰეკს ღამე იქ გაეტარებინა. მას ახლახან ესაუბრა ანაპნული ნარჩენებით და ახალ წამონოლილი ჩიბუხს აბოლებდა დიდი სიამოვნებით. პირდაუბანელი იყო, დაუვარცხნელი და ისევ თავისი ძველმანები ეცვა, რომლებიც ესოდენ ამშვენიერებდა მას, როცა თავისუფალი და ბედნიერი იყო. ტომმა ამოათრია კასრიდან, უამბო, რამდენი უსიამოვნება მიაყენა ყველას და მოსთხოვა დაბრუნებულიყო შინ. ჰეკის სახემ დაკარგა კმაყოფილი გამომეტყველება, იგი მოიღუშა.

- გაგონებაც არ შემიძლია, ტომ! - უთხრა მან, - ვეცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა! ჩემთვის არ გაჩენილა კეთილი ცხოვრება, ვერ შევეჩვიე. ქვრივი გულკეთილად და ალერსიანად მექცევა, მაგრამ იმდენი ხათაბალის თავი არა მაქვს. პირის დაბანას მიბრძანებს, მთელი თმა დამაგლიჯეს ვარცხნით, არც ფარდულში მაძინებენ. არა, არა, გამოიჭიმე სანოლზე! ახლა ეს ოხერი ტანსაცმელი, ლამის დამახრჩოს, ჰაერს არც კი ატარებს; თანაც ის სატილო ისეთი სუფთაა, რომ ვერც მინაზე ვჯდები, ვერც ვწვები, ვერც ვკოტრილობ. აგერ მთელი საუკუნეა, აღარც სარდაფის კარზე ჩავსრიალებუვარ. ახლა ეკლესიაშიც წადი და გული გაინვრილე იმ მოსაწყენი ქადაგებებით! იქ ვერც ბუზს დაიჭერ, ვერც თამბაქოს დაღეჭავ. ახლა, კვირაობით ფეხსაცმელებიც ატარე. ქვრივი ზარის ხმაზე ჭამს, ზარის ხმაზე წვება, ზარის ხმაზე დგება... ყველაფერი ისე წესიერად არის მოწყობილი, რომ მისი ატანა შეუძლებელია.

- ყველას ცხოვრება ხომ ასეა მოწყობილი, ჰეკ!

- ეგ ჩემთვის სულ ერთია, ტომ, მე ყველა არა ვარ და ვერც გავუძლებ ამას. აუტანელია, ხელფეხშეკრული იყო. საჭმელიც ძალიან იოლად მოდის, ისე, რომ ჭამა აღარც კი გინდა. თევზაობა მოგინდება, დაეკითხე, ცურაობა და ბანაობა მოგინდება, ამაზედაც დაეკითხე; რაც არ უნდა მოგინდეს, ეშმაკმა წაიღოს, უნდა დაეკითხო. სულ წესიერად უნდა ილაპარაკო, ასე რომ, ლაპარაკის სურვილიც კი დამეკარგა; ზოგჯერ სხვენზე ავიდოდი და ვიგინებოდი, რომ გული მომეოხებინა, თორემ მოკვდებოდი. ქვრივი არ მაძლევდა ნებას ჩიბუხი მომენია, მეყვირა, დამემთქნარებინა, გამეზმორა, დამეფხანა "საზოგადოებაში". - შემდეგ კი აღშფოთებითა და გულისტკენით წარმოთქვა: - მერედა, სულ ერთთავად ლოცულობს. ეშმაკსაც წაუღია მისი თავი. ასეთი ქალის მნახველი არა ვარ! უნდა გამოვქცეულიყავი, ტომ, ეს აუცილებელი იყო! სულ მალე მეცადინეობაც დაიწყება და ახლა სკოლაში მაიძულებენ სიარულს; ამას კი ველარ ავიტან! ხომ ხედავ, ტომ, სიმდიდრეც არაფერი არ ყოფილა, მისგან მხოლოდ უსიამოვნება გელის და სიკვდილს ნატრობ. ამ ჩემს ნაგლეჯებს და ჩემს კასრს შევეჩვიე და ვერც მოვიშორებ. ამისთანა უბედურება არც დამატყდებოდა თავს, ის ტიალი ფული რომ არა ყოფილიყო. ტომ, შენთვის მომიცია ჩემი წილიც, ისე მოიხმარე, როგორც შენი ფული. მე კი ზოგჯერ მომეცი ათი ცენტი, ისიც ხშირად არ მინდა, რადგანაც მე ის მომწონს, რაც ადვილად არ იშოვება. შენ კი მიყავი სიკეთე და ქვრივს სთხოვე ჩემს შესახებ.

- ჰეკ, შენ კარგად იცი, რომ არ შემიძლია მაგის გაკეთება, არ ივარგებს. ცოტა კიდევ შეეცადე და სულ მალე შეეჩვივი.

- შევეჩვივი? განა შეიძლება ადამიანი შეეჩვიოს ცხელ ღუმელზე ჯდომას?.. არა, ტომ, არ მინდა მდიდარი ვიყო და არც მსურს ცოხვრება იმ წყეულ სულისშემბუთავ სახლებში. მე მიყვარს ტყე, მდინარე, მიყვარს ღამის გაეთევა კასრში - აქვე დავრჩები. სწორედ ახლა, როცა გვაქვს თოფები, გამოქვაბული და ყოველივე, რაც კი საჭიროა ყაჩაღობისათვის, ამ სისულელემ ყველაფერი გააფუჭა.

ტომმა ისარგებლა შემთხვევით:

- ჰეკ, დამიჯერე, სიმდიდრე ხელს არ შეგვიშლის ყაჩაღობაში.
- მართალია? ჯანდაბას შენი თავი, მართალს ამბობ, ტომ?
- რასაკვირველია, და მერე ხომ არ შეიძლება შენი მიღება ყაჩაღთა გულნდში, ჰეკ, თუ ხეირიანი ტანისამოსი არ გექნება.
- ჰეკის სიხარული მოიშხამა.
- არ მიმიღებენ? როგორ თუ არ მიმიღებენ! შენ ხომ მიმიღე მეკობრეთა გუნდში!
- მართალია, მაგრამ ის სხვაა. ყაჩაღი მეკობრეზე გაცილებით მეტია! თითქმის ყველა ქვეყანაში ისინი კეთილშობილი წარმოშობისანი არიან, ჰერცოგები, ან სხვები.
- გამიგონე, ტომ! შენ ხომ ყოველთვის ჩემი მეგობარი იყავი! ხომ არ მიმატოვებ, ტომ? ხომ მიმიღებ, ტომ, ხომ? მითხარი!
- ჰეკ, მე კი მიგიღებდი, მაგრამ რას იტყვის ხალხი? იტყვიან: “ფუი, ტომ სოიერის გუნდი! მდაბიო ხალხია იქ!” და შენზე მიუთითებენ. ეს ხომ შენც არ გესიამოვნება და, კარგად იცი, მეც მენწყინა.
- კარგი, ტომ, თუ პირობას მომცემ, რომ მიმიღებ შენს გუნდში, ერთი თვით დავბრუნდები ქვრივ დუგლასთან და ვეცდები, შევეჩვიო. მხოლოდ შენ კი უნდა მიმიღო.
- კეთილი, ჰეკ, აი, მესმის! ნავიდეთ, მეგობარო, მე ვთხოვ ქვრივს, რომ მეტისმეტად არ შეგაკვიწროვოს.
- მართლა სთხოვ, ტომ? ეს კარგი იქნება. თუ ის მართლა ძალიან არ შემაკვიწროვებს, ჩუმად მოვწევ და ჩუმადაც შევიგინებდი, როგორმე მოვითმენ. შენ როდის შეადგენ გუნდს და როდის დაიწყებ ყაჩაღობას?
- ძალიან მალე. შეიძლება ამ საღამოსვე შევყარო ბიჭები და ყაჩაღად ვაკურთხო.
- რა ქნა?
- ვაკურთხო.
- ეგ რაღას ნიშნავს?
- ეს იმას ნიშნავს, რომ დავიფიცებ, ერთმანეთისათვის თავი დასდონ და არასგზით არ გასცენ ამხანაგი, თუნდაც ამისათვის მთლიანად აკუნონ; რომ ყველას დავხოცავთ, ვინც კი რამეს დაუშავებს ჩვენს წევრს, და რომ ოჯახსაც არ დავინდობთ.
- აი, ეს მესმის, ტომ!
- ოღონდაც! ფიცი აუცილებლად შუალამისას უნდა დავდოთ, რაც შეიძლება მიყრუებულ ალაგას. ყველაზე უკეთესი ის სახლი არის, სადაც მოჩვენებებია, თუმცა ისინი უკვე სულ გადათხარეს.
- ყოველ შემთხვევაში, ხომ შუალამისას მოხდება, ეგეც კარგია.
- ჰო, ფიცს დავდებთ ვისიმე საფლაკზე და ხელს მოვანერო სისხლით.
- ოჰო! ეგ ათასჯერ უკეთესი ყოფილა, ვიდრე მეკობრეობა. სხვა რა გზა მაქვს, ვიცხოვრებ ქვრივთან, კიდევ რომ მოვკვდე. ხოლო თუ ნამდვილი ყაჩაღი გავხდები და ყველა ალაპარაკდა ჩემზე, მაშინ ქვრივიც იამაყებს იმით, რომ მან აღმზარდა.

დასკვნა

ასე მთავდება ეს მოთხრობა. იგი სწორედ ამ ადგილას უნდა დამთავრდეს, რადგანაც პატარა ბიჭის ამბავს გვიამბობს. თხრობა რომ გაგვეგრძელებინა, მამაკაცის ბიოგრაფია გამოვიდოდა. როცა რომანს მოზრდილ ადამიანებზე წერ, იცი, რით დაამთავრო - ქორწილით, მაგრამ როცა ბავშვებზე წერ, იქ უნდა დაამთავრო, სადაც უფრო მოსახერხებელია.

ამ წიგნის გმირთა უმრავლესობა დღესაც ცოცხალია. კეთილად და ბედნიერად ცხოვრობს. შესაძლოა, ოდესმე კიდევ დავუბრუნდე ამ ბავშვების ცხოვრების აღწერას, რა ადამიანები დადგნენ ისინი, ამიტომ უაზრობა იქნებოდა, ახლა შეამბნა ამის შესახებ.